სარდიონ ზედელაშვილი

# კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები

(დამხმარე სახელმძღვანელო თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის)



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

ტექნიკური რედაქტორი: ლევან ვაშაკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: რუსუდან რატიანი

© ს. ზედელაშვილი, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი", 2012

თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

SBN 978-9941-17-844-3

# ს ა რ ჩ ე ვ ი


1. შესავალი ..... 5
2. ჩრდილო კავკასიელთა სამოსახლოები ძველ ეპოქაში ..... 6
3. სამხრეთ კავკასიელთა სამოსახლოები ძველ ეპოქაში ..... 9
4. უცხო ტომების შემოდინებანი და ადგილობრივი ეთნოსების განსახლება ჩრდილო კავკასიაში უძველეს და ანტიკურ პერიოდში ..... 16
5. ჩრდილო კავკასიელთა განსახლება და საცხოვრისები V-X საუკუნეებში ..... 22
ა. ადიღეელები ..... 22
ბ. ოსები ..... 24
გ. ვაინახები ..... 26
დ. დაღესიტნელები ..... 28
6. ჩრდილო კავკასიელთა განსახლება და პოლიტიკური პროცესები X-XV საუკუნეებში ..... 30
ა. ადიღეელები ..... 30
ბ. ოსები ..... 33
გ. ვაინახები ..... 37
დ. დაღესტნელები ..... 42
7. პოლიტიკური პროცესები და ჩრდილო კავკასიელთა ტერიტორიები XVI-XVIII სს. ..... 45
ა. ადიღე-ჩერქეზები ..... 45
ბ. ყარაჩაელები და ჩერქეზები ..... 48
გ. ყაბარდოელები და ბალყარელები ..... 52
დ. ოსები ..... 59
ე. ვაინახები (ჩეჩნებ-ინგუშები) ..... 63
ვ. დაღესტნელები ..... 69
ზ. ჩრდილო კავკასიის თურქულენოვანი ხალხები და მათი განსახლების არეალი ..... 86

8. ჩრდილო კავკასიელთა ტერიტორიული ცვლილებები და მიწების გადანაწილების მექანიზმი XIX ს.-ში ..... 91
ა. აგრარული რეფორმა და მიწების გადანაწილება ..... 91
ბ. ადმინისტრაციული რეფორმები და მიწების გამიჯვნა ..... 119
9. სამხრეთ კავკასია და მისი ტერიტორიული პრობლემები ..... 128
ა. საქართველო ..... 128
ბ. სომხურ-აზერბაიჯანული ტერიტორიული პრობლემები ..... 152
10. გამოყენებული ლიტერატურა ..... 185

## შესავალი

კავკასიის ისტორიული განსახლებანი და პოლიტიკური ვითარება — სახელმძღვანელო — არის ცდა, კომპლექსურად აღვწეროთ კავკასიელი ხალხის ისტორიული საცხოვრისები, უცხო ეთნოსების მიგრაციები ამა თუ იმ ტერიტორიაზე. სახელმძღვანელოში ნაჩვენებია მთელი რიგი პოლიტიკური პროცესებისა, რომლებიც განაპირობებდა კავკასიელი ხალხების ადგილმდებარეობის ცვალებადობას ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში.

კავკასია უნიკალური რეგიონია; კავკასიას ხშირად უწოდებენ ხალხთა მუზეუმს, იგი წარმოადგენს მსოფლიო ცივილიზაციის უძველეს კერას, საინტერესო ისტორიით, კულტურით და ტრადიციებით.

კავკასიას უძველესი დროიდანვე უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ფუნქცია გააჩნდა, ამიტომაც საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა სხვადასხვა იმპერიის დაპყრობითი ომები და ადგილობრივი და მოსული ხალხების საარსებო საზღვრების ცვლილებები.

ხშირად მოსული ეთნოსები ასიმილირდებოდნენ ადგილობრივებთან და პირიქით.

სახელწოდება „კავკასია" უძველესი ტოპონიმია. იგი მოხსენიებულია ესქილესა და ჰეროდოტეს ნაწარმოებებში (VI-V სს. ჩვ. წ.). ძველი ბერძნები კავკასიას უწოდებდნენ არა მარტო მთათა სისტემას, არამედ ერთ-ერთ მწვერვალსაც კი, სადაც მიჯაჭვული იყო პრომეთე. მოსახლეობას, რომელიც აქ ცხოვრობდა, მოიხსენიებდნენ საერთო სახელით „კავკასიელები".

კავკასიას მთავარი ქედი ჰყოფს ორ ნაწილად: დაღესტანი, ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ჩეჩნეთი, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ადიღე მიეკუთვნებიან ჩრდილოეთ კავკასიას; საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი — სამხრეთ კავკასიას.

კავკასია მრავალენოვანი და მრავალეთნიკური მოსახლეობისგან შედგებოდა და შედგება დღესაც. ეს ერები მიეკუთვნებიან სამ დიდ ენობრივ ოჯახს: იბერიულ-კავკასიურს, თურქულენოვანს და ინდოევროპულს.

სახელმძღვანელოს ერთ-ერთ თავში ყაბარდოელები და ბალყარელები, ყარაჩაელები და ჩერქეზები განხილული გვაქვს ერთად, ვინაიდან დღეს ისინი რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენენ არა ერთი, არამედ ორი ეთნიკური ნიშნით: ყარაჩაი-ჩერქეზეთის და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკები.

რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა რუსეთის მიერ გატარებული რეფორმებითა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შედეგად — იბერიულ-კავკასიური მოდგომის ერთი ხალხი — ადიღე (ჩერქეზი) ხალხი — დაიყო სამად და შეუერთდა თურქულენოვან ხალხებს — ყარაჩაელებს და ბალყარელებს. ადმინისტრირების ამგვარი მოწყობა ხელსაყრელია მეტროპოლიისათვის ამ ხალხების სამართავად.

წიგნი განკუთვნილია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის, აგრეთვე კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

## ჩრდილო კავკასიელთა სამოსახლოები ძველ ეპოქაში

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის უმეტესობა ავტოქტონები იყვნენ და აქ უძველესი დროიდანვე მოსახლეობდნენ.

ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ქვის ხანის სამოსახლოები (წინაშელი, აშელი, ადრეაშელი) აქამდე არ იყო აღმოჩენილი. მხოლოდ გვიანაშელის პერიოდის (200-100 ათასი წლის წინათ) სადგომებს ვადასტურებდით ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში: აულ ხაჯოხთან, მდ. ბელაიაზე, მაიკოპის მახლობლად, მდ. ფორთეპიანკაზე, სტანიცა სმოლენსკაიასთან და ა. შ.

აშელის სამოსახლოები გვხვდება აგრეთვე დაღესტნის ტერიტორიაზე ზღვასთან ჩუმუს-ცნიცკის, აგრეთვე ახუშის მალობლად უსიშის ხეობაში.

გამყინვარების ეპოქას ემთხვევა მუსტიეს ეპოქა (100-40 ათასი წლის წინანდელი). მუსტიეს პერიოდის ადამიანთა საცხოვრებლები გვხვდება ყუბანისპირეთში სტანიცა აბაძეხსკაიასთან, ილსკაიასთან.

ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ზღვისპირა ზონაში ადამიანთა საცხოვრებლებს მიეკუთვნება ახშტირის და ნავალიშენის ძეგლები ადლერთან. ინგუშეთში სოფ. ტამურზიევთან, ჩეჩნეთის მაღალმთიან სოფელ კაზენთან, ოსეთში — ქ. ვლადიკავკაზის მახლობლად, სოფ. გიზელთან.

მუსტიეს მნიშვნელოვანი საცხოვრებლები გვხვდება დაღესტნის როგორც დაბლობ, ასევე მთის ძირა და მთიან ზონაში.

უახლესი არქეოლოგიური გათხრების შედეგად 2006-2007 წლებში ცენტრალურ დაღესტანში ახუშის რაიონში აღმოჩენილ იქნა უძველესი ადამიანის სადგომი, რომელიც გეოლოგიური, პალეონტოლოგიური და პალინოლოგიური პარამეტრებით დაათარიღეს 1,5 მილიონი წლით, რაც მცირედით ნაკლებია დმანისში აღმოჩენილ ადამიანის სადგომის თარიღთან მიმართებაში.

გვიანი ანუ ზედა პალეოლითის, რომელიც თარიღდება დაახლოებით 40-13 ათასწლეულით, ადამიანთა საცხოვრისები გვხვდება: ყალა-ტიუბეში — ბალყარეთი; კეზენის, ხოის, მაკაჟოის საცხოვრისები — ჩეჩნეთში; მდ. იამან-სუს და დაღესტნის მთიანეთის ჩოხის საცხოვრისები.

რაც შეეხება მეზოლითის ეპოქის ადამიანთა საცხოვრებლებს, აღმოჩენილია ყარაჩაიში სასრუყოს გამოქვაბულში; ჩეჩნეთში — სოფ. ვედენოში და მთიანი დაღესტნის რაიონებში: რუმუჯაში, უსიშაში, გროტში, მეკეგეში და ა. შ.

ნეოლითის საცხოვრისებს ვხვდებით დაღესტანში: ბუინაკსკსა და ტარხაირში; მთიან დაღესტანში კი — მალინ-კარატის; ღუნიბის რაიონში — სოფ. რუგუჯის ადამიანის სადგომი.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში ნეოლითური ეპოქის ძველი ადამიანის ნამოსახლარები გვხვდება მაღალმთიან ტბა კეზენოიამთან, სოფ. კეზენოსთან ახლოს.

რაც შეეხება ყაბარდო-ბალყარეთს, ნეოლითური ნამოსახლარი მიკვლეულია ნალჩიკის მახლობლად, მდ. კენჟაზე; მის მთიან ნაწილში კი — სოსრუყოსა და ყალა-ტიუბეს გამოქვაბულებში.

ყარაჩაი-ჩერქეზეთში ჩერკესკის მახლობლად მდ. ოვეჩკაზე მიკვლეულ იქნა ნეოლითური ნასოფლარი.

ადამიანთა ნეოლითური სადგომები გვხვდება აგრეთვე ჩრდილო დასავლეთ კავკასიის შუა ყუბანისპირა ზოლში ტამანის ნახევარკუნძულზე და შავი ზღვის სანაპიროზე.

ენეოლითის პერიოდი ნახმოკლე იყო: ძვ. წ-ის V ათასწლეულის ბოლოდან ძვ. წ-ის III ათასწლეულის შუახანებამდე.

ჩრდილო კავკასიის ენეოლითის მნიშვნელოვანი ძეგლია ნალჩიკის სამაროვანი. ძვ. წ-ის III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან გვხვდებიან ადრებრინჯაოს კულტურის მატარებელი ხალხები. აღსანიშნავია მაიკოპის ყორღანი. მაიკოპის კულტურა ტამანიდან ჩეჩნეთის ჩათვლით ვრცელდებოდა. მაიკოპის ყორღანი წარმოადგენდა ძლიერი ტომის ბელადის სამარხს, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნულ მიდამოებში ადამიანების საცხოვრებლები არსებობდა. ერთ-ერთ ასეთ ნამოსახლარს წარმოადგენდა დოლინსკის ნამოსახლარი ნალჩიკის მახლობლად.

დაღესტნისა და ნაწილობრივ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მაიკოპის კულტურასთან ახლო მდგომი მტკვარ-არაქსის ტიპის ადრებრინჯაოს კულტურის მქონე ხალხები. მტკვარ-არაქსის კულტურა თარიღდე7ბა დაახლოებით ძვ. წ-ის IV ათასწლეულის დასასრულითა და III ათასწლეულის I ნახევრით.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში ადრებრინჯაოს ნამოსახლარებიდან ცნობილია ლიუგოვოეს ნამოსახლარები სოფ. მუჟიჩისთან და სერჟენიურტთან; დაღესტანში — კიაკენტში, გილიარში, ხაჯალ-კალაში და ა. შ.

დიდ წარმატებას მიაღწია ჩრდილო კავკასიაში მეტალურგიამ. მაიკოპის კულტურის ადრეულ ეტაპზე სპილენძი შემოჰქონდათ ამიერკავკასიიდან და წინა აზიიდან, ნოვოსვობოდნაიას ადამიანთა სადგომებში აღმოჩენილ იქნა ადგილობრივი წარმოების სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთები.

ძვ. წ-ის II ათასწლეულში მაიკოპის კულტურის ბაზაზე იქმნება შუა და განვითარებული ბრინჯაოს კულტურა. იგი არსებობდა ძვ. წ-ის 1700 წლიდან ძვ. წ-ის 1100 წლამდე.

ძვ. წ-ის XII-XI საუკუნეებში ყუბანის სათავეებიდან დასავლეთ ჩეჩნეთამდე ბატონობდა ყობანის კულტურა, რომელიც ცნობილია ადამიანთა ნამოსახლარებით. ესენია: ზმეისკის, სერჟენ-იურტოვსკოეს და. შ.

ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში არსებობდა ე. წ. ყუბანისპირა კულტურა, იგი ვრცელდებოდა ყუბანის მარცხენა სანაპიროს სათავეებამდე.

გვიანი ბრინჯაოს ხანა გამოირჩეოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ერთგვაროვანი კულტურის წარმოქმნით, რომელიც ცნო-

ბილია კიაკენტ-ხოროჩოის კულტურის სახელით (კიაკენტი დაღესტნის დასახლებული ადგილია, ხოროჩოი — ჩეჩნეთის). ამ კულტურის ძეგლები მხოლოდ სამაროვნების სახითაა მოღწეული და მიეკუთვნება ჩვ. წ.-მდე II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისს.

გვიანბრინჯაოს კულტურის ბოლო ეტაპზე ჩნდება რკინის ნაკეთობანი, რომლებიც აღმოჩენილია სერჟენ-იურტის ნამოსახლარში. პირველი რკინის ნივთები შემოტანილ იყო ჩრდ. კავკასიაში ამიერკავკასიიდან და ურარტუდან.

ძვ. წ-ის VII-VI საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში იწყება რკინის ადგილობრივი წარმოება და მას ეწოდება გვიანყობანური კულტურა.

## სამხრეთ კავკასიელთა სამოსახლოები ძველ ეპოქაში

პალეოლითის დროს ამიერკავკასიაში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობდა ძველი ადამიანის განსახლებისთვის, რომელიც დაახლოებით 2 მილიონი წლის წინ უნდა დასახლებულიყო. პალეოლითის ხანა ძველი წელთაღრიცხვის XII-XI ათასწლეულებამდე გავრცელდა.

დმანისის ფეოდალური ხანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა უძველესი ადამიანის ნაშთები. დმანისის ადამიანი 1,7 მილიონ წელზე ადრე უნდა გამოჩენილიყო.

კოლხეთში, აშელური ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია სოხუმთან ახლოს სოფ. იაშთხვასთან აღმოჩენილი ადამიანის საცხოვრისი. მაღალმთიან ზოლში აღსანიშნავია შიდა ქართლში, ყვარელსა და ჯეჯორის სათავეებთან, კუდროს და წონას გამოქვაბულები. ფარავნის ტბასათან, ჯავახეთის პლატოზე აღმოჩნდა აშელური ეპოქის საცხოვრისი. ბინადრობს ამ დროს ადამიანი იორ-ალაზნის ორმდინარეთშიც.

აშელის დროის ადამიანი ბინადრობდა ასევე აზერბაიჯანში აზიხის გამოქვაბულში, აჯი-დერეში, შიშ-გუზეიში და სხვაგან.

აშელის პერიოდის ძველი ადამიანის სადგომები არსებობდა სომხეთშიც ერევნის მახლობლად სოფლებში: არზნისთან და ნურნუსთან.

დაახლოებით 150 ათასი წლის წინათ დასრულდა აშელის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც ნახევარი მილიონი წელი გაგრძელდა.

მუსტიეს ეპოქაში საგრძნობლად იმატა მოსახლეობის რიცხვმა. ფართოდ ითვისებს ადამიანი კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს. მუსტიეს ხანაში ინტენსიური ცხოვრება ჩანს რიონ-ყვირილის აუზში.

მუსტიერული ხანის ადამიანთა სადგომები აღმოჩნდა შიდა ქართლში მთისწინეთის ზოლში მდ. ლიახვის, ფრონეს, ქსნის და მეჯუდის ხეობაში, აგრეთვე შიდა ქართლის მაღალმთიან ზოლებში. წონასა და კუდაროში გვხვდება მუსტიეს ადამიანთა საცხოვრისები.

მუსტიეს ხანაში საკმაოდ ინტენსიურად ჩანს დასახლებული ივრის ზეგანი, დავით გარეჯი, შირაქის ველები, ჯავახეთის მაღალმთიანი პლატო და ქვემო ქართლი, ასევე ქუთაისის საკაჟიას გამოქვაბული.

აზერბაიჯანში მუსტიეს ეპოქის ადამიანთა სამოსახლოები გვხვდება ტაგლარის გამოქვაბულში.

მუსტიეს ხანით დასრულდა ქვედა პალეოლითის ხანგრძლივი პერიოდი და საფუძველი ეყრება ზედა პალეოლითურ ყოფას. პალეოლითი 40-30 ათასი წლიდან 12-10 ათას წლამდე გაგრძელდა. ზედა პალეოლითის ხანაში ინტენსიურადაა დასახლებული რიონ-ყვირილის აუზი და კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. ფართოდაა დასახლებული კოლხეთის მიმდებარე მხარე, ჩრდილო-დასავლეთი კავკასია, განსაკუთრებით სოჭი-ადლერის ზღვისპირა ზოლი. მცირეოდენი ნამოსახლარები გვხვდება შიდა ქართლში, ჯავახეთსა და წალკაში, ასევე იორ-ალაზნის აუზებში.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, ზედა პალეოლითური ადამიანთა სადგომები გვხვდება ტაგლარში, იატაგერში და სხვაგან.

მეზოლითში ანუ ზედა პალეოლითში კავკასიის უფრო ფართოდ განსახლების პროცესი იწყება, რომელშიც ძირითადად, ალბათ, ადგილობრივი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას. შედარებით უფრო დიდ ტერიტორიაზე განფენა მოსახლეობის თანდათანობითი დაცილების პირობებს ქმნიდა, რასაც კავკასიის ლანდშაფტიც უწყობდა ხელს. ჩანს, ამ დროს უნდა დაწყებულიყო საერთო კავკასიური ერთობის დაშლის პროცესი. ამ დროისათვის იწყება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დივერგენცია ქვეჯგუფებად — წინარე აფხაზურ-ადიღეური, წინარე ნახურ-დაღესტნური და წინა-

რე ქართველური. კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი მაწილი წინარე აფხაზურ-ადიღეური ტომის ადგილსამყოფელი უნდა ყოფილიყო. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია წინარე ნახურ-დაღესტნური ტომის საცხოვრისი იყო. ქართველური ტომები ჩანს, სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობდნენ და უპირატესად მცირე კავკასიონის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილები ეკავათ, კავკასიონის სამხრეთ კალთებამდე. წინარე ალბანურ ტომებს კი ქართველური ტომების აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე ტერიტორიები ეკავათ.

სამხრეთ კავკასიაში ნეოლითური კულტურა აღმოცენდა ძვ. წ. VIII ათასწლეულში და VI ათასწლეულამდე გრძელდებოდა. ნეოლითის ხანაში მოსახლოება ძირითადად დასავლეთ საქართველოშია კონცენტრირებული, ესენია: ოდიში, თეთრა მიწა, კისტრიკი, ანასეული და ა. შ. აღმოსავლეთ საქართველოში ამ პერიოდის ადამიანთა სადგომები ნაკლებადაა ცნობილი, თუმცა ადამიანთა საცხოვრებლები აღმოჩენილია ენეოლითის ხანის ნასოფლარებზე: შულავერში, არუხლოში, ხიზანაანთ გორასა და სხვაგან.

ნეოლითის ხანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლოების რიცხვი. ამ დროს თითქმის მთელი კოლხეთი ინტენსიურადაა დასახლებული. უპირატესად მისი ზეგან-ბორცვიანი ზოლი. კოლხეთის დაბლობი ზედმეტი სინოტივის გამო საცხოვრებლად ჯერ კიდევ ნაკლებად ვარგისი უნდა ყოფილიყო. აქტიურადაა დასახლებული ცენტრალური კოლხეთის მთისწინა ბორცვოვანი ზოლი, სადაც რამდენიმე ათეული ნამოსახლარია გამოვლენილი, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ოდიშის ნასოფლარი. ამ დროს რამდენიმე ნამოსახლარი ცნობილია უფრო დასავლეთით, სამურზაყანოს მიწა-წყალზე. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, გუდაუთის მახლობლად აღმოჩნდა კისტრიკის ნამოსახლარი, ანალოგიური ნამოსახლარები უფრო დასავლეთითაც იყო ნაპოვნი, ადლერის მახლობლად, ხოლო ბათუმთან — მახვილაურის ნამოსახლარი.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ნეოლითური პერიოდის საცხოვრისები აღმოჩენილია გობუსტანში განჯასთან, განჯა-ჩაის ველზე ხანლარის რაიონში, ყაზახის რაიონში, აგრეთვე სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ხასანლუ-ტეპეში, დალმა-ტეპესა და სხვაგან.

სომხეთის ტერიტორიაზე ერევანთან, ეჩმიაძინთან, სისნთან, გარნისთან შემორჩა ადამიანთა უძველესი დასახლებანი. ისინი მიეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულს.

აღმოსავლეთ ამიერკავკასია ნეოლითის ხანაში შედარებით ნაკლებად იყო დასახლებული, მხოლოდ ნეოლითში დაიწყო მისი ინტენსიური ათვისება. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ამ დროს ვრცელდება ადრესამიწათმოქმედო კულტურა, რომელიც „შულავერ-შომუთაფეს კულტურის“ სახელითაა ცნობილი. ძვ. წ. VI-IV ათასწლეულებში ინტენსიურადაა დასახლებული მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთი, ქვემო ქართლისა და არარატის ველები, მილის, ყარაბაღის და მუღანის სტეპური ზოლი. ჩნდება სოფლის ტიპის ხანგრძლივი დასახლებები.

აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნასოფლარები ძირითადად ქვემო ქართლიდანაა ცნობილი, მარნეულის ველზე მდ. მტკვრის შუა წელზე, მისი შენაკადების, ხრამისა და დებედის აუზებში. ამ დროის ნასოფლარები უფრო აღმოსავლეთით აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა, განჯა-ყახაზის ვაკეზე. მარნეულის ველზე ამ დროის ნამოსახლარებიდან აღსანიშანვია შულავერის გორა, იმირის გორა, ხრამის დიდი გორა, არუხლოს გორა და სხვ. ეს ნასოფლარები თითქმის მსგავსნი იყვნენ. აზერბაიჯანის განჯა-ყაზახის ველზე არსებული ნამოსახლარები როგორც სოფლის გეგმარებით, ისე არქიტექტურითა და ინვენტარის ხასიათით არ განსხვავდებიან ქვემო ქართლის ნამოსახლარებისაგან.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი ტომები, როგორც ჩანს, კავკასიაში პირველი ეცნობიან ლითონს. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შულავერ-შომუთეფეს ზოგიერთ ნასახლარზე ნაპოვნია ლითონის ნივთები.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მატერებელი მოსახლეობა ცალკე სოფლებად ცხოვრობდა. ამ პერიოდში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სხვადასხვა რეგიონებიდან მოსახლეობის ჯგუფები შემოდიან. შესაძლოა ერთი ტალღა მიგრანტებისა ჩრდილოეთიდან, უპირატესად ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან ვრცელდება, რასაც შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა მოჰყვა. ეგებ არ იყოს მთლად უსაფუძვლო ვარაუდი, რომ ახლად მოსულების ძირითადი მასა ნახურ-დაღესტნურ მოსახლეობასთან ახლო მდგომი ხურიტული ტომები ყოფილიყვნენ, რომლებიც საკმაოდ ინტენსიურად ითვისებდნენ მტკვარ-არაქსის ორმდინარეთს. გარკვეული მასა მოსახლეობისა ეგებ დასავლთ საქართველოდან მოდის, რომლებიც შიდა ქართლში გაუსაძლისი პირობების გამო ქვემო ქართლის ბარს და მიმდებარე განჯა-ყაზახის ველს იკა-

ვებენ. შესაძლებელია მიგრაცია სამხრეთიდან ხორციელდებოდა, სადაც ამ დროისათვის უკვე ყვაოდა ადრესამიწათმოქმედო კულტურები და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა იგრძნობოდა. ამ ვარაუდს თითქოს მხარს უჭერს ადრესამიწათმოქმედო კულტურისათვის დამახასიათებელი სამშენებლო ტრადიცია. სამშენებლო მასალა ძირითადად თიხაა, მიუხედავად იმისა, რომ ქვა და ხე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მრავლად იყო. ჩანს, თიხით მშენებლობის ტრადიცია სამხრეთიდან ვრცელდებოდა, სადაც თიხა ძირითადი სამშენებლო მასალაა უძველესი დროიდან. ძვლითა და რქით მაღალ დონეზე დამზადებული ნივთები შესაძლოა სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილიდან გადმოსახლებული მოსახლეობის დამსახურება ყოფილიყო.

ნიშანდობლივია ქვემო ქართლში სოფ. სიონთან წარმოდგენილი კულტურა, რომელსაც სიონის კულტურა ეწოდა. ამ კულტურის ნამოსახლარები გამოვლინდა აგრეთვე სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის სხვა მხარეებშიც: შიდა ქართლში, არაგვის ხეობაში, კახეთში. ის განსხვავდება შულავერ-შომუთეფეს კულტურისაგან და უფრო მეტ საერთოს ავლენს დასავლეთ საქართველოს კულტურასთან. მსგავსება შეინიშნება მილის-ყარაბაღის — მუღანის ველებზე, ნახიჭევანის მხარეში, არარატის ველზე აღმოჩენილ ძეგლებთან, სადაც ისინი ლუილათეფეს კულტურის სახელითაა ცნობილი. გარკვეულწილად ახლოს დგანან მაიკოპის კულტურასთან.

ბრინჯაოს ხანა დაახლოებით სამ ათას წელს გაგრძელდა, ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებიდან, ვიდრე ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრამდე.

საქართველოს ტერიტორიასა (დასავლეთ საქართველოს გარდა) და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში ადრე ბრინჯაოს ხანაში გავრცელებულია მტკვარ-არაქსის კულტურა. მტკვარ-არაქსის კულტურის სამოსახლოები გვხვდება როგორც დაბლობში (ქვაცხელა, გუდაბერტყა, დიდუბე და სხვა), ისე მთისწინა ადგილებში (კიკეთი, სამშვილდე და სხვა) და მთაში (ჯავახეთის პლატო). როგორც ჩანს, ამ დროს დასახლებულია საქართველოს ყველა ვერტიკალური ზოლი.

ამ პერიოდის დასახლებანი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გვხვდება როგორც ქვეყნის სამხრეთში (გეიტეპე, იანიკტეპე), ასევე ჩრდილოეთში (კიულტეპე I, გარაკეპეტეპე, შორტეპე, გიუნეშტეპე და სხვ.).

მტკვარ-არაქსის კულტურის მქონე ხალხები ერთ ადგილზე მცხოვრებლებს წარმოადგენენ და მიწათმოქმედება-მესაქონლეობას მისდევდნენ; აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ტომებს გარკვეული ურთიერთობები ჰქონდათ როგორც მეზობლებთან (საქართველო, სომხეთი), ასევე ჩრდილო კავკასიის რეგიონის მცხოვრებლებთანაც.

რაც შეეხება სომხეთის ტერიტორიას, ბრინჯაოს პერიოდში ძირითადად დასახლებულნი იყვნენ სომხეთის მთიანეთში. მიუდგომელ მთიან ადგილებში გამოვლენილ იქნა სიმაგრე-დასახლებანი, ძირითადად არაგაცის ფერდობებზე და სევანის ტბის ბასეინის სამხრეთ ნაწილში.

საქართველოში სოფლის დარბაზული ნაგებობები გვხვდება ქვაცხელაში, ამირანის გორაზე და სხვაგან.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამოვლენილი იქნა ადამიანთა ისეთი დასახლებანი, რომლებიც ძლიერი კედლებით იყო შემოსაზღვრული. ესენია: გეიტეპე, კუილტეპე და სხვა. მთელი რიგი სამოსახლოები მიკვლეული იქნა ასევე ნახჭევანში, გობუსტანში, მუღანში, აფშერონში და სხვა ადგილებში.

ლითონის გაჩენამ გამოკვეთა ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია.

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება დასავლურქართული გვიანბრინჯაოს ხანის (კოლხური) და ცენტრალურ აღმოსავლურ-ქართული გვიანბრინჯაოს ხანის კულტურები.

ბრინჯოს ხანაში შრომის ნაყოფიერების ზრდამ შექმნა ზედმეტი პროდუქტი, გაჩნდა სიმდიდრე (საქონლის ჯოგები, ბრინჯოს იარაღები), რამაც ბზარი გაუჩინა გვაროვნულ საზოგადოებას. მაგრამ გვაროვნული საზოგადოების საბოლოო რღვევა და კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა მხარეებში მოხდა მხოლოდ ადრერკინის ხანაში.

რკინის მეტალურგიის საწყისი ეტაპი თარიღდება ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებით. ვარაუდობენ, რომ ქვემო ქართლსა და მდ. ჭოროხის აუზში იყო რკინის წარმოების უძველესი კერები.

რკინამ თავისი ბუნებრივი თვისებების წყალობით მეტად წასწია წინ წარმოება და გაზარდა შრომის ნაყოფიერება. რკინის იარაღით ადამიანს შეეძლო ტყის გაკაფვა და სახნავი სივრცის გაზრდა. გაიზარდა და განვითარდა ხელოსნობა და ვაჭრობა. რკინის იარა-

ღებმა გააუმჯობესეს ხის, ქვის, ფერადი ლითონების და სხვა მასალის დამუშავება და, ამდენად, ხელი შეუწყო ხელოსნობის განვითარებას და გამრავლაფეროვნებას. ხელოსნობისა და მიწათმოქმედების შეთავსება შეუძლებელი ხდება. ამის შედეგად იწყება შრომის დანაწილება, ხელოსნობა გამოეყო მიწათმოქმედებას. ამის შედეგად წარმოიქმნა სასაქონლო წარმოება და ვაჭრობამ მიიღო რეგულარული ხასიათი.

რკინის მეტალურგიამ და შრომის ნაყოფიერების ზრდამ საფუძველი გამოაცალა გვაროვნულ წყობილებას. შეიქმნა პირობები პროგრესულ ინდივიდუალურ მეურნეობაზე გადასასვლელად. ის, რაც ადრე შეეძლო მხოლოდ დიდ კოლექტივს, ახლა შეძლო ცალკეულმა ოჯახმა. კოლექტიური შრომის აუცილებლობა გაქრა. გვაროვნული თემი, მისთვის დამახასიათებელი კოლექტიური შრომით, მურნეობითა და თანასწორობით, დაირღვა. მას ცვლის ტერიტორიული სამეზობლო თემი, სადაც შრომის იარაღები, მუშა პირუტყვი და საქონელი, სახლი, სამეურნეო ნაგებობები კერძო საკუთრებას შეადგენს.

გვაროვნული წყობილების რღვევასთან ერთად გაჩნდა „მძარცველური" ომები სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად. ტომთა ერთი ჯგუფის საერთო ინტერესების დასაცავად იქმნება ტომთა კავშირები, ტომთა დასაკავშირებლად იზრდება ბელადების და სამხედრო სარდლების როლი, მათ გარშემო წინაურდებიან მეომრები. ყალიბდება სამხედრო დემოკრატია. ომები კიდევ უფრო აწინაურებენ საგვარეულო და სატომო არისტოკრატიას, რომელიც სამემკვიდრეოდ აქცევს მათ თანამდებობებს. ამრიგად, რკინის ხანაში სრულდება პირველყოფილი თემური წყობილება, წარმოიქმნება კლასობრივი საზოგადოება.

ტომთა კავშირები და სამხედრო დემოკრატია კი სახელმწიფოს წინა დღეა. მათ საფუძველზე წარმოიქმნა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები.

კავკასიის სამოსახლოების აღწერით უძველეს პერიოდში გვინდოდა გვეჩვენებინა პირველი საცხოვრისები, სადაც მოსახლეობდნენ ძველი ადამიანები.

## უცხო ტომების შემოდინებანი და ადგილობრივი ეთნოსების განსახლება ჩრდილო კავკასიაში უძველეს და ანტიკურ პერიოდში

პირველი უცხოური ტალღა, რომელიც შემოიჭრა ჩრდილო კავკასიაში და რომელთა სახელიც შემოინახა ძველმა აღმოსავლურმა და ბერძნულმა წყაროებმა, იყვნენ კიმერიელები, რაც დასტურდება ტოპონიმური მონაცემებით. ეთნიკური თვალსაზრისით, ეჭვს გარეშეა, რომ ამ ტერმინში ერთიანდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი, რომელიც გაერთიანდა ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში კიმერიის ტომობრივ კავშირში. ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ იყო აგრეთვე ზოგი ძველი კავკასიელი ტომი, უპირველეს ყოვლისა, ადიღეელების წინაპრები. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ იმ „კიმერიელებს" შორის, რომლებმაც მოცემულ პერიოდში მოახდინეს მძარცველური თავდასხმები ამიერკავკასიაზე და წინა აზიაზე, იყვნენ ჩრდილო კავკასიური ტომებიც. მეორე მსხვილი ეთნიკური ჯუგფი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩრდილო კავკასიის ისტორიაში, იყვნენ სკვითები. მათი წარმოშობის საკითხიც ბუნდოვანია, მათი ენა მიეკუთვნება ჩრდილო ირანულ ენების ჯგუფს. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, აღმოსავლეთ ევროპაში გამოჩენამდე ისინი ცხოვრობდნენ სადღაც სამხრეთ ციმბირში ან შუა აზიაში, მათთან მეზობლად მცხოვრებ და მონათესავე სხვა ჩრდილო ირანულ ტომებთან — მასაგეტებთან, საგებთან, სოგდებთან და სხვა ტომებთან ერთად. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (ძვ. წ-ის V ს.) გვამცნობს, რომ აზიაში მცხოვრები „მომთაბარე სკვითები, შევიწროებულნი მასაგეტების მიერ, გამოეშურნენ კიმერიის მიწა-წყალზე". მათი ზეწოლით კიმერიელების ნაწილი გადასახლდა წინა აზიაში.

საბოლოოდ სკვითების ტომობრივი კავშირი შეიქმნა ძვ. წ-ის VIII-VII სს. მასში შევიდნენ არა მარტო მომთაბარე ირანულენოვანი ტომები, არამდე ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და კავკასიის მიწათმოქმედი მოსახლოება. ამ კავშირში წამყვან ძალას წარმოადგენდნენ ე. წ. „მეფის სკვითები", რომლებიც, ჰეროდოტეს ცნობით, დანარჩენ სკვითებს თვლიდნენ თავიანთ მონებად და ეკავათ ტერიტორია ქვემო დნეპრის მარცხენა ნაპირიდან ქვემო დონამდე.

სკვითების ისტორიის პირველ პერიოდში (VII-V სს.), სკვითური არისტოკრატიის გამდიდრების მთავარ წყაროს წარმოადგენდა მძარცველური ლაშქრობები, ხარკის აკრეფა დაპყრობილი ხალხები-

საგან. ჰეროდოტეს სიტყვით, სკვითები „ყველა ხალხს აკისრებდნენ ხარკს, მაგარმ, გარდა ამისა, ახდენდნენ თავდასხმებს და ძარცვავდნენ მათ“.

ძვ. წ-ის VII საუკუნის პირველ ნახევრაში სკვითები ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებოდათ, დაიპყრეს ჩრდილო კავკასიის ველები და მთისძირა ტერიტორია. ადგილობრივი მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა მათ, რასაც სასტიკად უსწორდებოდნენ. არქეოლოგიური აღმოჩენები მიუთითებენ, რომ იმ დროს განადგურებულ იქნა ადგილობრივი ტომების ბევრი სამოსხალო, რის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს სერჟენ-იურტის ნამოსახლარი (ჩეჩნეთი). აქ არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოააშკარავა, რომ VII საუკუნეში ეს სამოსახლო მლთიანად იყო გაძარცვული სკვითების მიერ, ხოლო მოსახლეობა განადგურებული.

ირანულენოვანმა სკვითებმა გაანადგურეს ჩრდილოეთ კავკასიელები და გადავიდნენ სამხრეთ კავკასიაში, საიდანაც თავს ესხმოდნენ წინა აზიის ქვეყნებს. ასირიული ლურსმული წარწერები და ძველბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე გვამცნობს სკვით მეომართა თარეშს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში; რაც შეეხება ქართველ ავტორს ლეონტი მროველს, ის საუბრობს სკვითებისა და მომთაბარე კავკასიელების ბრძოლაზე.

ლეონტი მროველის ცნობით, მოსულებთან დამარცხებულმა კავკასიელებმა დაიხიეს მთებისკენ და გამაგრდნენ მიუვალ ხეობებში. ამის შემდგომ ქართულ ქრონიკებში ჩნდება ტერმინი **დურძუკი**, რომელიც თითქოს მომდინარეობს სხვა ლეგენდარული გმირის სახელისაგან, რომელიც ყველაზე სახელმგანთქმული იყო კავკასოსის მემკვიდრეთა შორის. დურძუკის მეთაურობით განხორციელდა ვაინახთა გადაადგილება მთებისკენ.

საზღვარი მომთაბარეებთან და ადგილობრივ მთიელ ტომებს შორის გადიოდა ძირითადად შავი მთის ჩრდილოეთის მხრიდან. საზღვარზე არ იყო სიმშვიდე, ხშირად ხდებოდა მომთაბარეთა მხრიდან ადგილობრივებზე თავდასხმები.

ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, აღმოსავლურ კავკასიური ტომები (ვაინახურ-დაღესტნური) და მათთან ენობრივად ახლობელი ხალხები დიდი ხნით ადრე ჩვენს ერამდე მოსახლეობდნენ არა მარტო ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, არამედ ეკავათ წინა აზიის ტერიტორიები ზაგროსამდე, მესოპოტამიამდე, სირიამდე და მცირე აზიამდე.

კავკასიის ქედის სამხრეთით მაცხოვრებელი ვაინახურ-დაღესტნური ტომები თითქმის მთლიანად აითქვიფნენ სხვა ხალხებში. ეთნიკური თვითმყოფადობა შეინარჩუნეს ვაინახების იმ ჯგუფებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასიაში.

დროთა განმავლობაში ვაინახებმა დაიწყეს მოსულთა გამოდევნა ნაყოფიერი მთისწინა მიწებიდან, თუმცა მომთაბარეთა ახალმა ტალღამ (სარმატები, ალანები და სხვ.) ისინი კვლავ განდევნა მთებში. სკვითების შემოსევებმა შეაფერხეს ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება.

ძვ. წ-ის VII საუკუნეში სკვითები გადმოდიოდნენ სამხრეთ კავკასიაში დარუბანდისა და დარიალის გადასასვლელებით, ბელოჩენკის, ქლუხორის, მამისონისა და სხვა გზებით. სკვითებმა ამ ლაშქრობაში ჩაითრიეს ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.

კიმერიელებისა და სკვითების გარდა ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით სტეპებში, შემოდიან აგრეთვე ირანულენოვანი ტომები, მათ შორის დანდარები, რომლებიც ძვ. წ-ის V საუკუნეში უკვე განსახლებულნი არიან ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში და, როგორც ჩანს, მიეკუთვნებიან სკვითურ ჯგუფს.

ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ირანულენოვანი ტომების განსახლება ხდება ძვ. წ-ის III-II სს. ბოლოს, რაც დაკავშირებულია აქ სარმატების შემოსვლასთან, რომლებიც სკვითების მონათესავენი იყვნენ. ჰეროდოტეს ცნობით, სარმატები „ლაპარაკობენ სკვითურ, მაგრამ დამახინჯებულ ენაზე". შესაძლებელია სარმატული ენა სკვითური ენის ერთ-ერთი დიალექტი იყო.

შემოჭრილი სარმატები შედგებოდნენ ორი პოლიტიკური გაერთიანებისაგან — სირაკებისა და აორსებისაგან. სირაკებმა დაიკავებს იმიერკავკასიის ბარი, აზოვის ზღვიდან თერგ-სუნჯის შესართავამდე, ხოლო აღმოსავლეთით მდ. სულაკამდე, დასახლდნენ აორსები. შემდეგში უცხოელმა ავტორებმა სახელწოდება „სარმატი" გაავრცელეს ჩრდილო კავკასიის ტერიტორიის მთელ მოსახლეობაზე. ამიტომ აქ სარმატების სახელწოდების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ირანულენოვანი ტომები, არამედ ადგილობრივი იბერიულ-კავკასიური მოსახლეობაც.

ჩვ. წ-ის I საუკუნიდან აორსთა გაერთიანებიდან დაწინაურდა ალანთა ტომი — დღევანდელი ოსების ერთ-ერთი წინაპარი. ალანებმა დაიმორჩილეს სხვა სარმატული ტომები და გაავრცელეს მათ-

ზე თავისი სახლეწოდება, რომელმაც დროთა განმავლობაში დაიკავა ტერმინ „სარმატის“ ადგილი. ტერმინი „ალანი“ ხანდახან ვრცელდება ჩრდილო კავკასიის არაირანულ მოსახლეობაზეც. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც ხაზგასმულია, რომ ოსები ალანების პირდაპირი და უშუალო შთამომავლები არ არიან.

ანტიკური ეპოქის ბოლოს (IV-V სს.) ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ჩნდებიან თურქულოენოვანი ტომები — ჰუნები.

უცხოტომელთა მოწოლა ხდებოდა უკვე არსებულ ადგილობრივ დამხვდურებზე. კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი რაიონები, დონის ქვემო დინების ჩათვლით, ეკავათ ძველ ადიღურ ტომებს. ანტიკური დროის ავტორები მათ აერთიანებენ მეოტების საერთო სახელწოდებით. მეოტური ტომები არიან: სინდები, თორეტები, კერკეტები, ფსესები, ფატეები, დოსხები და სხვ.

კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, ანტიკური ავტორების გადმოცემით, ცხოვრობდნენ სხვადახსვა ტომები: ღარღარები (ქართულ წყაროებში ღლიღვებად მოიხსენიებენ), ისადიკები (სოდები), ჰამიკეთები და სხვ. შესაძლებელია ისინი ვაინახების წინაპრები იყვნენ. უფრო აღმოსავლეთით, იმავე ანტიკური წყაროების მიხედვით, დაღესტნის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ: ლეგები, გელები, კასპიები, დიდურები, ანდაკები და უტიელები, რომლებიც წარმოადგენდნენ იბერიულ-კავკასიურ ხალხთა დაღესტნური ჯგუფის უშუალო წინაპრებს.

ჩვ. წ.-მდე VII-VI საუკუნეებიდან დღევანდელი დაღესტნის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები ჯერ მიდიის, ხოლო შემდეგ აქემენიდური ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის სფეროში იყვნენ მოქცეულნი. ჩვ. წ.-მდე V საუკუნეში დაღესტნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთაგან ჰეროდოტე ასახელებს კასპიებს. ცნობის მიხედვით, კასპიები ემორჩილებიან აქემენიდებს: ითვლებოდნენ დარიოსის მეთერთმეტე სატრაპიაში; შედიოდნენ ქსერქსეს ლაშქარში. როგორც ჩანს, ამ ხალხს კასპიისპირეთში გარკვეული ჰეგემონიაც ჰქონდათ მოპოვებული და, შესაძლოა, ტომთა რომელიმე სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებასაც ხელმძღვანელობდნენ. ისინი მალე გაქრნენ ისტორიის არენიდან; მათი არსებობის კვალი შესაძლოა კასპიის ზღვის სახელმა შემოგვინახა. ზოგიერთი მოსაზრებით, სახელწოდება კასპიები კრებითია და კასპიისპირეთის მოსახლოების ზოგადი სახელი ივარაუდება.

ჩრდილო კავკასიის შავი ზღვის ჩერქეზულ სანაპიროზე არსებობდა პოლისები (ქალაქი-სახელმწიფოები), შექმნილი ბერძენი კოლონისტებისა და ადგილობრივი მკვიდრების მიერ. ესენი იყო: ფანაგორია, გორგიპია, ბატა-პატუსი და სხვა. ისინი მონათმფლობელური სახელმწიფოებრივი წარმონაქმები იყო. V საუკუნის მეორე ნახევარში სინდიკის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მონარქიული სახელმწიფო, რომლის ცენტრიც გორგიპია (ანაპა) იყო. ამ სახელმწიფოს მეფეები ჭრიდნენ საკუთარ მონეტას. თავისი ეკონომიკური ტიპით სინდიკა, როგორც ჩანს, ადრემონათმფლობელური სახელმწიფო იყო.

ადრეკლასობრივი ურთიერთობანი შესაძლებელია არსებობდა სხვა ადგილობრივ ტომებშიც. ანტიკური ავტორები მოიხსენიებდნენ აქაურ „მეფეებს". მაგ. ფატეების მეფე, დანდარების მეფე და სხვა. წყაროები იხსენიებენ სარმატ მეფეებსაც — ზორსიმს და ევნონს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩრდ. კავკასიის რაიონებში არსებობდა კლასობრივი საზოგადოება.

ძვ. წ.-ის V საუკუნეში შექმნილმა ბოსფორის სამეფომ (დედაქალაქი პანტიკაპეია) გაავრცელა თავისი გავლენა ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ბერძნულ-მეოტურ პოლისებზე და სინდიკაზე, ასევე დაიმორჩილეს დანარჩენი მეოტური ტომები: ფატეები, ფსესები და სხვ.

ძვ. წ-ის III საუკუნეში, როდესაც ირანულენოვანი სარმატები შემოვიდნენ ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ სტეპებში, დაიწყეს ტერიტორიების გაფართოება როგორც ჩრდილო კავკასიის დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით. სარმატები ყველაფერს ანადგურებდნენ. იმორჩილებდნენ ადგილობრივ ტომებს ან მთებში ყრიდნენ. დიოდორე სიცილიელის ცნობით (ძვ. წ-ის I ს.) „სარმატებმა დამარცხებულების მოსპობით ქვეყნის უმეტესი ნაწილი უდაბნოდ აქციეს". მთებში შეხიზნული მოსახლეობა იძულებული იყო დამორჩილებოდა დამპყრობთ და ეცნო სარმატების ბატონობა დაპყრობილ ტერიტორიებზე.

ჩრდილო კავკასიის ტერიტორიების ხელში ჩაგდებით გამორჩეოდნენ ალანებიც. ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში მათ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ჩრდილო კასპიისპირეთსა და მის აღმოსავლეთ რაიონებში. ისინი აქ მოვიდნენ სარმატებთან ერთად. ალანებმა ისარგებლეს სარმატებს შორის ატეხილი ბრძოლით, ხელთ იგდეს აორსების მიერ დამარცხებული სირაკების ტერიტორია და

შემდეგ თვით აორსები შეავიწროვეს. ამიანე მარცელინის ცნობით, ალანებმა „თავდასხმით დაასუსტეს მეზობლები“ და მათი ტერიტორიები იგდეს ხელთ.

IV საუკუნის 70-იან წლებში ჩრდილო კავკასიაში შემოიჭრნენ ცენტრალური აზიიდან მოსული ჰუნები. მათ დაამარცხეს ალანები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიის უკიდეგანო ველებზე დონამდე და ქვედა ვოლგისპირეთამდე. უმეტესობა ირანულენოვანი ალანებისა აყარეს თავიანთი სამოსახლოებიდან და შეყარეს მთებში. მათი დასახლებები ჩნდება დიდი კავკასიონის მთიან რეგიონებში ყუბანის შესართავიდან მდ. სუნჯამდე. ალანებს ახალ გეოგრაფიულ არეალში დახვდათ ავტოქტონი მოსახლეობა, რომლებიც ეთნიკურადაც და ენობრივადაც ასიმილირდნენ მოსულებთან. დროთა განმავლობაში აღნიშნული პროცესების გამო მოხდა ირანულენოვანი ოსი ერის ჩამოყალიბება.

ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე, როგორც მთაში, ისე ბარში, ალანების მიერ დატოვებული მრავალი არქეოლოგიური ძეგლი ამტკიცებს იმას, რომ ამ ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ირანულენოვანი ელემენტის ღრმად შეღწევას; თუმცა ამას არ გამოუწვევია ადგილობრივების დეეთნიზაცია. ვაინახებმა შეინარჩუნეს თავიანთი კულტურა და ენა, ალანური ეთნიკური ელემენტი კი თანდათანობით გაითქვიფა და გაქრა მათში.

## ჩრდილო კავკასიელთა განსახლება და საცხოვრისები V-X საუკუნეებში

### ადიღეელები

V-X საუკუნეებში ადიღური მოსახლეობის ტერიტორიები შემცირებული იყო. მათი საზღვრების შემცირება უნდა გამოეწვია ჰუნთა შემოსევებს, რომლებიც IV საუკუნიდან გამყარდნენ ყუბანისპირეთში და ყირიმში. ასევე V საუკუნიდან ადიღური ტომების შევიწროება უნდა მომხდარიყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაც, სადაც მოხდა ჰუნებისაგან დევნილი ალანების კონცენტრირება. ამ ხანებში ხდება ალანების მიერ მდ. ყუბანის სათავეებისა და მის დასავლეთით მდებარე მიწების მიტაცება, რაც, პირველ რიგში, აფხაზეთიდან ჩრდილო კავკასიაში გამავალი გზების ხელში ჩაგდების სურვილითაც იყო ნაკარნახევი.

ადიღური მოსახლეობის გადაადგილება და მათი საზღვრების ცვალებადობა აისახა „ქართლის ცხოვრებაში“, სადაც XI ს. ისტორიკოსი ლეონტი მროველი წერს: „და განვიდეს (ვახტანგ გორგასალი) პაჭანიკეთს, რამეთუ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრე ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისა წიაღ და ჯიქეთი მუნვე იყო, შემდგომად ჟამთა მრავალთა, იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“. როგორც ვხედავთ, ჯიქებში იგულისხმებიან ადიღეური მოსახლეობა.

სხვადასხვა წყაროების ცნობით (ანონიმი, პროკოფი კესარიელი, კონსტანტინე პორფინოგენეტი, „ქართლის ცხოვრება“ და რუსული ქრონიკები), V-X სს. ადიღეელთა საზღვრები ასე გამოიყურებოდა: დასავლეთით ტამანის ნახევარკუნძული და შავი ზღვა, ჩრდილოეთით მდინარე ყუბანი, აღმოსავლეთით ოსეთი. აქ საზღვარი სავარაუდოა მდ. ლაბის სექტორზე, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან აფხაზეთი, რომელთა შორის საზღვარი ცვალებადი იყო. ხოლო აფხაზეთის სამთავროს ძლიერების ხანაში (X ს.) იგი ნიკოფსიასთან უნდა ყოფილიყო.

V-X საუკუნეებში ადიღური ტომები ძირითადად „ზიხების“ სახელით მოიხსენიებიან, რაც ქართულ წყაროებში „ჯიქების“ შესატყვისია, ხოლო არაბულ და რუსულ წყაროებში მათ „კოსოგებს“ ან „კასოგებს“ უწოდებენ, რაც ქართულად ქაშაგს ნიშნავს. ქაშაგები

პირველად ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“-ში არიან მოხსენიებულნი. სვანები დღესაც ადიღეელებს „ქაშაგებს“ ან „ქაშქებს“ უწოდებენ.

ადიღური ეთნოსების ერთი ნაწილი უძველესი დროიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბოსფორის სამეფოსთან და მათ მძლავრ კულტურულ და ეკონომიკურ ზემოქმედებას განიცდიდა. ამიტომაც ეს ტომები ადრევე დაწინაურდნენ როგორც სოციალურად, ასევე ეკონომიკურადაც.

რაც შეეხება მთიან ადიღეს, სადაც შეხიზნული იყო ადიღე ტომთა ერთი ნაწილი, იგი განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე იდგა.

აღსანიშნავია ის, რომ V-X საუკუნეებში ადიღე ჩაბმული იყო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში. ბიზანტია ასეთი ურთიერთობისათვის უხსნიდა გზას ადგილობრივ მოსახლეობას შავიზღვისპირეთის სავაჭრო ცენტრებისაკენ. ადიღეზე გადიოდა ერთერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც სათავეს ყუბანის დელტასთან იღებდა და ჩრდილოეთ კავკასიის გავლით შუა აზიისაკენ მიემართებოდა. მართალია, მომთაბარე თურქულენოვან ტომთა ხშირი შემოსევები ანელებდა ადიღეს საერთაშორისო კავშირებს, მაგრამ ვაჭრობა მაინც ვითარდებოდა.

ადრეფეოდალურ ხანაში ადიღურ ტომებს ანუ ზიხებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ ალანებთან, ბიზანტიასთან, საქართველოსთან, ბოლგარელებთან და სხვა თურქულენოვან ტომებთან.

უახლოესი მეზობლებიდან V-X სს. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ ალან-ოსები. ალანები, რომლებსაც ადრე უზარმაზარი ტერიტორიები ეკავათ, ჰუნების გამანადგურებელი შემოსევებით ძალიან შევიწროვდნენ. მათი ნამოსახლარები ბარში აღარ აღდგენილა. ალან-ოსთა ნაწილი ამ ძნელბედობის ხანაში შეეფარა ცენტრალური კავკასიონის ხეობებს და აქ ვრცელი ტერიტორია დაიკავა. ამ ხანაში დაიწყო ოსების მიერ ყუბანის სათავეებში და უფრო დასავლეთით დასახლება, რასაც თან ახლდა შეტაკებები ადიღეურ მოსახლეობასთან. შავიზღვისპირეთსა და აზოვის ზღვისპირეთში მრავლად ცხოვრობდნენ ალანური საზოგადოებები.

ჩრდილო კავკასიელებზე ძალზე მძიმედ იმოქმედა თურქულენოვანი ტომების შემოსევებმა. ჰუნთა ბატონობა, რომელიც VI სა-

უკუნემდე გაგრძელდა, მწვავედ განიცადეს ყუბანისპირეთის ადიღე ტომებმა.

ასევე დიდი როლი ითამაშეს ადიღეთა ცხოვრებაში ბოლგართა ტომებმა (VI ს.). მათ დიდი ტერიტორიები ეკავათ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე, მათ შორის აზოვისპირეთსა და ყუბანის ქვემო წელზე. ამ დროს ძლიერდებიან ხაზარები. მათი და სხვა თურქულენოვანი ტომების დაწოლით აზოვისპირელ ბოლგართა სამეფო დაიშალა და მათი ნაწილი ვოლგის შუა წელზე გადასახლდა.

ხაზართა ბატონობის პერიოდში ადიღური ტომები ხაზართა ხაკანატის შემადგენელ ნაწილად იქცნენ. IX საუკუნის ბოლოს ადიღეელები აღდგნენ ხაზართა ხაკანატის წინააღმდეგ. ამ დროს მოხდა ადიღეელთა სამ ნაწილად დაშლა. ადიღეელთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი დარჩა ჩრდილო, ცენტრალურ და აღმოსავლეთ მთისწინა კავკასიაში, უწინარეს ყოვლისა, ალანიის შემადგენლობაში. მეორე ნაწილი მიგრირებული იქნა დასავლეთით და ჩასახლდა ყუბანის დაბლობში, ყირიმში და აზოვის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მესამე ნაწილი კი წავიდა უნგრელებთან ერთად ცენტრალურ ევროპაში. X საუკუნეში ჩრდილო კავკასიაში მომთაბარე პაჭანიკები შემოიჭრნენ. ამავე საუკუნეში იწყება ადიღეელთა ურთიერთობა რუსებთან. 944 წელს თავად იგორის დროს რუსები შეიჭრნენ ადიღეელთა ტერიტორიებზე აზოვისპირეთში და შექმნეს სამთავრო ტმუტარაკანი. ეს იყო კავკასიის დასავლეთ პერიფერიაზე რუსული სამთავრო. პაჭანიკთა შემოსევებმა შეაჩერეს რუსეთის სწრაფვა სამხრეთისაკენ. ამიტომაც არასლავურ გარემოცვაში მოქცეული ტმუტარაკანის სამთავროს რუსული მოსახლეობა გაითქვიფა ადგილობრივ ადიღეურ მოსახლეობაში.

## ოსები

V-X საუკუნეებში ალან-ოსებს ეპყრათ ვრცელი ტერიტორია, რომელიც მოქცეული იყო მდ. თერგის ზემოწელსა და მდ. ყუბანის სათავე-შენაკადებს შორის. მთაში მათი განსახლების არეალს მოიცავდა დღევანდელი ყარაჩაის, ბალყარეთის და დიგორიის ტერიტორიები. მოგვიანებით ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიებიდან მათი გაქრობა-ასიმილირება მონღოლთა შემოსევების დროს თურქულენოვანმა ხალხმა მოახდინა. ამას ადასტურებს ის, რომ დღევან-

დელ ყარაჩაელებს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ალანებად, სვანები ბალყარელებს „სავიარად“ მოიხსენიებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ აქ ალანებამდე სავიარები მოსახლეობდნენ.

ოსეთის სამხრეთ საზღვარს კავკასიონის ქედის ბუნებრივი ბარიერი და მის სამხრეთით მდებარე საქართველო წარმოადგენდა, ხოლო ჩრდილოეთისას თურქულენოვანი ტომებით დასახლებული ვრცელი ტრამალები, რომლებიც უშუალოდ ეკვროდა კავკასიონის ქედს. ალანები ჯერ კიდევ ძვ. წ. II ს-ის ჩინურ ისტორიულ წყაროებშია მოხსენიებული, საიდანაც ვიგებთ, რომ ჩრდილო-ირანულენოვანი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი საერთოდ არ იყო კავკასიის რეგიონი, რომ ისინი კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. კატალონიელი მეცნიერის აგუსტი ალემანის დასკვნით, ალანები (ოსები) ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე კი არა, მის ახლოსაც კი არ ცხოვრობდნენ. იმ პერიოდში მათი მომთაბარეობის არეალი მდ. ვოლგიდან აზოვის ზღვამდე სივრცეს მოიცავდა — აღნიშნავს ალემანი. IV საუკუნის რომაელი ავტორი ამიანე მარცელინი ალანებს სკვითთა სტეპების მაცხოვრებლებად მიიჩნევდა, რომლებმაც არ იცოდნენ მიწათმოქმედება.

აღნიშნულ ეპოქაში შესაძლებელია ალან ტომთა კონსოლიდაციისა და გაერთიანების ფონზე ადრეფეოდალური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჩამოყალიბებულიყო ოსეთში.

VII საუკუნის დასაწყისიდან, ხაზარების გაძლიერების შემდეგ, ოსებს წაართვეს დიდი ტერიტორიები, რამაც აღმოსავლეთით მცხოვრები ოსების სრული განადგურება და ასიმილირება გამოიწვია. VII საუკუნის შუა ხანებიდან ამას არაბთა შემოსევები დაემატა კავკასიაში. არაბებმა დარიალი ჩაიგდეს ხელში, რითაც დიდი ეკონომიკური და პოლიტიური დარტყმა მიაყენეს ჩრდილო კავკასიის ხალხებს.

VII-VIII საუკუნეებში დარიალის მთავარი უღელტეხილის გასწვრივ მცხოვრები ოსები განიცდიდნენ არაბებისა და ხაზარებისაგან დიდ დარტყმებს, რაც მათ არა მარტო მოსახლეობას, არამედ ტერიტორიასაც აკარგვინებდა.

IX საუკუნიდან არაბთა ხალიფატის და ხაზართა ხაგანატის დასუსტებამ ხელი შეუწყო ოსეთის პოლიტიკურ აღმავლობას. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ბიზანტიისა და აფხაზთა სამეფოს ცდები, ურთიერთობა დაამყარონ ოსეთთან.

X საუკუნის შუა ხანებიდან, როდესაც ჰაჭანიკთა ურდოებისა და რუსეთის მთავარ სვიატოსლავის ლაშქრობით ხაზართა სამეფო დაეცა, ჩრდილო კავკასიაში ოსეთი იქცა ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად. იგი ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა.

ოსებს V-X საუკუნეებში ემეზობლებიან ვაინახი ხალხი (ჩეჩნები, ინგუშები). ისინი კავკასიის უძველესი აბორიგენებია. აღნიშნულ პერიოდში ჩეჩნეთ-ინგუშეთის ვაკეზე ალანი მცხოვრებლები შეადგენდნენ უმრავლესობას. აქ მდინარეების — თერგისა და სუნჯას ნაპირებთან აღმოჩენილია ალანთა მსხვილი დასახლებები. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია გამაგრებული ქალაქური ტიპის დასახლება ალხან-ყალა, დაშორებული გროზნოდან 16 კილომეტრით. აქ ნაპოვნი კერამიკა V-XII საუკუნეებისაა და მიეკუთვნება ალანურს. შესაძლებელია აქ იყო ადგილობრივი ალანი ტომების პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი.

ალხან-კალისა და ზოგიერთი სხვა ვაკის დასახლებებზე არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი იქნა მრავალრიცხოვანი კატაკომბური სამარხები, რაც ალანების დამახასიათებელ სამარხებს წარმოადგენდა. ეს უტყუარი საბუთია ვაინახთა ტერიტორიაზე ალანების საცხოვრისების არსებობისა.

ვაინახებსა და ოსებს შორის მტრობაც კი ჩამოვარდნილა. იმდენად ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ ვაინახებს ოსებთან, რომ მათ თანხმობა მისცეს ვახტანგ გორგასალს, დახმარებოდნენ ქართველთა მეფეს ცოცხალი ძალით 458 წელს ალანების წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში.

## ვაინახები

როგორც ვხედავთ, ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისათვის ჩეჩენ-ინგუშების ტერიტორიები საგრძნობლად იყო შემცირებული. თუ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობით „კავკასოსის“, ჩეჩენ-ინგუშების ლეგენდარული წინაპრის, სამოსახლო თითქმის მთელ ცენტრალურ ჩრდილო კავკასიას მოიცავდა, V საუკუნისათვის ვითარება მთლიანად იყო შეცვლილი. დარიალი, მდინარე თერგის ზემო წელი და მთელი ცენტრალური კავკასიონი ეკავათ ოსებს. შესაძლებელია ვივარადუოთ, რომ ალანებმა მოახდინეს „კავკასოსის“ მე-

მკვიდრეების ასიმილირება, რომლებიც შეიძლება ვაინახური მოდგმისანი იყვნენ.

ადრეფეოდალური ხანისათვის ასევე შემცირებული უნდა ყოფილიყო ჩეჩენ-ინგუშების საზღვრები ჩრდილოეთ ველების მხრიდან და აღმოსავლეთიდანაც, სადაც ხაზართა სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ თითქმის მთელი დაღესტნის ბარი მათ ხელში აღმოჩნდა. ვაინახური მოდგმის ტომების კუთვნილი ტერიტორია V-X საუკუნეებში მდ. არღუნისა და მისი შენაკადების აუზით უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული. აღნიშნული საზღვრები დიდად აღარ შეცვლილა.

ადრე შუასაუკუნეების წერილობითი წყარო, რომელშიც მოხსენიებულია ვაინახთა ტომები არის VII საუკუნის სომხური გეოგრაფია. მასში ჩამოთვლილი კავკასიელი ტომებიდან ნახჩმატიანები, კუსტები და დურძუკები — ვაინახებს მიეკუთვნებიან. ლინგვისტური გამოკვლევებით ნახჩმატიანები ნიშნავს იმათ, რომლებიც საუბრობენ ჩეჩნურ ენაზე. „კუსტები" არიან ქისტები, რომელსაც დღესაც უწოდებენ ქართველები ჩეჩნებს და ინგუშებს. რაც შეეხება „დურცკებს" ეს არის ქართული სახელწოდებიდან „დურძუკიდან" წარმომდგარი სიტყვა, რომელიც მოყვანილია გვიანდელ ქართულ წყაროებში. სავსებით შესაძლებელია „სომხური გეოგრაფიის" ავტორს კავკასიელი მთიელების აღწერისას ესარგებლა ქართველებისაგან მოწოდებული ინფორმაციებით. ჩეჩენ-ინგუშებს ქართველები ღლიღვითაც მოიხსენიებენ.

ნახჩმატიანები მოსახლეობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩეჩნეთში (ისტორიული იჩკერია, ანუ დღევანდელი ნოჟაია-იურტოვსკი და ვედენოს რაიონები), ამ ტერიტორიას ჩეჩნები უწოდებდნენ ნოხჩი-მოხკნოხჩის (ჩეჩენთა) მიწა. სახელწოდება ნოხჩი გავრცელდა იმ ტომებზეც, რომლებიც საუბრობდნენ ჩეჩნურ ენაზე.

VII-IX საუკუნეებში მთავარ პოლიტიკურ ძალად ჩრდილო კავკასიაში გვევლინება ხაზართა ხაკანატი. ხაზართა პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, მთელს ჩრდილოკავკასიელებთან ერთად, ვაინახი ტომებიც. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ადრეფეოდალური ხანის პირველი ნახევრისათვის დურძუკეთის დიდი ნაწილი დახარკული ჰყოლიათ ხაზარებს.

ხაზარებთან ერთად ჩრდილოკავკასიელებს მოევლინენ არაბებიც, რომელთა ლაშქრობები მთებში გადასასვლელებისა და ვაინახთა სტრატეგიული პუნქტების დაკავებას ისახავდა მიზნად.

## დაღესტნელები

ადრეფეოდალურ ხანაში დაღესტანი მდებარეობდა აღმოსავლეთ კავკასიაში. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრებოდა ხაზარეთი, დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ჩეჩენ-ინგუში ტომები, სამხრეთიდან ალბანეთის ბარი და ნაწილობრივ კახეთი (ჰერეთი), ხოლო აღმოსავლეთიდან კასპიის ზღვა. ამ პერიოდში დაღესტანში ცნობილი იყვნენ შემდეგი ტომები და პოლიტიკური ერთეულები: ჩოგი ანუ ჩორი, ლეგები ანუ ლეკები, ზირიხგერანები ანუ უხბურები, ხაიდაყები, დიდოები, სერირი, სამსამისა და კამკამის სამთავრო, დარგიუელები, ხუნძები (ავარები), რუთულები და სხვა.

დაღესტნის ტომთა დიდი ნაწილი ამ პერიოდში მთაში იყო განლაგებული.

დაღესტნის უდიდესი ნაწილი პოლიტიკურად ალბანეთში შედიოდა და, საფიქრებელია, ალბანეთის ბარის დიდი ნაწილი იმავე მოდგმის ტომებით იყო დასახლებული. 461 წელს ალბანეთის მეფე ვაჩე II-ის დროს სპარსელებმა დაიპყრეს ალბანეთი, გააუქმეს სამეფო ხელისუფლება, დაეპატრონენ დაღესტნის უდიდეს ნაწილს. სასანიდური სპარსეთი ბიზანტიასთან ჭიდილში დიდი ხანია ცდილობდა კავკასიაში ფეხის მოკიდებას და განსაკუთრებით კი საუღელტეხილო გზების ხელში ჩაგდებას, რაც უკვე უშუალოდ დაკავშირებული იყო დაღესტანთან. VI საუკუნეში სპარსეთს ბიზანტიის გარდა კავკასიაში გაუჩნდა ახალი მეტოქე — ხაზართა ხაკანატი, რომელიც გადაჭიმული იყო უზარმაზარ ტერიტორიაზე დერბენდიდან მოყოლებული ვოლგის წელამდე და მოიცავდა ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ველების დიდ ნაწილს. ხაზარებმა ჯერ ჩრდილოეთ დაღესტანი შეიერთეს, ხოლო დარუბანდის ხელში ჩაგდებით შემოვიდნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაშიც.

VII საუკუნეში არაბებმა დაამარცხეს სასანიდური ირანი და გამაგრდნენ დასავლეთ კასპიისპირეთში. დერბენდის რაიონში გადიოდა ხალიფატის ჩრდილოეთი საზღვარი. სწორედ აქ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ხაზარები და არაბები. 658-686 წლებში არაბებმა დერბენდის აღებაც მოახერხეს, ოღონდ დროებით. დაღესტნის მოსახლეობის უმეტესობას ხაზარების მხარე ეკავა. 725-726 წლებში არაბებმა ისევ ილაშქრეს დერბენდში და ამჯერად 24 000 არაბი ჩასახლდა და ქალაქი გაამაგრა.

732-739 წლებში ექვსჯერ ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში არაბმა სარდალმა მურვან იბნ-მუჰამედმა. ხაზარების დამარცხების შემდეგ კავკასიის მთიელ ტომთა დამორჩილებასაც მიჰყო ხელი. 739 წელს არაბებმა დახარკეს დაღესტნის ტერიტორიაზე არსებული ადრეული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები: სერირი, თუმანი, ზირიჰგარანი, ხაიდაყი, თაბასარანი, ლაკზი და ფილანი.

მთიანი დაღესტანი პოლიტიკურად და ეკონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან. ქართლის სამეფო ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ალბანეთს, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა დაღესტნის მნიშვნელოვანი ნაწილი. ქართლის სამეფოს აქტიური პოლიტიკური ზემოქმედება IV-VII სს. თარიღდება. სასანურ სპარსეთთან ბრძოლებში დაღესტნური ტომები ხშირად ჩანან ქართველთა ლაშქარში.

X საუკუნიდან არაბთა სახალიფო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა. აღმოსავლეთ კავკასიაში, კერძოდ შირვანსა და დერბენტში, არაბული წარმოშობის დინასტიების მმართველობა დამყარდა. რაც შეეხება დაღესტნის სხვა რაიონებს, ისინი IX-X საუკუნეებში უკვე სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ.

## ადიღეელები

აღნიშნულ პერიოდში ადიღეელები დაქსაქსულად ცხოვრობდნენ, არ ყავდათ ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც გააერთიანებდა მათ ტომებს. გ. ინტერიანო აღნიშნავდა, რომ წარჩინებულთა შორის არიან ისეთები, რომლებსაც ჰყავთ ვასალები, ცხოვრობენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და არ სცნობენ არავის ხელისუფლებას. იყო ცდები ცალკეული თავადებისა გაერთიანებულიყვნენ, მაგრამ სხვა თავადების და მფლობელების წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ადიღეელებს XI ს-ში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ტმუტარაკანის რუსულ სამთავროსთან. იგი ყუბანის შესართავთან, ტამანის ნახევარკუნძულზე მდებარეობდა და რუსეთისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სანავსადგურო პუნქტიც იყო, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში.

მონღოლი დამყრობელი სამხედრო ძალად იყენებდა ადგილობრივებს მოწინააღმდეგის წინააღმდეგ.

რუსული მატიანის ცნობით, 1022 წ. მთავარმა მსტისლავმა ილაშქრა კასოგებზე (ე. ი. ადიღეელებზე). ბრძოლის ბედი გადაწყვეტილა მსტისლავისა და კასოგთა თავადის რედედის ორთაბრძოლით, რომელშიც მსტისლავმა გაიმარჯვა. გამარჯვებულმა კასოგებს ხარკი დააკისრა. ამ ხარკს XI ს-ში ადიღეელები სისტემატურად უხდიდნენ რუს მთავრებს.

ადიღეელები ოსებთან კავშირში ებრძოდნენ რუს მთავართა ხელისუფლებას.

XI ს. ბოლოდან რუსები კარგავენ ტმუტარაკანს. ადგილზე მყოფი რუსული მოსახლეობა კარგავს თავის ეთნიკურ სახეს და ასიმილირდება ადგილობრივ გარემოში. XII საუკუნეში ტამატარხა (ტმუტარაკანი) უკვე ბიზანტიის ხელშია.

XIII ს. პირველ ნახევარში ჩრდილო კავკასიის ხალხებს თავს დაატყდა მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევები. 1235 წელს კავკასიაში მოეწყო ბათო ყაენის ლაშქრობა. ბათო მოეშველა ჩინგიზის მიერ ადრევე გამოგზავნილ სუბედე ბაღათურს, რომელსაც დიდი

წინააღმდეგობა შეხვდა ასუტების (ოსების), სერკესუტების (ჩერქეზები-ადიღეელები) და სხვა ხალხებისაგან.

1237-38 წწ. მონღოლებმა ილაშქრეს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ადიღეელთა წინააღმდეგ.

სპარსელი ავტორები ჯუზჯანი და რაშიდ ად-დინი (XIII ს.) აღნიშნავენ, რომ მონღოლებმა დაიმორჩილეს ყივჩაღები, რუსები, ჩერქეზები და ოსები.

მონღოლთა შემოსევებს თან სდევდა მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა, ძარცვა, ნგრევა. ისინი დაპყრობილ ხალხებს აღწერდნენ და სასტიკად ბეგრავდნენ.

ალ-ომარი აღნიშნავს, რომ ოქროს ურდოს ხანს ჰყავდა რუსთა, ჩერქეზთა და ოსთაგან შემდგარი რაზმი. რუსული მატიანის ცნობით, ისინი 1380 წ. იბრძოდნენ მამაის ლაშქარში. შერეფედ-დინ ალი იეზდის (XV ს. ავტორი) ცნობით, თემურ ლენგის წინააღმდეგ გამოყვანილ თოხთამიშის ლაშქარში სხვა ხალხებთან ერთად ჩერქეზთა ლაშქარიც იყო.

მონღოლ-თათართა მეორე შემოსევა ადიღეელებზე დაკავშირებულია თემურ ლენგის სახელთან. 1395 წ. მან მდ. თერგზე სასტიკად დაამარცხა ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში, აიღო და გადაწვა სარაიბერკე, კაფა, აზოვი და ასტრახანი და დაიძრა ყუბანისაკენ. შერეფ ად-დინ იეზდის ცნობით, ჩერქეზებმა გადაწვეს აზოვსა და ყუბანს შორის არსებული ველები, რის შედეგადაც თემურის ლაშქრის დიდძალი პირუტყვი უჭმელობით დაიხოცა.

თემური იალბუზამდე მივიდა და ყველაფერი მიწასთან გაასწორა, მოსახლეობა გაჟლიტა, ნაგებობანი დაანგრია, დაიმორჩილა.

მონღოლ-თათართა შემოსევები ჩრდილო კავკასიაში ყველაზე მძიმედ ალანებს დაატყდა. ისინი გამოდევნილ იქნენ ველის რაიონებიდან. ეს რაიონები მონღოლებმა თავიანთი ჯოგების საძოვრებად აქციეს.

მაგრამ მონღოლები აქ დიდხანს არ დარჩენილან. ამასთან, ადიღეური ტომები მონღოლებისაგან ისე არ დაზარალებულან, როგორც ალანები. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ოქროს ურდოს მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო დარიალისა და დარუბანდის გადასასვლელებისაკენ ილხანებთან ურთიერთობის გამწვავების გამო.

ადიღე ფეოდალების ნაწილმა ისარგებლა ალანთა დასუსტებით და მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის საუკეთესო

მიწები დაიკავა მდ. ლაბასა და მდ. თერგს შორის. ეს მოხდა XII-XIV სს.

ადიღე ტომების აღმოსავლეთით წამოწევა XI ს. დაწყებულად მიაჩნიათ. მონღოლთა მიერ ოსების განადგურებამ გამოიწვია ამ პროცესის გაღრმავება და დაჩქარება, რასაც შედეგად მოჰყვა ადიღეელთა დამკვიდრება ცენტრალური კავკასიის მთისძირობაზე. ადიღეელთა ამ ნაწილს, რომელიც დაშორდა თავის ძირითად სამოსახლოს, ყაბარდოელები ეწოდათ, ქვეყანას კი — ყაბარდო.

XIV საუკუნისათვის ყაბარდოელებს ეკავათ ტერიტორია პიატიგორიედან თერგის მარცხენა სანაპირომდე. XV საუკუნეში ისინი თერგის მარჯვენა ნაპირზეც გადადიან. ამ ნაწილს შემდეგში მცირე ყაბარდო ეწოდა. ყაბარდოელები ცალკე ეთნიკურ ერთეულად ჩამოყალიბდნენ.

ადიღეელთა ისტორიაში გარკვეული როლი შეასრულა შავი ზღვის სანაპიროზე გენუელთა კოლონიზაციამ, რომელიც დაიწყო XIII ს. მეორე ნახევრიდან და გაგრძელდა XV ს-მდე. ისინი ყაჩაღურ, უთანასწორო ვაჭრობას ეწეოდნენ ადგილობრივ ხალხთან. ადიღეელი სოციალური ზედაფენები მათთან საერთო ენას ნახულობდნენ, უბრალო ხალხი კი მტრულად იყო გამსჭვალული გენუელთა მიმართ და ებრძოდა მათ ყველა საშუალებით. ადიღეელი ფეოდალები მათ მოკავშირედ გამოდიოდნენ.

1453 წ. თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს. 1460 წ. დაეცა ტრაპიზონის იმპერია. თურქების მიერ 1475 წ. კაფის (გენუის მთავარი დასაყრდენი პუნქტი შავ ზღვაზე) აღების შემდეგ შავ ზღვაზე თურქების ბატონობა დამყარდა. გენუელთა კოლონიები თანდათან დაქვეითდნენ და გაქრნენ.

ადიღეელების საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში ამიერიდან თურქეთი და მისი ვასალი ყირიმი იკავებენ ძირითად ადგილს. ადიღე ხალხი იწყებს ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლას მათი ბატონობის წინააღმდეგ.

ადიღეელებს განსაზღვრული ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან. ძველი ქართული წყაროები მათ ჯიქების სახელწოდებით იცნობდნენ. ბუნებრივია, მათთან ურთიერთობა აფხაზეთის მეშვეობით ხორციელდებოდა, რომლის ტერიტორიაზეც გადადიოდა საუღელტეხილო გზები, რომლებიც ქლუხორის, მარუხისა და სხვა უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი უღელტეხილების გავლით მდ. ყუბა-

ნის აუზსა და შავი ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრებ ხალხებს დასავლეთ საქართველოს რაიონებს უკავშირებდა.

XI ს. ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი ადიღეელებს იცნობს ჯიქების სახელით, რომლებიც თურქთაგან დევნილნი „დაემკჳდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“.

ქართული ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში ადიღე ტომების ნაწილი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ჯიქები, კერძოდ, მოიხსენებიან ჯალალედინის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს ლაშქრის შემადგენლობაში.

XIII ს. შუა ხანებიდან მონღოლთა ბატონობასთან დაკავშირებით საქართველოს ურთიერთობა ადიღეელებთან დასუსტდა. ადიღეელთა ნაწილი ჯიქების სახელით XV ს. მეორე ნახევარში აფხაზეთის გამგებლობაში იმყოფებოდა. შემდგომში ეთნიკური ტერმინი ჯიქი დავიწროვდა და გავრცელდა საძებზე, აფხაზი ხალხის ერთ-ერთ შტოზე.

ადიღე-საქართველოს ურთიერთობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ვახუშტი ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერდა, რომ ჯიქეთი არის მსგავსი „ყოვლითურთ აფხაზეთისა: მოსავლითა და ცხოველით, წესით და ქცევითაცა... გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი და იარაღნი, და საჭურველნი ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერნიცა ხმარობენ“.

## ოსები

მონღოლთა შემოსევამდე ოსებს სახელმწიფო ჰქონდათ, რომელსაც სამეფოს უწოდებდნენ. ქართული ისტორიული წყაროების მონაცემებით, ოსეთში XI ს-დან ცენტრალიზებული ხელისუფლება ჩანს. სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე. მას ჰყავს „თავადები“ — დიდებულები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, 1118 წელს ოსეთში გადასულ დავითს „მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი“. რამდენიმე მეფე იგულისხმება ოსეთში თამარის დროსაც. თამარის ხელის სათხოვნელად „მოსრულ იყვნეს ოვსთა მეფეთა შვილნი“. ერთ-ერთი ასეთი მეფის ძე იყო დავით სოსლანი.

ოსეთის სახელმწიფოს იარაღით ხელში უხდებოდა თავის ტერიტორიის დაცვა. მოვარდნილ მომთაბარეთაგან ცნობილი იყვნენ

ყივჩაღები. XII ს. დასაწყისიდან ვლადიმერ მონომახის მიერ შევიწროებული ყივჩაღები ჩრდილო კავკასიაში მოვიდნენ და ოსები შეავიწროვეს. ამ ნიადაგზე მათ შორის მტრობა დაიწყო. დავით აღმაშენებელმა ყივჩაღების საქართველოში გადმოსახლების საკითხთან დაკავშირებით შეარიგა ოსები და ყივჩაღები, რის შემდეგაც ოსებმა ისინი დარიალის გზით საქართველოში გამოატარეს.

XI საუკუნიდან ფართოვდება ალანთა საერთაშორისო კავშირები.

ოსთა სამეფოს ურთიერთობა ჰქონდა ძველი რუსეთის სამთავროებთან. XI-XII სს. აღსანიშნავია ტმუტარაკანის რუსულ სამთავროსთან ურთიერთობა.

განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ოსებს საქართველოსთან ჰქონდათ. საქართველო თავისი ჩრდილოეთის საზღვრის უშიშროების უზრუნველყოფისათვის და აგრეთვე მტრების შემოსევების მოგერიებისათვის ოსთა სამხედრო ძალის გამოყენების მიზნით ცდილობდა ოსებთან კეთილმეზობლური და სამოკავშირო ურთიერთობა დაემყარებინა. ამ მიზანს ემსახურებოდა დინასტიური ქორწინებანი, რომელთაც გაერთიანებული საქართველოს მეფემ გიორგი I (1014-1027) დაუდო სათავე, როცა ოსთა მეფის ასული შეირთო ცოლად. მისი შვილი პირველი ცოლისაგან ბაგრატ IV (1027-1074) დაქორწინებული იყო ოსთა მეფის ურდურეს ასულზე, დორღოლელის და ბორენაზე.

ბაგრატ IV-მ ოსებთან ამ დაახლოებით გაიმაგრა ზურგი ჩრდილოეთიდან და მტრებთან ბრძოლაში საიმედო მოკავშირე გაიჩინა. ამირა ფადლონის წინააღმდეგ მას ცოლისძმა დორღოლელი 40 ათასიანი ჯარით მოეშველა და ბრწყინვალე გამარჯვება მოაპოვებინა.

დავით აღმაშენებელმა ყივჩაღების გადმოყვანის ორგანიზაციასთან დაკავშირებით ოსებთან უშუალო ურთიერთობა გააბა, ხელში აიღო დარიალის გზის სიმაგრეთა კონტროლი და მშვიდობიანად გამოიყვანა ისინი. დავით აღმაშენებელი იმდენად დიდ მნიშვენლობას აძლევდა ოსებთან ურთიერთობას, რომ თავისი ერთ-ერთი ასული ოსთა მეფეს მიათხოვა. დავითის დროიდან ოსეთის სამეფო საქართველოს ყმადნაფიცად ითვლებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ოსებს ევალებოდათ სამხედრო ძალით გამოსულიყვნენ საქართველოს მეფეების მხარდასაჭერად.

ოსებთან ურთიერთობის განმტკიცების პოლიტიკას ატარებდა გიორგი III (1156-1184), რომელსაც მამამისმა დემეტრემ თავის სიცოცხლეშივე მოჰგვარა ცოლად ოსთა მეფის ხუდანის ასული ბურდუხანი.

კიდევ უფრო მჭიდრო გახდა ოსეთის ურთიერთობა საქართველოსთან თამარ მეფის დროს, რომელიც 1189 წ. დაქორწინდა ოს მეფისწულ დავით სოსლანზე.

დავით სოსლანი თამარის მამიდა რუსუდანის კარზე იზრდებოდა. მისმა ასვლამ საქართველოს სამეფო ტახტზე ოსთა მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში კიდევ უფრო გაზარდა. ოსთა სამხედრო რაზმები, დავითს რომ ახლდნენ, თამარის ეპოქის წარმატებული ბრძოლების აქტიური მონაწილენი იყვნენ.

ოსი ხალხის მშვიდობიან ურთიერთობას საქართველოსთან და სხვა მეზობელ ხალხებთან ბოლო მოუღო მონღოლ-თათართა გამანადგურებელმა შემოსევებმა. ამიერკავკასიიდან დერბენტის გასავლით ჩრდილო კავკასიაში გადასულმა მონღოლმა სარდლებმა ჯებემ და სუბუდაიმ 1222 წელს მოახერხეს ოს-ყივჩაღთა გათიშვა და მათი ცალ-ცალკე განადგურება.

მონღოლებმა 1239 წ. ოსეთი დაიპყრეს და ვოლგაზე დაბრუნდნენ. ჟამთააღმწერლის ცნობით, ბათო ყაენს „ჰქონდა ოვსეთი და დიდი ყივჩაღეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ვიდრე ბნელეთამდის და ზღვამდე დარუბანდისა“.

ოსებმა დამპრყობლებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. პლანო კარპინი (1246 წ.) აღნიშნავდა, რომ ალანთა მხოლოდ ნაწილი ემორჩილება მონღოლებს. მეორე ევროპელი მოგზაური ვ. რუბრუკი (1254) ხაზს უსვამს ალანთა ბრძოლას მონღოლთა წინააღმდეგ. მისი ცნობით, მთების ხეობაში შესული ოსები მოულოდნელად ესხმოდნენ ველზე მონღოლებს. XIII-XIV სს. მიჯნაზე ალანთა ტერიტორიაზე მუდმივად იდგა მოღნოლთა 10 ათასიანი ლაშქარი.

1254 წელს მონღოლებმა აღწერეს დაპყრობილი ხალხები, მათ შორის ოსები და მძიმე გადასახადებით დაბეგრეს. სხვა ვალდებულებებთან ერთად ისინი იძულებული იყვნენ მონღოლთა მძიმე და განუწყვეტელ ლაშქრობებში მიეღოთ მონაწილეობა. ალ-ომარის ცნობით, ოქროს ურდოს ხანს ჰყავდა ჩერქეზთა, რუსთა და ოსთაგან შემდგარი ჯარი. 1380 წელს მამაის ლაშქარში კულიკოვოს ველზე იხსენიებიან ოსები. 1291 წელს თემურის წინააღმდეგ მებრძოლ

თოხთამიშის ლაშქარში რუსები, ჩერქეზები, ალანები, ყივჩაღები და სხვები შედიოდნენ.

მონღოლთა მიერ დაპყრობილი ხალხები მაინც განაგრძობდნენ უთანასწორო ბრძოლას. ჯუვეინი და რაშიდ ად-დინი აღნიშნავენ, რომ მონღოლთა დასავლეთით ლაშქრობისას (XIII ს. 40-იანი წლები) მონღოლთა ზურგში აჯანყება მოხდა, რომლის მთავარი მონაწილენი იყვნენ ბოლგარები და ყივჩაღები. მასში მონაწილეობა მიიღო ასმა ალანმა. მონღოლებს დიდი დრო დასჭირდათ მის ჩასაქრობად.

მძიმედ დაატყდა თავს ოსებს ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ამტყდარი ბრძოლა XIII ს. მეორე ნახევარში. ბრძოლის ასპარეზად იქცა ოსეთის ტერიტორიაც. ოსებს ამ ბრძოლაში ილხანთათვის დაუჭერიათ მხარი. 1263 წლის ბრძოლის შემდგომ ბერქა ყაენი (ოქროს ურდო) იწყებს ოსთა დევნას. ისინი იძულებული არიან საქართველოში გადმოვიდნენ და აქ ეძიონ თავშესაფარი.

მონღოლები ოსთა წინააღმდეგობის გასატეხად იყენებენ სხვა ხალხებსაც. 1277 წ. ყაენ მენგუთემირის ბრძანებით და მასთან ერთად, რუსმა მთავრებმა ილაშქრეს ოსეთზე. ალყა შემოარტყეს და აიღეს მათი სახელოვანი ქალაქი დედიაკოვი, იშოვეს დიდი ნადავლი, მოსახლეობა გაჟლიტეს, ქალაქი კი ცეცხლს მისცეს.

მონღოლთა შემოსევების შედეგად ოსებმა დაკარგეს იმიერკავკასიის ველები და სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. მრავალი უთანასწორო ბრძოლაში ამოწყდა. ოსთა ის ნაწილი, რომელიც კავკასიის მთებში შემოვიდა, იძულებული გახდა საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად ქართლის ბარში შემოჭრილიყო. XIII ს. 60-იანი წლებიდან იწყება ქართლში ოსთა მასობრივი დამკვიდრება. ეს პროცესი ინტენსიური გახდა XIII ს. დამლევისათვის. შიდა ქართლში ოსთა ფართოდ განსახლებას საზღვარი დაუდო გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346). მან ოსებს ქართლის ბარის რაიონებიდან მთიან რაიონებში დაახევინა. შიდა ქართლის ჩრდილო რაიონებში შეიქმნა კომპაქტური ოსური მოსახლეობა. ოსთა უფრო მცირე ჯგუფების მოსახლეობას ქედს გადმოღმა მანამდეც ჰქონდა ადგილი.

თემურ ლენგმა უკანასკნელი მახვილი ჩასცა ჩრდილო კავკასიაში გადარჩენილ ოსებს. 1395 და 1400 წწ. თოხთამიშთან მისი ბრძოლა ჩრდილო კავკასიაში გაიშალა. თოხთამიშის დამარცხების შემდეგ მან ადგილობრივი ხალხებიც — ოსები, ჩერქეზები და სხვები სასტიკად გაანადგურა და გაძარცვა.

ჯერ მონღოლთა, შემდეგ კი თემურის ლაშქრობებს ოსთათვის მძიმე შედეგები მოჰქონდა. ოსთა სახელმწიფო დაეცა, მოსახლეობა გაწყდა ან გადასახლდა ძნელად მისადგომ მთებში, დაინგრა მატერიალური კულტურის ძეგლები.

როგორც ვხედავთ, XIII-XIV საუკუნეებში ხდება ალან-ოსების ბინადრობის ადგილის შეცვლა. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესული ალან-ოსები ადგილობრივ კავკასიურ ტომებს შეერივნენ. ესენი იყვნენ, ქართული წყაროებით, „კავკასოსნი“ — ინგუშთა წინაპარი ტომები. ოსების საცხოვრებლები ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ყაბარდოელებმა დაიკავეს და მთიდან ბარში გამოსასვლელ ადგილებში შექმნეს სიმაგრეები, რათა მთებში შეყრილი ოსები ბარში საცხოვრებლად აღარ მოსულიყვნენ.

XIII-XIV სს-მდე ოსები ჩრდილოეთ კავკასიის მთებში საერთოდ არ ცხოვრობდნენ, თუ არ ჩავთვლით მდ. ყუბანის სათავეს. მხოლოდ ამ პერიოდიდან გვევლინებიან ოსები ქართველთა უშუალო მეზობლებად. ველის მომთაბარე ოსები მთიელებად იქცნენ. იმდენად მასობრივი იყო ოსების ბარიდან მთებში შესვლა, რომ მათ მიგრაციას მთაში ტოპონიმების გადატანაც მოჰყვა.

XV ს. იტალიელი მოგზაური იოსებ ბარბარო ალანთა შესახებ წერდა, რომ „ეს ხალხი ამოწყვეტილი და განდევნილი იქნა თავის საცხოვრებლიდან“. შემდეგ ველის რაიონები მნიშვნელოვნად დაიცალა. მათზე დასავლეთიდან წინწამოწეული ყაბარდოელები სახლდებიან, ხოლო აქ დახვედრილი მცირერიცხოვანი მოსახლეობა ასიმილაციას განიცდის. მთიან ზოლში იალბუზიდან დიგორიამდე ალან-ოსებს სდევნიან მონღოლთა შემოსევების შედეგად აქ შემოსული თურქული ტომები, რომელთა საფუძველზე ყალიბდებიან ყარაჩაელი და ბალყარელი ეთნოსები.

ასე რომ, XV ს. ბოლოსათვის ოსთა საცხოვრებელი ჩრდილო კავკასიაში ოთხი ხეობითღა — თაგაურის, ქურთათის, ალაგირის და დიგორიით განისაზღვრებოდა.

## ვაინახები

XI-XV საუკუნეებში ვაინახებს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავათ. ვაინახები დაკავშირებული იყვნენ დარიალის გზასთან, მათ ტერიტორიაზე გადადიოდა შავი და კასპიის ზღვების

დამაკავშირებელი სავაჭრო მაგისტრალიც. ალანთა ქალაქები ვაინახებისათვისაც წარმოადგენდნენ სავაჭრო ცენტრებს.

ვაინახი ხალხის ისტორიის XI-XIII სს. ხანა ცენტრალურ ჩრდილო კავკასიაში ალან-ოსთა სახელმწიფოს არსებობის ხანას ემთხვევა. ალანთა სახელმწიფო აღმოსავლეთით მდ. არღუნამდე აღწევდა და ვაინახური ტომების ნაწილსაც მოიცავდა.

ხაზართა სახელმწიფოს დაცემამ გზა გაუხსნა თურქულენოვან მომთაბარეებს დასავლეთისაკენ, კერძოდ, XI საუკუნეში აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილო კავკასიის სტეპებში გამოჩნდნენ მრავალრიცხოვანი ყივჩაღთა ტომები. მათ შეავიწროვეს ალანები, რომლებიც ბატონობდნენ ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ველებზე. ყივჩაღებმა ჩაიგდეს მათი მიწების ნაწილი. როგორც ცნობილია, XII საუკუნის ბოლოს ყივჩაღთა ერთ-ერთი ხანი გამაგრდა მდ. სუნჯაზე.

ვაინახების ის ნაწილი, რომელიც მთიანეთის რაიონებში ცხოვრობდა, XI ს-დან დაწყებული საქართველოს პოლიტიკურ გავლენაში ექცევა დავით აღმაშენებლის დროიდან. განსაკუთრებით თამარ მეფის დროს საქართველოს გავლენა მათზე უნდა განმტიცებულიყო და მათი ურთიერთობა ყმადნაფიცობის პრინციპზე უნდა იყოს აგებული. ამას მოწმობს „ისტორიანი და აზმანი“-ში დაცული ის ფაქტი, რომ როცა დიდოელები და ფხოველები აუჯანყდნენ საქართველოს ხელისუფლებას, აჯანყების ჩასაქრობად მისულმა ივანე ათაბაგმა მთელი საქართველოს მთიელები შემოიყარა და დიდოელთა და ფხოველთა მთაზე მოხერხებული პოზიცია დაიკავა — „ერთკერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთკერძო დიდოეთი და ფხოეთი“.

„ცნეს რა მისლვა ათაბაგისა, მოვიდეს ძღუნითა მეფენი დურძუკთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გვერდსა“. როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლება შიშობდა, რომ დურძუკები შეიძლება აჯანყებულებს მიუდგნენ და ისეთი პოზიცია დაიკავა, რათა გაეთიშა ეს ძალები, არ მიეცა შეერთების საშუალება. დურძუკები იძულებული იყვნენ ლაშქრით შეერთებოდნენ საქართველოს ჯარს და მონაწილეობა მიეღოთ აჯანყების ჩაქრობაში.

საქართველო-ვაინახების ურთიერთობას ორმხრივი საფუძველი ჰქონდა. საქართველოსათვის ვაინახები წარმოადგენდნენ ძალას, რომლის გამოყენება შეეძლო როგორც საგარეო, ასევე შინაგანი მტრების წინააღმდეგ. ვაინახები წარმოადგენდნენ ერთგვარ ფარს ჩრდილოეთიდან მომთაბარეთა შემოტევის წინააღმდეგ, აგრეთვე

პლაცდარმს ჩრდილოეთის მიმართულებით საქართველოს პოლიტიკური ექსპანსიისათვის.

ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ვაინახებს თავის მხრივ საქართველოსთან კავშირს უკარნახებდნენ. სამხედრო მხარდაჭერისათვის ისინი გარკვეულ საზღაურს იღებდნენ. მათი სოციალური ზედაფენები საქართველოს მხარდაჭერას იყენებდნენ სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის განსამტკიცებლად.

დურძუკთა ვასალური დამოკიდებულება საქართველოზე გრძელდება თამარის შემდეგაც — მონღოლთა შემოსევამდე. ჟამთააღმწერლის (XIV ს. ისტორიკოსი) ცნობით, რუსუდან მეფემ ჯალალედინის მეორე შემოსევისას 1226-27 წწ. შეკრიბა თავისი სამეფოს ლაშქარი, „განუხუნა კარნი დარიალისანი და ამოიყვანნა ოსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი. შეკრბეს ნაჭარმაგევს სიმრავლე ურიცხჳ, და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა“.

საქართველო თავის პოლიტიკური გავლენის გავრცელებისათვის ვაინახებში (ისევე, როგორც ჩრდილო კავკასიის სხვა მთიელებში) ქრისტიანობის გაძლიერებულ პროპაგანდას ეწეოდა, რასაც მატერიალურ საფუძველსაც უქმნიდა ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობის გზით.

XII ს. მოყოლებული ინგუშეთის მთებში ჩნდება ტაძრები, „ალბიერდი“, ტარგიმი, „ტხაბაერდი“ (ნიშნავს „ღვთაების ტაძარს“). ამ უკანასკნელთან, რომელიც აღსანიშნავია თავისი მოცულობითაც და დეკორატიული გაფორმებითაც, ყოფილა მონასტერი და საეპისკოპოსო კათედრა. ამ ტაძრებზე XII-XIII სს. ქართული წარწერების ფრაგმენტებია, ფსალმუნიც აღმოჩნდა ასსის ხეობაში. ყველაფერი ეს საქართველოს გავლენის სიძლიერეს მოწმობს.

ვაინახებს ამ პერიოდში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ ხალხებთანაც — ოსებთან, ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებულ ყივჩაღებთან, აღმოსავლეთით დაღესტნელებთან — ხუნძებსა და დიდოელებთან.

XIII ს. 20-იან წლებში, კერძოდ 1222 წ., ჩრდილო კავკასიაში გამოჩნდნენ მონღოლები ჯებესა და სუბუდაის სარდლობით. მათ ცალ-ცალკე დაამარცხეს ოსები, ადიღეელები და ვიყჩაღები. საბოლოო დაპყრობა ცენტრალური ჩრდილო კავკასიისა, მათ შორის ჩეჩნეთ-ინგუშეთისა, 1238-39 წწ. მოხდა და დაკავშირებულია მანგუ ყაენის სახელთან. ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე არსებუ-

ლი დასახლებანი მიწიდან აღგავეს. დაპყრობილი ტერიტორიები შევიდა ოქროს ურდოს შემადგენლობაში. მათ თერგისა და სუნჯის აუზების ნაყოფიერი ველები თავის საძოვრებად აქციეს, ადგილობრივი მოსახლეობა კი მთებში ჩაკეტეს.

მონღოლები ცდილობდნენ მთებში შეღწევასაც, სადაც მოსახლეობდნენ ვაინახები. თუმცა სტეპებში გამოზრდილ მონღოლებს უჭირდათ მთებში ბრძოლები, ამიტომაც ვერ გატეხეს მათი წინააღმდეგობა. ამიტომაც მთაში მცხოვრებ ვაინახებთან ერთად დამოუკიდებლობა შეინარჩუნა მთის დაღესტანმა, აგრეთვე მთებში შეხიზნულმა ოსებმა და ადიღეელებმა.

ვაინახებისათვის მონღოლთა უღელი უფრო სამძიმო შეიქმნა, როცა XIII ს. მეორე ნახევრიდან თერგისა და სუნჯის აუზი ჰულაგუიდებისა (ილხანებისა) და ოქროს ურდოს ყაენების სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზი გახდა. ბრძოლაში ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან — მეორე, ადგილობრივი ხალხებისათვის კი შემდგომი ნგრევა და აოხრება მოჰქონდათ.

XV ს. მეორე ნახევრიდან ოქროს ურდო დაიშალა. 1380 წელს კულიკოვის ველზე რუსების მიერ მიყენებული მარცხის შემდეგ ოქროს ურდო წელში ვეღარ გაიმართა. ეს გამოიყენა შუა აზიელმა დამპყრობელმა თემურ ლენგმა. მისი ბრძოლა თოხთამიშთან 1395-96 წწ. ჩრდილო კავკასიაში — თერგისა და სუნჯის მიდამოებში გაიშალა. თემურმა სასტიკად დაამარცხა თოხთამიში და შემდეგ ჩრდილო კავკასიელ ხალხთა განადგურება-დამორჩილებას შეუდგა.

ოქროს ურდო XV ს. დაიშალა ცალკეულ ულუსებად. ჩრდილო კავკასიის ხალხებზე მისი ბატონობაც შეწყდა. მონღოლთა ბატონობის დასუსტების კვალობაზე დასავლეთიდან წამოსული ყაბარდოელები იკავებენ თერგისა და სუნჯის სანაპიროებს და სახლდებიან იქ.

ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ ვაინახებმა დაიწყეს კვლავ ჩრდილო კავკასიის ბარისკენ ჩასვლა და იმ მიწების ათვისება, რომელთა წინაპრებმაც მომთაბარე ტომთა მოწოლით დატოვეს თავიანთი ტერიტორიები. ვაინახების გადასახლება ველზე, რომელიც დაიწყო XV საუკუნეში, მიმდინარეობდა XVI-XVII საუკუნეებშიც. თერგის, სუნჯის და მათში ჩამავალ მდინარეთა ნაპირებზე, ჩრდილოეთ დაღესტნის მდინარე ახუშამდე დაარსდა ვაინახთა დასახლებანი. ზოგიერთ ადგილებში ვაინახები შერეულად ცხოვრობდნენ ყაბარდოელებთან, ყუმიყებთან და ნოღაელებთან. ბარში ჩასვლამ გამოიწ-

ვია ზოგიერთი ვაინახის დამოკიდებულება ყაბარდოელ და ყუმიყ თავადებზე.

XV ს. შუა ხანებიდან ჩრდილო კავკასიას ახალი მტერი უჩნდება ყირიმის ხანების სახით. ეს გარემოება, აღმოსავლეთით გამოჭრილ ყაბარდოელებთან ერთად, აიძულებდა ვაინახებს მდინარეთა ხეობების შესავალში (მდ. არღუნზე, ფორტანგაზე, ასსზე, ხულხულაუზე), აგრეთვე მთისწინეთის სხვა პუნქტებში (გამურზიევო, მდ. გერჩოჩთან და სხვ.) თავდაცვითი ხასიათის ნაგებობანი — კოშკები აეგოთ. ეს თავდაცვითი ნაგებობანი მთიანი რაიონებისაკენ ველზე დამკვიდრებულ ხალხთა შემოჭრას აკავებდნენ.

მონღოლთა შემოსევების გამო საქართველოს ჩრდილო კავკასიაზე პოლიტიკური გავლენის შენარჩუნება აღარ შეეძლო. როგორც კი გიორგი V ბრწყინვალემ (1314-1346) მოახერხა მონღოლთა ბატონობის უღლის მოშორება, ისევ სცადა კავკასიის მთიანეთში საქართველოს გავლენის აღდგენა. ის გზავნიდა მისიონერებს, მშენებლებს, რომლებიც ეკლესია-მონასტრებს აშენებდნენ. ამ საქმიანობას მოწმობს თიხის ჭურჭელი ქართული წარწერებით, საეკლესიო ჭურჭელი „გალიერდის“ ტაძრიდან. საეკლესიო მშენებლობა ძირითადად ადგილობრივი ხელოსნების მიერ უნდა წარმოებულიყო, რადგან ეს ტაძრები (მაგ. „მაგი-ერდი“ სოფ. სალგისთან, „ხანგე-სეგი“ სოფ. ხანთან, „დელითე“ სოფ. კართთან და სხვ.) თავისი არქიტექტურითა და მშენებლობის ტექნიკით ძალიან გვანან ადგილობრივ აკლდამებს.

საქართველოს ცალკე სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ვაინახების ურთიერთობა გრძელდება კახეთთან. ვაინახების დამოკიდებულება კახეთზე ამ დროს ნომინალური იყო.

მონღოლთა შემოსევების შემდეგ ადგილი ჰქონდა ვაინახთა კავკასიის ქედის სამხრეთით, საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლებას, უპირატესად მის მთიან თემებში.

მთის პირობებში მცხოვრები ვაინახები მძარცველურ თავდასხმებსაც აწყობდნენ ფშავ-ხევსურებზე და უფრო სახმრეთითაც.

თუშეთის საზღვარზე მათი გააქტიურებაც და შემოსვლაც ამ პერიოდში იღებს სათავეს.

## დაღესტნელები

XI-XV საუკუნეებში დაღესტნის ტერიტორიაზე პოლიტიკური სამფლობელოები არსებობდა. მნიშვნელოვანი იყო დერბენტის სახანო. იგი მოიცავდა დაღესტნის ზღვისპირა ზოლს, აგრეთვე თაბასარანის მიწების ნაწილს. დერბენტის მმართველებს ორი მხრიდან უხდებოდათ თავის დაცვა — ჩრდილოეთიდან მომთაბარეთაგან, სამხრეთიდან კი — სელჩუკებისაგან (XI ს-დან), შემდეგ შირვანშაჰებისაგან. დერბენტის მმართველები საკუთარ მონეტასაც სჭრიდნენ.

მტკიცდებოდა ლაკის შამხალთა ხელისუფლება ცენტრით ყუმუხში. სხვა მფობელთა ხარჯზე ისინი აფართოებდნენ თავიანთ ტერიტორიას. მათ განსაკუთრებით იზიდავდა ზღვის სანაპირო ზოლი, რომელზეც გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა. ამ გზაზე აღზევებას იწყებს ყუმიყთა დასახლებული პუნქტი ტარკი, რომელიც XIV ს. დამდეგამდე ლაკის შამხალთა გავლენაში იყო.

მთიან დაღესტანში ყველაზე ძლიერი ფეოდალური ერთეული იყო ავარიის სახანო. XIV ს. ბოლოდან ის თავის ბატონობას ავრცელებს ავარიის ფარგლებს გარეთაც.

მნიშვნელოვანი ფეოდალური ერთეულები იყვნენ ყაიტაღის საუცმიო და თაბასარანის სამაისუმო. ამ პერიოდში დაისახა ტენდენცია ქვეყნის გაერთიანებისათვის, მაგრამ ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ, შინა ომებმა, ეკონომიკური ბაზრის სივიწროვემ არც შამხალს, არც ავარიის ხანს საშუალება არ მისცეს, ქვეყანა გაეერთიანებინათ.

სამხრეთი დაღესტანი XIV ს. ბოლოდან შირვანის ხანებს ემორჩილებოდა. შირვანშაჰები ხალილულახ I (1417-1462) და ფარუხიასსარი (1464-1500) ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ იგი თავიანთ გავლენაში. მათი გავლენის ქვეშ იყო წახური, ხაიტაღი, ახტი.

განსახილველ ხანაში დაღესტნის საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი შემდეგნაირად წარიმართა: XI ს. შუა ხანებიდან დერბენტის სამთავროს სამხრეთიდან თურქ-სელჩუკები უქმნიან საფრთხეს, შემდეგ საქართველო და შირვანის შაჰი ცდილობენ მასზე თავიანთი კონტროლის დამყარებას.

XIII ს. 20-იან წლებში ამიერკავკასიიდან ჩრდილო კავკასიაში მიმავალი მონღოლები ჯებე და სუბუდაის მეთაურობით შირვანიდან დაღესტანს მიადგნენ. მათ დერბენტი ვერ აიღეს, მაგრამ ჩრდილოეთში გასვლა მოახერხეს.

სამაგიეროდ დერბენტი აიღეს მონღოლთაგან დამარცხებულმა ყივჩაღებმა, რომელთაც, როცა თავშესაფარი თხოვნით ვერ მიიღეს, ძალით აიღეს იგი.

შემდეგში დერბენტი მონღოლთა ჯარებმა აიღეს, მას „რკინის კარები" უწოდეს და იქ ოქროს ურდოს ყაენის მოხელე ჩააყენეს. აქედან მონღოლები ლაშქრობებს აწყობდნენ ყაიტაღზე, თაბასარანზე. ლაკებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ლაკების ქალაქი ყუმუხი 8-ჯერ დაანგრიეს.

დაღესტანი მალე ოქროს ურდოსა და ილხანების ბრძოლის ასპარეზად იქცა. ომები 100 წელი გრძელდებოდა. ამას მოჰყვა თემურ ლენგისა და ოქროს ურდოს ყაენ თოხთამიშის ბრძოლა. 1386 წელს თოხთამიში დერბენტით აზერბაიჯანში შემოიჭრა. სამხრეთიდან თემური შემოვიდა და შეებრძოლნენ ერთმანეთს. 1387 წ. თოთხთამიში ისევ შემოიჭრა ჩრდილოეთიდან დაღესტანში. თემურიც დიდი ჯარით მოვიდა. მდ. სამურზე თოთხთამიში დამარცხდა თემურის შვილის მირა შაჰთან ბრძოლაში.

ეს ამბები 1388 წელსაც გამეორდა. ჩრდილოეთიდან შემოჭრილი თოხთამიში თემურმა კვლავ დაამარცხა. 1395 წ. თოხთამიშთან სუნჯაზე გამართულ გენერალურ ბრძოლამდე თემურმა ყაიტაღელების სოფლები დაანგრია, ხალხი კი გაჟლიტა, რადგან თოხთამიშს ემხრობოდნენ.

1396 წელს თერგსა და სულაკს შორის დაბანაკებული თემური თავს ესხმოდა გარშემო მცხოვრებთ. მას მიუდგომელი სიმაგრე ტანუსი შეუმუსრავს.

თემურის სიკვდილის შემდეგ (1405) დერბენტი შირვანის დამოკიდებულებაში მოექცა, დაღესტნის სხვა რაიონებმა კი მოისვენეს.

დაღესტნის ველზე მონღოლთა შემოსევების შედეგად მოხდა ეთნიკური ცვლილებანი. აქ ადრიდანვე ადგილობრივ ტომებს ერწყმოდნენ სარმატული, შემდეგ კი, ხაზარული ეპოქიდან, თურქულენოვანი ხალხები. XIII ს. პირველ ნახევარში ყივჩაღთა მნიშვნელოვანი მასების შემოჭრას მოჰყვა თურქულენოვანი ყუმიყი ხალხის ეთნოგენეზი. ყუმიყთა კულტურა და ყოფა ცხადად ადასტურებს ამ პროცესში ადგილობრივი ტომების გადამწყვეტ როლს. ყივჩაღთა როლი ძირითადად თურქული ენის გავრცელებაში გამოიხატა.

XV ს. სეფევიდების ირანი უტევს შირვანს და დაღესტანს. ირანის შემოსევებს ადგილი აქვს 1451, 1488 და 1500 წწ. სპარსელი შეიხები ჯუნეიდი და ხეიდერი სარწმუნოებისათვის ბრძოლის საბაბით

აწყობდნენ თავდასხმებს დაღესტანზე, მიჰყავდათ ტყვეები, რომელთაც არდებილის მონათა ბაზარზე ჰყიდნენ. მაგრამ მისი დაპყრობა ვერ შეძლეს.

საქართველოს სამეფო კარი აქტიურად ერეოდა დაღესტნის პოლიტიკური ერთეულების საშინაო ცხოვრებაში, თავისთვის სასურველ პიროვნებას სვამდა ხელისუფლების სათავეში. ამას აღნიშნავს ბასილი ეზოსმოძღვარი თამარ მეფის შესახებ: „რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნლნი სამეფოდვე თჳსად კუალად აგნა... და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყუნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ შემოგვინახა ცნობები ერთ-ერთი დაღესტნური ტომის — დიდოელების აჯანყების შესახებ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ თამარ მეფის დროს 1204 წელს. აჯანყებაში მონაწილეობდნენ ფხოველებიც. ეს იყო მთის აჯანება ბარის პოლიტიკური ბატონობის წინააღმდეგ.

მონღოლთა შემოსევებმა საქართველო დაასუსტა, რაც კარგად გამოიყენეს მთის ტომებმა. იწყება ზოგიერთი დაღესტნური ტომის სამხრეთით — ბარისაკენ წამოწევა. ხუნძები სახლდებოდნენ აღმოსავლეთ კახეთის უკიდურეს ჩრდილო რაიონებში.

დაღესტნელებმა უღალატეს კიდეც ქართველებს. ბერი ეგნატაშვილის (XVIII ს.) ცნობით, როცა 1393 წელს თემურმა ქართლ-კახეთი დაარბია და შაქს მივიდა, „მოერთნეს ყოველივე მკჳდრნი მის ადგილისანი, დიდებულნი და მცირენი, კავკასიანნი და ლეკნი“.

თემურ ლენგის დროიდან, დაღესტანში ისლამის გავრცელების შემდეგ, საქართველოსთან ურთიერთობა რთულდება. თეიმურაზ ბაგრატიონი ალექსანდრე I (1414-1442) აუწყებს, რომ „განდევნა იქიდან მოლები და წინა წესზევე მოაგნა“, მაგრამ ეს საქმეს ვეღარ შველოდა. მომდევნო ხანაში იწყება დაღესტნელი ფეოდალების სისტემატური თავდასხმები ქართლ-კახეთზე, რითაც დიდი ზიანი მიაყენეს მას.

მიუხედავად აღნიშნულისა, დაღესტნის ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურა მეზობელი ხალხების კულტურასთან ურთიერთობით მდიდრდებოდა და ვითარდებოდა.

## ადიღე-ჩერქეზები

XVI-XVIII საუკუნეებში ადიღე-ჩერქეზულ ტომებს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავათ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. თუმცა ადრეულ საუკუნეებთან შედარებით გარკვეული ცვლილებები განუცდია. თუ, მაგალითად, ადრე ეს ტომები მდინარე ყუბანის ორივე მხარეს ფლობდნენ, აღნიშნულ ხანაში ადიღე-ჩერქეზეთის ჩრდილოეთი საზღვარი მდინარე ყუბანია. აღმოსავლეთით სასაზღვრო ხაზი მდინარე ლაბაზეა საგულისხმებელი, დასავლეთით კი შავი ზღვა (ტამანიდან მდ. შახემდე). სამხრეთით ადიღე-ჩერქეზი ტომები კვლავ ძველ მეზობლებს, თავის მონათესავე აბაზებს ესაზღვრებოდნენ. ასე რომ, აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენდა ადიღე-ჩერქეზთა ძირითადი მასის სამკვიდროს, რომელიც ლიტერატურაში უმეტესად დასავლეთ ჩერქეზეთის სახელითაა ცნობილი. ქართულ წყაროებში ადიღე-ჩერქეზები ჯიქების სახელით არიან ცნობილი, ხოლო საკუთრივ მოსახლეობა კი თავის თავს ადიღეს, ანტიხეს უწოდებდა.

აღნიშნულ საუკუნეებში ზემოთ დასახელებული ტერიტორია შემდეგი ადიღურ-ჩერქეზული წარმოშობის ტომებით იყო დასახლებული: შაფსუღებით, ნატუხაელებით, ბჟედუღებით, აბაძეხებით, თემირგოელებით, ხეგაკებით, ხატუყაელებით, ჟანეელებით, მახოშევლებით, ადამიელებით, მამხეგოელებით და სხვ. ცხოვრობდნენ აგრეთვე აბაზები და მცირე რაოდენობით ნოღაელები.

ადიღეელებსა და ჩერქეზებს მნიშვნელოვანი ტერიტორიები და ნავმისადგომები ჰქონდათ შავ ზღვაზე. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტამანი ანუ მატრეგა, რომელიც ადიღე-ჩერქეზების მთავარი ნავმისადგომი იყო. სხვა პუნქტებიდან აღსანიშნავია კაპლუ (ყოფილი კოპა, ახლა სტანიცა სლავიანსკაია), ტუმნეხი (დორტელი და ასკოლის სიტყვით, იგი ჩერქეზეთის ზღვისპირეთის შუაგულში მდებარეობდა), აბაზა, აზოვი. ამასთან აღსანიშნავია, რომ აფხაზები და ჩერქეზები ვაჭრობას აწარმოებდნენ არტსკის ყურესა და კიუტასში. ევლია ჩელების მიერ დასახელებული არტსკის ყურე, როგორც ჩანს, ადიღურ-ჩერქეზული იყო, ხოლო კიუტასი — ტუაფსე.

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ყირიმის სახანოს წარმოშობამ და მისმა გადაქცევამ თურქეთის ვასალად მდგომარეობა ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში საგრძნობლად შეცვალა. თურქულ-ყირიმული ციხე-სიმაგრეები კაფასა და ქერჩში, ანაპასა და ტამანში, ტემრიუკსა და კოპილში იმ დასაყრდენ პუნქტებად გადაიქცნენ, საიდანაც XVI-XVII საუკუნეების მთელ მანძილზე განუწყვეტლივ ხორციელდებოდა გამანადგურებელი თავდასხმები ადიღე-ჩერქეზებზე, ყარაჩაი-ბალყარეთზე, ყაბარდოზე და სხვ.

განსაკუთრებით მძიმე იყო ყირიმის ხანის საჰიბ-გირეის თავდასხმები 1545, 1547, 1551 წლებში. ულევ ნაკადად მიედინებოდა თურქეთსა და ყირიმში ტყვე-მონები, საქონელი და ადიღ-ჩერქეზთა სხვა დოვლათი. ამავე ხანებში დაიწყო ისლამის გავრცელება.

XVI საუკუნის შუა ხანისათვის აღმავლობის გზაზე დამდგარი ფეოდალური რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს მთავარ მიზანს ტერიტორიების გაფართოება წარმოადგენდა. პირველი ამოცანა იყო ყირიმისა და ყაზანის სახანოების წინააღმდეგ ბრძოლა; წარმატების შემთხვევაში გარკვეული ტერიტორიების შემოერთება სამხრეთ-აღმოსავლეთით. მეორე — შავი და კასპიის ზღვაზე გასვლა ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარების მიზნით. ამ ამოცანებმა კი თავის მხრივ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ჩაითრიეს აღმოსავლეთისა და კავკასიის საერთაშორისო ურთიერთობათა წრეში, ხოლო ამან კი თავისთავად გამოიწვია მისი ინტერესების შეჯახება თურქეთსა და ყირიმის სახანოსთან, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი გავლენის მოპოვებას ნოღაელებზე, ყაზან-ასტრახანის სახანოებზე და მთელს ჩრდილო კავკასიაზე.

1552 წელს რუსეთმა შემოიერთა ყაზანის სახანო. ამან დააჩქარა ჩრდილო კავკასიის ხალხების ურთიერთობის დამყარება რუსეთთან. ამავე წლის ნოემბერში მოსკოვში ჩამოვიდა ადიღე-ჩერქეზების პირველი ელჩობა თავადების მაშუკა კანკუკოვის, ივანე ეზბოზლუკოვისა და ტანაშუკის შემადგენლობით. მათ ივანე IV ჩერქეზთა მიწის ქვეშევრდომად მიღება და ყირიმის ხანისაგან თავდაცვა მოსთხოვეს. „ერთგულების ფიცის“ მიცემის შემდეგ ელჩობა უკან იქნა დაბრუნებული. მოსკოვიდან ამ ელჩობას გამოყოლილი რუსული ელჩობა ანდრეი შჩეპოტიევის მეთაურობით მოსკოვს კვლავ 1555 წელს დაბრუნდა. ა. შჩეპოტიევმა კი თან ადიღე-ჩერქეზების ახალი ელჩობა გამოიყოლა, რომელმაც „მთელი ჩერქეზთა მიწის“ „ერთგულების ფიცი“ ჩამოიტანა რუსეთის ქვეშევრდომობაზე. ამჯერადაც

ადიღე-ჩერქეზებმა ივანე IV თურქეთისა და ყირიმის ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვეს. 1556 წელს ასტრახანის სახანოს შემოერთების შემდეგ რუსეთის როლი ჩრდილო კავკასიელი ხალხებისათვის კიდევ უფრო გაიზარდა. 1557 წელს ასტრახანზე გავლით მოსკოვში ჩავიდა ყაბარდოს დიდი მთავრის თემურყვას ელჩი, რომელსაც ივანე მეოთხისადმი ლევან კახთა მეფის დავალებაც ჰქონდა მოსახსენებელი თურქეთისა და ყირიმის ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისა და რუსეთის ხელდებულად მიღების თაობაზე. 1557 წელს ადიღე-ჩერქეზების მსგავსად, ყაბარდოც ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს.

XVI-XVII საუკუნეების მანძილზე რუსეთთან დაახლოებული ადიღე-ჩერქეზების რაზმები არაერთხელ იღებდნენ მონაწილეობას რუსეთის საგარეო ომებში.

1711 წელს რუსეთმა თურქეთს დაუბრუნა აზოვი, ხოლო 1739 წ. ბელგრადის ტრაქტატით, უარი ეთქვა შავ და აზოვის ზღვაზე ფლოტის მშენებლობაზე. აქედან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ XVIII საუკუნის პირველ მესამედში ყუბანისპირეთი კვლავ თურქეთის მტკიცე მფლობელობაში იმყოფებოდა. ეს არის ჩრდილო კავკასიის სრული ისლამიზაციის ხანა. მაგრამ სულ მალე, 1769 წ., რუსების ენერგიული მოქმედების ნაყოფი იყო ის, რომ ბესლენეელებმა, თემირგოელებმა და ყუბანისიქეთა სხვა ხალხებმა რუსეთის მფლობელობაში შესვლის სურვილი გამოთქვეს. მართალია, ამჯერად ეს სურვილი მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი იყო, მაგრამ ფაქტები მაინც იმას მეტყველებენ, რომ რუსეთის იარაღის ძალა თავისას აკეთებდა, ხოლო ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა (1774 წ. 10 ივლისი) აშკარად დაამტკიცა, რომ ჩრდილო კავკასიასა და ყირიმში აღარ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც შეაჩერებდა რუსეთის წინსვლას.

1777 წლიდან თურქეთმა და ყირიმმა სამზადისი დაიწყეს ომისათვის. რუსეთმა ამას იმით უპასუხა, რომ სუვოროვი საფუძვლიანად გამაგრდა ყუბანის მარჯვენა ნაპირზე. შეიქმნა გამაგრებულ ციხეთა მთელი სისტემა: ალექსანდროვსკის, მარისსკის, კოპილის, ნოვოტროიცკის და სხვ.

1794 წ. აჯანყდნენ შაფსუღები საკუთარი ფში-ორკების წინააღმდეგ, რომლებმაც დახმარებისათვის რუსებს მიმართეს. ამასთან დაკავშირებით, 1796 წელს შეტაკება მოხდა რუსებსა და შაფსუღებს შორის მდ. ბზიუყოსთან, რის გამოც ეს ბრძოლა „ბზიუყოზაუს“ სახელითაა ცნობილი. ამ ბროძლაში რუსების დახმარებით გაიმარჯვეს

შაფსუღების ზედა ფენებმა. ამ პერიოდიდან იწყება რუსების აქტიური გამოსვლები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დასაპყრობად.

## ყარაჩაელები და ჩერქეზები

XVI-XVIII საუკუნეების წყაროები ჩრდილო კავკასიის მთელ ტერიტორიას, მოყოლებულს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან ვიდრე ჩეჩნეთ-ინგუშეთში მომდინარე მდ. სუნჯამდე, თითქმის ერთი საერთო სახელწოდებით — ჩერქეზეთად ისხენიებენ. ისტორიულ ლიტერატურაში კი ამრიგად აღნიშნული ჩერქეზეთი პირობითად ორ ნაწილადაა დაყოფილი — დასავლეთ ჩერქეზეთად და ყაბარდოდ. ასე რომ, XVI-XVII სს. პიატიგორიე და თანამედროვე ყარაჩაელებისა და ჩერქეზების ტერიტორია მთლიანად ზემოთ მოხსენიებულ ჩერქეზეთში შედიოდა.

დასავლეთ ჩერქეზეთის მოსახლეობა აღნიშნულ საუკუნეებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და, ამასთან, ეთნიკურად მეტად ჭრელი იყო. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ძირითადად, ადიღური და აბაზური ტომები მოსახლეობდნენ. ხოლო რაც შეეხება ნოღაელებს, ისინი უფრო ანაპის სამხრეთითა და მდ. ყუბანის ქვედა დინების რაიონებში სახლობდნენ.

თვით ყარაჩაელები იატალიელი მოგზაურის ლამბერტისა და ფრანგი შარდენის სიტყვით (XVII სს), კავკასიის ქედის ჩრდილოეთ მხარეს ცხოვრობდნენ.

კარტ-ჯურთის, უჩკულანის და ხურზუკის აულებთან და მთელ ულუ-კამსკის ხეობაშიც დღემდე მრავლადაა შემორჩენილი XVI-XVII საუკუნეების ყარაჩაული სამარხი-ყორღანები თავისი სპეციფიკური ფორმებით.

ყარაჩაელთა ერთი ნაწილი, როგორც 1639-1640 წწ. საქართველოში მომავალ რუსი ელჩების ელჩინისა და ზახარიევის ჩანაწერებიდან ირკვევა, ბაქსანის ხეობაშიც ცხოვრობდნენ. ამასვე ამტკიცებს, აგრეთვე, ბაქსანური ყარაჩაული ნასახლარი ელჯურთი, გოშახ-ყალეს სიმაგრე და აქვე გათხრილი XVII ს. სამარხი, რომელიც, სხვათა შორის, მეტად ტიპიურია სწორედ წმინდა ყარაჩაული კარტ-ჯურთის სამარხისა. ბაქსანელ ყარაჩაელთა გადასახლებას ყუბანის ზედაწელში მკვლევართა დიდი ნაწილი XVII საუკუნის პირველი ნახევრისათვის მიიჩნევს. გადმოცემებით იგი უკავშირდება ყაბარ-

დოს დიდი მთავრის ყაზი ფშეფშუკის სახელს, რომელმაც თითქოს ისინი ბაქსანიდან გაასახლა. მართალია, XVII საუკუნეზე უფრო გვიანდელი წყაროები ყარაჩაელების ბაქსანზე ყოფნას არ ადასტურებენ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ 1917 წლამდე თვით ბაქსანელი ბალყარლები თავის თავს ყარაჩაელებს უწოდებდნენ. ნიშანდობლივია ამ მხრივ ისიც, რომ ენითა და კულტურით ბაქსანელი ბალყარელები ორგანულ სიახლოვეს უფრო ყარაჩაელებთან ამჟღავნებენ, ვიდრე ჩერეკისა და ჩეგემის ხეობებში მცხოვრებ ბალყარელებთან, განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა საცხოვრებელი ნაგებობების არქიტექტურაში და საშენ მასალებში. როგორც წესი, ყარაჩაელი და ბაქსანელი ბალყარელების სახლები ხისაა, ხოლო ჩეგემელებისა და ჩერეკელებისა კი — ქვის. ჩანს, XVII ს.-ში ბაქსანიდან ყველა ყარაჩაელი არ გასახლებულა.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიის ერთი ნაწილი მდინარეების ლაბასა და ურუპს შორის ბესლენელებს ეკავათ. ბესლენელები ურუპის უფრო აღმოსავლეთით და ყუბანის ზედაწელში იყვნენ შეღწეულნი. აქვე მათთან მეზობლად მდინარეების — დიდი და პატარა ზელენჩუკის მიდამოებში მოსახლეობდა აგრეთვე ყაბარდოელთა ერთი ნაწილი.

XVII ს.-ის პირველ ნახევარში ყარაჩაი-ჩერქეზეთში ჩნდებიან მომთაბარე ნოღაელები უმეტესად მდინარეების — ზელენჩუკის, ლაბის, ყუბანის ზედაწელისა და კუმას მიდამოებში.

ისინი XVI-XVII სს.-ში მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ. ზაფხულ-შემოდგომაზე მოხეტიალე ნოღაელები ზამთრობით ერთ რომელიმე დასახლებულ პუნქტთან ან ციხე-სიმაგრესთან ჩერდებოდნენ და იზამთრებდნენ — მაგალითად, ჩობანკალასთან, ჩობანელისთან, შანგრისთან, ნავრუზ-კირმანთან და სხვ.

XV საუკუნეში ყირიმის სახანოს ჩამოყალიბებამ და მისმა თურქეთის ვასალად გადაქცევამ ჩრდილო კავკასიის ხალხებში XVI-XVII საუკუნეებში სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ განვითარებაში უარყოფითი როლი ითამაშა. ჩრდილო კავკასია თურქეთსა და ყირიმის სახანოს ორი დიდი მიზნისათვის ესაჭიროებოდა: ხალხის ძარცვა-გლეჯისათვის და გზების გამოყენებისათვის ერთი მხრივ ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალზე გასაჭრელად, ხოლო მეორე მხრივ — ამიერკავკასიაში გასასვლელად და თავის მთავარ მეტოქე ირანზე ჩრდილოეთის მხრიდან თავდასასხმელად. ჩრდილო კავკასიაში თურქეთი და ყირიმის ხანი ორი მხრიდან

შემოდიოდა — აზოვისა და ქერჩის მხრიდან. თურქეთისა და ყირიმის ხანის ეს შემოსევები XVI ს.-ის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნეში თითქმის განუწყვეტლად გრძელდებოდა.

1552-1556 წლებში რუსეთის მიერ ყაზანისა და ასტრახანის სახანოების შემოერთებამ ჩრდილო კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშა. კავკასიის ხალხებმა თურქეთის, ყირიმის ხანისა და ირანის მოძალების პირობებში ურთიერთობა გააბეს მასთან. განსაკუთრებით ინტენსიური შეიქმნა ეს ურთიერთობა 1588-89 წლებში თერგქალაქის აშენებით.

რუსეთთან ურთიერთობა დაამყარეს მომთაბარე ნოღაელებმაც, რომლებიც XVI ს. შუა წლებისათვის შინაფეოდალური აშლილობის შემდეგ ორ ურდოდ გაიყვნენ — დიდ და მცირე ნოღაელებად. მცირე ნოღაელებმა გადაინაცვლეს დონის, აზოვისა და ყირიმისაკენ, ხოლო დიდმა კი — ვოლგისპირეთის ქვედა რაიონებში. 1557 წელს დიდ ნოღაელთა მთავარმა რუსეთის მეფის ვასალად სცნო თავი და მის მფარველობაში შევიდა. რაც შეეხება მცირე ნოღაელებს, ისინი უმეტესად პროთურქული ორიენტაციისა იყვნენ.

ნოღაელები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის, თურქეთისა და ყირიმის ხანის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. თავის მხრივ რუსეთი პრორუსული ორიენტაციის ნოღაელებს დიდ დახმარებას უწევდა ყალმუხელი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

XVIII ს.-ში ყარაჩაელებისა და ჩერქეზების ტერიტორიაზე შემდეგი ხალხები ცხოვრობდნენ: ადიღეელები ბესლენელებისა და, აგრეთვე, ყაბარდოელების ერთი ნაწილის სახით, ყარაჩაელები, აბაზელები და ნოღაელები. ბესლენელები მდ. დიდ და მცირე ლაბაზე ცხოვრობდნენ. მათი რიცხვი XVIII ს.-ში მერყეობდა 10-15 ათას სულს შორის. ყარაჩაელები ყუბანის სათავეში ცხოვრობდნენ იალბუზის მთამდე. დასავლეთით ისინი აბაზელებს, სამხრეთით სვანეთს, ჩრდილოეთით ყაბარდოელებს ესაზღვრებოდნენ. წყაროები XVIII ს.-ში მათ რიცხვს 200-დან 600 ოჯახამდე თვლიდნენ. აბაზელები XVIII ს.-ში ორ ეთნიკურ ჯგუფად იყოფოდნენ — ტაპანთელებად და აშხარელებად. ტაპანთელები, რომლებიც რამდენიმე ჯგუფად — ქვემო, შუა, ზემო აბაზელებად და სხვ. იყოფოდნენ, ცხოვრობდნენ დიდ ყაბარდოში. 1723 წ. ყირიმის ჯარები შეიჭრნენ ყაბარდოში და აბაზელები ყუბანის იქით გადაიყვანეს. 1733 წ. ყაბარდოელებმა ყალმუხებთან ერთად ილაშქრეს ყუბანზე და აბაზელები ყა-

ბარდოში დააბრუნეს. აქ ისინი ცხოვრობდნენ მალკაზე, ბაქსანზე და კუმაზე. 40-იან წლებში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დასახლდა ყუბანის სათავეში მდ. დიდ და პატარა ზელენჩუკზე. ტაპანთელთა რაოდენობას 260-800 ოჯახად ვარაუდობდნენ.

აბაზელთა მეორე ეთნიკური ჯგუფი — აშხარელები რამდენიმე ტომისაგან შედგებოდა (მისილბაი-ბაშილბაი, ტამი, ყიზილბეკი, ჩეგრეი და ბარაკაი). XVIII ს.-ში ისინი ყარაჩაელთა და ჩერქეზთა მთიან რაიონებში ცხოვრობდნენ და ზოგიერთი წყარო „მთიელ აბაზელებს“ უწოდებდა.

რაც შეეხება ნოღაელებს, XVIII ს.-ის მეორე ნახევარში ისინი მომთაბარეობდნენ ჩრდილო კავკასიის ვაკეზე აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვამდე. მათი ნაწილი — ყუბანისპირეთის ნოღაელები — ნაწილობრივ აღწევდნენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიამდეც.

მეზობელ ხალხებთან ყარაჩაი-ჩერქეზები ყველაზე მჭიდროდ ყაბარდოსთან იყვნენ დაკავშირებულნი. ბესლენეელები, რომელთაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიციები ეკავათ, დიდ როლს ასრულებდნენ ყაბარდოს, ყირიმთან და ყუბანისგაღმელ ადიღეელებთან ურთიერთობაში. მათ შორის უთანხმოებასაც ხშირად ჰქონია ადგილი აბაზელების ერთ ნაწილზე გავლენისათვის, მაგრამ, ძირითადად, მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ.

ყარაჩაელებსა და ჩერქეზებს გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან. XVIII ს.-ის ქართველი ისტორიკოსები გვაძლევენ ცნობებს ქართველთა მიერ ჩრდილო კავკასიის ხალხთა, მათ შორის ყარაჩაელებისა და ჩერქეზების მხრიდან, სამხედრო დახმარების მიღებაზე საგარეო მტრების წინააღმდეგ. 1754 წ. ხუნძახის ხანის ნურსალ ბეგის წინააღმდეგ თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ მოიწვიეს ჩერქეზები, ჯიქები, ყალმუხები, ნოღაელები და სხვ. ისინი თავიანთი უფროსებით მოვიდნენ. ქართველმა მეფეებმა ისინი დიდად დასაჩუქრებულნი გაისტუმრეს. ასეთი ხასიათის კონტაქტები საქართველოსა და ყარაჩაელ-ჩერქეზებს შორის იშვიათი არ იყო.

XVIII ს. დამდეგს, ისარგებლეს რა რუსეთის ომით შვეციასთან, ყირიმმა და თურქეთმა გააქტიურეს თავისი დაპყრობითი პოლიტიკა ჩრდილო კავკასიაში. ამით უნდოდათ რუსეთის კავკასიაში დამკვიდრებისათვის ხელის შეშლა. რუსეთი მხარს უჭერდა ყაბარდოელ ფეოდალთა იმ ნაწილს, რომელიც ებრძოდა ყირიმის ხანის შემოტევას.

1723 წ. ყირიმის ხანის ჯარებმა ყუბანისგაღმა ძალით გადაასახლეს აბაზელები, რომლებიც ბაქსანზე ცხოვრობდნენ.

რუსეთ-თურქეთს შორის 1739 წელს ბელგრადში დადებული ზავით ყაბარდო ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. ყარაჩაი-ჩერქეზეთის საკითხი ღიად დარჩა. ყირიმის ხანი მას თავის ქვეშევრდომად თვლიდა, მაგრამ ყაბარდოელი ფეოდალები და თვით ადგილობრივი მოსახლეობა ყირიმელთა ამ პრეტენზიას არ სცნობდა. ყირიმის ხანმა 1752 წ. ყარაჩაი-ჩერქეზეთში თავისი ვაჟის სელიმ-გირეის მეთაურობით 12 ათასიანი ჯარი გამოგზავნა, რათა ბესლენეელები ყუბანის გაღმა გადაესახლებინა და დაემორჩილებინა.

რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომის დროს რუსეთმა თავისი საქმიანობა ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში გააქტიურა. რუსეთმა ყირიმის ხანთან 1772 წ. 1 ნოემბრის ზავით აბაზელები, ყარაჩაელები და ნოღაელები ყაბარდოსთან ერთად თავის ქვეშევრდომობაში მიიღო. თურქეთის მრავალგზისი ცდები მდგომარეობის შესაცვლელად მარცხით დამთავრდა.

1787-91 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში თურქეთი დამარცხდა. რუსეთის პოზიციები ყარაჩაი-ჩერქეზეთში კიდევ უფრო განმტკიცდა. ყარაჩაელი და ჩერქეზი ხალხები რუსეთის დასაყრდენად გადაიქცნენ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

## ყაბარდოელები და ბალყარელები

XVI-XVIII საუკუნეებში ყაბარდოელთა მეურნეობის ძირითად და წამყვან დარგს წარმოადგენდა მესაქონლეობა.

მთელი XVIII ს. მანძილზე მძვინვარებდა შინაგანი ბრძოლა ცალკეულ თავადებსა და ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის. ეს ბრძოლა წარმოებდა სახნავი მიწებისა და საძოვრებისათვის, მარცვისათვის, შეიარაღებული ძალებისა და პოლიტიკური წონის გაზრდისათვის.

XVIII ს. დამდეგს ყაბარდოში ჩამოყალიბდა ორი, ერთმანეთისადმი მტრული ფეოდალური დაჯგუფება, რომელთაც იმდროინდელი რუსული წყაროები „პარტიებს“ უწოდებენ. პირველ დაჯგუფებას „ბაქსანის პარტია“ ეწოდა, რადგან მასში შემავალი ფეოდალების სამფლობელოები მდ. ბაქსანზე, მალკაზე და ჩეგემზე იყო გან-

ლაგებული. მას სათავეში ედგა ისლამ-ბეგი, რომლის შეიარაღებულ ძალასაც შეადგენდა 8 ათასი ცხენოსანი მებრძოლი.

მეორე დაჯგუფების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ მდ. ნალჩიკის, შალუშკის და კაშკატაუს მთის რაიონებში. ამ მთის სახელწოდების მიხედვით დაჯგუფებას „კაშკატაუს პარტია“ ეწოდა. მას სათავეში ედგნენ როსლანბეკი და ჯანბულათ კაიტუკები. ბაქსანელებთან შედარებით კაშკატაუელები სუსტები იყვნენ — 2 ათასი ცხენოსანი მებრძოლის გამოყვანა შეეძლოთ.

XVIII ს. პირველ მეოთხედში ბაქსანალებმა ყირიმელი თათრებისა და ადიღეელების დახმარებით დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგე დაჯგუფებას. კაშკატაუელებმა რუსეთს მიმართეს დახმარებისათვის. პეტრე I ბრძანებით ასტრახანის გუბერნატორმა ვოლინსკიმ მოიწვია ორივე „პარტიის“ ხელმძღვანელები, აიძულა, შეერიგებულიყვნენ და რუსეთის ერთგულებაზე დაეფიცათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ბაქსანელებმა კვლავ დაიწყეს ომი და ყაბარდოდან გააძევეს მტრული დაჯუგფების მთავარი წარმომადგენლები. კაშკატაუელთა წინამძღოლი როსლანბეკ კაიტუკინი ყირიმის ხანის სამხედრო რაზმის დახმარებით დაბრუნდა ყაბარდოში, მაგრამ მალე ისევ გააძევეს.

1732 წ. როსლანბეკმა ყაბარდოში მოიყვანა ყირიმელთა და ყალმუხთა ჯარი, რომელთა დახმარებითაც გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა მთელ ყაბარდოში. 1735-1739 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ კაშკატაუელებმა ყირიმის ხანის ფარული მხარდაჭერით გადაწყვიტეს ბაქსანელთა სრული დამორჩილება. უკანასკნელთა მეთაურმა მაგომედ ატაჟუკინმა რუსეთს 500 კაციანი სამხედრო რაზმი გაგზავნა. როსლანბეკი იძულებული გახდა სამუდამოდ დაეტოვებინა ყაბარდო.

1747 წელს როსლანბეკის ძმები დაეზავნენ მაგომედ ატაჟუკინს და ყაბარდოში დაბრუნების ნებართვასთან ერთად მიიღეს მიწა და ყმები ბაქსანზე.

მაგრამ ამით ფეოდალურ დაჯგუფებათა მტრობა არ დამთავრებულა. იგი გრძელდებოდა 1747-1753 წწ. 1760 წელს ბაქსანელები თურქეთის დახმარებით კვლავ ცდილობდნენ კაშკატაუელთა განდევნას და მათი მიწებისა და ყმების დასაკუთრებას.

თვით ფეოდალური დაჯგუფებების შიგნითაც მიმდინარეობდა ბრძოლა. 1747 წ. მაგომედ ატაჟუკინმა თავის მოგვარე ყაზი ატაჟუკინს წაართვა მამული და განდევნა. 1786 წელს თავადებმა ატაჟუ-

კინებმა, მისოსტოვებმა, კაიტუკებმა ჩამოართვეს მამული თავად ბეკქმურზებს. 1791 წ. ჯამბულატოვები და ატაჟუკინები გამოვიდნენ მისოსტოვების წინააღმდეგ. სტაცებდნენ პირუტყვს, ართმევდნენ ქონებას. ამის შედეგად მისოსტოვები იძულებული გახდნენ მდ. მალკის იქით წასულიყვნენ. განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობდა თავადებსა და უორკებს შორისაც. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს უორკების 1785 წ. 25 მარტის საჩივარი გენ. პ. პატიომკინისადმი. მასში უორკები წერენ, რომ თავადები უკანონოდ ართმევენ მათ პირუტყვსა და ცხენებს, აიძულებენ გადაიხადონ მათი ვალები, ართმევენ ბავშვებს და ა.შ.

შინაფეოდალური ბრძოლის მსვლელობაში ესა თუ ის დაჯგუფება და ცალკეული თავადები მიმართავდნენ დახმარებისათვის ხან რუსეთს, ხანაც თურქეთსა და ყირიმს. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ ამ ბრძოლის გამოყენებას თავიანთი ინტერესებისათვის.

ფეოდალური განხეთქილება ყაბარდოს დამპყრობელთა იოლ ნადავლად აქცევდა.

XVIII ს.-ის დამდეგიდან ჩრდილო კავკასიაში თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის გაძლიერებასთან დაკავშირებით ყაბარდოს საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა. ყაბარდოზე გადიოდა ისეთი გზები, როგორიც იყო დარიალის — ჩრდილო კავკასიის ამიერკავკასიასთან დამაკავშირებელი ძირითადი არტერია და შავიზღვისპირეთის კასპიისპირეთთან დამაკავშირებელი გზები. ამიტომაც ჯერ კიდევ პეტრე I მოითხოვდა მთიელ თავადთაგან რუსეთისადმი ერთგულებას. ამავე დროს ყაბარდოელი ფეოდალები ალი-მურზას მეთაურობით აზოვის გებერნატორს აპრაქსინს სთავაზობდნენ თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის დადებას.

თურქეთის მთავრობამ 1707 წ. მოაწყო ყაბარდოზე ყირიმის ხანის ყაფლან-გირეის ლაშქრობა. მან მოითხოვა დიდი კონტრიბუცია და მძევლები მორჩილების ნიშნად. თავადებმა მოჩვენებითი მორჩილება გამოუცხადეს და 20 დღის ვადა ითხოვეს. მე-19 დღეს მოულოდნელად დაესხნენ ყირიმელებს და სასტიკად დაამარცხეს.

1711 წ. სულთანმა აჰმედმა მრისხანე წერილი გაუგზავნა ყაბარდოელებს, სადაც მათ მუსლიმანობისადმი ღალატსა და რუსეთთან კავშირში სდებდა ბრალს. იგი მოითხოვდა მათ მორჩილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ამოგჟლეტთო. ამ მუქარამ შედეგი ვერ გამოიღო.

ჩრდილო კავკასიის ვითარების შესასწავლად გამოგზავნილი თავადი ბეკოვიჩ-ჩერკასკი პეტრე I-ს მოახსენებდა, რომ თურქები ცდილობდნენ ყუმიყებისა და ყაბარდოელების დაპყრობას. ის ურჩევდა პეტრე I-ს გამოეგზავნა ჯარი ჩრდილო კავკასიის მიწების ოკუპაციისათვის.

1720 წ. ყირიმის ხანმა საადათ-გირეიმ ილაშქრა დიდ ყაბარდოზე, რომელმაც უარი განაცხადა, განდგომოდა რუსეთს და თურქეთ-ყირიმის ერთგულებაზე დაეფიცა. მან ააოხრა მრავალი სოფელი.

1721 წელს პეტრე I-ის ბრძანებით, ყაბარდოს საზღვრის მახლობლად, რუსეთის გავლენის განმტიცების მიზნით, აშენდა სვიატო კრესტის სიმაგრე. მისი გარნიზონი რადმენიმე ასეული კაცისაგან შედგებოდა. 1722 წელს პეტრე I დონის ატამანს უბრძანა დახმარებოდა ყაბარდოელებს ყირიმის ხანის შემოსევის შემთხვევაში.

პეტრე I-ს კასპიისპირეთში ლაშქრობისას 1722-1723 წწ. ყაბარდოელი თავადების დიდი ნაწილი უჭერდა მხარს. მის არმიას მდ. სულაკზე თავის რაზმებთან ერთად შეუერთდნენ ელმურზა ბეკოვიჩ-ჩერკესკი (პეტრე I-ის სამსახურში მყოფი ალექსანდრე ბეკოვიჩ-ჩერკასკის ძმა) დიდი ყაბარდოდან და ასლანბეკ კაიტუკინი მცირე ყაბარდოდან.

რუსეთ-თურქეთის 1735-39 წწ. ომში ყაბარდო ბრძოლის ასპარეზად იქცა თურქეთ-ყირიმსა და რუსეთს შორის. ყაბარდოელთა რაზმები მონაწილეობდნენ რუსეთის მხარეზე. რუსეთ-თურქეთის 1739 წ. ზავით, რომელიც ბელგრადში დაიდო, ყაბარდო გამოცხადდა ნეიტრალურ ტერიტორიად. მას რუსეთსა და თურქეთს შორის ბარიერის როლი უნდა შეესრულებინა. ამის მიუხედავად, ორივე მხარე თავისი აგენტების მეშვეობით ცდილობდა ყაბარდოელი ფეოდალების მოსყიდვას და თავის მხარეზე გადაბირებას. ყაბარდოს ფეოდალების უმრავლესობა რუსეთის მხარეს იხრებოდა.

რუსეთის მთავრობა ყაბარდოს ფეოდალურ დაჯგუფებათა შორის შუამავლის როლში გამოდიოდა, ყირიმ-თურქეთისათვის ყაბარდოზე თავდახსმების საფუძველი რომ მოესპო. 1755 წელს რუსეთის აქტიური ჩარევით თავიდან იქნა აცილებული ყირიმის ხანის დიდი ლაშქრობა ყაბარდოზე.

ფეოდალურმა შინაბრძოლამ აიძულა მცირე ყაბარდოს თავადი ყურგოკო კანჩოკინი 1759 წ. ეთხოვა ნებართვა რუსეთისაგან, რათა მისთვის მიეცათ უფლება თავის ქვეშევრდომებით დასახლებუ-

ლიყო მოზდოკის მახლობლად და ქრისტიანობა მიეღო. აქ თანდათან იზრდებოდა ყაბარდოელთა რიცხვი. რუსეთის ხელისუფლება ხელს უწყობდა მათ გადმოსახლებას, ფულად დახმარებასაც (5-11 მანეთს) აძლევდა.

რუსეთის აქტიურობა ყაბარდოში იწვევდა ყირიმისა და თურქეთის საწინააღმდეგო მოქმედების გაძლიერებას. მათ ანტირუსულ პროპაგანდას ფართოდ ეხმაურებოდნენ მას შემდეგ, რაც 1763 წ. რუსეთმა მოზდოკის სიმაგრე ჩადგა. ყაბარდოელმა თავადებმა ამაში თავისი ბატონობისათვის საფრთხე დაინახეს. იქაური საძოვრებით ვეღარ ისარგებლებდნენ, დამოუკიდებლობა შეეზუდებოდათ და მათი ყმები განთავისუფლების იმედით იქ დაიწყებდნენ გაქცევას.

ყაბარდოელი თავადების სპეციალურმა დელეგაციამ პეტერბურგში მოითხოვა მოზდოკის სიმაგრის მოშლა, მაგრამ უარი უთხრეს. უკმაყოფილო ფეოდალებმა 1765 წ. ყიზლარს ალყა შემოარტყეს.

რუსეთის მთავრობა იძულებული იყო ზოგ დათმობაზე წასულიყო. 60-იან წლებში ყაბარდოელებს უბაჟოდ ვაჭრობის უფლება მისცეს.

რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომში ყაბარდოელ ფეოდალთა ნაწილი რუსეთის მხარეზე იყო, ნაწილი კი — თურქეთსა და ყირიმის სახანოს უჭერდა მხარს. რუსეთის სამხედრო ექსპედიციამ გენ. მედემის მეთაურობით 1769 წ. აიძულა მოწინააღმდეგე ფეოდალები რუსეთის ერთგულებაზე დაეფიცათ.

1774 წ. ყაბარდოში შემოიჭრა ყირიმის ხანი დევლეთ-გირეი. რუსთა ჯარმა ყაბარდოელებთან ერთად მდ. გუნდელენზე სასტიკად დაამარცხა იგი. თურქეთ-ყირიმი იძულებული გახდნენ, ფორმალურად ეღიარებინათ რუსეთის სახელმწიფოსთან ყაბარდოს შეერთება.

ყაბარდოელი ფეოდალები უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ რუსეთის ხელისუფლება მათ ყმებს ოფიციალურად უფლებას აძლევდა რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასულიყვნენ და მათ მფლობელობაზე უფლება მოესპოთ. მათ 1778-79 წწ. აქტიური მოქმედება დაიწყეს რუსთა წინააღმდეგ, მოითხოვდნენ პავლოვსკის, მარინსკის და გეორგიევსკის სიმაგრეთა მოშლას.

1779 წ. ბოლოსათვის გენ. იაკობიმ, დაამარცხა რა ყაბარდოელი ფეოდალების ძირითადი ძალები, მთლიანად დაიკავა დიდი და მცირე ყაბარდო და დააფიცა რუსეთის ერთგულებაზე. რუსეთის წი-

ნაღმდეგ გამოსულებს დააკისრეს კონტრიბუცია: 10 ათასი მან. ფულად, 2150 ცხენი, 5 ათასამდე მსხვილფეხა პირუტყვი, 4,5 ათასზე მეტი ცხვარი.

XVIII ს.-ის 80-იან წლებში რუსეთმა დიდ პოლიტიკურ წარმატებებს მიაღწია. რუსეთის მფარველობაში შევიდა ქართლ-კახეთის სამეფო, რუსეთმა შეიერთა ყირიმი და სამხრეთ უკრაინის მიწები. 1785 წ. დაარსდა კავკასიის სამეფისნაცვლო ცენტრით ეკატერინოგრადში. ამან გაამწვავა რუსეთ-თურქეთის წინააღმდეგობანი. თურქეთი ცდილობდა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაეთრია კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობა. ის ფართოდ იყენებდა შეიხ მანსურის ხელმძღვანელობით წარმოებულ ანტირუსულ მოძრაობას, რომელიც 1784 წ. დაიწყო.

შეიხ მანსურის მოძრაობას მიემხრო ყაბარდოელი ფეოდალების ჯგუფი მცირე ყაბარდოელ თავად დოლის მეთაურობით. ფეოდალთა ნაწილი თავად კასაევებისა და ხამურზინების მეთაურობით პრორუსულ ორიენტაციაზე დარჩა. ნეიტრალიტეტის მომხრენი თავს იყრიდნენ უფროსი თავადის ხამატოვის გარშემო.

შეიხ მანსური ყაბარდოელებს ვერ ენდობოდა. მართლაც, როგორც კი მალკაზე რუსეთის ჯარი გამოჩნდა პ. პოტიომკინის სარდლობით, მრავალი ფეოდალი ჩამოშორდა მანსურის მოძრაობას. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა მიეტოვებინა ყაბარდო. ტატარტუფთან გადამწყვეტი დამარცხების შემდეგ მანსურს ყაბარდოში მომხრენი აღარ აღმოაჩნდა. 1787 წ. ივლისში იგი ყუბანსგაღმა შეუერთდა თურქებს, რომლებიც რუსეთთან ახალი ომისათვის ემზადებოდნენ.

პოტიომკინის 1786 წ. 24 დეკემბრის ბრძანებით უნდა შექმნილიყო 6 ასეულისაგან შემდგარი ჯარი დიდი ყაბარდოდან და 53 ასეული მცირე ყაბარდოდან ჩრდილო კავკასიის დასაცავად ყუბანისგაღმელი ჩერქეზებისა და თათრების თავდახსმებისაგან. ამ რაზმებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსეთის ჯარების საბრძოლო ოპერაციებში ჩრდილო კავკასიაში მთელი ომის მანძილზე 1787-92 წწ. თურქეთის ცდებს — აემხედრებინათ ყაბარდოელები რუსეთის წინააღმდეგ — წარმატება არ ჰქონია. თურქეთმა, იმედით, რომ ყაბარდოელი ფეოდალები გადმოვიდოდნენ მის მხარეზე, 1790 წ. ბატალ-ფაშას სარდლობით ყაბარდოში გამოგზავნა 30 ათასიანი არმია 30 ზარბაზნით. სექტემბერში მდ. ტახტამიშთან რუსებმა სასტიკად დაამარცხეს ეს არმია, ბატალ-ფაშა კი ტყვედ ჩაიგდეს.

თურქები და შეიხ მანსური ყაბარდოში რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებდნენ მანამდე, ვიდრე რუსეთის ჯარებმა ანაპა აიღეს. შეიხ მანსური დატყვევებულ იქნა.

ყაბარდოში თავისი ხელისიფულების საბოლოოდ განსამტკიცებლად რუსეთის მთავრობამ 1791 წ. შექმნა „გვაროვნული სასამართლოები“ და „გვაროვნული რასპრავები“. 1793 წ. მათ ორივე ყაბარდოში დაიწყეს მოქმედება. ერთიცა და მეორეც კლასობრივი ხასიათის დაწესებულებები იყო, რომელთაც ფეოდალებისაგან ირჩევდნენ. ამათ გარდა, მოზდოკში შეიქმნა „ზედა სასაზღვრო სასამართლო“ 6-6 ყაბარდოელი თავადისა და უზდენის და ორი მოზდოკელი მცხოვრების მონაწილეობით. „ზედა სასაზღვრო სასამართლოს“ თავმჯდომარე მოზდოკის სიმაგრის კომენდანტი იყო. მასვე ემორჩილებოდნენ გვაროვნული სასამართლოები და „რასპრავები“. სისხლის სამართლის საქმეები რუსული კანონების საფუძველზე უნდა გაერჩიათ; ამან ყაბარდოელთა დიდი მღელვარება გამოიწვია.

მოძრაობის ჩასახშობად 1795 წ. გაგზავნლ იქნა რუსთა ჯარი. თავადები იზმაილ და ადილგირეი ატაჟუკინები და ატაჟუკ ხამურზინი კაიტუკების გვარიდან დააპატიმრეს და ეკატერინოსლავში გადაასახლეს.

მაგრამ არც ამის შემდეგ შეწყვეტილა ყაბარდოელი თავადების ინტენსიური გამოსვლები.

რუსეთის მთავრობა დარწმუნდა ყაბარდოს სამხედრო გზით დამორჩილების შეუძლებლობაში და მის მიმართ მოქნილი პოლიტიკის გატარების აუცილებლობაში. 1800 წ. 28 მაისს პავლე I-მა გამოსცა ბრძანება ყაბარდოელებსა და სხვა ჩრდილო კავკასიელ ხალხთა საქმეებში ჩაურევლობის შესახებ, სანამ ისინი არ დაესხმიან რუსთა საზღვრებს, რადგანაც „მთის ხალხები უფრო ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, ვიდრე ქვეშევრდომობაში“.

ყაბარდოელები ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ თავის კავკასიელ მეზობლებთან.

საქართველოს მმართველი წრეები ყაბარდოსთან ურთიერთობის განსამტკიცებლად მიმართავდნენ დინასტიურ ქორწინებებსაც. ქართლის მეფე ვახტანგ VI (1703-1722) დაქორწინდა ყაბარდოელ თავადის ასულზე, რომელსაც საქართველოში რუსუდანი ეწოდა.

დიდად აფასებდნენ რა ყაბარდოელთა საბრძოლო თვისებებს, ქართველი მეფეები ხშირად იწვევდნენ მათ ცხენოსან რაზმებს თავის სამსახურში. 1752 წელს მეფე თეიმურაზ II-ის მოწვევით საქარ-

თველოში ჩამოვიდა 500 კაციანი რაზმი დიდი ყაბარდოდან თავად ყურგოკოს მეთაურობით და 1500 კაციანი რაზმი მცირე ყაბარდოდან ყაზისა და კონჩოკოს მეთაურობით. ამ რაზმების დახმარებით ერეკლე II-მ საქართველოში შემოჭრილი ირანელი დამპყრობლები სასტიკად დაამარცხა.

1778 წ. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე ცდილობდა საქართველოში გადმოესახლებინა ყაბარდოელთა ნაწილი, რომელთა დასახლებასაც ის ვარაუდობდა იმერეთისა და თურქეთის სამფლობელოთა საზღვარზე. ასეთ ცდას ის შემდეგაც მიმართავდა, მაგრამ რუსეთის ხელისუფალნი ხელს უშლიდნენ ყაბარდოელთა საქართველოში გადმოსახლებას.

XVIII ს. დამლევს და XIX ს. დამდეგს რუსეთის სწრაფვა ყაბარდოელებისა და კავკასიელი ხალხების მიმართ გაფართოვდა. რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წწ. ომისა და სამხრეთ კავკასიაზე აღა მაჰმად ხანის (1795 წ.) შემოსევის შემდეგ ეს პროცესი შეუქცევადი გახდა.

## ოსები

XVI-XVIII საუკუნეებში ოსები ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიის მთიანი რაიონის ცენტრალურ ნაწილში. მათი ჩრდილო საზღვარი იმიერკავკასიის მთისძირა ველამდე მიდიოდა, საიდანაც შემდეგ ყაბარდოელ ფეოდალთა სამფლობელოები იწყებოდა. აღმოსავლეთით საზღვარი გადიოდა მდ. თერგის აუზის გასწვრივ, დასავლეთით კი მდ. თერგის შენაკად ურუხზე. ამ არც ისე ფართო მასშტაბის ტერიტორიაზე განლაგებული იყო 4 დიდი ოსური საზოგადოება-თემი — თაგაურია, ქურთათი, ალაგირი და დიგორია.

ყველა ეს საზოგადოება-თემი ცხოვრობდა თითქმის ერთმანეთისაგან გამოყოფილ საკუთარ ხეობებში, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა მათ ორგანულ ურთიერთ სიახლოვეს.

XVIII ს. ოსეთი წარმოადგენდა ცალკეულ ხეობა-საზოგადოებათა მექანიკურ კრებულს. ამ ხეობებს არავითარი პოლიტიკური ხელისუფლება არ აკავშირებდა ერთმანეთთან. თითოეული თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდა.

ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაზღვრულ როლს თამაშობდნენ გვარის უხუცესები. ვახუშტი ამ გარემოებას საგანგე-

ბოდ უსვამს ხაზს: „კვალად უწყიან პატივი მოხუცებულთა თჳსთა ფრიადი, და უვით, ვითარცა პატრონნი თვისნი. ამა მოხუცებულთაგან ჰყოფენ ბრჭობასა და ზავსა, და ყოველსავე საჭირნოსა თვისთა განარებენ მათით".

რა თქმა უნდა, ყველა მოხუცს არ ჰქონდა ასეთი დიდი პატივი. მათ მნიშვნელობას განსაზღვრავდა ის, თუ რამდენად ძლიერი გვარის უხუცესი იყო ესა თუ ის პირი. პირველ რიგში, ეს დიდი როლი ხელთ ეპყრო სოციალური ზედაფენის უხუცეს წარმომადგენლებს.

XVIII ს.-ში ოსები მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან საქართველოსთან, რუსეთთან, ყაბარდოსთან.

ყაბარდოელებმა მონღოლთა შემოსევების შემდეგ დაიკავეს ჩრდილო კავკასიის ცენტრალური ველები, რომლებიც ადრე ოსებს ეკავათ. დიდი ყაბარდო მოიცავდა ტერიტორიას მდ. კუმიდან თერგამდე, მცირე ყაბარდო — თერგიდან მდ. სუნჯამდე. ყაბარდოც ფეოდალურ სამფლობელოთა კრებული იყო.

ყაბარდოელმა ფეოდალებმა ისარგებლეს ველზე თავიანთი გაბატონებული მდგომარეობით და ოსთა მიმდგომი რაიონების დამორჩილება და დახარკვა შეძლეს. ყაბარდოელი ფეოდალები ადგენდნენ რაზმებს და ესხმოდნენ ოსებს, იტაცებდნენ საქონელს, ხალხს. თავის მხრივ, ოსებიც ესხმოდნენ ყაბარდოელთა სოფლებს და დიდ ზარალს აყენებდნენ.

XVIII ს. მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა ოსთა პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსთან. ვახტანგ VI-მ 1711 წ. ზარამაგამდე ილაშქრა და დაიმორჩილა ამ პუნქტის სამხრეთით მცხოვრებნი.

ქართლისა და იმერეთის მმართველ წრეებს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ნარ-მამისონის ხეობის ოსებთან. აქაურ ოსებს ქართველი მეფეებისაგან მრავალი წყალობისა და ჯამაგირების წიგნები მიუღიათ.

ოსები მრავალგზის მონაწილეობდნენ ქართლ-კახეთის მიერ უცხოელ დამპყრობლებთან წარმოებულ ბრძოლაში. XVIII ს. 40-იან წლებში სპარსეთის წინააღმდეგ მებრძოლ გივი ამილახვართან „მოვიდა ჯარი ოსისა და ჩერქეზისა, რომელნი მოსულიყვნენ ამილახორთან მოსახმარებლად".

თეიმურაზ II და ერეკლე II მეზობელ მაჰმადიანურ სახანოებთან ბრძოლაში სისტემატურად მიმართავდნენ ოსთა სამხედრო დახმარებას. 1750 წ. ოსები მათი დროშის ქვეშ იბრძოდნენ. ასევე, 1751 წ. აზატხანის, 1752 წ. აჯი-ჩალაბის, 1754-55 წწ. ნურსალბეგის წინა-

აღმდეგ ბრძოლაში ოსები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და უხვად საჩუქრდებოდნენ თეიმურაზისა და ერეკლესაგან.

ოსები მონაწილეობდნენ 1770 წ. ასპინძის ბრძოლაში ერეკლეს მხარეზე. ასევე, 1771 წ. ხერთვისის აღების ოპერაციებში. 1785 წ. ქართლ-კახეთში ომარხანის შემოსევასთან დაკავშირებით ჩრდილო კავკასიიდან ერეკლესთან 400 ოსი და ინგუში მეომარი მოვიდა.

ოსები ხშირად ყოფილან გამოყენებულნი შინაფეოდალურ ბრძოლებში. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, 1791 წ. თაგაურული და ქურთათელი ოსები ერეკლემ თავის ჯართან ერთად მიაშველა იმერეთის ტახტისათვის მებრძოლ თავის შვილიშვილს — დავით არჩილის ძეს, რომელიც გამეფდა სოლომონ II-ის სახელით.

ის ფაქტი, რომ თაგაურის ხეობაზე გადიოდა ჩრდილო კავკასიასა და რუსეთთან ქართლ-კახეთის დამაკავშირებელი თითქმის ერთადერთი მაგისტრალი, აიძულებდა ამ უკანასკნელის პოლიტიკურ მესვეურებს თაგაურელ ოსებთან კეთილგანწყობილებაში ყოფილიყვნენ. ამიტომ მათ თავკაცებს წყალობა-ჯამაგირების წიგნებს აძლევდნენ.

ოსების დასავლეთი რაიონები (მაგ. დიგორი) უპირატესად რაჭა-იმერეთთან იყვნენ დაკავშირებულნი.

რუსების კავკასიაში დამკვიდრებას ოსები დიდი ინტერესით შეხვდნენ. ოსები მათში ხედავდნენ ძალას, რომელსაც შეეძლო ისინი ყაბარდოელი ფეოდალების თვითნებობისაგან დაეცვა და ველზე გადმოსახლების პირობები შეექმნა.

რუსეთი, თურქებთან ურთიერთობის გამწვავების შიშით, ოსების საქმეებში აშკარად ჩარევისაგან თავს იკავებდა. მაგრამ მიმართავდა ღონისძიებებს, რათა ოსებში განემტკიცებინა რუსული ორიენტაცია და დასაყრდენი გაეჩინა ადგილობრივ წრეებში. ოსების ცენტრალური მდებარეობა კავკასიაში მის სტრატეგიულ მნიშვნელობას რუსეთის ამიერკავკასიასთან დაკავშირების საქმეში განუზომლად ზრდიდა. ოსეთზე გადიოდა ისეთი მაგისტრალები, როგორიც იყო საქართველოსა და ოსეთის სამხედრო გზები.

ოსებს რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებით ველის მიწებზე დასახლება, ყაბარდოელთაგან დაცვა და რუსეთთან ვაჭრობის გაფართოება სურდათ.

ოსეთ-რუსეთის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა „ოსეთის კომისიამ“. იგი რუსეთის მთავრობამ ვახტანგთან ერთად რუსეთს გადასახლებული ქართველი სასულიერო

პირების ინიციატივით შექმნა 1744 წელს. ოსეთის კომისია რუსეთის მთავრობის სასარგებლო პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა ოსებსა და ინგუშებში ქრისტიანობის ქადაგების გზით. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით რუსეთის მთავრობამ კომისია მთლიანად ქართველ სასულიერო პირთაგან დააკომპლექტა.

ოსეთის კომისიის წევრები სწავლობდნენ ადგილობრივ პოლიტიკურ ვითარებას, ხალხის პოლიტიკურ განწყობას, ზნე-ჩვეულებებს, შრომა-საქმიანობას, რელიგიას, მეზობელ ხალხებთან დამოკიდებულებას, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს და სათანადო ინფორმაციას აწვდიდნენ რუსეთის ხელისუფლებას.

კომისიის წაქეზებით ოსებმა ელჩობა გაგზავნეს რუსეთში. ოსეთის ელჩობა არქიმანდრიტ პახომისთან ერთად 1749 წ. 25 სექტემბერს ზარამაგიდან გავიდა რუსეთში. ელჩობის მეთაური იყო ზურაბ ელიხანოვი. მათ 1750 წ. 9 თებერვალს პეტერბურგს მიაღწიეს. ელჩობის მიზანი იყო: 1) რუსეთის შემადგენლობაში ოსეთის შეყვანა, 2) ოსეთის საგარეო უშიშროების უზრუნველყოფა, 3) მიწის ნაკლებობის გამო ოსთათვის მთისწინა ველებზე გადმოსახლების უფლების მიცემა.

პოლიტიკური მოსაზრებებით რუსეთის მთავრობამ ელჩობის თხოვნა ვერ დააკმაყოფილა. მათ მხოლოდ ასტრახანსა და ყიზლარში უბაჟო ვაჭრობის უფლება დართეს.

1763 წ. მოზდოკის ციხე-სიმაგრის აგების შემდეგ ოსები სახლდებიან მის გარშემო. რუსეთის მთავრობა გადმოსახლებულთ გარკვეულ შეღავათებს აძლევდა: სტარშინებს 10, უბრალო მოსახლეობას კი 5 მანეთს, აგრეთვე თესლს, სახნავ-სათიბს, საბოსტნე მიწებსა და ტყეს.

60-იანი წლებიდანვე რუსეთის მთავრობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ოსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესასწავლად. 1768-74 წწ. ოსეთის მთებში სამი ექსპედიცია მოეწყო ვერცხლ-ტყვიის მადნების ბაზაზე ქარხნის აგების საკითხის, აგრეთე პოლიტიკური ვითარების შესასწალვად.

1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვებამ ხელი შეუწყო რუსეთს ოსეთის მიმართაც აქტიური პოლიტიკა გაეტარებინა. ქუჩუკ-კიანარჯის ზავით ყაბარდოს ნეიტრალიტეტი გაუქმდა და რადგან ოსეთის რიგი საზოგადოებები მასზე დამოკიდებულად ითვლებოდნენ, ოსეთიც ფორმალურად რუსეთის ქვეშევ-

რდომი გახდა. ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიის ნაწილად ოსეთი უფრო მოგვიანებით იქცა.

რუსეთის მთავრობა სოციალური ზედაფენების მოსყიდვა-მოფერების პოლიტიკას შემდეგაც ატარებდა. პ. პოტიომკინის ამალაში მრავალი ოსი სტარშინა შედიოდა, რომელთაც სამხედრო ჩინები და ჯამაგირები ჰქონდათ.

## ვაინახები (ჩეჩნები და ინგუშები)

XVI-XVIII საუკუნეებში ჩეჩენები და ინგუშები, ისე როგორც ადრეულ საუკუნეებში, უმეტესად მდ. თერგის ზემო წელის აღმოსავლეთით, მთებში ცხოვრობდნენ. აღნიშნულ საუკუნეებში, სხვადასხვა წყაროებით, ისინი ძირითადად ცნობილნი იყვნენ როგორც მიჩკიზელები, მერეზელები, შუბუტილები, მულკები, კალკანელები, ეროხანელები, ოკოკელები, ოკოჩანელები, აკოჩანელები, ღლიღვები, დურძუკები, ქისტები და სხვ.

ამისდა მიხედვით, როგორც წესი, დასახლებული ტერიტორიებიც მათი სახელისდა შესაბამისად იხსენიებოდა. ასე, მაგალითად, „მიჩკიზელთა მიწა“, „შიბუტინელთა მიწა“, „ოკოჩანელთა მიწა“ და სხვ.

საკუთრივ თვით ინგუშთა კრებითი სახელი კი „გალგაი“ ქართულ წყაროებში მოხსენიებულ ღლიღვისა და რუსულ წყაროებში ცნობილ კალკანს ეხმაურება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „გალგაი“ კონკრეტულად ერთ-ერთ ინგუშურ ტომთა გაერთიანებასა ეწოდებოდა, რომლის საცხოვრებელი ადგილი უმეტესად მდ. სუნჯის შენაკადის მდ. ასის ხეობასა და ველს მოიცავდა.

საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ თავის გეოგრაფიაში მოყვანილი მდ. კისტინკის შესართავში მდებარე კლდოვანი ადგილის ჯარიეხის სახელწოდება, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს, ალბათ, ერთ-ერთი ხალხის — ჯერახების სახელთან, რამდენადაც XVIII-XIX სს.-ის მასალებით ამ მდინარის ხეობაში სწორედ ჯერახები და ქისტები ცხოვრობდნენ. უდავოა, რომ XVI-XVIII სს.-ის რუსულ წყაროებშიც მოხსენებული „ეროხანელი ხალხი“ სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არა ჯერახები.

მდ. არმხის ანუ კისტინკის ხეობა ორ ცნობილ ველს აკავშირებდა ერთმანეთთან — ასისა და თერგისას. თვით მდ. ასის ხეობა

კი სხვადასხვა გადასასვლელებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთთან. შეიძლება ამან განაპირობა ის, რომ ვაინახთა ერთი ნაწილი მოსცილდა თავის ბირითად საცხოვრებელ ტერიტორიას და სწორედ ამ სამიმოსვლო გზების გასწვრივ დასახლდა. ასე, მაგალითად, ქისტ-მელხისტინელების აულები (ეს მათი ნამდვილი სახელწოდების — მიხტოს წოვა-თუშური ფორმაა) მდ. სუნჯის შენაკად არღუნის ზემო წელში განლაგდნენ, ხოლო ქისტი-ბაცბები კი უფრო სამხრეთით, თუშეთში ჩამოვიდნენ, სადაც მიიღეს კიდეც ახალი სახელწოდება — წოვა-თუშები. გადმოსახლების ეს პროცესი ძირითადად XVI საუკუნის მიწურულისათვის უნდა დამთავრებულიყო.

XVI-XVII საუკუნეების წყაროებისათვის ჯერ კიდევ უცნობია მაღალმთიანი ინგუშური მოსახლოების ბარში ჩამოსახლების ფაქტი, არ იხსენიება აული ანგუშტიც, რომლის სახელწოდებაც (ინგუშები) რუსულმა წყაროებმა მთელ ხალხზე გაავრცელეს.

მდ. ასის აუზის ინგუშურ მოსახლოებას აღმოსავლეთით ემეზობლებოდა ჩეჩნური თემი აკო, რომელიც განსახლებული იყო ბირითადად მდ. სუნჯის შენაკად გეხის ზედაწელში. XVI საუკუნისთვის მათი ერთი ნაწილი კიდევ უფრო აღმოსავლეთით გადასახლდა და დაიკავა მთისძირი რაიონები მდინარეების აკსაისა და აკტაშას შორის, მდ. იამან-სუს გასწვრივ.

აკოელები წყაროების მიხედვით ცნობილნი იყვნენ აგრეთვე აკოჩანების, ოკუკებისა და უფრო გვიან კი აუხელების სახელით.

მდ. სუნჯის ერთ-ერთი პატარა შენაკადის მერეჯის სახელი დაედო საფუძვლად, როგორც ჩანს, ერთ ჩეჩნურ თემსაც — მერჟო (მერეჯო).

XVII ს. წყაროები ამ თემის მოსახლეობას მერეჯინელებად იცნობენ.

აღნიშნულ საუკუნეებში ყველაზე დიდი ჩეჩნური გაერთიანებები მოქცეული იყვნენ მდინარეების — შარო-არღუნის და ჩანტი-არღუნის ველებზე, მაგალითად, შიბუტელები, შატოელები, ჩატელები, მულკები და სხვ. XVII ს.-ის წყაროების მიხედვით, აშკარად შეიმჩნევა მთიელ ჩეჩენთა საგვარეულოების უფრო ჩრდილოეთით მდ. სუნჯისკენ გადასახლება. XVII ს.!ის შუა პერიოდისათვის, მაგალითად, შიბუტელები გრებენელ კაზაკთა დასახლების ახლო არიან მდ. თერგის მარჯვენა მხარეს.

ისე როგორც სხვა შემთხვევაში, მდინარის სახელი დაერქვა კიდევ ერთ ჩეჩნურ თემსაც მიჩიკს (იგულისხმება მდ. სუნჯის მარჯვენა შენაკადი მიჩიკი), რომლის წარმომადგენლებიც რუსულ წყაროებში უმეტესად ცნობილი იყვნენ მიჩკიზელებად.

XVI ს.-ის მეორე ნახევარში სუნჯასა და თერგზე დროდადრო რუსული ციხე-სიმაგრეების მშენებლობამ, ხოლო 1588 წ. კი საბოლოოდ თერგის შესართავთან თერგქალაქის ჩადგმამ, შეიძლება ითქვას, რომ რამდენადმე დააჩქარა მთიელი ჩეჩენი დ ინგუში მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების პროცესი XVI ს.-ის დასასრულისათვის. მაგალითად, თერგქალაქთან უკვე ჩანს კიდეც აკოელების პირველი ასეთი უბანი, რომელსაც რუსული წყაროები ოკოჩანელებს უწოდებს, ხოლო დასახლებას კი — ოკოცკის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ XVI-XVII საუკუნეებში არ გამოიყენებოდა ეთნოსების კრებითი სახელები ჩეჩნები და ინგუშები. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ სახლეწოდება ჩეჩნები აულ ჩეჩენიდან მოდის, ხოლო ინგუშები კი — აულ ანგუშტიდან. ამასთან, პირველი წყაროებში მოხსენიებულია XVII ს.!ის დასასრულსა და XVIII ს.-ის დასაწყისში, ხოლო მეორე კი უფრო გვიან, XVIII საუკუნეში.

XVI ს.-ის მეორე ნახევრიდან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განახლების შემდეგ ჩეჩნები და ინგუშები კახეთის სამეფო კარის უფრო მეტი ყურადღების ცენტრში მოექცნენ, რამდენადაც დროდადრო არაგვის საერისთაოსთან შინაფეოდალური აშლილობის გამო, გზას კახეთთან თერგზე მთათუშეთსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთზე გავლით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ მოხდა, რომ XVII ს.-ის 30-იან წლებში, როდესაც არაგვის ერისთავმა ხევ-ყაბარდოს გზა ჩაკეტა, თეიმურაზ I-მა თერგზე გამავალი მეორე გზისათვის, რომელიც თუშ-ფშავ-ხევსურეთ-ჩეჩენ-ინგუშეთზე გადიოდა, სპეციალური ლაშქრობა მოაწყო კავკასიის მთიანეთში, რომ მთიელებს არ შეეფერებინათ რუსეთ-კახეთის ელჩობის თავისუფალი მიმოსვლა.

ჩეჩენები და ინგუშები ყველაზე ახლო ურთიერთობაში მაინც თუშებთან იყვნენ. XVII ს. 50-იან წლებში შიბუტელთა წარმომადგენლები ალხანი, სუსლო და ალგანი თუშებთან ერთად მოსკოვში იყვნენ ჩასულები და მათაც მეფეს ერთგულების ფიცი მისცეს. ამავე საუკუნის 60-იანი წლების ერთ-ერთი ცნობიდან კი ირკვევა, რომ ში-

ბუტელთა გარკვეული ნაწილი თუშებს მორჩილებდნენ და მათ თითოეული სოფლიდან 10 ცხვარს აძლევდნენ

XVI ს.-ის 60-70-იან წლებში ჩეჩენ-ინგუშთა ტერიტორიაზე კაზაკები გამოჩნდნენ. თერგის კაზაკთა დაბები უმეტესად რუსეთის შიდა რაიონებიდან ფეოდალურ ექსპლოატაციასა და მოხელეთა უკანონობას გამოქცეული ყმა-გლეხობა იყო — ყველაზე ადრე ჩერელენელ და შჩედრინელ კაზაკთა დაბები გაჩნდნენ, რომლებსაც შემდეგ ერთი-მეორეზე მიყოლებით სხვებიც მოჰყვნენ. XVII ს.-ის ოთხმოციან წლებში კი დიდი თერგქალაქის ჩადგმას რუსეთისათვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

XVIII საუკუნეში ძირითადად მთავრდებოდა ჩეჩენ-ინგუშების მიერ მთიანი რაიონებიდან ბარის რაიონებში გადმოსახლების ადრე დაწყებული პროცესი. ველზე გადმოსახლებულთათვის მეურნეობის ძირითადი დარგი მიწათმოქმედება ხდება.

XVIII ს.-ის ბოლოსათვის სუნჯისა და თერგის აუზებში დასახლებულმა ჩეჩნებმა მეზობელთაგან გადაიღეს გაუმჯობესებული შრომის იარაღები, აითვისეს ფართო სახნავი მიწები, მდელოები, საძოვრები. მათ ჰქონდათ ვენახები, ბოსტნები. მთიდან გამოსულ ჩეჩნებს ისინი იღებდნენ და აძლევდნენ მიწას.

1761 წელს, თებერვლის თვეში, ასტრახანის გუბერნიის კანცელარიაში მიღებულ იქნა არქიმანდრიტ პახომის მოხსენება, რომელსაც ახლდა ოსი და ქისტი სტარშინების წერილები. ისინი აცნობდნენ, რომ ყაბარდოელი და ჩეჩენი მფლობელები აპირებენ ჩვენზე თავდასხმას და დაგვიცავითო. ისინი ითხოვდნენ თერგის ჯარის როტმისტრის კირეევის გამოგზავნას, რომელიც მათთან იქნებოდა ხვნის დროს მარტ-აპრილში და მკის დროს ივლის-აგვისტოში, რათა მათზე თავდახსმები არ დაეშვა. ეს ცნობა მეტად საინტერესოა და ინგუშებში მემინდვრეობის დიდ როლზე მიგვითითებს.

გაცილებით უფრო ინტენსიური ჩანს ვაინახების საგარეო ვაჭრობა. იგი მყარდებოდა გრებენელ კაზაკებთან, რომელთაც უშუალოდ ემეზობლებოდნენ ისინი თერგსა და სუნჯაზე. XVIII ს. 10-იან წლებში გრებენელ კაზაკთა სამოსახლოებმა თერგის მარცხენა ნაპირზე გადაინაცვლეს. 1735 წელს აღდგენილ იქნა ყიზლარის ქალაქი და სიმაგრე — ჩრდილო კავკასიის მთავარი ეკონომიკური ცენტრი XVIII ს-ში და XIX ს.-ის პირველ მესამედში. ყიზლარის მოსახლეობა იზრდება XVIII ს. დასაწყისში ამიერკავკასიიდან გამოსული მოსახლეობის (ქართველები, სომხები), აგრეთვე მთიელი მოსახლეო-

ბის ხარჯზე. 1725 წ. ხანძარმა შთანთქა იგი, მაგრამ 1735 წ. კვლავ აღადგინეს. 1798 წ. იგი უკვე 5,5 ათასიან მოსახლეობას ითვლიდა.

ყიზლარის, როგორც სიმაგრის, დაარსების შემდეგ თერგის მარცხენა ნაპირზე გაჩნდა დონელ კაზაკთა სტანიცები — ბოროზდინსკაია, დუბოვსკაია, კარგალინსკაია. 30-იან წლებიდან ყიზლარი მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებს ჩეჩენ-ინგუშებთან და დაღესტნის ხალხებთან. მოზდოკის დაარსებამდე (1763 წ.) ოსებიც ყიზლარში ვაჭრობდნენ.

ინგუშთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოზდოკსა და ვლადიკავკაზს (1784 წ. დაარსდა როგორც ციხე-სიმაგრე).

გრებნელი კაზაკები თერგს გაღმა ცვლიდნენ მარილს, თევზს, შინაურ ტილოს, ბოსტნეულ კულტურებს, მთიელთაგან კი იღებდნენ ნაბდებს, ყაბალახებს, ურმებს, ურმის თვლებს და ცხენებს.

ახლანდელი სოფ. ტოლსტოვ-იურტი განთქმული იყო თოხების, ნამგლების, დანების და სხვ. იარაღების დამზადებით. ამით იგი არა მარტო მეზობელ სოფლებს, არამედ ყიზლარის ბაზარსაც ამარაგებდა. სოფ. ბრაგუნი სპილენძის ჭურჭელს ამზადებდა გასაყიდად. ძველი ატაგელების დამზადებული ცივი იარაღი კაზაკთა ფოლკლორშიც იყო შექებული. იჩქერია განთქმული იყო ნაბდებით.

ჩეჩნებს XVIII ს.-ის 30-იანი წლებიდან ყიზლართან ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ. მიჰქონდათ შეშა, მარგილები ვენახებისათვის, სამშენებლო ხე-ტყე დაცურებით (ტივებად). ტივები მზადდებოდა ზამთარში და წყალუხვობისას სუნჯითა და თერგით ყიზლარამდე აცურებდნენ.

ბარში გადასახლებული ჩეჩნებისა და ინგუშების ნაწილი ყაბარდოელ, ყუმიყ და დაღესტნელ ფეოდალთა დამოკიდებულებაში მოექცა.

XVIII ს.-ის პირველ მეოთხედში დაღესტნელი მფლობელები აიდემირ და მუსალ ჩაპალოვები ფლობდნენ „ჩეჩნეთის მნიშვნელოვან ნაწილს“. ყუმიყთა მფლობელმა აიდემირ ბარდიკანოვმა ხელთ ჩაიგდო აული დიდი ჩეჩენი და დიდი ატაგი. ბრაგუნელ ჩეჩნებს ფლობდა მუდარი. ყაბარდოელი დევლეთ-გირეი ჩერკასკი ფლობდა ჩეჩნების სოფლებს — შალს, გერმენჩუკს და სხვ. ჩეჩნები ყაბარდოელ ფეოდალებს იასაკს უხდიდნენ მსხვილფეხა საქონლითა და ცხვრებით.

ინგუშები ყაბარდოელ ფეოდალთა შევიწროებისაგან თავის დასახსნელად XVIII ს.-ის 50-იან წლებიდან იწყებენ ქრისტიანობის

მიღებას და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას. ბუტკოვის ცნობით, ინგუშებმა 1769 წ. ყიზლარის კომენდანტს მიმართეს თხოვნით გაეთავისუფლებინა ისინი ყაბარდოელ ფეოდალთაგან და რუსეთის ქვეშევრდომობაში მიეღო. 1773 წ. ინგუში სტარშინები რუსებს ყაბარდოელ ფეოდალთა შევიწროებისაგან დაცვას სთხოვენ.

1757 წ. ჩეჩნები აჯანყდნენ მოსული ფეოდალების წინააღმდეგ და გააძევეს, მაგრამ რუსეთი ჩაერია ამ ბრძოლაში. დასაჯა ჩეჩნები და აიძულა კვლავ დამორჩილებოდნენ ყუმიყ, ყაბარდოელ და დაღესტნელ ფეოდალებს. ასეთივე აჯანყება სასტიკად ჩაახშეს 1774 წელს.

XVIII ს.-ში ინგუშებს და ჩეჩნებს მეზობელ ხალხებთან — ოსებთან, ყაბარდოელებთან, ყუმიყებთან, დაღესტნელებთან, საქართველოს მთიელებთან განსაზღვრული სამეზობლო ურთიერთობანი ჰქონდათ. ხშირად ეს ურთიერთობანი შეიარაღებულ შეჯახებაშიც გადადიოდა.

რუსეთი XVIII ს.-ში უშუალოდ მოადგა ჩეჩენ-ინგუშთა სამოსახლოებს. კაზაკთა სტანიცების სახით მან ვაინახების უშუალო მეზობლად მძლავრი დასაყრდენი გაიჩინა მხარის კოლონიზაციის მიზნით. ოსეთის კომისიის მეშვეობით, რომელიც XVIII ს.-ის 40-იანი წლების შუა ხანებში შეუდგა მოღვაწეობას, ცარიზმი ეწეოდა ქრისტიანობის ქადაგებას ინგუშთა შორის და ამით, აგრეთვე იმ ილუზიის შექმნით, რომ იგი დაიცავდა მათ ყაბარდოელ და სხვა მხარის მფლობელთა ჩაგვრისაგან, მათ შორის რუსულ ორიენტაციას ნერგავდა. რუსეთი ერეოდა ჩეჩნურ-ინგუშური საზოგადოების შინაურ ცხოვრებაში. მიმართავდა იარაღს მათი დამორჩილებისათვის, ხშირად მათ ერთმანეთს უსევდა, ბრძოლაში აბამდა. 1758 წ. ჩეჩენთა წინააღმდეგ მოწყობილ რუსთა ლაშქრობაში მონაწილეობდა 100 მონათლული ინგუში.

ჩრდილო კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების ცდები თურქეთისა და მისი ვასალის — ყირიმის ხანის გააფთრებას იწვევდა. მუსლიმანობის გაძლიერებული პროპაგანდითა და უშუალო ლაშქრობებით ისინი ცდილობდნენ ჩრდილო კავკასია, მათ შორის ჩეჩნები და ინგუშები, თავის ბატონობაში მოექციათ და რუსეთისათვის შემდგომი წინსვლის საშუალება არ მიეცათ. 1735 წელს ყირიმის ხანი შემოიჭრა ჩრდილო კავკასიაში და ჩეჩნეთის ხეობით უნდოდა გასვლა. ჩეჩნებმა სასტიკად გაანადგურეს იგი.

XVIII ს.-ის ისტორიკოსის პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1754 წელს ნურსალბეგის ქართლ-კახეთში შემოჭრასთან დაკავშირებით თეიმურაზთან და ერეკლესთან ჩრდილო კავკასიიდან „ჩამოვიდნენ ანანურს ჯარი ჩერქეზისა, ყალმუხისა, ჯიქისა, ქიშტისა, ღლიღვისა, ნოღისა და ოსისა“.

XVIII ს. გრძელდებოდა ვაინახთა გადმოსვლა კავკასიონის გადმოღმა ადგილებში: ბაცბები ანუ წოვა-თუშები, მოგვიანებით პანკისელი ქისტები. ეთნიკური მიმოქცევა კავკასიის მთიანეთისათვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

## დაღესტნელები

ფეოდალური ურთიერთობის განვითარებამ XIV-XV სს.-ში გამოიწვია წვრილ-წვრილ ფეოდალურ გაერთიანებათა მომძლავრება და მათი XVI ს.-ის დასაწყისისათვის უკვე შედარებით მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებად გადაქცევა. ასე რომ, XVI საუკუნისათვის დაღესტანში გამოიკვეთა ისეთი დიდი გაერთიანებები, როგორიც იყო საშამხლო, ავარიის სახანო, ხაიტაყის საუცმიო, თაბასარანის სამაისუმო და ამათგან დამოუკიდებლად კიდევ რიგი სასოფლო თემების კავშირები, ე. წ. საზოგადოებები.

XVII საუკუნის დასაწყისისათვის შამხალებმა თავიანთი რეზეიდენცია ყაზიყუმუხიდან უფრო ჩრდილოეთით გადმოიტანეს ტარკსა და ბოინაკში. ყაზიყუმუხეთში ისინი მხოლოდ არჩევნების დროსა და ზაფხულობით ჩადიოდნენ. XVII საუკუნისათვის საშამხლოს გამოეყვნენ აგერთვე წახურელები, რუთულები, აღულები და სხვადასხვა საზოგადოებები. XVII საუკუნეშივე ჩამოყალიბდა მეხტულის სახანო.

ასე რომ, XVI-XVII სს.-ში დაღესტანი წარმოადგენდა პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანას, სადაც ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ ზარიჰგარანი, დერბენტის სახანო, ხაიდაყის საუცმიო, ხუნძეთის (ავარიის სახანო) სანუცლო, ტარკის საშამხლო, ყაზიყუმუხის სახანო, მეხთულის სახანო, თავისუფალი საზოგადოებები.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში დაღესტნური სახელმწიფოებრივი გაერთიანებები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

**ზირიჰგარანი.** ერთ-ერთი ყველაზე ადრეული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც დაღესტნის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა, ცნობილი იყო ზირიჰგარანის სახელწოდებით და გულისხმობდა აულ კუბაჩისა და მის მიმდებარე ტერიტორიას. „ზაირიჰგარანი“ სპარსულად „აბჯრის მკეთებლებს“ ნიშნავს, რასაც, სხვათა შორის, შეესაბამება თურქული წარმომავლობის სახელიც — კუბაჩი. თავის თავს კუბაჩელები უწოდებენ „უგბუგ“-ს — „ადამიანების დამღუპველებს“. მეზობლები მათ ზოგჯერ ეძახდნენ „ფრანგებსაც“, რაც, შეიძლება, დაკავშირებული იყო კუბაჩელების ხშირ მიმოსვლასთან სხვადასხვა ქვეყანაში. კუბაჩელების წინაპრები უძველესი დროიდან ოსტატდებოდნენ ჯავშნისა და იარაღის კეთებაში. XII საუკუნის ავტორი ალ-ღარნატი ასე მოგვითხრობს კუბაჩელების შესახებ: „ზირიჰგარანის მცხოვრებლები ამზადებენ ყველანაირ საბრძოლო იარაღს: ჯაჭვის პერანგებს, ჩაჩქანებს, ხმლებს, შუბებს, ისრებს, ხანჯლებს. მათი ცოლები, შვილები, მონები და სხვანი — ყველა ამ ხელობითაა დაკავებული და არა აქვთ მათ სახნავ-სათესი და ბაღები“.

XIII საუკუნის დასაწყისისათვის წყაროებში ზირიჰგარანი იხსენიება როგორც დამოუკიდებელი სახელისუფლო. დერბენტის ემირები გამუდმებით ცდილობდნენ მის დამორჩილებას, მაგრამ უშედეგოდ. ზირიჰგარანის დამოუკიდებლობა დაახლოებით XIV საუკუნის დასასრულამდე გაგრძელდა.

**დერბენტის სახანო.** დერბენტის გეოგრაფიულმა მდებარეობამ მთლიანად განსაზღვრა მისი ისტორიული ბედი — ყოფილიყო მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენათა ეპიცენტრში. დერბენტთან კავკასიონის მთები თითქმის ზღვამდე ეშვება და სანაპირო ზოლის სიგანე მხოლოდ 2-3 კილომეტრს შეადგენს. როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ამ ადგილას გადიოდა ყველაზე მოსახერხებელი გზა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას წინა აზიასთან აკავშირებდა. ამ გზაზე არსებული ვიწრო გასასვლელის ხელში ჩაგდებას, თუ ხელიდან არ გაშვებას — ჩაკეტვას — სტრატეგიული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ისტორიული მისიის გამოხატულებაა სახელი „დერბენტი“, რაც სპარსულად „ჩაკეტილ კარს“, „დახშულ კარს“ ნიშნავს („დარ“ — კარი; „ბანდ“ — ჩაკეტვა, შეკვრა). გარდა ამისა, სხვადასხვა წყაროებში იგი იხსენიება როგორც „კარი“, „კართა კარი“ (არაბულად,

შესაბამისად, „ბაბ“ და „ბაბ ალ-აბვაბ“), „რკინის კარები“, „კასპიის კარი“ და სხვ. საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, ქართული საისტორიო წყაროს, „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, რომელშიც მოცემულია ამ ადგილის როგორც უძველესი, ასევე შედარებით გვიანდელი, სპარსული სახელწოდება: „ზღვის-კარი, რომელსა აწ ჰქვიან დარუბანდი“.

დერბენტის დაარსების დრო ისტორიის უძველეს შრეებში იკარგება. ზოგიერთი ვერსია მის დაფუძნებას ლეგენდარულ ირანელ მეფეებს მიაწერს, ზოგიერთი — ალექსანდრე მაკედონელს. არქეოლოგიური მონაცემები გვიდასტურებს, რომ VIII-VII საუკუნეებში ჩვ. წ-მდე აქ უკვე იყო მძლავრი სიმაგრეები, აშენებული მომთაბარე ტომების თავდახსმების საპასუხოდ. დერბენტში ნაპოვნი სკვითური ისრის წვერები ამ ბრძოლების უტყვი მოწმეებია. „ქართლის ცხოვრება“ დერბენტის დაარსებას მიაწერს სპარს ერისთავს, ვინმე არდამს: „ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვის კარს და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმანების „დახშა კარი“.

საისტორიო წყაროები დერბენტის კედლის, მსოფლიოს ერთერთი უდიდესი საფორტიფიკაციო ნაგებობის (მისი სიგრძე 40 კილომერს აღწევდა) მშენებლობას V-VI საუკუნეების სასანური ირანის მეფეებს, უმთავრესად კი ერთ-ერთ ყველაზე ძლევამოსილ მათგანს, ხოსრო I ანუშირვანს (531-579) უკავშირებს. ამ გრანდიოზული მშენებლობის წამოწყების მთავარი მიზეზი დასავლეთ კასპიისპირეთში ირანისა და ჰუნების დაპირისპირება უნდა ყოფილიყო. დერბენტის კედლებზე შემორჩენილია საშუალო სპარსულ ენაზე, ფალაურზე შესრულებული წარწერები, საიდანაც ვიგებთ ზოგიერთ ცნობას მშენებლობის სხვადასხვა ეტაპის შესახებ. კერძოდ, აქ აღნიშნულია თარიღი — 576 წელი; სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელი ირანელი მოხელის სახელი — ბარზნიში და სხვ. X საუკუნის არაბი ავტორი იბნ ალ-ფაკიჰი, შეიძლება გადაჭარბებით, მაგრამ ასე აფასებდა ამ გრანდიოზული სამუშაოს მნიშვნელობას: საზღვრის დასაცავად თუ ადრე 50 000 კაცი იყო საჭირო, კედლის აშენების შემდეგ ამ მოვალეობას 100 კაციც თავისუფლად უძღვებოდაო.

დერბენტის სამხრეთით შემორჩენილია ერთი ძველი ქალაქის ნანგრევები, გალავნითა და ღრმა თხრილით. როგორც ვარაუდობენ, აქ უნდა ყოფილიყო ქალაქი ჩორი (იგივე ჩოღი თუ ჩოგი), რომლის ტერიტორიაც ალბანეთის ცალკე რაიონს შეადგენდა. სწორედ აქედან ყოფილან წარმოშობით ძველი ალბანეთის მეფეები. დაახლოე-

ბით ასეთივე სახელით იხსენიებენ მას თანამედროვე ლეკები და დარგოელები — ჩუული, ჩურული. თანდათანობით ჩორის მნიშვნელობა დაეცა და მისი დასახელება გადავიდა დერბენდტზე.

VIII-X საუკუნეებში დერბენტი გვევლინება როგორც კავკასიის ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი და კასპიის ზღვის უდიდესი პორტი. ჩრდილოეთ კავკასიისა და კასპიისპირეთის მთელი ექსპორტი დერბენტის გავლით გადიოდა. დერბენტის ნავსაყუდელის ფართობი, სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, 25-დან 300 ჰექტარამდე ყოფილა. პორტის შესასვლელი ჯაჭვით იკეტებოდა და გემებს იქ შესვლა მხოლოდ ქალაქის მცხოვრებლების თანხმობით შეეძლოთ. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, დერბენტი სიდიდით აღემატებოდა იმდროინდელი ამიერკავკასიის უდიდეს ქალაქებს თბილისსა და არდებილსაც კი. საინტერესოდ ასახავს დერბენტის ისტორიას ქალაქის გალავანში დატანებულ კარებთა დასახელებები: „ბაბ-ალ-მუჰაჯირ“ — „გაქცეულთა, დევნილთა კარი“, „ბაბ ალ-ჯიჰად“ — „სარწმუნოებისთვის ბრძოლის კარი“, „ბაბ ალ-ხაზარ“ — „ხაზარების კარი“ და სხვ.

მომდევნო საუკუნეებში დერბენტის პოლიტიკური მდგომარეობა მეტად ცვალებადია. IX-X საუკუნეებში დერბენტს მართავს ჰაშიმიანთა დინასტია; XII-XIII საუკუნეებში — დამოუკიდებელი ემირატია; XVI საუკუნიდან — უშუალოდ ემორჩილება სეფიანთა ირანის შირვანის ხელისუფალს; 1722 წელს — რუსეთს შეუერთდა; 1735 წელს კი, რუსეთ-ირანის ხელშეკრულების საფუძველზე, კვლავ ირანის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა; ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ დერბენტი დამოუკიდებელ სახანოდ ჩამოყალიბდა, მაგრამ დიდხანს ვერ იარსება; XVIII საუკუნის 60-იან წლებში იგი აზერბაიჯანის ყუბის სახანოს შეუერთდა.

**თაბასარანის სამაისუმო.** დერბენდს ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა თაბასარანის სამაისუმო. თაბასარანის მმართველები უკვე VIII საუკუნიდან ატარებდნენ მაისუმის სახელს. საისტორიო ქრონიკა „ასარი დაღესტან“-ის მიხედვით, არაბმა სარდალმა აბუ მუსლიმმა, დაიმორჩილა რა დაღესტანი, თაბასარანის მმართველად ვინმე მუჰამედი დანიშნა, რომელიც ცნობილი იყო აგრეთვე მაისუმის სახელით. ამის შემდეგ თაბასარანის ყველა მმართველს უკვე მაისუმს უწოდებდნენ. XII-XIII საუკუნეები თაბასარანისათვის პოლიტიკური დაღმავლობის პერიოდია. ამ დროს ის დამოუკიდებელ ერ-

თეულებად, რუსტაკებად იშლება. XV საუკუნიდან კი თაბასარანი მოულოდნელად კვლავ ძლიერდება და აქტიურ მონაწილეობას იღებს დაღესტნის ცხოვრებაში. ამავე დროს, თაბასარანის სამხრეთში გაძლიერდა სასულიერო პირების, ყადიების ხელისუფლება, რომელმაც თანდათანობით შეიძინა ნახევრადდამოუკიდებელი ხასიათი. საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების მოგვარება მაისუმსა და ყადის ევალებოდა. ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტდა მოსახლეობის საერთო საბჭო — დიგორი, რომელიც წელიწადში ორ-სამჯერ იკრიბებოდა და მას თითოეული ოჯახის წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა. ომის შემთხვევაში მაისუმი და ყადი შეერთებული ძალებით კრებდნენ ლაშქარს. მაისუმის რეზიდენცია იყო სოფელი ჩეგრეხი, ხოლო ყადისა — ერენი. მაისუმობა ძირითადად მემკვიდრეობით გადადიოდა, თუმცა მოქმედებდა არჩევითობის პრინციპიც. ომის დროს მაისუმს შეეძლო გამოეყვანა 3500 მეომარი, ხოლო ყადის — 4000.

**ხაიდაყის საუცმიო.** დერბენტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ფეოდალური გაერთიანება ხაიდაყი, რომლის მმართველსაც „უცმი“ ეწოდებოდა. ტიტული „უცმი“ პირველად საისტორიო წყაროებში XIV საუკუნიდან გვხვდება. ეს სახელწოდება ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს, თუმცა მისი მნიშვნელობა ჯერჯერობით დაუზუსტებელია.

X საუკუნის არაბი ავტორი იბნ-რუსტა ხაიდაყის მმართველის შესახებ წერდა, რომ იგი სამი რელიგიის მიმდევარი ყოფილა: პარასკეობით ლოცულობდა მუსლიმებთან ერთად, შაბათობით — ებრაელებთან, ხოლო კვირაობით — ქრისტიანებთან. იგი ამას თურმე იმიტომ აკეთებდა, რომ უკეთ ჩასწვდომოდა ყოველი რელიგიის არსს, რადგან თითოეული მათგანის წარმომადგენლები თავისი კონფესიის უპირატესობას ამტკიცებდნენ.

XIV საუკუნიდან ხაიდაყი ცნობილია ხაიდაყის საუცმიოს სახელწოდებით. ამ „ქვეყნის“ დედაქალაქი იყო ჯერ ყალაკორეი, შემდეგ ურქარახი. განსაკუთრებით გაძლიერდა საუცმიო XIV-XV საუკუნეებში. უცმის ხელისუფლება არ იყო აუცილებელი მამიდან შვილზე გადასულიყო. იგი შეიძლება გვარის ერთ-ერთ უფროს წევრსაც მიეღო, მაგრამ ის უნდა დაემტკიცებინა საერთო-სახალხო კრებას. ომისა და მშვიდობის საკითხებს წყვეტდა უცმი გავლენიან ბეგებთან ერთად. უცმის მუდამ თან ახლდა 300 მხედრისაგან შემდგა-

რი ამალა, რომელიც პოლიციის ფუნქციასაც ასრულებდა. ომის დროს საუცმიოს დაახლოებით 12 500 მებრძოლის გამოყვანა შეეძლო.

**ხუნძეთის სანუცლო**. ხუნძეთის სანუცლო, XVIII საუკუნის შუა ხანებიდან — სახანო (ავარიის სახანო), მთიანი დაღესტნის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებს მოიცავდა და ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და გავლენიანი სახელისუფლო იყო დაღესტნაში.

მთიანი დაღესტნის ტერიტორია VI საუკუნის სირიულ ქრონიკაში ცნობილია ბეთ-დადუს სახელით. ბეთ-დადუ, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება გავაიგივოთ დიდოელებთან, რომლებიც ადრეულ საუკუნეებშივე წარმოადგენდნენ აქტიურ ძალას ჩრდილოეთ კავკასიაში. მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, „ბეთ-დადუს“ ცნება უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ დიდოელთა სამფლობელო და გულისხმობს მთიანი დაღესტანის ტერიტორიას, თუ მთლიანად არა, მის დიდ ნაწილს მაინც. ამ რაიონს სპარსულ-არაბული გეოგრაფიული ტრადიცია იცნობს სერირის სახელწოდებით. თავდაპირველად სერირი მხოლოდ ხუნძებით დასახლებულ ტერიტორიას აღნიშნავდა. თანდათანობით კი მისი საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა: სერირის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ალანეთსა და ხაზარეთს ემიჯნებოდა, ხოლო დასავლეთი — საქართველოს. სერირის დედაქალაქად იხსენიება ხუმრაჯი. როგორც ჩანს, აქ საქმე უნდა გვქონდეს არაბული გრაფიკის დამახინჯებასთან და უნდა წავიკითხოთ ხუნძახი — ხუნძეთის (ავარიის) მმართველების, **ნუცლების**, ცნობილი რეზიდენცია.

დაახლოებით XIII საუკუნეში სერირი დაიშალა რამდენიმე მცირე სამფლობელოდ, რომელთა ნაწილიც შემდგომში შევიდა ხუნძეთის (ავარიის) სანუცლოს შემადგენლობაში. ხუნძეთის სანუცლოს თავდაპირველად ეკავა ყოფილი სერირის ცენტრალური ტერიტორია. მისი საზღვრები ძირითადად ჩამოყალიბდა XV საუკუნეში.

ხუნძეთის (ავარიის) მმართველების სახელწოდება „ნუცალი“ დაახლოებით XII საუკუნიდან იხსენიება წერილობით წყაროებში. ამ ტიტულის ეტიმოლოგია ჯერჯერობით ზუსტად არაა დადგენილი. მას უკავშირებენ ხუნძურ სიტყვას „ნუსგო“-ს — „ასი“; ებრაულ „ნუცი“ ან „ნუსი“-ს — „თავადი, უხუცესი“. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, სერირის პოლიტიკური დასუსტების შემდეგ XI საუკუნიდან მისი მმართველები მოექცნენ საქართველოს სამეფოს გავლენის

ქვეშ და ადმინისტრაციული დანაყოფის მმართველის აღმნიშვნელი ქართული ტიტული „ნაცვალი“ მიიღეს, რომლიდანაც წარმოიქმნა „ნუცალ“ ფორმა. საერთოდ კი, ამ ტერმინის წარმომავლობა, ისევე როგორც სხვა დაღესტნური სახელისუფლოების მმართველებისა, საბოლოოდ დადგენილი არ არის.

სანუცლოს ცენტრალური ტერიტორია იყო ხუნძეთის (ავარიის) პლატო, ხოლო ნუცლების მთავარი რეზიდენცია იყო ხუნძახი.

მოგვიანებით ხუნძეთის (ავარიის) მმართველები იწოდებოდნენ ხანებად. განსაკუთრებით გაფართოვდა სახანოს საზღვრები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, უმა-ხანის მმართველობის პერიოდში (1776-1801).

ხუნძეთის (ავარიის) ხანი წარმართავდა საშინაო და საგარეო პოლიტიკას. სასულიერო საკითხების გადაწყვეტა ევალებოდა ხუნძახის ყადის. ომის დროს სახანოს შეეძლო 30-40 ათასამდე მებრძოლი გამოეყვანა.

**ტარკის საშამხალო.** XVI საუკუნისათვის საშამხალო კასპიის-პირეთის საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა და ყუმუხებით, ლაკებით და დარგოელებით იყო დასახლებული. ამ საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებას ანგარიშს უწევდნენ ისეთი მსხვილი სახელმწიფოები, როგორიც იყო თურქეთი, ირანი და რუსეთი. საშამხლოს უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ მის ტერიტორიაზე გადიოდა სავაჭრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გზები, რომლებიც რუსეთს ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა.

გადმოცემის მიხედვით, არაბმა სარდალმა მასლამამ დაღესტნის დაპყრობის შემდეგ ამ ქვეყნის მმართველად ვინმე დამასკელი არაბი დანიშნა, რომელსაც წარმომავლობის მიხედვით უწოდეს „შამხალი“ — შამელი ანუ სირიელი, დამასკოელი ხანი („შამ“ არაბულად ნიშნავს სირიას).

თავდაპირველად შამხალის რეზიდენცია იყო ყუმუხში. XVI საუკუნის 70-იან წლებში ჩობან-შამხალის სიკვდილის შემდეგ ეს გაერთიანება დაიშალა. ბრძოლა გაიმართა შამხალის მემკვიდრეებს შორის. ერთ-ერთი მათგანი, ყაბარდოელი ქალის შვილი, სულთან-მუტი, დედის ნათესავების, ყაბარდოელების, დახმარებით გამაგრდა სულაკისიქითა ყუმუხეთში. ამ სახელისუფლომ ერთ-ერთი დასახ-

ლებული პუნქტის მიხედვით ენდერეს სახელწოდება მიიღო. მოგვიანებით ენდერეს გამოეყო კიდევ ორი — აკსაის და კოსტეკოს სამფლობელოები. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს სამი სამთავრო რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა.

საშამხალოს დაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ შამხალის ტიტული არ იყო მემკვიდრეობითი და იგი ენიჭებოდა საშამხალოს რომელიმე რაიონის მმართველს. ჩვეულებრივ, ეს იყო ბოინაკის ხელისუფალი, ყირიმ-შამხალი. XVII საუკუნის დასაწყისში მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა შამხალის ტახტისათვის ყირიმ-შამხალ ანდისა და ტარკის მმართველ გირეის შორის (ტარკის მმართველები მოგვიანებით, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის გაზრდასთან ერთად, იხსენიებიან რუსული ფორმით — ტარკოვსკი). ანდი თავის მომხრეებს დაღესტნელ ხალხებს შორის ეძებდა, გირეიმ კი დახმარებისათვის რუსებს მიმართა. XVII საუკუნის დასაწყისში შამხალების ძირითად რეზიდენციად იქცა ტარკი და ბოინაკი, ხოლო ყუმუხში ისინი მხოლოდ ზაფხულობით ჩადიოდნენ. 40-იან წლებში კი ყაზიყუმუხელები აჯანყდნენ, შამხალი გააძევეს და მის მიერ დანიშნული მმართველის მაგივრად თვითონ დაიწყეს საკუთარი ხელისუფლების არჩევა.

XVIII საუკუნეში ტარკის საშამხალოს ეჭირა ტერიტორია სულაკის შესართავიდან მდინარე ორასაი-ბულაკამდე. ტარკის საშამხალოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ყუმუხები იყვნენ. ცხოვრობდნენ აგრეთვე მთის ებრაელები, ნოღაელები და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას შამხალი იწვევდა გავლენიანი ფოედალებისაგან შემდგარ სათათბიროს. გადასახადების აკრეფა, დამნაშავეების დაჯარიმება, შამხალის დაცვა და სხვა მსგავსი მოვალეობების შესრულება ნუქერებს (მორიგეებს) ეკისრებოდათ. ტარკიში, შამხლის რეზიდენციის შესასვლელთან იყო ციხეც — ღრმა ორმო, რომელშიც დამნაშავეს თოკით უშვებდნენ.

ორმოში ჩაგდება პატიმრობის გავრცელებული ფორმა იყო დაღესტანში და, როგორც თვითმხილველთა მონათხრობიდან ვიგებთ, იქ ყოფნა ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოცდა უნდა ყოფილიყო. სწორედ ასეთ ორმოში მოუხდა ყოფნა ცნობილი ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ძმას, ილია ორბელიანს. იგი სამი კვირის მანძილზე დარგოში თხუთმეტ კაცთან ერთად იყო ჩაგდებული მსგავს ხაროში თითქმის ამოუსვლელად. ორმოს

თავზე სადარაჯო სახლი იდგა და ტყვეებს სუფთა ჰაერით სუნთქვაც შეზღუდული ჰქონდათ.

ადმინისტრაციულად საშამხალო დაყოფილი იყო ბიილიკებად — საბეგოებად. ბეგები ცდილობდნენ ყველაფერში მიებაძათ შამხალისათვის: თავიანთ საგამგებლოში სარგებლობდნენ სრული იმუნიტეტით და წარმოადგენდნენ უმაღლეს სასამართლო ორგანოს.

**ყაზიყუმუხის სახანო.** ყაზიყუმუხის სახანო მთიანი დაღესტნის ცენტრში მდებარეობდა და, ძირითადად, ლაკებით იყო დასახლებული. V-X საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე არსებობდა სახელმწიფოებრივი გაერთიანება ღუმუქი ანუ თუმანი.

XVII საუკუნის შუა ხანებისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყაზიყუმუხელებმა გააძევეს შამხალი და დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდნენ. მათ თავიანთ მმართველად დაადგინეს „ხახლავჩი“ („ხალკლავჩი“) — „ხალხის მეთაური“. „ხალავჩის“ ირჩევდა ფეოდალური ზედაფენის კრება „კიატი“. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ხახლავჩი მშვიდობიანობისას არავითარ განსაკუთრებულ ძალაუფლებას არ ფლობდა. ომიანობისას ან ლაშქრობებისას კი ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. თუ ბელადი არ გაამართლებდა ხალხის მოლოდინს, მას მაშინვე გადაირჩევდნენ. ერთ-ერთი ასეთი მეთაური, ზემოთ უკვე ნახსენები ჩოლაქ-სურხაი, ისე გაძლიერდა და მისი ავტორიტეტიც იმდენად გაიზარდა, რომ ხანად იწოდებოდა და, პრაქტიკულად, ერთპიროვნული მმართველი გახდა და მისმა ჩამომავლებმა, მუჰამედ ხანმა და სურხაი-ხანმა II-ემ XVIII საუკუნეში მეზობელი რაიონების მიერთება მოახერხეს, მათ შორის სამხრეთ დაღესტანისაც, რომელიც ლეზგებით იყო დასახლებული და ცნობილი იყო **კურახის** სახელწოდებით.

ყაზიყუმუხში ყველანაირ სასულიერო საკითხს განაგებდა მთავარი ყადი. მიწათსარგებლობისა და ადათების კანონთა დასაცავად ირჩევდნენ „უფროსებს“.

**მეხთულის სახანო.** ყაზიყუმუხის მეზობლად დაახლოებით XVIII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა მეხთულის სახანო. გადმოცემა ამ სახანოს დამაარსებლად მიიჩნევს ვინმე ყარა-მეხთის, რომელიც ყუმუხიდან ყოფილა. იგი თავისი გამორჩეული პიროვნული თვისებების გამო მმართველად მიუწვევიათ ყაზიყუმუხის მეზობელ მოსახლეობას. ეს სახანო სულ 18 აულს მოიცავდა. იქ ცხოვ-

რობდნენ ყუმუხელები და ხუნძები. ხანის ძალაუფლება გადადიოდა მემკვიდრეობით. ყარა-მეხთის სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრეები დაუნათესავდნენ შამხალსა და ხუნძეთის (ავარიის) ხანებს და თვითონაც ხანებად იწოდებოდნენ.

**„თავისუფალი საზოგადოებები“**. ფეოდალური სახელისუფლოების გვერდით დაღესტანში არსებობდა რამდენიმე ათეული ე. წ. „თავისუფალ საზოგადოებათა კავშირი“, რომლებიც, თავის მხრივ, სასოფლო თემთა რამდენიმე მცირე კავშირს აერთიანებდნენ. ეს გაერთიანება ხდებოდა ტერიტორიული, სამეურნეო და პოლიტიკური ინტერესების საფუძველზე. თავისუფალი საზოგადოებები დასავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ დაღესტნის მთიან და მაღალმთიან რაიონებში მდებარეობდა — ხუნძებით, ლეზგებით და დარგოელებით დასახლებულ რაიონებში. თავისუფალი საზოგადოებების ჩამოყალიბების შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, მათი წარმოქმნა არ იყო ერთდროული აქტი და დაკავშირებულია დაღესტნის ტერიტორიაზე არსებული ადრეფეოდალური სახელმწიფოების დაშლასთან, მთიელთა მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან და სხვ. ცნობილია ახუშა-დარგოს, სალატავის, ანდალალის, გიდატლის, დიდოს და სხვა კავშირები. ამ საზოგადოებათა სათავეში ზოგჯერ თემის არისტოკრატია იდგა, ზოგჯერ — არჩეული მმართველები, ზოგჯერ — სასულიერო პირები. უნდა ითქვას, რომ საზოგადოებათა თავისუფლება ხშირად საკმაოდ პირობითი იყო და ისინი, რაიმე ფორმით, რომელიმე ხანის იურისდიქციაში შედიოდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ახუშა-დარგოს ურთიერთობა შამხალთან და უცმისთან. ამ მმართველებს აყუშა-დარგოს მოსახლეობა საზამთრო საძოვრებით სარგებლობისათვის საქონლის გარკვეულ რაოდენობას აძლევდა გადასახადად. გარდა ამისა, ისინი მონაწილეობდნენ შამხალის საბრძოლო ლაშქრობებში. მათ მოპოვებული ჰქონდათ გარკვეული პრივილეგიაც — ახლადარჩეული შამხალისათვის თავზე ფაფახის დახურვის საპატიო მოვალეობა. შამხალი ამის შემდეგ მათ ასაჩუქრებდა, ხოლო თვითონ კი ცხადდებოდა „შამხალად ყველა ხალხისაგან“.

აღნიშნულ ფეოდალურ გაერთიანებებში პოლიტიკური წყობა სავსებით შეესაბამებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს. შამხალები, ხანები, უცმიები და მაისუმები თავი-

ანთ სამფლობელოებში სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები იყვნენ. მათ ხელში იყო გადასახადების აკრეფის უფლება. ისინი იყვნენ უმაღლესი მოსამართლენი როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი საქმეებისა; ისინი იღებდნენ ბაჟებს, წყვეტდნენ მეზობლებთან თუ სხვა გარე ქვეყნებთან ომისა და ზავის საკითხებს და სხვა მრავალ საკონფლიქტო საქმეებს.

ზემოაღნიშნული მფლობელ-მმართველები თავიანთ ხელისუფლებას ახორციელებდნენ ვეზირების, ხაზინადარების, მოურავებისა და ნუკერების საშუალებით. ვეზირები, ძირითადად, სამხედრო რაზმებს ხელმძღვანელობდნენ და ამდენად ქვეყნის მმართველობაში მეტად დიდ როლს თამაშობდნენ. ფეოდალის საკარმიდამოს მოურავი განაგებდა. ფეოდალის კარზე თავისი ადგილი ეკავათ მთარგმნელებს — აბიზას და განსაკუთრებული მდგომარეობა კი მუსულმანური სასულიერო წოდების წარმომადგენლებს — მუფტიებს, შეიხებს, ყადიებს და სხვ.

XVI საუკუნის დასაწყისისათვის დაღესტნის სამხრეთით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სეფევიდების ძლიერი სახელწმიფოს, ხოლო ამავე საუკუნისათვის ყირიმის სახანოს საბოლოოდ ჩამოყალიბებამ და მისმა თურქეთის ვასალად გადაქცევამ, დაღესტნის შემდგომ პოლიტკიურ ცხოვრებაში დიდი უარყოფითი როლი ითამაშა, რამდენადაც დაღესტანი, თურქეთის, ყირიმის სახანოსა და სეფევიდების ირანის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ობიექტად გადაიქცა. აღნიშნული ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა XVI ს.-ის მეორე ნახევარში რუსეთის გამოჩენით ჩრდილო კავკასიაში. დაღესტანს თურქეთის, ყირიმის სახანოს, ირანისა და რუსეთის ურთიერთობაში ერთ-ერთი პირველხარისხოვანი როლი მიენიჭა.

ასე მაგალითად, XVI ს.-ის ოციან წლებში დაღესტნის სამხრეთი რაიონები ხან შაჰ ისმაილის ხელთ იყო, ხან — თურქეთის სულთან სელიმ პირველისა; 50-იანი წლებიდან კი მათმა თავდასხმებმა დაღესტანსა და აზერბაიჯანში თითქმის განუწყვეტელი ხასიათი მიიღო და ქვეყნის ნორმალური სამეურნეო-კულტურული ცხოვრებაც რამდენადმე შეაფერხა. თურქეთის, ყირიმის ხანისა და ირანის ბრძოლა 1590 წელს დროებითი ზავით დამთავრდა, რომლითაც თურქეთმა თითქმის მთელი სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და დაღესტანი ჩაიგდო ხელთ.

დაღესტნის ერთი დიდი გაერთიანების — საშამხალოს აშკარა პროთურქულმა ორიენტაციამ, რომელიც გარკვეულ საფრთხეს უქ-

მნიდა, ერთი მხრივ, ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალს, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის ურთიერთობას ამიერკავკასიასთან, განსაკუთრებით კახეთთან, რუსეთი აიძულა, თავის მხრივ, გარკვეული ღონისძიებები მიეღო საშამხლოს წინააღმდეგ. 1591, 1593-1594, 1604-1605 წლებში იგი დაღესტანში რამდენიმე ლაშქრობას აწყობს, რომელთა მიზანი შამხალის ურთიერთობის გაწყვეტა იყო თურქეთთან და ყირიმის ხანთან და, ამავე დროს, ამ უკანასკნელისათვის ამიერკავკასიაში შემოსასვლელი ჩრდილო კავკასიის გზის გადაკეტვა. მართალია, დაღესტანში რუსეთის აღნიშნული ლაშქრობები რამდენადმე გამოწვეული იყო დაღესტან-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობითა და ამ ნიადაგზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობითაც, მაგრამ იგი თავის მხრივ განპირობებული იყო აგრეთე თურქეთ-ირანის ბრძოლით ამიერკავკასიისათვის და საკუთრივ რუსეთის იმ ინტერესითაც, რომ მას სურდა სამხედრო წარმატებებისა და შემდეგ მოლაპარაკების გზით ხელთ ეგდო დერბენტი-ბაქო-შემახა.

რუსეთ-დაღესტნის ურთიერთობა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XVII საუკუნეში. ასე მაგალითად, მარტო 1614-1642 წლებში მოსკოვში დაღესტნელ მთავართა მიერ 13-ჯერ იქნა გაგზავნილი ელჩები. დაღესტანთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით რუსეთი დაღესტნელ ვაჭრებს თითქმის მის ყველა დიდ ქალაქში უბაჟოდ ვაჭრობის ნებას რთავდა, მიუხედავად იმისა, რომ თვით რუსი ვაჭრები დაღესტნელ მთავრებს გარკვეულ ბაჟს უხდიდნენ და ხშირად კი იგივე მთავრები მათ თავს ესხმოდნენ.

დაღესტნელი მთავრების თურქეთისა და ყირიმის სახანოს გავლენის ქვეშ მოქცევამ რამდენადმე გაამწვავა XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველო-დაღესტნის შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა. თურქეთისა და ყირიმის სახანოს მიერ ტყვე-მონათა შესყიდვის მასშტაბების გაზრდამ დაღესტნელ ფეოდალებს რამდენადმე გაუღვიძა ინტერესი მეზობელ მხარეებზე თავდახსმებისა და მოპოვებული ტყვეებით ვაჭრობისა. განსაკუთრებით ხშირი იყო ასეთი თავდასხმები საქართველოზე, რის შედეგადაც ნადგურდებოდა არა მარტო ნათესები, ბაღები და სხვ., არამედ მოსახლეობაც, რადგან მისი ერთი ნაწილი აღნიშნულ ბრძოლებში იღუპებოდა, ხოლო მეორე დიდი ნაწილი კი ტყვეების სახით თურქეთისა და ყირიმის სახანოსა და ირანის ბაზრებზე იყიდებოდნენ.

XVIII საუკუნის დაღესტანი, მსგავსად წინარე საუკუნეებისა, მდ. თერგიდან სამხრეთით მდ. სამურამდე და კასპიის ზღვიდან და-

სავლეთით საქართველოს საზღვრებამდე იყო გადაჭიმული. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის კახეთის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილიც ე. წ. ჭარ-ბელაქანი, ფაქტიურად უკვე მასთან იყო შეერთებული.

XVIII-XIX საუკუნეების წყაროების შეჯერებით შეიძლება ითქვას, რომ მისი მოსახლეობა დაახლოებით 450-500 ათასს სულს შეადგენდა.

შინაფეოდალურმა და საგარეო ომებმა, მართალია, რამდენადმე შეაფერხეს დაღესტნელთა სამეურნეო განვითიარება, მაგრამ მათ იგი საერთოდ არ შეუწყვეტიათ. სამეურნეო ცხოვრების წამყვან დარგებად კვლავინდებურად მიწათმოქმედება და მესაქონლეობა დარჩა.

XVIII ს.-ის პირველ მესამედში დაღესტანი რუსეთ-ირანისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკის ორბიტაში მოხვდა. მოყოლებული 1707 წლიდან თურქეთი და მისი ვასალი ყირიმის ხანი დაჟინებით ცდილობდნენ ადიღე-ჩერქეზეთის, ყაბარდოსა და დაღესტნის ხელში ჩაგდებას, რაც მათ, ერთი მხრივ, საშუალებას მისცემდა რუსეთის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის, ხოლო, მეორე მხრივ კი, ასეთივე ბრძოლისათვის ირანის წინააღმდეგ. მართალია, ირანმა თავის დერბენტელ მმართველებს სპეციალური განკარგულებები გაუგზავნა თურქეთისა და ყირიმის სახანოს წინააღმდეგ დაღესტნის სხვა მთავრებისა და ხანების თავისთან მომხრობისათვის, მაგრამ თვით ირანის შიგნით შექმნილი კრიზისი მის განხორციელებას მეტად არარეალურს ხდიდა. ამიტომაც ამხანად აღმოსავლეთ კავკასიაში ფაქტობრივად თურქეთისა და რუსეთის ინტერესები შეეჯახნენ. ასეთ სიტუაციაში კი დაღესტნის მთავრების ნაწილი თურქეთისა და ყირიმის სახანოს მიემხრო, ნაწილი კი — რუსეთს. ასე, მაგალითად, რუსეთის მხარეზე აღმოჩნდნენ ტარკის შამხალი ადილ-გირეი, ყაიტაღის უცმი, აქსაის, კოსტეკის და სხვა გაერთიანებათა მთავრები, რომელთა სამფლობელოები რამდენადმე ემიჯნებოდნენ რუსეთისას და ამასთან ჰქონდათ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თერგქალაქთან, ასტრახანთან და რუსეთის სხვა მრავალ ქალაქთან. ირანის ხვედრითი წონა საერთო კავკასიურ პოლიტიკაში კიდევ უფრო იმიტომ შემცირდა, რომ დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთი და მასთან ერთად თითქმის მთელი აზერბაიჯანიც ირანის საწინააღმდეგო აჯანყებამ მოიცვა ჯერ 1707-1712 წწ., ხოლო შემდეგ 1720-1721 წწ., რომლებმაც საფუძვლიანად შეარყიეს სეფევიდების გავლენა.

შექმნილ სიტუაციაში პეტრე I-მა თურქეთისა და ყირიმის ხანისათვის დასწრება და კასპიისპირეთის პროვინციების შემოერთება სცადა. 1722 წლის ივლის-აგვისტოში პეტრე I დაღესტანში შემოვიდა და ჩქარა ბაქო-დერბენტიც იგდო ხელთ. 1722 წელს კარგად დაწყებული ლაშქრობა, მართალია, პეტრემ მომავალ წელს მოშალა, მაგრამ ლაშქრობის შედეგები მაინც მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის, რომლის მანუფაქტურული მრეწველობა აუცილებლად მოითხოვდა ისეთი ნედლეულით დაკმაყოფილებასაც, როგორიც იყო ნედლი აბრეშუმი, ბამბეული, სხვადასხვა მადნეული, ნავთობი და სხვ.

მიუხედავად კასპიისპირეთში ლაშქრობის მოშლისა, რუსეთმა ჯერ ირანთან პეტერბურგის 1723 წლის, ხოლო შემდეგ თურქეთთან 1724 წლის კონსტანტინეპოლის საზავო ხელშეკრულებით შეძლო კასპიისპირეთის დაღესტნური და აზერბაიჯანული პროვინციების თავისთან შეერთება, განსაკუთრებით დერბენტისა და შემახას რაიონებისა. შემოერთებული მხარის უკეთ ათვისების მიზნით რუსეთმა რამდენიმე ციხე-სიმაგრე ააგო, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი 1724 წელს აგებული „სვიატოი კრესტი“ იყო, რომელშიც გადაინაცვლა შემდეგ თერგქალაქმა. ჩქარა „სვიატოი კრესტის“ ახლო მიდამოებში დასახლდნენ სომხები, რუსები, დონელი კაზაკები და კავკასიის მთიანეთის სხვადასხვა ხალხები. შამხალ ადილ-გირეის „სვიატოი კრესტი“ მთლად არ აწყობდა და იგიც რამდენჯერმე შეეცადა მის მოშლას, მაგრამ თვით დაღესტნის რიგი მთავრების მხარდაჭერით რუსეთმა შეძლო მისი შენარჩუნება და ამდენადვე თავისი გავლენის გაზრდაც. პირველი შედეგი ის იყო, რომ ერთიმეორის მიყოლებით დაღესტნის დიდ ქალაქებში ტარკსა, ენდერსა და აკსაიში გაჩნდნენ რუსული სავაჭრო რიგები, ხოლო საერთოდ კი დაღესტანი რამდენადმე თავდაცული აღმოჩნდა თურქეთისა და ყირიმის ხანის აშკარა ხელყოფისაგან.

XVIII ს.-ის 30-იან წლებში ირანის მომძლავრებამ ძალთა თანაფარდობა კვლავ შეცვალა კავკასიაში. ირანის ფაქტიური მმართველის ნადირის მიერ თურქეთის დამარცხებამ და 1733 წელს ბაღდადის საზავო ხელშეკრულებამ ირანს თითქმის კვლავ დაუბრუნა თურქეთის მიერ კავკასიაში წართმეული ტერიტორიები, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ გარიგებას არცთუ ისე ადვილად იღებდნენ ადგილობრივი პოლიტიკური ძალები.

რაც შეეხება პეტრე პირველის მონაპოვარს კასპიისპირეთში, ირანმა ჯერ 1732 წელს რეშტის, შემდეგ კი 1735 წელს განჯის ხელ-

შეკრულებით, ფაქტობრივად, კვლავ შეძლო თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ჩრდილო აზერბაიჯანი და დაღესტნის ზღვისპირა რაიონები. ასე რომ, 13-წლიანი ყოფნის შემდეგ რუსეთი იძულებული იყო ზემოაღნიშნული ტერიტორიები ირანისათვის დაებურნებინა.. დაიწყო ირანის სასტიკი მომძლავრება ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით კი დაღესტანში, რამდენადაც ირანის მმართველ წრეებს მიაჩნდათ, რომ დაღესტანში გაბატონების გარეშე შეუძლებელი იყო საერთოდ მთელს ამიერკავკასიაშიც გაბატონება. ამ მხრივ აღსანიშნავია 1741-1743 წლების პერიოდი, როდესაც დაღესტნის ცეცხლითა და მახვილით დაპყრობას უშუალოდ ნადირ-შაჰი ხელმძღვანელობდა. გამარჯვების შემთხვევაში შაჰი დაღესტნელთა აყრასა და მათ ირანის შიდა პროვინციებში გადასახლებას აპირებდა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბოლოს მთიელთა გამარჯვებით დამთავრდა და იმდროინდელი „სამყაროს რისხვა“ ნადირ-შაჰი იძულებული შეიქმნა დაღესტანს გასცლოდა. დაღესტნელ ხალხთა ნადირ-შაჰის წინააღმდეგ თავგამოდებულ და წარმატებით ბრძოლას ობიექტურად ხელი შეუწყო აგრეთვე ქართველი, სომები და აზერბაიჯანელი ხალხების ბრძოლამაც ირანის ბატონობის წინააღმდეგ ამიერკავკასიაში. რუსეთმა შაჰს უარი განუცხადა დაღესტანზე ერთობლივ ლაშქრობაში მონაწილეობაზე.

1747 წელს ნადირ-შაჰი შეთქმულების მსხვერპლი შეიქმნა და მის მიერ შეკოწიწებული სახელმწიფო მაშინვე დაიშალა. კავკასიის ხალხებისათვის შედარებით მშვიდობიანი ხანა დადგა, რამაც გავლენა იქონია თვით ამ ხალხებს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომ განვითარებაზე. განსაკუთრებით ეს ისეთ საქალაქო და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში შეიმჩნეოდა, როგორიც იყო, მაგალითად, ბაქო, დერბენტი, შემახა, ენუხა, ყუბა, კაბალა, შუშა, განჯა, შაქი, ყიზლარი, ასტრახანი, მოზდოკი, თელავი, თბილისი, სოხუმი, ფოთი, ბათუმი, კუბაჩი, კუმუხი, ტარკი, ენდერი, ბრაგუნი, აქსაი, კოსტეკი და სხვ.

კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის გვერდით დროდადრო ადგილი ჰქონდა აგრეთვე შედარებით გამწვავებულ პოლიტიკურ ურთიერთობებსაც.

XVIII საუკუნის II ნახევარში დაღესტნისა და აზერბაიჯანის სახანოებს სამფლობელოების გაფართოებისათვის ჰქონდათ ურთიერთ თავდასხმები; ამ გააფთრებულ ფეოდალურ ომებში რუსეთი უმეტესად ყუბის ძლიერ სახანოს უჭერდა მხარს, რამდენადაც იგი

რუსეთის ორიენტაციაზე იდგა და იგი რუსეთისათვის ხელსაყრელი იყო, ერთი მხრივ, დაღესტნის ფეოდალებზე ზემოქმედებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, თურქეთისა და ირანისათვის აღმოსავლეთ კავკასიაში გზის მოსაჭრელად. მაგრამ რუსეთი ამ ორი მხარის მშვიდობიან მორიგებასაც ცდილობდა. ასე იყო, მაგალითად, 1776 წელს, როდესაც მისი ინიციატივით სოფ. დერბში ორგზის მოხერხდა ყუბის მმართველის ფათალი-ხანის შეხვედრა შამხალ მურთუზალისთან, ბოინაკელ ბამატთან უცმ ამირ-გამზასთან, მაისუმ რუსტამთან, ყაზიყუმუხელ მაჰომედ-ხანთან და სხვ. მაგრამ, როგორც წესი, ასეთი შეთანხმებებით მიღწეული მშვიდობა მეტად პირობითი იყო და იგი სულ მალე ირღვეოდა. გამწვავებული იყო აგრეთვე ურთიერთობა ქართლ-კახეთსა და ხუნძახის (ავარიის) სახანოს შორის, რომლის მდგომარეობა სტრატეგიულად კიდევ უფრო იმით იყო მოხერხებული, რომ თითქმის მთლიანად მისი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული ჭარ-ბელაქანი, კახეთის ყოფილი ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე, რომელიც წახურ-ავარული „ლეკებისაგან“ ძირითადად XVII ს.-ის 80-იანი წლებიდან ვიდრე XVIII ს.-ის 20-30-იან წლებამდე იქნა დასახლებული.

თურქეთის წაქეზებით დაღესტნელ ფეოდალთა თავდასხმებს შორის საქართველოზე აღსანიშნავია 1752-1753 და 1755 წლებში ხუნძახის (ავარიის) ხანის ნუცალის თავდასხმები, ხოლო 1785 წ. და შემდეგ კი ომარ-ხანისა. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ქართლ-კახეთის მეფეები თეიმურაზი და ერეკლე აკლებდნენ ხელს დაღესტნურ ფეოდალურ გაერთიანებებს, ხოლო იყო ისეთი მომენტებიც, როდესაც ერეკლე და სოლომონ იმერთ მეფე ცალკეულ „ლეკურ“ რაზმებს წარმატებით იყენებდნენ თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლებში.

XVIII ს.-ის შუახანებისათვის მდგომარეობა ჩრდილო კავკასიაში დაიძაბა კავკასიაში თურქეთის აგრესიის მზადებასთან დაკავშირებით. თურქეთი და ყირიმის სახანო არცთუ უიმედოდ ვარაუდობდა დაღესტნის დაპყრობას. რუსეთი, რომელსაც არანაკლები ინტერესები გააჩნდა დაღესტნის მიმართ, სათანადო მზადებას შეუდგა. საქმე ისაა, რომ რუსეთის მიერ დასახული ე. წ. „სპარსული ვაჭრობა“, რომელიც ძირითადად კასპიის ზღვის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო, პირველ რიგში, დაღესტანს მოიცავდა და შემდეგ კი ამიერკავკასიასა და შუა აზიის მხრივ კასპიისპირეთის პროვინციებს. ასტრახან-დერბენტ-ყიზლარი და ასტრახან-დერბენტ-ბა-

ქო, შეიძლება ითქვას, ამ ხანისათვის რუსეთისათვის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ არტერიებს წარმოადგენდნენ და, რასაკვირველია, თურქეთისა და ყირიმის სახანოს სწრაფვას მათ ხელში ჩასაგდებად რუსეთი მთლად გულგრილად ვერ შეხვდებოდა. ამ მიზანს ემსახურებოდა ყიზლარის გამაგრება და ე. წ. ყიზლარის ხაზის შექმნა ანუ დონელი კაზაკობის მიერ თერგის მარცხენა მხარეზე მთელი რიგი ციხე-სიმაგრის მსგავსი სტანიცების დაარსება — ბოროზდინის, დუბოვის, კარგალინის, ჩერვლენის, ნოვოგლადკოვის, შჩედრინის, კორდიკოვისა და სტაროგლადკოვისა. 1763 წელს ჩაყარა საფუძველი ისეთ დიდ ციხე-სიმაგრესაც, როგორიც მოზდოკი იყო.

1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც არცთუ ისე უმნიშვნელოდ შეეხო კავკასიას და მისი მომავალი განვითარების ბედის საკითხსაც. ამ ომში, როგორც მოსალოდნელი იყო, რიგი დაღესტნური ფეოდალური გერთიანებებისა და მუსლიმანური სასულიერო წოდების წარმომადგენლები მჭიდროდ დაუკავშირდნენ თურქეთს, განსაკუთრებით ისინი, ვინც ეწეოდნენ ტყვე-მონებით ვაჭრობას. ერთ-ერთი ცდა თურქეთისა აემხედრებინა რუსეთის წინააღმდეგ ყაბარდო-დაღესტნისა და აზერბაიჯანის ხალხები, მარცხით დამთავრდა. 1774 წ. ომი დამთავრდა თურქეთის დამარცხებით. ამავე წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა შეიერთა აზოვი, ქერჩი, ენიკალე, კინბურნი და დნეპრსა და ბუგს შორის მდებარე ტერიტორიები. ამავე ზავით ყაბარდო საბოლოოდ იქნა რუსეთთან შეერთებული, ხოლო ყირიმი დამოუკიდებლად გამოცხადდა. ამის შემდეგ რუსეთმა კიდევ უფრო გააძლიერა ე. წ. კავკასიის ხაზი მოზდოკიდან აზოვამდე, დააარსა რა ერთმანეთის მიყოლებით კაზაკური სტანიცები — ეკატერინოგრადის, პავლოვის, მარინის, გეორგიევსკის, ალექსანდროვისა და სხვ. ამიერიდან რუსეთმა ნელ-ნელა, ფრთხილად დაიწყო ჩრდ. კავკასიაში თავისი კოლონიური პოლიტიკის გატარება.

ყირიმის რუსეთთან შეერთებამ და 1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებამ რუსეთს გზა გაუხსნა მთელი კავკასიის დასაპყრობად.

დაღესტნის ფეოდალური გაერთიანებები 1787-1789 წლებში ერთიმეორის მიყოლებით შევიდნენ რუსეთის მფარველობაში. ასე, მაგალითად, ტარკის შახმალი ხუნძი (ავარელი) ომარ-ხანი, ენდერის, კოსტეკის, აკსაის ბატონები, ანდიელთა ე. წ. „თავისუფალი საზოგადოება“ და სხვ. მფარველობაში მიღება მოითხოვეს აგრეთვე

ხაიდაყის უცმიმ, ყაზი-ყუმუხის ხანმა და თაბასარანელმა რუსტემ ყადიმაც. მოვლენების ასე წარმართვა, რასაკვირველია, არ აწყობდა თურქეთს და მან დააჩქარა თავისი საომარი მზადება რუსეთის წინააღმდეგ.

1787 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის მეორე დიდი ომი. 1790 წელს თურქეთის სულთანის 30-ათასიანი არმია ბატალ-ფაშას სარდლობით ჩრდილო კავკასიაში შემოვიდა და ყიზლარისაკენ გაიჭრა, მაგრამ მდ. თოხათმიშთან სასტიკად დამარცხდა და უკუიქცა. ომი დამთავრდა 1791 წელს იასის ზავით. დამარცხებულმა თურქეთმა საბოლოოდ ცნო ქუჩუკ-კაინარჯის სახელშეკრულებო პირობები — ყირიმის, ყუბანისა და ბუგ-დნესტრს შორის მდებარე ტერიტორიების რუსეთთან შეერთება. თურქეთი ხელს იღებდა აგრეთვე საქართველოს მიმართ პრეტენზიაზე.

1793-1796 წლებში კავკასიის ხაზზე განმტკიცების მიზნით ეკატერინე II-ის სპეციალური რესკრიპტით გაშენებული იქნა დამატებით კიდევ ექვსი სიმაგრე-სტანიცა ძირითადად კაზაკური მოსახლეობით. ასე, მაგალითად, შელკოვოდის, კავკასიის, უსტლაბინსკისა და სხვ.

XVIII საუკუნის დასასრულისათვის რუსეთმა თანდათან და თანმიმდევრულად დაიწყო თავისი მოქნილი კოლონიური პოლიტიკის გატარება. ასე, მაგალითად, ეკატერინე II კავკასიის გუბერნატორისაგან 1792 წელს მთიელების მორჩილებაში მოყვანას მოითხოვდა არა იარაღის ძალით, არამედ ვითომ „მშვიდობიანად“ მოეგოთ მათი გული. რუსეთის ეს ქმედება იყო თვალთმაქცური — მოეტყუებინათ კავკასიელები და თავისი კოლონიზატორული პოლიტიკა განეხორციელებინათ. ამის შედეგი იყო ის, რომ 1793 წელს რუსეთს ერთგულება შეჰფიცეს და ქვეშევრდომობა სთხოვეს ყუმუხელმა თავადებმა და ტარკის შამხალმა, შემდეგ დერბენტის მმართველმა შიხაი-ხანმა და სხვ.

## ჩრდილო კავკასიის თურქულენოვანი ხალხები და მათი განსახლების არეალი

კავკასიაში თურქულენოვანი ხალხები ისტორიის სხვადასხვა პერიოდში შემოვიდნენ. მიგრაციულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა კავკასიის დემოგრაფიული სურათი, შესაბამისად,

ენობრივი სიტუაციაც. თურქულენოვანი ხალხებიდან ერთიან ტერიტორიულ მთლიანობას კავკასიაში ქმნიან აზერბაიჯანელები, ყუმიყები, ყარაჩაელები და ბალყარელები, ნოღაელები და თურქმენები (სტავროპოლისა). ეს მონათესავე ხალხები ქმნიან ორ ძირითად ჯგუფს. ოღუზურ ჯგუფს მიეკუთვნება აზერბაიჯანული და თურქმენული, ხოლო ყივჩაღურ ჯგუფს — ყარაჩაულ-ბალყარული, ყუმიყური და ნოღაური.

ერთ-ერთ პირველ მაცხოვრებლებს ჩრდილო კავკასიაში შეადგენდნენ მომთაბარე ყივჩაღები. ისინი ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ველებზე XI საუკუნის დასაწყისიდან დამკვიდრდნენ. ჩრდილო კავკასიაში ყივჩაღები შეეჯახნენ ალან-ოსებს, რომელთაც ვრცელი ტერიტორიები ჩამოაცალეს. წინაკავკასიის ველები ყივჩაღთა ნაწილად იქცა.

XII საუკუნიდან კავკასიაში ეთნოპოლიტიკური სიტუაცია განიცდის არსებითი ხასიათის ცვლილებებს. ომებმა, მიგრაციებმა, სტიქიურმა უბედურებამ — ყოველივემ დატოვა თავისი კვალი კავკასიაში. ზოგიერთი ტომი ავიწროებდა მეორე ტომს და მთებში ამწყვდევდა. აბორიგენი ეთნოსები იძულებული იყვნენ უფრო და უფრო მაღლა ასულიყვნენ, იქ, სადაც მათ ვერავინ მისწვდებოდა.

ყივჩაღები დაემორჩილნენ ოქროს ურდოს და მათ დასაყრდენ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. ალანები ოქროს ურდოს შემადგენლობაში 150 წელი იყვნენ, რამაც გარდაუვალი გახადა ალანთა და თურქთა შერევა. გაძლიერდა ალან-ყივჩაღთა ეთნიკური სიმბიოზი და სინთეზი. ყივჩაღთა ძლიერმა მიგრაციამ მთისწინა დაბლობებიდან მთებში, თათარ-მორღოლთა და თემურ ლენგის ლაშქრობის შემდეგ, განაპირობა საბოლოოდ ყარაჩაულ-ბალყარული ეთნოსის ძირითადი ეთნიკური ბირთვის ჩამოყალიბება, რომელიც თურქულია ენის მიხედვით, თურქულ-კავკასიურია კულტურის მიხედვით და სუფთად კავკასიურია (კავკასიონურია) ანთროპოლოგიური ნიშნების მიხედვით.

XII საუკუნის ნახევრიდან გამოიკვეთა საზღვარი, ერთი მხრივ, ყივჩაღებსა და ალანებს, ხოლო, მეორე მხრივ, ავტოქტონ კავკასიურ მოსახლეობას შორის ყუბანის, ქვედა მალკისა და თერგის დინების მიმართულებით. ჩამოყალიბდა შედარებითი წონასწორობა პოლიტიკური თვალსაზრისით და დაიწყო ამ ეთნოსთა დაახლოება. ხანგრძლივმა მეზობლობამ და კონტაქტებმა ალანები და ყივჩაღები მოკავშირეებად აქცია. ამიტომ ეს პერიოდი განსაკუთრებით საინტე-

რესოა თურქულენოვანი ტომებისა და ალანების ავტოქტონ კავკასიურ მოსახლეობასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ამ ურთიერთობამ თანდათან ჩამოაყალიბა ამ რეგიონის თანამედროვე თურქული მოსახლეობა.

ჩრდილო კავკასიის თურქულენოვანი ეთნოსები ჩამოყალიბდა რამდენიმე კომპონენტის სინთეზის საფუძველზე. ეს მოსაზრება სწორია, რადგან შეუძლებელია უეჭველობით დავუკავშიროთ რომელიმე თანამედროვე ხალხი რომელიმე ძველ ხალხს კონკრეტულად. დღეს ეჭვს არ აღძრავს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ ეთნოსთა უმეტესობა ჩამოყალიბდა განსხვავებული ეთნოსების შერევის შედეგად. ესენი იყვნენ როგორც მოსული, ასევე ავტოქტონი ეთნოსები. ამ მდგომარეობას პირდაპირი კავშირი აქვს ევრაზიის ბევრი ხალხის ჩამოყალიბებასთან, მათ შორის კავკასიელი ხალხებისა, რადგან ამ რეგიონში აბსოლუტურად ავტოქტონი ხალხი ისევე, როგორც აბსოლუტური „სუფთა" მიგრანტები პრაქტიკულად არ არიან, — აღნიშნავენ მეცნიერები. თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, დავასკვნით, რომ ყარაჩაელებსა და ბალყარელებს, ისევე, როგორც სხვა ხალხებს, აქვთ რთული ეთნიკური ისტორია და თავის „შემადგენლობაში" შეიცავს განსხვავებულ ეთნიკურ ელემენტებს. ამ ხალხების ეთნიკური ბირთვი შეიცავს ძირითადად სამ კომპონენტს: პირველს — კავკასიურს, მეორეს — ალანურს, მესამეს — თურქულს.

ბალყარელები და ყარაჩაელები რთული შედგენილობის ხალხებია. მათი უძველესი წინაპარია ადგილობრივი კავკასიური ტომები, რომლებიც ბრინჯაოს ხანაში ყობანის კულტურას განეკუთვნებოდნენ. შემდგომ ამ ეთნიკურ ბირთვს შეერთო ირანულენოვანი ალანები და თურქულენოვანი ბოლგარები და ყივჩაღები. ყობანური კულტურის ეთნოლინგვისტური საფუძვლის განსაზღვრა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება, რომელთა მიხედვითაც ყობანელები არიან უძველესი ირანელები კავკასიაში (ბ. ვ. ტეხოვი), პროტოსვანები (ვ. პ. ალექსეევი), პროტოადიღები (ა. ლ. ჩლენოვა), პროტოვაინახები (ვ. ბ. ვინოგრადოვი).

ბალყარელთა და ყარაჩაელთა სახეს ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს ოდენ თურქულად, ანთროპოლოგების მიერ კი ის მიჩნეულია კავკასიურ ტიპად (ყველა კავკასიური ტიპიდან ყველაზე კავკასიური). ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ბიოლოგიური პრიორიტეტი ეკუთვნის ადგილობრივი, ძველი კავკასიური მოსახლეობის სუბ-

სტრატს. მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთგავლენებმა ირანულენოვან სკვითებსა და სარმატ-ალანებთან, ხოლო შემდეგ კი თურქებთან, საბოლოო ჯამში ჩამოაყალიბა ყარაჩაულ-ბალყარული ეთნოსი. ამ საკითხთან დაკავშირებული მასალებისა და წყაროების შესწავლა ადასტურებს, რომ მთიელების საბოლოო თურქიზაცია არაუგვიანეს XV საუკუნეში უნდა დასრულებულიყო.

1222 წელს ჩრდილო კავკასიაში გადმოსულმა მონღოლებმა ჯებეს და სუბუდაის სარდლობით დაამარცხეს ოსები და ყივჩაღები, რამაც ყივჩაღთა სხვადასხვა მიმართულებით გაფანტვა გამოიწვია. ზოგი ადგილზე დარჩა და მონღოლებში გაითქვიფა, ზოგიც სამხრეთ კავკასიაში შემოვიდა.

ყივჩაღთა იმ ნაწილმა, რომელიც კავკასიის მთების ხეობებს შეეფარა, განსაზღვრული წვლილი შეიტანა ყარაჩაელების, ბალყარელების და ყუმიყების ფორმირების პროცესში.

ყარაჩაელები და ბალყარელები ცენტრალური კავკასიონის კალთებზე, აფხაზეთის, სვანეთისა და ლეჩხუმის გადაღმა, მდ. ყუბანისა და თერგის შენაკადების სათავეში მოსახლეობდნენ.

XIV საუკუნის არაბი გეოგრაფი აბულ დელა ყარაჩაელებს „ალანების“, ბალყარელებს კი „ასების“ სახელით იხსენიებს. ორივე ეს სახელწოდება ალან-ოსებთანაა დაკავშირებული. ყარაჩაელებს სახელწოდება „ალანი“ XIX ს-ის შუა ხანებამდე შემორჩათ.

XIII ს-ის ავტორი იბნ ალ ასირი საუბრობს მონღოლთა შემოსევების შემდეგ ყივჩაღთა ნაწილის მთებში გაქცევაზე. ამ დროს ხდება თურქულენოვანი მოსახლეობის მთებში შესვლა, ბარის თურქების (ყივჩაღების) მთიელებად ქცევა, მათი შერევა ადგილობრივ ირანულენოვან მოსახლეობასთან (ალანებთან).

ითვალისწინებენ რა ყარაჩაი-ბალყართა ფორმირებაში ალანთა დიდ როლს, აგრეთვე ტერმინ „ალანის“ ყარაჩაელთა შორის ერთმანეთისადმი მიმართვაში ხმარებას, თურქული ტოპონიმების არსებობას ყარაჩაის ტერიტორიაზე, მკვლევართა ერთი ჯგუფი (უ. ალიევი, შ. აკბაევი, ა. ბაუჩიევი, კ. ლაიფამოვი) მიიჩნევს, რომ ტერმინი „ალანი“ თურქულიდან, სიტყვა „ოღდა“-იდან არის წარმოშობილი, აგრეთე გამოთქვამენ შეხედულებას, რომ ალანთა ნაწილი ადრიდანვე იყო თურქული. მათი აზრით, ეს ნაწილი გახდა ძირითადი კომპონენტი ყარაჩაელთა და ბალყარელთა ფორმირებაში.

ეს მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ყარაჩაელთა და ბალყარელთა წინაპრები არ იყვნენ ბოლგარები და ყივჩაღები, რადგან მათ ფოლკლორში არ არის ამ ხალხების ხსენება.

რეალობა კი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: წინაკავკასიაში თურქული მოდგმის ბოლგარები ახალი წელთაღრიცხვის დასაწყის საუკუნეებში იხსენიებიან. VII ს. ისინი ჩრდილო კავკასიის ზოგ ხეობაში აღწევენ ჯერ ხაზარების და შემდეგ მონღოლთა მოწოლის გამო. XIII საუკუნეში ხდება ყივჩაღთა მასიური შესახლება ალანთა ტერიტორიაზე. ამ გარემოებამ განამტკიცა იქ თურქულენოვანი მოსახლეობა და ადგილობრივი მოსახლეობის ენობრივი ასიმილაცია.

XIV-XV საუკუნეებში ყარაჩაელთა და ბალყარელთა შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ მათ უხდებოდათ ბრძოლა როგორც თემურ ლენგთან, ასევე XV საუკუნეში შექმნილ ყირიმის სახანოსთან. თემურ ლენგმა იალბუზამდე ილაშქრა, მოსახლეობა გაწყვიტა, სიმაგრეები და ქალაქები: აიხიზი, ხუმარი და სხვა გააპარტახა და დაანგრია.

იალბუზის მთა ყარაჩაელებს ბალყარელებისაგან გამოყოფს. მათი განსახლების სამხრეთ მონაკვეთში სვანები ცხოვრობდნენ, რომელთა ნაწილიც თურქულენოვანთა მიერ ასიმილირებულ იქნა. თურქულენოვან მოსახლეობას შორის XVIII საუკუნის 40-იან წლებში ისმოდა სვანური მეტყველება.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი იწოდებოდნენ იმ ხეობათა სახელების მიხედვით, სადაც ცხოვრობდნენ და ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მათ არ ჰქონდათ ერთიანი თვითშეგნება (ნ. ვოლკოვა), ყარაჩაელები და ბალყარელები ერთი ხალხია. მათ ეთნოგენეზში მონაწილეობა მიიღეს როგორც კავკასიურმა ეთნოსებმა, ასევე მოსულმა ირანულენოვანმა და თურქულენოვანმა ტომებმა.

ყარაჩაელთა ტერიტორია ხშირად იცვლებოდა. ისინი ხან ყუბანისა და ხან ბაქსანის ხეობაში ბინადრობდნენ. ამას ამტკიცებს ბაქსანური ყარაჩაული ნასახლარი ელჯურთი, გოშახ-კალეს სიმაგრე, აგრეთვე XVII ს. სამარხი, რომელიც ყარაჩაული კარტ-ჯურთის სამარხის ანალოგიას წარმოადგენს. ბაქსანელ ყარაჩაელთა გადასახლებას ყუბანის ზედა წელში მკვლევართა ნაწილი XVII საუკუნისთვის მიიჩნევს. გადმოცემებით, იგი უკავშირდება ყაბარდოს დიდი მთავრის ყაზი ფშაფშუკის სახელს, რომელმაც თითქოს ისინი ბაქსანიდან გაასახლა.

XVI-XVII საუკუნეებში ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე სრულ მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ ნოღაელები, რომელთა მოძრაობის რადიუსი შორს — ვოლგასა და ურალისპირეთს წვდებოდა.

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ ისინი სხვადასხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში გააერთიანა.

## ჩრდილო კავკასიელთა ტერიტორიული ცვლილებები და მიწების გადანაწილების მექანიზმი XIX ს-ში

### აგრარული რეფორმა და მიწების გადანაწილება

1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებამ და 1804-1813 წლებში ირანთან, ხოლო 1806-1812 წლებში თურქეთთან გამარჯვებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა რუსეთს კავკასიაში თავისუფალი მოქმედებისათვის.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ქვეშევრდომობის გარეშე დარჩენილი მთიელები ითხოვენ იმპერიის ქვეშევრდომობას.

1802 წლის დეკემბერში რუსეთის პროტექტორატის ქვეშ დაღესტნის ოთხი ფეოდალური სამფლობელო შევიდა: ტარკის, ხაიდაყის; თაბასარანის, დერბენტის. 1803 წლის დასაწყისში ხუნძეთის (ავარიის) ხანმა საზეიმოდ დაიფიცა რუსეთის ხელმწიფოს ერთგულებაზე; იმავე წლის მარტ-აპრილში რუსეთს დამორჩილდა ჰარ-ბელაქნის თავისუფალი საზოგადოებები; 1810 წლის შემოდგომაზე რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შევიდა ჭოხის თავისუფალი საზოგადოება; 1811 წლის თებერვლაში კი რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს სამხრეთ დაღესტნის თავისუფალმა საზოგადოებებმა.

1810 წელს რუსეთს ჩეჩნებმა და ინგუშებმა სთხოვეს ქვეშევრდომობა.

რუსეთის ქმედება კავკასიაში დასამკვიდრებლად იყო აგრესიული და დაუნდობელი.

მთიელთა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები იმპერიის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტობრივად რუსეთის გამოჩენისთანავე დაიწყო კავკასიაში და გაგრძელდა XIX საუკუნის 70-იან წლებამდე, მთიელთა დამარცხებით დამთავრდა.

რუსეთს სურდა ჩრდილო კავკასიის არა მარტო ფორმალური შეერთება, არამედ მდიდარი ნედლეულის მქონე რეგიონის ეკონომიკური ათვისებაც. ასეთი მისიისათვის კი აუცილებელი იყო ჩრდილო კავკასიელთა ტერიტორიების ათვისება.

ჯერ კიდევ ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებისთანავე ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა ტერიტორიული მოწყობის ღონისძიებათა გატარება, რაც ითვალისწინებდა, პირველ რიგში, მიწების თვითნებურ, თავისი ინტერესებისამებრ გადანაწილებას. აუცილებელი იყო მთიელთათვის ტერიტორიების კუთვნება-არკუთვნების კანონმდებლობით განსაზღვრა. დაკონკრეტებულიყო აგრეთვე მიწების საზღვრები და მცხოვრებთა უფლებები მიწათსარგებლობაში.

ომის „გამარჯვებით" დასრულებისთანავე მთიელთა საარსებო საზღვრები დროს აღარ შეესატყვისებოდა. ხელისუფლებას უნდა გადაესინჯა მთლიანად მიწათსარგებლობის ფონდი. მთიელთა ტერიტორიების საზღვრები ნაწილობრივ ჯერ კიდევ ადრე, კოლონიზაციის დაწყებისთანავე შეცვალეს.

კოლონისტების მიერ ახალ-ახალი მიწების ათვისებამ და მთიელთა მიწების ფონდის შემცირებამ გამოიწვია დიდი წინააღმდეგობის გაჩენა სხვადასხვა ეროვნების მთიელთა შორის, დაპირისპირება თვით პატარა აულებშიც ხდებოდა.

ჯერ კიდევ 1830-50 წლებში კავკასიის ხაზი ტერიტორიულად დაყვეს 5 დამოუკიდებელ ნაწილად: შავი ზღვის ხაზი, მარჯვენა ფლანგი, ცენტრი, კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგი, ვლადიკავკაზის სამხედრო ოკრუგი თავისი საზღვრებითა და თავისი მმართველობით. კავკასიის ხაზის სამხედრო ადმინისტრაციული სტრუქტურა XIX საუკუნის 50-იან წლებამდე არსებობდა.

ძალების უკეთ მობილიზაციისათვის და რეგიონის ადვილად გასაკონტროლებლად კავკასიის ძველი ხაზი 1856 წლის სექტემბერში გააუქმეს. შეიქმნა კავკასიის ხაზის აღმოსავლეთი და დასავლეთი ფრთა.

კავკასიის მარჯვენა ფრთის შემადგენლობაში შევიდნენ სამხედრო შენაერთები, პრისტავთა მმართველობანი და ქალაქები თავიანთი ტერიტორიებითა და სახნავ-სათესი მიწებით მდ. ყუბანისა და შავი ზღვისპირეთის მიდამოებში, მარცხენა ფრთის შემადგენლობაში კი — მდ. თერგის გასწვრივ განლაგებული შენაერთები და პრისტავთა მმართველობანი.

მიწათმფლობელობის რეორგანიზაციის უფრო უკეთ განხორციელებისათვის აუცილებელი იყო ტერიტორიების ადმინისტრაციული კუთვნილების დაკონკრეტება; კერძოდ, 1860 წელს კავკასიის ხაზი, რომელიც წარმოადგენდა სასაზღვრო კორდონულ დამცავ ჯებირს, გააუქმეს. მის მარცხენა ფრთას ეწოდა ყუბანის მხარე, მარჯვენას კი — თერგის. ყუბანის მხარეში შევიდნენ ადიღელი ხალხები, მცხოვრებნი მდ. ყუბანის აუზში: ყარაჩაელები, აბაზები, ნოღაელები და ა. შ. ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორია შევიდა ყუბანის ოლქის ბატალფაშინის მაზრაში.

ყარაჩაელთა, ჩერქეზთა, აბაზთა და ნოღაელთა მიწები ცარიზმმა გამოაცხადა სამხედრო საკუთრებად, ხოლო მთიანი ზოლის მიწები გადასცა სახელმწიფო ხაზინას.

ცარიზმი ახორციელებდა რეგიონის რუსიფიკაციას, ქმნიდა ახალმოსულთათვის მიწების ფონდს, რითაც არღვევდა მთიელთა მიწის სამართალს — კერძო საკუთრების უფლებას მიწაზე. რუსმა აქ შემოიტანა მის ქვეყანაში მიღებული მიწაზე ვოტჩინური ტიპის საზოგადოებრივ სახელწმიფოებრივი საკუთრება, რაც სრულიად უცხო იყო ადგილობრივებისათვის. კერძო საკუთრების ხელყოფა და საზოგადოებრივ მფლობელობაში გადაცემა იმავე მიწების ხელყოფას ნიშნავს.

1862 წლის მაისის მთავრობის დადგენილებით ყუბანში კაზაკთა სოფლებმა, სამხედრო მოხელეებმა და ხაზინამ 1360 ათასი დესეტინა სახნავ-სათესი, საძოვარი მიწები და ტყის მასივები მიიღო, ხოლო მთიელებისათვის საცხოვრებლად გამოყვეს მთავრობისათვის მიზანშეწონილი განსაკუთრებული რაიონი. როგორც ვხედავთ, რუსეთმა ეს ხალხი თავისი შეხედულებისამებრ დაასახლა, რაც ფაქტიურად რეზერვაციას ნიშნავდა. ანალოგიური ღონისძიება განხორციელდა თერგის მხარეში; ასე მაგალითად, მისი უდიდებულესობის ბრძანებით თერგის სამიწათმოქმედო წოდებრივმა კომისიამ ოსური საზოგადოების მიერ ტყის მასივების სარგებლობის საკითხების შესწავლა დაიწყო, რადგანაც ტყის მასივების გადანაწილება კავშირში იყო აგრარულ, ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ საკითხებთან. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საზოგადოებებში მიწების ჩამოჭრა-გადანაწილებითა და საზღვრების შეცვლით აირია მიწათსარგებლობის, ტყის მასივების და ამ ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის პრინციპი. ერთი საზოგადოების

ტყის მასივები აღმოჩნდა სხვა აულების თუ საზოგადოების, კაზაკებისა და რუსული ახალშენების საზღვრებში.

ტყის მასივების გადანაწილებანი ხდებოდა თერგისა და ყუბანის ოლქის თითქმის ყველა ოკრუგში. ამ მხრივ აღსანიშნავია თერგის ოლქის ყუმიყეთის ოკრუგის მაგალითი, რომელსაც მთლიანობაში გააჩნდა ტყის მასივების 3604 დესეტინა ფართი. აქედან 1148 დეს. ტყის მასივი მიაკუთვნეს ანდრეევსკის რუსულ აულს, ხოლო 2456 დეს. — 17 სხვა აულს. ტყეთა უკმარისობისა და სიმცირის გამო ხელისუფლებამ ყუმიხეთის ოკრუგის მოსახლოებას მისცა უფლება, ესარგებლა აუხოვისა და სალათოვის სანაიბოთა მფლობელობაში არსებული ტყეთა მასივებით; აქსაბაევის მონაკვეთის მცხოვრებლებს კი — ჩეჩნეთის ოკრუგის ყაჩყალიყოვის ქედის ტყის მასივებით. ვლადიკავკაზის კაზაკთა მე-2 პოლკის ტყის მასივები კი — 2 ½ ათასი დესეტინა უნდა გადაეცათ ნაზრანის საზოგადოებისათვის, თუმცა ამით კაზაკები არ „დაზარალებულან“, რადგან ყარაბულაყის ნოყიერი მიწები გადასცეს კაზაკებს.

ტყეთა მასივების ფლობის საკითხები ხელისუფლების სასარგებლოდ გადაწყდა ასევე ჩეჩნეთის რეგიონში. 1860 წელს გენერალ ფედმარშალ ბარიატინსკის განკარგულებით და მთავარსარდლის თანხმობით იჩკერიის (ჩეჩნეთის) მთიანი რეგიონების მცხოვრებთ მისცეს უფლება, გაესუფთავებინათ ტყიანი ზოლი და ეს ტერიტორიები გადასცემოდათ მუდმივ მემკვიდრეობით მფლობელობაში. ტყისაგან გაწმენდა უნდა განეხორციელებინათ დიდი გზების ახლოს და აგრეთვე იმ ადგილებში, რომლებიც გზებად და დამაკავშირებელ კომუნიკაციებად უნდა გამოეყენებინათ. როგორც ვხედავთ, ხელისუფლება თავისი ინტერესებიდან გამოდიოდა. დიდ გზებთან ახლოს მყოფთა გაკონტროლება ადვილი იქნებოდა და ყოველგვარი ზედმეტი ხარჯების გარეშე, დამორჩილებულთა ხელით, რეგიონში თავისი მმართველობის უფრო უკეთ დანერგვისათვის ახალ საკომუნიკაციო გზებსაც გაიყვანდა.

ტყის მასივებით სარგებლობა და მისი გადაცემა-გადანაწილება ხელისუფლების მიერ დადგენილი მეთოდებით ხორციელდებოდა. ამავე დროს ტყის მასივები რუსული ადმინისტრაციის საკუთრებას შეადგენდა. ყოველივე აღნიშნული კი ზრდიდა სიძულვილს და წინააღმდეგობას ჩრდილო კავკასიელებს შორის.

კუთვნილი მიწების ჩამორთმევითა და მთავრობის მიერ მიჩენილ ადგილებზე დასახლებით ჩრდილო კავკასიელთა უმატესობას

ემიგრანტის ბედი ერგო და თურქეთს შეაფარა თავი. ყუბანის მხარეში დარჩნილი მოსახლეობა ხელისუფლებამ ცალ-ცალკე ჯგუფებად ჩაასახლა დიდ სივრცეზე და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად მოაქცია 5 ოკრუგის — ფსეკუპის, ლაბის, ურუპის, ზელენჩუკის და იალბუზის შემადგენლობაში.

მიწათა მფლობელობა ყუბანსა და თერგის რაიონებში მთლიანად იქნა მოშლილი. თურქეთში წასულ მთიელთა და დარჩენილთა მიწების საუკეთესო ნადელები დაურიგდათ კაზაკებს, სამხედრო მოხელეებს, რუს ჩინოვნიკებს და ხელისუფლებისადმი ერთგულ ადგილობრივ თავად-აზნაურებს.

თერგის ოლქში შევიდა თერგის კაზაკთა მიერ დაკავებული ტერიტორიები, ასევე ყუმიყთა, ჩეჩენთა, ინგუშთა, ოსთა, ყაბარდოელთა და ბალყარელთა ტერიტორიები. თერგის ოლქს მიაკუთვნეს ასევე არღუნის და იჩკერიის ტერიტორიები.

სამხედრო სახალხო ოკრუგები იქმნებოდა ეთნიკური და ისტორიული საზღვრების გაუთვალისწინებლად. ასე მაგალითად, მცირე ყაბარდო გამოგლიჯეს დიდ ყაბარდოს და შეუერთეს ოსეთის სამხედრო ოკრუგს, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ნაწილი. ოსეთის ოკრუგის გარეთ დარჩენილი ჩეჩნები გაყვეს ორ ნაწილად, არღუნისა და იჩკერიის ოკრუგად, რომელთაც შეუერთეს ლეზგების საზოგადოების ნაწილი.

1862 წელს თერგის მხარე გაყვეს რვა ოკრუგად: ყაბარდოს, ყუმიხეთის, ინგუშეთის, ჩეჩნეთის, არღუნის, იჩკერიის, ოსეთის და მთის. თავის მხრივ კი ოკრუგები დაყვეს ადმინისტრაციულ ნაკვეთებად.

ნაყოფიერი მიწები მითელთა ოკრუგებში არ შესულა.

რუსული სისტემის რეგიონებისა და ოკრუგების შექმნასთან ერთად დაირღვა მთიელთა მიწების კუთვნილების საზღვრები და მათი მეურნეობის სისტემა.

ჩრდილო კავკასიაში გატარებული აგრარული, საგლეხო, სამოქალაქო თუ სასამართლო რეფორმები განპირობებული იყო რუსეთში საბაზრო ურთიერთობების განვითარებით. მაგრამ რეფორმები ტარდებოდა არა ამ მხარის განვითარებისათვის, არამედ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე. ჩრდილო კავკასიის დაპყრობას უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობასთან ერთად ჰქონდა მეორე, არანაკლებ ღირებული მნიშვნელობა. იგი გახლდათ, როგორც აღვნიშნეთ, ნედლეულის მომწოდებელი რეგიონი. განვითარებული

მხარე ყოველთვის შეძლებდა ცენტრის უზრუნველყოფას არა მარტო ნედლეულით, არამედ მუშახელითაც. ამიტომაც იყო, რომ ჩრდილო კავკასიის ეკონომიკური განვითარებისათვის მუშებით უზრუნველყოფის მიზნით ყუბანში 600 ათასზე მეტი კაცი გადმოასახლეს, თერგში კი — 346400. მთლიანად გადმოსხალებულები შეადგენდნენ 9464400 კაცს. ისინი ამავე დროს ხელისუფლების ძლიერი დასაყრდენები იყვნენ.

აგრარული და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ღონისძიებებით უნდა მომხდარიყო ტერიტორიული, მეურნეობრივი და საადგილმამულო ფონდის თავისი ინტერესებისამებრ გადანაწილება და რუსული სამართლებრივი ნორმების დაკანონება.

აღნიშნული ღონისძიებების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მთიელები ვეღარ შეძლებდნენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, რადგანაც დამოუკიდებლობის მოთხოვნა გამოიწვევდა თვით მთიელთა შორის კონფლიქტურ სიტუაციას. მიწების შესაძლო მასიური გადანაწილების შედეგად ერთმანეთის მიმართ გაუჩნდებოდათ ტერიტორიული პრეტენზიები და გამშვებლებლად ისევ რუსეთი მოევლინებოდათ.

ჯერ კიდევ 1856-60 წლებში შექმნილ კომისიებს უნდა განესაზღვრათ მიწათსარგებლობის საკითხები. თუმცა ეს საკითხები ვერ გადაიჭრა მიწათა ფონდისა და სულადობის რიცხობრივი მაჩვენებლის უქონლობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ მიწათა უდიდესი ნაწილი კოლონისტების ხელში იყო, მაინც 1863 წლიდან მიწათსარგებლობაში რიგი ღონისძიებები გატარდა. რა იყო მისი ძირითადი არსი? ხელისულებისათვის გადაუდებელ ღონისძიებას წარმოადგენდა უკვე თავის სამფლობელოებში მოქცეული თითქმის არაფრისმქონე მთიელებისათვის საარსებოდ გარკვეული რაოდენობის მიწების გამოყოფა, და არა მარტო მათთვის, ვინაიდან ხელისუფლებას სურდა, ეჩვენებინა დამორჩილებული მასისათვის „მზრუნველის“ სახე და გარკვეულწილად ნდობა მოეპოვებინა. ამ მხრივ განსაკუთრებით დაინტერესებული იყო დიდი თავადი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელსაც სურდა, რაც შეიძლებოდა სწრაფად გადაჭრილიყო მიწათსარგებლობის, მიწათა განაწილების საკითხები.

1863 წელს საადგმილმამულო კომისიები და კომიტეტები გაუქმდა და შეიქმნა მთლიანად თერგის მხარის საადგილმამულო კომისია გენერალ ლორის მელიქოვის მეთაურობით, რომლის აზრით,

მიწათსარგებლობაში წესრიგი უნდა განხორციელებულიყო თანდათანობით; ოღონდ ძირითადი არსი იყო — მთიელები, რომლებიც ფლობდნენ ველზე მიწებს, სახელმწიფოსი უნდა ყოფილიყო, ე. ი. ძირითადი მიწების ფონდი სახელწმიფოს ხელში გადავიდოდა.

უფრო ადრე კი, 1861 წელს ყუბანის მხარის მოსახლეობა კავკასიის ხელისუფლების შემოთავაზებით მიწის ფლობის უფლების მიხედვით 3 კატეგორიად დაყვეს. I, II კატეგორაის მიაკუთვნეს ისინი, რომლებიც ხელისუფლებისადმი და მისი რეჟიმისადმი ლოიალურნი იყვნენ, ასევე გააჩნდათ პირადი დამსახურებანი და დიდგვაროვანთა წარმომავლობა. მათ უნდა გამოყოფოდათ მიწები კერძო მფლობელობაში. მე-3 კატეგორიად მიჩნეული იყვნენ დაბალი წარმომავლობის მთიელები და უნდა გამოყოფოდათ მიწები საზოგადოებრივი მფლობელობით. თურქეთში გადასახლებამ წარმოშვა უამრავი თავისუფალი ფონდი, რომელთა გაცემა შეიძლებოდა მე-3 კატეგორიის მოსახლეობისათვის.

აღნიშნული პროექტის ავტორი იყო გენერალი ორბელიანი, რომელმაც საკითხი გადაჭრა რუსეთის ხელისუფლების სასარგებლოდ. პრიორიტეტი მიეცა არა კერძო, არამედ საზოგადოებრივ მიწათა მფლობელობას, რომელიც რეალურად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ ექცეოდა. აღნიშნული მეთოდით ადგილობრივ მოსახლეობას უნდა დაეკარგა საკუთარი მიწის კონტროლის უფლება. რაც შეეხებოდა კერძო მფლობელობის მიწებს, ისინი ურიგდებოდათ მხოლოდ ერთგულებს, რომლებიც საზოგადოებრივ მიწებთან რაოდენობრივად იმდენად უმნიშვნელოდ გამოიყურებოდა, რომ სახელმწიფომ ასეთი ფლობის უფლება დართო. როგორც ვხედავთ, ორბელიანის წინადადებები რუსეთმა მიიღო; რადგანაც ესეც კოლონიური მმართველობის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენდა, ქართველის ხელით აკეთებინებდნენ საქმეს და უნდობლობას თესავდნენ სხვადასხვა ერთა შორის. პროექტები ტრადიციულ ადათობრივ მიწის ფლობის უფლებას ძირს ურყევდნენ.

1865 წლის 18 აპრილს მთავარსარდალმა მოსთხოვა ყუბანის მხარის უფროსს მიწების გადანაწილებაში განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ არა პიროვნების წარმოშობისათვის, არამედ იმათთვის, რომლებიც ერთგულნი იყვნენ და დამსახურება გააჩნდათ ხელისუფლებისადმი. ხელისუფლებისადმი ერთგულებას კი განსაკუთრებით კაზაკები ამჟღავნებდნენ, რომელთა მიწებით უზრუნველყოფა ადგილობრივთა მიწების ხარჯზე ხდებოდა.

მთავრობისადმი ერთგულება გამოიჩინეს აგრეთვე იმპერიის სხვა მხრიდან გადმოსახლებულმა გლეხებმა, მაწანწალებმა და გერმანელმა კოლონისტებმა, რომლებიც 60-იანი წლების ბოლოს ჩამოსახლდნენ ყუბანის რეგიონში, ხოლო გლეხების და მაწანწალებისაგან ჩამოყალიბდა 6 რუსული სოფელი 16 ათასი მცხოვრებით. უპოვარნი უზრუნველყვეს მიწებით, ამით ხელისუფლებაც მოიმადლიერეს და რეგიონში რუსეთის ბატონობის დასაყრდენადაც გადაიქცნენ.

XIX საუკუნის 20-იან წლებში, მაშინ, როდესაც რუსეთს ჯერ კიდევ მტკიცედ არ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ჩრდილო კავკასიაში, დაიწყო მან მიწათსარგებლობაში თავისი ნების გატარება. კერძოდ, ზიანი მიაყენა მთიელთა მიწათსარგებლობასა და მათ საზღვრებს. კორდონული ხაზის, ანუ კაზაკთა პოსტების მოწყობამ დაარღვია არა მარტო მთიელთა მიწათმფლობელობა, არამედ აეკრძალათ კიდეც კორდონული ხაზის გადაკვეთა და სხვა მთიელებთან ურთიერთობა. ამ მხრივ საინტერესოა ყაბარდოსა და მისი მოსაზღვრე მთის საზოგადოებების ვითარება. ყაბარდოში მოიშალა საძოვართა ისტორიულად არსებული მფლობელობის სისტემა, რომლითაც სარგებლობა უკვე სხვა ტომის მთიელებს ყაბარდოელთა ნების გარეშეც შეეძლოთ. აღნიშნულმა სამხედრო კორდონულმა ხაზმა არია მთიელთა შორის საზღვრები და მიწათა ფლობა, კუთვნილების წესები. ყაბარდოელები გამოხატავდნენ დიდ უკმაყოფილებას და მოითხოვდნენ მთიელებისაგან მათი საკუთარი ტერიტორიებით სარგებლობისათვის გადასახადს.

მიწების გამო მთის საზოგადოებებსა და ყაბარდოელებს შორის დიდი მტრობა გაჩნდა. 1864 წელს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად უნდა მომხდარიყო მთის საზოგადოებებსა და დიდ ყაბარდოს შორის მიწათა საძოვრების გამიჯვნა; მთის ზოლზე ყაბარდოელებს ჩამოაჭრეს მიწები და გადასცეს მთის საზოგადოებებს ე. ი. მათ საძოვრები მიიღეს მთის ფერდობებზე, თუმცა მთის საზოგადოებანი დიდად უკმაყოფილონი დარჩნენ ამ გადაწყვეტილებით, რადგანაც ეს ტერიტორიები უფრო ტყიანი, საზაფხულო და საშემოდგომო საძოვრებისათვის გამოუყენებელი იყო.

ხელისუფლება იქცეოდა საჭიროებისამებრ. იგი არ ითვალისწინებდა მთიელთა სურვილს მიწათმფლობელობისა და საზღვრების

დადგენის საკითხებში. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი კი ამის თაობაზე აუცილებელ კანონად უნდა ქცეულიყო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად ხორციელდებოდა მთიელთა დასახლება-გასახლების პოლიტიკაც. უმიწო მთიელ გლეხთა ნაწილი უნდა გასახლებულიყო, მაგალითად, დიდ ყაბარდოში. გასახლეულ გლეხთაგან ერთნი უნდა განებნიათ ხასავ-იურტის აულში, ნაწილს კი უნდა გამოყოფოდა საარსებოდ ძალიან მცირე რაოდენობის მიწა 4-დან 8 დესეტინამდე. გასახლებულთა ადგილას უნდა ჩასახლებულიყო კაზაკობა და რუს გლეხთა გარკვეული რაოდენობა — ვორონეჟის, ეკატერინოსლავის, კურსკის, ორლოვის, პოლტავას, ხარკოვისა და ჩერნიგოვის გუბერნიებიდან.

ხელისუფლებამ მთიელთა საზოგადოებების მიწები 2 კატეგორიად დაყო, საზოგადოებრივ და პირად საკუთრებად. პირველს მიაკუთვნა საძოვარი და სათიბი ადგილები, მეორეს კი — სახნავი და საკარმიდამო. მარტო ამ რეგიონში ადგილობრივთაგან კერძო საკუთრებას 720 კაცი ფლობდა; ასეთ კატეგორიას არა მრატო მთის საზოგადოებებსა და ყაბარდოში, არამედ მთელს ჩრდილო კავკასიაში რუსულმა ხელისუფლებამ მიაკუთვნა თავადები, უზდენები, თვით ხელისუფლების მიერ დაწინაურებული პირები. მიწების დარიგებით ადგილობრივთაგან იგი ქმნიდა საიმედო დასაყრდენს, რადგანაც მათი დახმარებით უფრო ადვილი იქნებოდა თავისი კოლონიზატორული პოლიტიკის გატარება.

როგორც აღვნიშნეთ, აგრარული ღონისძიებანი ჩრდილო კავკასიაში ხორციელდებოდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცვლილებების კვალდაკვალ და ცხოვრებაში ტარდებოდა ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით. ყუბანის, თერგის ოლქების და სტავროპოლის გუბერნიის შექმნით სამიწათმოქმედო, აგრარული ღონისძიებანი დაიწყო ახლადშექმნილი საზღვრების მიხედვით.

ადიღეელების, ჩერქეზებისა და ყარაჩაელების ერთი ნაწილი, რომლებიც თურქეთში არ წასულან, ყუბანის ოლქში შეიყვანეს. ყაბარდოელები, ბალყარელები, ოსები, ჩეჩნები და ინგუშები კი თერგის ოლქში გააერთიანეს. აგრარული, სამიწათმოქმედო ღონისძიებანი შემდგომშიც გრძელდებოდა და XIX საუკუნის ბოლომდე ადმინისტრაციულ დაყოფასთან ერთად მიმდინარეობდა. ოლქების ადმინისტრაციულ ნაკვეთებად დაყოფამ კი უფრო გააადვილა აგრარული და მიწათა მიკუთვნებისა და გადანაწილების ღონისძიებანი. მაგ., ასეთი იყო ყაბარდოს ოკრუგის ყაბარდოელთა და ბალყარელთა

საზოგადოებების ჩერეკისა და ბაქსანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნაკვეთები. 1862 წელს კი მცირე ყაბარდოს დიდ ყაბარდოსთან შეერთების შემდეგ შეიქმნა ყაბარდოს ოკრუგის შემადგენლობაში მყოფი ცალკე ადმინისტრაციული ნაკვეთი. სულ მალე ჩერეკისა და ბაქსანის ნაკვეთების ნაწილისაგან ხელისუფლებამ შექმნა ახალი, მეოთხე ნაკვეთი.

ხელისუფლება აგრარულ ღონისძიებებს — მიწების მიკუთვნება-გადანაწილებასა და საზღვრების ცვლილებებს ხშირად ყოველგვარი ძალისა და იარაღის გარეშეც ახერხებდა; ეს იყო სახელმწიფოს მიერ მიწების ყიდვის დაკანონების პოლიტიკა. მიწების გადანაწილება მთავრობამ დაიწყო ჯერ კიდევ კავკასიის გააფთრებული ომის დროს, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ნაადრევი იყო ლაპარაკი აგრარულ ღონისძიებებზე. კერძოდ, 1846 წელს მთავრობამ ანზოროვისაგან იყიდა მიწის დიდი ნაკვეთები, რომელთაგანაც ნაწილი გამოყო ვლადიკავკაზის კაზაკთა პოლკისათვის. მოგვიანებით კი გამოვიდა ბძრანებანი მთაში გაქცეული თავადების მიწების კონფისკაციისა და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შესახებ. უკვე სახელმწიფო საკუთრებად მიჩნეული მიწებიდან ხელისუფლებამ აშკარად, ყოველგვარი დაფარვის გარეშე 60-იანი წლებში განახორციელა ადგილობრივ მცხოვრებთა ძალდატანებით გაფანტვა-გასახლება და საზღვრების გადაკეთება. ეს ბედი ერგოთ თაგაურისა და ქურთაულის საზოგადოებების ოსებს, ინგუშებსა და ყარაბულაყელებს ნაზრანის საზოგადოების აულებში. მცირე ყაბარდოს 1700-მდე კომლი კი განასახლეს თაუსალათოვის რაიონში და ა. შ. როგორც ვხედავთ, სახელმწიფო მიწები მთლიანად გაწმინდეს ადგილობრივთაგან.

რუსეთის ხელისუფლებამ ხელთ იგდო სახელმწიფო და გამოთავისუფლებული მიწების დიდი ფონდი და თავისი შეხედულებისამებრ დაურიგა კაზაკთაგან პირველ რიგში ოფიცრებს დამსახურების მიხედვით. მაგ, შტაბის ოფიცერს — 400-მდე დეს., ოფიცერს — 200-მდე, ოფიცერთა მემკვიდრე ობლებს — 200-მდე, ოფიცრის ოჯახებს, რომლებიც სამუდამოდ დასახლდნენ — 20-25 დეს. კერძო საკუთრებად კოლონისტების თითოეულ მამრობით პირზე 20-30 დეს. მოდიოდა.

მარტო ყუბანის ოლქის ტერიტორიაზე სამხედრო მოხელეებმა 40 ათასი დესეტინა მიიღეს. რუსეთის ერთგულმა მოხელეებმა დაახლოებით 60 ათასზე მეტი უხვმოსავლიანი მიწა დაისაკუთრეს. რაც

შეეხება იმ მიწებს, რომლებიც მთიელთა ოკრუგებს გადაეცა, ტრამალ ადგილებს ჰგავდა და ნაკლებ სარგებლიანი იყო.

ყველა პროექტი, რომელიც ეხებოდა აგრარულ, მიწათმფლობელობის საკითხებს, ძირითადად რუსეთის ინტერესებს იცავდა. ჩვენთვის მეტად საინტერესოა 1867-68 წლების ყუბანის მხარის ურუპისა და ზელენჩუკის, ლაბისა და ფსეკუპის ოკრუგების მიწათა სამეურნეო აღწერა, რომელიც განხორციელდა ყუბანის მხარის მმართველობის უფროსის, პოლკოვნიკ დუკმასოვის მეთაურობით, რომლის მიერ აღწერილი მიწების ფონდი და ტერიტორიული გადანაწილების პროექტი ხელისუფლების პოზიციებს ეთანხმებოდა. აღნიშნული პროექტით გადანაწილება უნდა მომხდარიყო კოლონისტთა დასახლებებისათვის, ასევე ადგილობრივ მცხოვრებთათვის. პროექტი მოიწონა კავკასიის მთავარსარდალმა. ცხადია, იგი მისი ინტერესების გამომხატველი იყო და განსახილველად გადასცა კავკასიის კომიტეტს; იგი შეიტანეს კომიტეტის ჟურნალში, როგორც ხელისუფლების მიერ მოწონებული პროექტი.

ხელისუფლება დიდად არ იყო დაინტერესებული ადგილობრივებისათვის ნაკვეთების მიცემით, მაგრამ იძულებული იყო, რადგანაც ამას მთავრობისათვის შეიძლებოდა კიდევ დიდი უსიამოვნება მოჰყოლოდა, დაეწყო მიწების ფონდის ძებნა. აღწერით გამოვლინდა რამოდენიმე ათასი დეს. თავისუფალი მიწა, რომელიც დაურიგდა საპატიო მთიელებს; უფრო დაბალ ფენას, ცხადია, აღარაფერი რჩებოდა. ამიტომაც ისევ იძულებით გამოძებნეს აბინის კაზაკური პოლკისათვის გადაცემული დარჩენილი თავისუფალი მიწის ნარჩენები.

მიწების აღწერა გრძელდებოდა თითქმის მთელი 1868 წლის განმავლობაშიც. აღწერამ დააფიქსირა მდ. მარის მარჯვენა მხარეს არსებული მიწათა რაოდენობა, რომელიც განკუთვნილი იყო ელბრუსის ოკრუგზე მიწერილი აბაზთა აულებისათვის.

აღწერის მონაცემებით დამტკიცდა და დასარიგებლად მომზადდა მიწათა ფონდი. კერძოდ, ფსეკუპის ოლქის საპატიო მთიელებს ურიგდებოდათ 43 ნაკვეთი ფართით 9790 დეს., აბაზთა აულების საპატიო მთიელებს კი — 23 ნაკვეთი 5850 დეს. ფართით.

რაც შეეხება ელბრუსის ოკრუგს (ყარაჩაელების საზოგადოება), სადაც მიწები მცირე იყო, ხელისუფლებამ მთიელთა საზღვრების შეცვლით გამოსავალი გამონახა. მდინარეების ეშკაკონსა და ყუმას შორის არსებული 17 ათასი დეს. საუკეთესო ტერიტორიებისა და

საძოვრების სანაცვლოდ, რომელიც ყარაჩაელებს ჩამოაჭრეს და ადმინისტრაციულად მოაქციეს თერგის ოლქის გამგებლობაში, მათ დაურიგდათ მდ. მარის მარჯვენა და მდ. თებერდის მარცხენა მხარეს არსებული სხვა საზოგადოებების კუთვნილი 43 ათასი დეს. მიწები.

ყუბანის ოლქის მთის ზონის მიწები, მცირე გამონაკლისის გარდა, ხელისუფლების მიერ მთიელთა მასობრივი განადგურება-გასახლების შედეგად მთლიანად დაცარიელდა. რელიეფისა და მიწის სიმწირის გამო აქ მხოლოდ კაზაკი კოლონისტების ძალზე მცირე ნაწილი იქნა დასახლებული. ეს მიწები უვარგისი იყო აგრეთვე რუსეთის სამხრეთ გუბერნიებიდან თავისუფალი მიწების საძებნელად წამოსული ათასობით გლეხისათვის; ამიტომაც, მათ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელისუფლება საუკეთესო პირობებს უქმნიდა და აგრარული ღონისძიებების შედეგად კარგ მიწებს ურიგებდა. მიუხედავად იმისა, რომ მიწების დიდი ნაწილი თითქმის თავისუფალი, მწირი და გამოუსადეგარი იყო, ხელისუფლების ნებისა და კონტროლის გარეშე ვერავინ დასახლდებოდა; მაგ., მხოლოდ მთავარსარდლის ნებართვით ჩაასახლეს აქ ბერძენთა 20 ოჯახი. მთიანი ზოლის დასავლეთ ნაწილი მდ. ლაბის თავიდან მთა აპიფსამდე, რომელიც საცხოვრებლად მოსახერხებელი იყო და მჭიდროდ იყო დასახლებული მთიელებით, კოლონისტებმა მთლიანად გაწმინდეს. თავისუფალ მიწებზე დაასახლეს კავკასიის მე-3 და მე-4 კაზაკთა ბატალიონები, ხოლო იმ ოფიცრებსა და ჩინოვნიკებს, რომლებმაც აქ სამუდამოდ ცხოვრება გადაწყვიტეს, გამოუყვეს თითოეულს 30 დესეტინა მიწა კერძო მფლობელობაში.

ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელთაც საუკეთესო სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები და ტყეები წაართვეს, პროტესტს გამოთქვამდნენ, მაგრამ მათ არავინ უგდებდა ყურს.

ზელენჩუკისა და ურუპის რაიონში აგრარული რეფორმით მიწებისა და ტერიტორიების გადანაწილების მაგალითზე ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ ყუბანის რეგიონში აგრარულ-ტერიტორიული რეფორმის შედეგებზე; ასე, მაგალითად, ყუბანის ოლქის აულებს საზოგადოებრივ მფლობელობაში გადასცეს 95,131 დეს., 2 გერმანულ და 2 რუსულ კოლონიას – 20,211 დეს., გენერალ-მაიორ ზაბულსკის და პორუჩიკ იუვს – 4574 დეს, I კატეგორიის მთიელებს – 18,000 დეს., მოსახლეობისათვის გამოყვეს 1,795 დეს. ტყის მასივები, რუს გლეხობას – 14,000 დეს. და ხელისუფლების სხვადასხვა ჯურის

მომხრეებს – 23,405 დეს. 6 ათასი დეს. დამსახურებისათვის გამოუყვეს თერგის ოლქის ყაბარდოს წარმომადგენლებს და 9 ათასი დეს. თაგაურელ ალდარებს თავიანთ რეგიონებში მიწათა უკმარისობის გამო, სემიონოვის გერმანულ კოლონიას – 3,000 დეს., რუს გლეხთა დაბებს – 14,000 დეს., სომხებს – 23,405 დეს., I კატეგორიის ადგილობრივებს – 3,869 დეს. და ა. შ. ყველაზე მეტი მიწების ფონდი – 79,5% 70-იანი წლების ბოლოსათვის ყუბანში ეპყრათ კაზაკებს.

ძირითადად მიწები გამოეყოთ მთავრობის მომხრე ადგილობრივ პრივილეგირებულ პირებს, ასევე იმათ, რომლებმაც რუსებთან სამსახურისათვის მიიღეს ოფიცერთა წოდებანი. მიწები ურიგდებოდათ კერძო მფლობელობაში. მაღალი ფენის ოფიცრობას ხელისუფლება უზრდიდა მიწათა რაოდენობას. დაკმაყოფილდნენ კოლონისტები და ხელისუფლებისადმი ერთგულები, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ რეგიონის ძარცვა-გლეჯაში.

როგორც ვხედავთ, მიწათა უმეტესობა გადაუნაწილეს არა ადგილობრივებს, არამედ კოლონისტებსა და სხვა კუთხის მთიელებს. ახალ ტერიტორიებზე გასახლებული მთიელი გლეხების სახნავ-სათესი და საძოვარი ფართობები მეტწილად უვარგისი იყო, რის გამოც მიწას იჯარით იღებდნენ და უკიდურეს გაჭირვებაში ვარდებოდნენ.

ყოველივე აღნიშნულს კი შედეგად მოჰყვა დიდი გაუგებრობანი მიწათმფლობელობასა და საზღვრების საკითხებში.

ყაბარდოში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობანი მტკიცედ იყო განვითარებული, ვიდრე სხვა მხარეში და საზოგადოებისაგანაც უფრო დიდი წინააღმდეგობა იყო მოსალოდნელი. ამიტომ ხელისუფლება განსაკუთრებულ კონტროლს აწესებდა ამ მხარეზე. აგრარული საკიხთის განხილვისას აქ კერძო მფლობელობა არ დაუშვეს და მიწათა ფონდი საზოგადოებრივ საკუთრებაში მიაკუთვნეს აულებს. ამგვარი ღონისძიება გაუადვილებდა ხელისუფლებას ყაბარდოელების კონტროლს.

მიწებზე საზოგადოებრივი საკუთრება ზღუდავდა ყაბარდოელთა უფლებებს და შესაძლებლობებს. მიწის უკმარისობის შემთხვევაში ისინი იძულებულნი ხდებოდნენ, იჯარით აეღოთ მიწა თვით კაზაკებისა და რუსი კოლონისტებისაგან, რომელთაც ყველაზე დიდი მიწის ფონდი ეპყრათ ხელს. აგრარული რეფორმები, როგორც ვხედავთ, კოლონიური მმართველობის ერთ-ერთ ძლიერ იარაღს წარმოადგენდა.

1863 წელს სიმაგრე ნალჩიკში თერგის ოლქის წოდებრივ სამიწათმოქმედო კომისიაში ყოველი აულის წარმომადგენელმა პირმა, რომლებიც მცხოვრებთა ნდობით იყვნენ აღჭურვილი, აქტით მიიღო დასტური, რომ მიწათსარგებლობა შეეძლოთ ყველას, ოღონდ არა კერძო, არამედ საზოგადოებრივ საკუთრებაში. კერძო მფლობელობაში მიწები, ისიც გამონაკლისის სახით, შეიძლებოდა გამოყოფოდათ მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებისადმი ერთგულებსა და დამსახურებაში გამორჩეულებს.

მთავარსარდლის ბრძანებით, უნდა მომხდარიყო ყაბარდოს მოსახლეობის გაერთიანება მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებად, დიდ აულებად, ვინაიდან რუსეთის მიერ დანიშნულ ადმინისტრაციის მეთაურს უკეთ შესძლებოდა კონტროლის გაწევა ერთიანი მთელი ტერიტორიისა და ხალხისათვის, ვდრე მცირე, დანაწევრებული ერთეულებისათვის. ამავე დროს მიწების გადაცემა საზოგადოებრივ მფლობელობაში მსხვილი ერთეულებისათვის საგრძნობლად ადვილი იყო და ხელისუფლებას დიდ პრობლემას არ უქმნიდა.

1865 წლიდან დიდ ყაბარდოში დაიწყო აულების გაერთიანება მსხვილ სასოფლო-სათემო ერთეულად. კერძოდ, 97 აული გაერთიანდა 30 დიდ აულად, ხოლო ყაბარდოში, რომელიც ცნობილი იყო ასევე თაუსულთანოვის სახელწოდებით და ტერიტორიულად მდებარეობდა ოსეთის ოკრუგის ელხოტის აულსა და მდინარეებს — კერპსა და თერგს შორის და ბეკოვიჩ-ჩერკასკისაგან ხაზინისათვის შეძენილ მიწებზე, 19 აული გააერთიანეს 9 დიდ ერთეულად. აღვნიშნავთ, რომ მცირე ყაბარდო გახდა ყუმიყების, ოსების, ჩეჩნების, ინგუშების, ყარაბულაყელების, გაგლოელებისა და თვით ყაბარდოელების საცხოვრებელი ადგილი. ადგილობრივებს თავიანთი შემოსაზღვრული ისტორიული ტერიტორიები აღარ გააჩნდათ. ამგვარად, რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა იყო „დაყავი და იბატონე“. უკვე მცირე ყაბარდო და დიდი ყაბარდო ცალ-ცალკე ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ რეგიონებს წარმოადგენდა.

თავისი პოლიტიკის საფუძვლიანად გატარებისათვის ხელისუფლებას აუცილებლად თავის განკარგულებაში უნდა ჰქონოდა დიდი და მცირე ყაბარდოს მიწათა ფონდების რაოდენობა. მაგრამ ვინაიდან მცირე ყაბარდო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულად სხვა რეგიონში შედიოდა, მისგან პოლიტიკური საშიშროება აღარ არსებობდა; ამიტომაც მისი მიწების ფონდის რაოდენობა რუსეთს

მაინცდამაინც აღარ აინტერესებდა, მიწათა რაოდენობის ძირითადი განსაზღვრა სპეციალურ კომისიას მიანდო, რომელმაც წარმატებით განახორციელა და პატარა ნაკვეთებიც კი უყურადღებოდ არ დატოვა. მთელმა ფონდმა შეადგინა 630 ათასი დესეტინა. 245,818 დეს. დაურიგდათ აულებს საზოგადოებრივ მფლობელობაში, 140 ნაკვეთი 60 ათასი დეს. ოდენობით გამოუყვეს მაღალი ფენის ხელისუფლების მომხრე პირებს, რეზერვში მყოფი 24000 დეს. ურიგდებოდათ ერთგულ ჩინოვნიკებს, სლობოდკების და გარნიზონების უფროსებს – 5 ათასი დეს., გაუყოფელი დარჩა რამოდენიმე ათასი დესეტინა (289,666 დეს.) საძოვრები და ტყის მასივები, თუმცა მას ხელისუფლება აკონტროლებდა.

გადაუნაწილებელი 900 დესეტინა მიწა რუსეთისაგან ჯილდოდ ერგო ყაბარდოს მკვიდრს გენერალ-მაიორ აბდურახმანოვს, იმის სანაცვლოდ, რომ მან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ყაბარდოელთა საკუთრებაში მყოფი მიწები პიატიგორსკთან ახლოს გადასცა კაზაკურ ახალშენებს.

მიწათა სარგებლობაში დიდი არევ-დარევა მოხდა მცირე ყაბარდოში, სადაც საზოგადოებრივ, ისიც დროებითი, მფლობელობით აქ მცხოვრებთ გადასცეს მდ. ეშკაკონსა და ყუმას შორის, მდ. თერგსა და კუპრს შორის, ასევე ელბრუსის ოკრუგის და ყოფილი აბუკოვის მიწები.

ამავე დროს ხელისუფლებამ დიდ ყაბარდოში უშუალოდ თავის პირად გამგებლობაში მოაქცია 4 ათასი დესეტინა მიწა შეხედულებისამებრ გამოსაყენებლად.

საზოგადოებრივ მფლობელობაში მიწების მიღების შემდეგ ყაბარდოელები და არა მარტო ყაბარდოელები, ყუბანის რეგიონში მცხოვრები თითქმის ყველა მთიელიც დაბეგრეს მთელი რიგი სახელმწიფო გადასახადებით. გადასახადები სახელმწიფო ხაზინას ემატებოდა. დაბეგვრის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მოდუნებულიყო მათი ყურადღება პოლიტიკურ საკითხებზე და მთელი გონება და ფიქრი მიმართული ყოფილიყო სოციალური საკითხების მოგვარებისა და გადასახადების გადახდისაკენ. მით უფრო, რომ კაზაკებსა და ყაბარდოელებს შორის ფეთქებადი ვითარება არსებობდა, რამეთუ კაზაკებს დასაკუთრებული ჰქონდათ მთების მიმდებარე რაიონებში ყაბარდოელთა საუკეთესო მიწების ფონდი.

ყაბარდოს მცხოვრებნი დაბეგრეს თითოეულ კომლზე 5 მანეთის ოდენობით, ყუმიყეთისა და ჩეჩნეთის ოკრუგის მოსახლეობა —

3 მანეთის, ნაზრანის საზოგადოება და ინგუშეთის ოკრუგი — 3 მან., არღუნის, იჩკერის და მათი ნაკვეთების მოსახლეობა ყოველი კომლი — 1 მან. ოდენობით და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ყაბარდოელები უფრო მეტი თანხით იყვნენ დაბეგრილნი სახელმწიფოს მიერ, ვიდრე სხვა მთიელები. ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა; საქმე იმაშია, რომ გამანადგურებელი ომის შედეგად კავკასიის აღმოსავლეთის რეგიონი მთლიანად გაპარტახდა. თავსიუფლებისათვის მებრძოლი ყველაზე აქტიურნი მთელს ჩრდილო კავკასიაში — ჩეჩნები და დაღესტნელები — იარაღით დაიმორჩილეს. ფაქტობრივად, წაერთვათ მათ, დროებით მაინც, წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა და სურვილი. ასე რომ, 60-იანი და 70-იანი წლებისათვის აგრარული, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ანუ ხელისუფლების მიერ გადანაწილების ღონისძიებები საკმაოდ კარგად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ხორციელდებოდა დაპყრობილი ცენტრალური-აღმოსავლეთის ანუ ჩეჩნეთისა და დაღესტნის რეგიონებში. ხელისუფლება ამ მხრივ დაწყნარებული იყო; რაც შეეხება ყაბარდოს, საშინელი განადგურება არ შეხებია და სამეურნეო და პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა. ცხადია, ცარიზმს სხვასთან შედარებირთ დაწინაურებული რეგიონისაგან შეიძლებოდა გამოსჩენოდა ახალი პრობლემები ყოველგვარი საკითხის ირგვლივ. ამიტომ იყო, რომ აგრარული ღონისძიებანი ყველაზე სასტიკი ფორმებით აქ გატარდა; ხალხს წაართვეს ადათით მინიჭებული მიწის კერძო ფლობის უფლება. მიწა მიაკუთვნეს საზოგადოებას და არა პიროვნებას, რაც იმავე სახელმწიფო საკუთრებას ნიშნავდა. მთავარი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის იყო, რომ ყველაზე მეტი დაბეგვრა ყაბარდოელებს დაუკანონეს. ეს ნიშნავდა იმას, რომ მათ სოციალური და ეკონომიკური ბერკეტებით თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილიც მოუსპეს.

ზუსტად ანალოგიური ვითარება იყო ყუბანის ოლქში. ბატალპაშინის მაზრის მაგალითიც კი საკმარისია, რომ საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ რეგიონში შექმნილ სიტუაციაზე. მართალია, მაზრაში მიწები მთლიანად არ გადასულა საზოგადოებრივ საკუთრებაში, თუმცა შექმნილი მდგომარეობა მიუთითებდა ოლქში ხელისუფლების მთლიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ კონტროლზე. სახელმწიფო საკუთრებაში იყო 42,90%, კაზაკების — 37,9%, საზოგა-

დოებრივ მფლობელობაში — 2,1%, კერძო საკუთრებაში (ხელისუფლების ყველა ჯურის მომხრენი) — 9,30% და ა. შ.

ხელისუფლებისათვის სხვა რეგიონებთან შედარებით რეფორმების გატარების იდეალური პირობები იყო ოსეთის რეგიონში, რომელიც თერგის ოლქში შედიოდა. აქ ხელისუფლებას ადმინისტრაციული და აგრარულ-ტერიტორიული გადანაწილებისას დაბრკოლება არ ჰქონია. ჯერ ერთი, საქმე იმაშია, რომ ოსები ჩრდილო კავკასიელებთან შედარებით ხელისუფლების პოლიტიკისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენდნენ; მათ კავკასიის ომშიც კი არ მიიღეს მონაწილეობა. მეტიც, რუსულმა ხელისუფლებამ ოსური მილიციაც კი ჩამოაყალიბა; მილიციელის ხელფასი თვეში 15 მანეთს შეადგენდა და ისინიც ერთგულად ემსახურებოდნენ მთავრობას. ოსებში აგრარული, ადმინისტრაციული თუ სხვა ხასიათის ღონისძიებანი, მართალია, რუსეთის დამკვიდრებას ემსახურებოდა, თუმცა მათი ინტერესები სხვა მთიელებთან შედარებით, მცირედით მაინც, გათვალისწინებული იყო. კერძოდ: ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და აგრარული ღონისძიებების შედეგად ხელისუფლებამ ოსების რეგიონი გარკვეულწილად გაზარდა. საკმარისია აღვნიშნოთ, მაგალითად, ყაბარდოს ზოგიერთი მიწების შესახებ, რომლებიც მთავრობამ მიაკუთვნა ვლადიკავკაზის ოკრუგს. ასევე მდ. თერგის ნაპირზე ქალაქ ვლადიკავკაზთან დაშორებით 7 კმ-ის მაძილზე მდებარე ინგუშ-ჩეჩნურ დიდგვაროვანთა დუდაროვების 3408 დეს. და 600 საჟენი ფართის დესეტინა მიწები, რომელთა ნაწილიც — 1004 დესეტინა და 2125 საჟენი, მთავრობის კატეგორიული მოთხოვნით, დუდაროვებმა იძულების წესით გადასცეს ქალაქ ვლადიკავკაზს, რათა დარჩენილი 2403 დესეტინისა და 875 საჟენი დუდაროვების საკუთარი ტერიტორიებისათვის ხელისუფლებას ხელი არ ეხლო და ისიც არ დაეკარგათ.

ნოყიერი მიწების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ბარად, მდებარე მდ. თერგის მარცხენა მხარეს, ოსებისადმი ლოიალურად დამოკიდებულების მიუხედავად, ხელსიუფლებამ დაუკანონა ვლადიკავკაზის 1 კაზაკთა პოლკს.

ცხადია, ასეთი ღონისძიებებით ვლადიკავკაზისა და მთლიანად ოსეთის რეგიონი გადაიქცა მთელს ჩრდილო კავკასიაში ხელისუფლების ფორპოსტად, საიდანაც უნდა წარმართულიყო კონტროლი მთელს რეგიონზე.

ვინაიდან ოსეთის საზოგადოებებში ხელისუფლებას ისეთი წინააღმდეგობანი არ ჰქონია, როგორც ჩრდილო კავკასიის სხვა მთიელებში, გადაწყდა, მიწების გადანაწილების საკითხი სხვაგვარად განეხორციელებიათ; კერძოდ, არ შელახულიყო არა მარტო რუსი მოახალშენეების, არამედ გარკვეულწილად თვით ადგილობრივთა ინტერესებიც. პირველ რიგში, უნდა მომხდარიყო დიდებულთა, ანუ ალდართა და ბედელიატთა უფლებების შეზღუდვა ხალხზე და მიწებზე, რათა მათ არ დაებრკოლებინათ აგრარული და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ღონისძიებების განხორციელება. ამავე დროს ხელისუფლებას ალდართა და ბედელიატთა მიწების ნაწილი უნდა დაერიგებინათ დაბალი ფენისათვის. მართალია, ეს ღონისძიება დიდებულთა უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მაგრამ სამაგიეროდ ხელისუფლება საარსებო მიწით უზრუნველყოფდა მისი პოლიტიკისათვის ყველაზე საშიშ დაბალ ფენას და ამით მთაში დასაყრდენს გაიჩენდა. 1853-56 წლებში შექმნილ განსაკუთრებულ კომიტეტს თაგაურის საზოგადოებაში თავის შეხედულებისამებრ უნდა განეხორციელებინა მიწათა გადანაწილება. კერძოდ, ალდარებს და ბედელიატებს უნდა ჩამორთმეოდათ უფლებები ხალხზე, რომელთაც შემდგომ უნდა გამოყოფოდათ თითოეულს 225 დეს. საუკეთესო ადგილებისა, ხოლო მდაბიოებს — 36 დესეტინა კომლზე. ხელისუფლებამ არ იცოდა მიწათა რაოდენობა, ამიტომაც ალდართა და მოსახლოების ნაწილი უმიწოდ უნდა დარჩენილიყო. ამ კომიტეტის მიერ შემოტანილი წინადადებები უარყოფილ იქნა.

რაც შეეხება დიგორიის საზოგადოების მიწებს, იგი გენერალ ფელდმარშალ ვორონცოვის ბრძანებით იმავე 1853 წელს, გააფთრებული ომის პერიოდში, გადანაწილდა ხელისუფლების ინტერესებისამებრ. კერძოდ, ქრისტიანთა აულებს გამოეყოთ 4870 დეს., მაჰმადიანთა აულებს — 3760 დეს., 6 გვარის უმაღლესი ფენის ბედელიატებს — 5125 დესეტინა. ხელისუფლება არ შეხებია და არც ჩამოართვა ტუგანოვთა გვარს 12,954 დეს. და 1495 საჟენი ტერიტორიები. ეს ის მიწები იყო, რომელიც მონარქმა დიდი დამსახურებისა და ერთგულებისათვის 1837 წელს აჩუქა მათ.

როგორც ვხედავთ, 50-იან წლებში დიგორიის საზოგადოებაში მიწათა გადანაწილებას თავისი მიზანი ჰქონდა. ხელისუფლებას კავკასიის ომში უჭირდა და დიდ დანაკარგს განიცდიდა. თითქმის ყველა ჩრდილო კავკასიელი იბრძოდა თავისუფლებისათვის, ამიტომაც რუსეთისადმი მცირეოდენი მხარდაჭერა ან თუნდაც ნეიტრალურ

პოზიციაში ყოფნა დიდად საჭირო იყო. მათი ტერიტორია ამავე დროს ჯარისათვის სტრატეგიულ ბაზად უნდა ქცეულიყო. ზუსტად ამიტომაც განხორციელდა ჯერ კიდევ ადრე, აგრარულ რეფორმამდე, მიწების ამგვარი გადანაწილება. ამ პოლიტიკით მთავრობამ დიდი დარტყმა მიაყენა ბედელიატებს. ჩამოართვა მიწების დიდი ნაწილი და გარკვეულწილად შეასუსტა მათი ძლიერება; იგი ხომ რეგიონში რუსეთის პოზიციების განმტკიცების დამაბრკოლებელ ძალას წარმოადგენდა. ხელისუფლება ასევე მიისწრაფოდა, გაეუქმებინა დაბალი ფენის ვალდებულებები ბედელიატების მიმართ. სამაგიეროდ შეასრულებდნენ ყველა მოთხოვნას, რასაც ხელისუფლება მოინდომებდა. როგორც ვხედავთ, რუსული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მმართველობის დანერგვა მოსახლეობის ყოფას სახეს უცვლიდა.

აგრარული და მასთან ერთად ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმები კი ზუსტად ამგვარ მდგომარეობას და რუსეთის ინტერესების დაკანონებას ისახავდა მიზანდ.

რუსეთის „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენდა ჯერ კიდევ 50-იან წლებში ოსების საზოგადოებაში განხორციელებული ღონისძიება — გაყვეს ქრისტიან და მაჰმადიან ოსთა აულები. ამან კი ქრისტიან ოსებსა და მაჰმადიან ოსებს შორის მტრობა გაზარდა; საქმე იმაშია, რომ მაჰმადიანთა მიწების ნაწილი გადასცეს ქრისტიანებს, ხოლო ქრისტიანების უფრო მცირე მოსავლიანი მიწები კი პირიქით — მაჰმადიანებს, ე. ი. მოხდა მათი კუთვნილი ტერიტორიების და საზღვრების არევ-დარევა. მაგ., მიწის ფართის სიმცირის გამო თაგაურის საზოგადოების პრივილეგირებულ მაჰმადიან ალდარებს უფლება მიეცათ, დაეკავებინათ მიწის ნაკვეთები ვლადიკავკაზის ველზე; გადმოსახლებული ქრისტიანი ოსები მაჰმადიანთა დამოკიდებულებაში ვარდებოდნენ.

როგორც ვხედავთ, რუსეთის დამკვიდრების ერთ-ერთი „დაყავი და იბატონეს“ მეთოდი არა მარტო სხვადასხვა ხალხების, არამედ თვით ერთი ერის, ერთი საზოგადოების შიგნითაც ხორციელდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ხან ქრისტიანებისადმი და ხან მაჰმადიანებისადმი მხარდაჭერა რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ხერხს წარმოადგენდა.

არ უნდა დაგვავიწყდეს იმის აღნიშვნაც, რომ ხელისუფლებამ აგრარული, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება მთიდან ადგილობრივთა ბარში ჩასახლების შემდეგ დაიწყო.

ბარში ჩასახლება კი ყველას — თაგაურის, დიგორიის, ალაგირის და ქურთაულის საზოგადოების ოსებს ერგოთ წილად. ყველაზე მასიური გასახლება მთიდან ბარის რეგიონში 1824 წელს განხორციელდა ალაგირის საზოგადოების არდონისა და სალოგარდონის აულებში.

ოსებში 50-იან წლებში ვლადიკავკაზის ველზე მთიდან გადმოსულთა რაოდენობის ზრდამ განაპირობა მიწათა სარგებლობის საკითხებში დიდი არეულობა. მიზეზები ნაკვეთების კუთვნილების გაურკვევლობა იყო, რის გამოც ხდებოდა ოსთა მიერ სურვილისამებრ მიწათა მიტაცება. რეგიონის მმართველობა ხუჭავდა თვალს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. მუდმივი არეულობა მათ ხელს აძლევდა, რადგან უფრო ადვილი იქნებოდა დამორჩილება.

აქ მთის რეგიონებიდან გადმოსახლება ყოველწლიურად მიმდინარეობდა და 1964 წლისათვის მამაკაცთა რაოდენობამ 400 კომბიდან 1054 სული შეადგინა. ქურთაულის საზოგადოების ველზე ჩამოსახლებულებს კი 1824 წელს ვლადიკავკაზის კომენდანტმა 14520 დესეტინა გადასცა. აქ არ შედიოდა ის მიწები, რომლებიც შემდგომ გადაეცა ვლადიკავკაზის I კაზაკთა პოლკის სტანიცა არდონს.

მთიდან ბარში ჩამოსახლებანი ხელისუფლების ნება-სურვილით ხორციელდებოდა. მით უფრო, რომ მთაში რელიეფის სირთულისა და მიუდგომლობის გამო მოსახლეობის დამორჩილება გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე ბარში; ბარის გაკონტროლებას კი ხელისუფლება თავისუფლად ახერხებდა. ამავე დროს აქ განლაგებული იყო ხელისუფლების საყრდენი კაზაკთა საოკუპაციო პოლკები, რომლებიც მკაცრ ზედამხედველობას ახორციელებდნენ ადგილობრივებზე. ალაგირის საზოგადოების ორი აულისა და ქურთაულის საზოგადოების მიწების მნიშვნელოვანი ფონდი გადაეცა არდონისა და ნიკოლაევის რუსულ სტანიცებს, ვლადიკავკაზის I კაზაკთა პოლკს და ალაგირის ტყვიისა და ვერცხლის ქარხანას, სადაც მხოლოდ რუსები მუშაობდნენ. ამ გადანაწილების შედეგად ოსურ აულებს დარჩათ მხოლოდ 10,820 დესეტინაზე ცოტა მეტი მიწა, რომელიც საარსებოდაც არ კმაროდა.

აგრარულ-ტერიტორიული გადანაწილება ხელისუფლებამ განსაკუთრებული ინტენსიობით კავკასიის ომის შემდგომ განახორციელა, როდესაც მას ამ საქმისათვის არავითარი დაბრკოლება აღარ ელობებოდა წინ. ხელისუფლების მოთხოვნით, შეიქმნა მთელი იგი

კომისიები და კომიტეტები, რომელთაც მიწათა გადანაწილებისას მისი ინტერესებით უნდა ეხელმძღვანელათ.

1850 წელს შექმნილმა კომისიამ დააყენა საკითხი ყველა საზოგადოებაში ალდართა და ბედელიატთა მიწების შემცირების თაობაზე, თუმცა ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა ერთი გარემოება, კერძოდ, დაბალი ფენა, როგორც საყრდენი მისი პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის, მთლიანობაში არ იქნებოდა საკმარისი. ხოლო ალდართა და ბედელიატთა მხრიდან მას ძალიან დიდი მოწინააღმდეგეები გაუჩნდებოდა, თუ მათ ინტერესებს ნაწილობრივ მაინც არ დააკმაყოფილებდა. რა უნდა მოემოქმედა მთავრობას ამისათვის, როცა მიწების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ომამდე და ომის პერიოდში სხვადასხვა ფენებსა და საზოგადოებაში არია და ბედელიატთა და ალდართათვის საკმარისი აღარ იყო. ამისათვის ხელისუფლებამ გამონახა ყუბანის რეგიონში მიწების ახალი ფონდი, რომელიც ადგილობრივთა თურქეთში გასახლების შემდეგ გათავისუფლდა. ხელისუფლებამ ალდარებს და ბედელიატებს ყუბანში 300 დესეტინამდე დაურიგა. მიწებით უზრუნველყოფა თავის მხრივ მასებსაც სჭირდებოდა, ამიტომაც ისინიც გაასახლეს თავიანთი ადგილებიდან და ახალი ტერიტორიებით უზრუნველყვეს.

ხელისუფლებისათვის ყველაზე საინტერესო იყო კოძაკოვის კომისიის აგრარულ-ტერიტორიული პროექტი, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო მთელი რიგი აულების ადგილმდებარეობის შეცვლა და მოსახლეობის გასახლება. ამავე პროექტით მიწები მოსახლეობას უნდა გადასცემოდა საზოგადოებრივ მფლობელობაში. მაგალითად, დიგორიის საზოგადოებაში მიწის ფართი იმდენად მცირე იყო, რომ ვერ უზრუნველყოფდა ყველა მოსახლეს, ამიტომაც უნდა დაქვემდებარებულიყვნენ გასახლებას სხვა რეგიონებში; ლეზგორელთა 40 ოჯახი უნდა გასახლებულიყო დიდ ყაბარდოში, ხესესები კი (ალაგირის საზოგადოებიდან გამოსული უბრალო დიგორიელები) ექვემდებარებოდნენ ყუბანის ოლქის თავისუფალ მიწებზე გასახლებას.

1865 წლიდან, მისი უდიდებულესობის გადაწყვეტილებით, ლეზგორელი მოსახლეობა გაასახლეს დიდ ყაბარდოში, ხოლო უმიწო დიგორიელებსა და ხესესებს უფლება მისცეს, დროებით, გადასახლებამდე, ესარგებლათ ბედელიატების მიწის ფონდით, სამაგიეროდ ბედელიატები გაათავისუფლეს მიწის გადასახადებისაგან.

საზოგადოებრივ მფლობელობაში მიწები გადადიოდა ალაგირის და ქურთაულის საზოგადოებაშიც; კერძოდ, 1864 წლის 31 დეკემბერს მთავარსარდალმა გამოსცა ბრძანება ალაგირის საზოგადოებაში მიწის საზოგადოებრივ მფლობელობაში გადაცემის შესახებ. რაც შეეხება ქურთაულის საზოგადოებას, აქ მიწების ფონდის გადანაწილებაში დიდი არევ-დარევა სუფევდა. საქმე იმაშია, რომ 593 დესეტინა მიწაზე, რომელიც ვლადიკავკაზის I კაზაკთა პოლკს ჰქონდა, პრეტენზიას აცხადებდნენ მთის აულის ბერაგზანგის მცხოვრებნი. ამიტომაც ბარში მცხოვრებ ქურთაულის საზოგადოებას მთავარსარდლის ბრძანებით ჩამოეჭრა 593 დესეტინა და გადაეცა აულ ბერაგზანის მცხოვრებთ საზოგადოებრივ მფლობელობაში. საზოგადოებრივ მფლობელობაში გადადიოდა ასევე ქურთაულის საზოგადოების დანარჩენი მიწებიც.

ვინაიდან ველზე არსებული მიწები ნოყიერი და მდიდარი იყო, ხელისუფლებას იგი თავისთვის სჭირდებოდა; ამიტომაც ახორციელებდა ველზე არსებული დასახლებების სხვადასხვა ადგილებზე გადატანას. გამონაკლისად მხოლოდ ორი გვარი დატოვეს ძველ ადგილას. დატოვება ეს იყო ჯილდო რუსებისადმი გარკვეული დამსახურებისათვის; კერძოდ, 2500 დესეტინა ვლადიკავკაზის ველზე გამოუყვეს დუდაროვებს, ხოლო ტუგანოვებს — 13,000 დესეტინა დიგორიის ველზე.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული საზოგადოებების მიწებზე სათემო, სასოფლო მმართველობა დამყარდა.

მიწათა საკითხები ოსებში არ იყო იმდენად მწვავე, როგორც სხვა მთიელებში. მათ, როგორც ყველაზე მორჩილთ, ენდობოდა ხელისუფლება და ურთიერთობა მათ შორის მშვიდობიან კალაპოტში მიმდინარეობდა.

აგრარული რეფორმები, ანუ მიწების გამიჯვნა, ძირითადად დასრულდა 1866-67 წლებში, მიწების აღწერასთან ერთად. მიწების გადანაწილების შემდეგ მათი საზღვრები ნიშნებით იქნა გამოყოფილი.

ცარიზმმა აგრარული და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმებით გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ჩეჩნებს. ჩეჩნეთი წარმოადგენდა იმ მიწას, სადაც რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა გააფრთებული ბრძოლა რუსეთის არმიის წინააღმდეგ. მიუხედავად მამაცობისა და უამრავი მსხვერპლისა, ჩეჩნებმა ვერ შეინარჩუნეს თავისუფლება.

ხელისუფლება ცდილობდა ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც საბოლოოდ ჩაკლავდა ამ ხალხში თავისუფლების სურვილს. ამ ღონისძიებებს კი შეადგენდა რეფორმების განხორციელება, რომელიც არა მარტო დაშლიდა და დაანაწევრებდა ტერიტორიულად ამ რეგიონს, არამედ ამ პოლიტიკით რუსეთი მტკიცედ და სამუდამოდ მოიკიდებდა აქ ფეხს.

აგრარული რეფორმები ჩეჩნეთში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მმართველობის შემადგენელი ნაწილი იყო და მათი ცალ-ცალკე გატარება რუსეთს წარმატებას არ მოუტანდა. აგრარული რეფორმები და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ღონისძიებები ერთ მიზანს ისახავდა და ერთდროულად ტარდებოდა.

რუსეთმა 1860 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთი თერგის ოლქში შეიყვანა და ადმინისტრაციულად გროზნოს, ვედენოს, არღუნის, იჩკერიის და ხასავ-იურტის (ყუმუხები და ჩეჩნები) ოკურგებად დაყო. აგრარული რეფორმით კი განახორციელა ამ ოკრუგებზე მიწების გადანაწილება და დაკანონება.

ხელისუფლებამ მთიდან დაბლობში ძალით გადმოასახლა ხალხი. მიწის საუკეთესო ნაკვეთები კაზაკებს გადასცეს. რუსულმა ადმინისტრაციამ ჩეჩნები ყოველი მხრიდან მარწუხებში მოაქცია; კერძოდ, დასავლეთიდან შემოუსაზღვრა ვლადიკავკაზის მე-2 კაზაკთა პოლკის მიწები, ჩრდილოეთიდან კი მე-2 კაზაკთა პოლკის ტერიტორიები. ამავე დროს ხელისუფლების ამ სამხედრო ფორპოსტებს დაევალა ჩეჩენთა ნებისმიერ მოქმედებაზე თვალყურის დევნება.

რუსეთის მიზანს წარმოადგენდა, გაეტარებინა ჩეჩნეთის რეგიონში აგრარული ღონისძიებები მეტროპოლიის სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, რისი მაგალითიც არის გენერალ-ფელდმარშალ ბარიატინსკის განცხადება 1860 წელს დამორჩილებული ჩეჩნეთის მოსახლეობისადმი; კერძოდ, იგი აცხადებდა, რომ განახორციელებდა აულთა შორის მიწათა ფონდის გადანაწილება-დარიგებას მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ მფლობელობაში, რაც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, იმავე სახელმწიფო საკუთრებას ნიშნავდა. აქ არ შევიდოდა მხოლოდ რამოდენიმე ნაკვეთი, რომელსაც ხელისუფლება კერძო მფლობელობაში გადასცემდა თავის ერთგულ მსახურებს. მთის ტერიტორიები, რომლებიც გაწმინდეს მთიელთაგან, გამოცხადდა სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად.

ამ მიწების გამოყენება საძოვრებად მხოლდ ნებართვით უნდა მომხდარიყო.

კოლონისტებისათვის მიწათა გამოთავისუფლების აუცილებელ მეთოდად იქცა გადასახლება. ეს ბედი ერგოთ არა მრატო, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ყუბანის მხარისა და სხვა რეგიონების მთიელებს, არამედ ჩეჩნებსაც. 1865 წელს პორტასთან მიღწეული შეთანხმებით, დიარბაქრსა და ხივაში 5 ათასი ოჯახი ძალით გაასახლეს საკუთარი ადგილებიდან, ხოლო რაც შეეხება თერგს ზემო ტერიტორიებს, რომელიც ასევე იარაღით იყო დაპყრობილი და რომელიც თერგს ზემო სანაიბოს მიაეკუთვნეს, რუსეთის საკუთრებად იქნა გამოცხადებული. ზუსტად ამ ტერიტორიებზე დააჯგუფეს ჩეჩნეთიდან გამოყრილი ის მთიელები, რომლებმაც არ ისურვეს თურქეთში გადასახლება. უცხო ხალხის გადმოყვანამ აღნიშნულ მიწებზე მიწათმფლობელობის საკითხებში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. ამიტომაც ხელისუფლების აგრარულ-ტერიტორიული ღონისძიებები მიწათსარგებლობის მოწესრიგებას ითვალისწინებდა, რა თქმა უნდა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. სანაიბოს მოსახლეობა უკმაყოფილო იყო მიწების ჩამორთმევითა და მიწის ფონდის სიმცირით, ამიტომაც ხელისუფლებას საჩივრებით მიმართავდა. 1863 წელს შედგენილი აგრარული პროექტიც მიწათსარგებლობის „გამოსწორებას“ და საზღვრების შეცვლას ითვალისწინებდა. კერძოდ, აულთა საზოგადოებებისათვის თითოეულ კომლზე უნდა გამოყოფილიყო 33 დეს. მიწა. 1864 წლის ცნობებით, მთელი სანაიბოს 3343 კომლიდან 102 კომლი არაადგილობრივი, გადმოსახლებული იყო. სანაიბოს მთელი 122,00 დესეტინიდან 20 ათასი დესეტინა საზღვრების ცვლილებებით დაურიგდათ ხელისუფლების ერთგულ ადგილობრივ დიდებულებს: ალხასოვებს, ელდაროვებს, თაიმაზოვებს, ტურლოვებს, ბეკოვიჩ-ჩერკასკებს და ა. შ. აულებისათვის თითოეულ კომლზე გამოყვეს 33 დეს. მიწა; სარეზერვო ტერიტორიები კი მიაკუთვნეს დიდი და მცირე ჩეჩნეთიდან გადმოსულ მთიელებს. დიდებულების მიწების გარდა, ისევე როგორც ჩეჩნეთსა და ჩრდილო კავკასიის სხვა რეგიონებში, ყველა მიწები საზოგადოებრივ მფლობელობად იქნა გამოცხადებული.

აგრარულ-ტერიტორიულ ღონისძიებებს, ხელისუფლების მითითებით, თერგის საადგილმამულო ურთიერთობათა დამდგენი კომისია ახორციელებდა. მან ჩეჩნეთსა და თერგის ზემო სანაიბოში 30 ათასი დესეტინა საუკეთესო მიწები დაურიგა სამხედრო მოხელე-

ებსა და ადგილობრივ მემამულეებს; ხოლო მთიელებს განუცხადა — მიწებს კერძო, მუდმივ მფლობელობაში გადასცემდნენ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებისადმი ერთგულების ფიცს დადებდნენ. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დაპირება იყო და მეტი არაფერი. ვერც ფიცით და ვერც უფიცობით მოსახლეობა სამუდამოდ მიწებს ვერ მიიღებდა.

აგრარული და მიწის საზღვრების ცვლილებებით მიღებული შედეგები განიხილა კავკასიის კომიტეტმა და უკვე ახლებური, აგრარულ-ტერიტორიული მონაცემები შეიტანა კომიტეტის ჟურნალში, რომელიც ცოტა მოგვიანებით, 1868 წელს მისი უმაღლესობის მიერ დიდი მოწონებით იქნა დამტკიცებული.

ჩეჩნები ძალიან ცუდად მიიღეს ყუმუხეთის ოკრუგის ადგილობრივებმაც. აუხოველების, თავლინელებისა და ჩეჩნების 299 ოჯახი ხელისუფლებამ გადაასახლა ყუმუხეთის ტერიტორიაზე. მიწის ფონდის ნაკლებობის გამო ადგილობრივი მოსახლეობა ვერ შეეგუებოდა მიწის ჩამოჭრას და უცხოთათვის გადაცემას, ამიტომაც ხელისუფლებამ მათ დასაწყნარებლად განაცხადა, რომ საზოგადოებრივი მფლობელობით სახელმწიფო მიწების მცირე ნაწილს გამოუყოფდა.

რაც შეეხება ჩეჩნებისაგან გამოთავისუფლებულ ჩეჩენთა და ინგუშთა ტერიტორიას, მისი საზღვრების შეცვლა ხელისუფლებისათვის უკვე აღარ წარმოადგენდა დიდ სირთულეს. მით უფრო, რომ ხელისუფლება დიდად იყო დაინტერესებული ამით: მას ხომ ძალიან სურდა რეგიონში ყველაზე ძლიერი დასაყრდენის, კაზაკების დაჯლიდოვება საუკეთესო საჩუქრით — ჩეჩენთა და ინგუშთა საარსებო მიწებით.

„ოტეჩესტვოსადმი“ დამსახურებისათვის გადაწყდა — ჩეჩენთა და ინგუშთა მიწებთან მყოფ კაზაკურ სტანიცებს გამოყოფოდათ ჩეჩენთა და ინგუშთა მიწები. ინგუშებმა, რომლებიც ნაზრანის საზოგადოებად მოიხსენიებოდნენ, განსაკუთრებით განიცადეს რუსული ხელისუფლების „სიკეთე“. მათთან ახლოს დამკვიდრებულმა სუნჯის I და ვლადიკავკაზის კაზაკთა პოლკების სტანიცებმა ჩამოართვეს და მიისაკუთრეს დიდი ტერიტორიები. აღნიშნულის გამო მთიელებმა, აულთა საზოგადოებებმა და კერძო პირებმა ხელახლა დაიკავეს წართმეული მიწები, რამაც მიწათა სარგებლობის საკითხებში ხელისუფლებასა და მთიელებს შორის დიდი წინააღმდეგობა წარმოშვა.

ხელისუფლების მითითებით, 60-იანი წლების დასაწყისში აგრარული საკითხების მოსაწესრიგებლად მუშაობა დაიწყო თერგის წოდებრივმა სამიწათმოქმედო კომისიამ. მანამდე კი ბარიატინსკიმ დაასახელა ის მიწები, რომლებიც უნდა გამოყოფოდათ უკვე მიტაცებულების სანაცვლოდ; კერძოდ, ნაზრანის საზოგადოებას უნდა გამოყოფოდა თერგის საზოგადოების, მცირე ყაბარდოს, სუნჯის 1 და ვლადიკავკაზის მე-2 კაზაკთა პოლკების მიწების მცირე ნაწილი — სულ 62 ათას. დესეტინა.

თერგის სამიწათმოქმედო კომისიის დადგენილებით, ბარიატინსკის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე დაასახლეს 15 აული 3715 კომლით, აგრეთვე ნაზრანის საზოგადოებას მიაკუთვნეს თავად ბეკოვიჩ-ჩერკასკისაგან ხაზინისათვის შეძენილი შემდეგი აულები: ფსედახი, კუსკუმი, სოგოფში, ახბარშოი, სულ 580 კომლით. ასე რომ, ამ მიწებზე მცხოვრებლებმა მთლიანად შეადგინეს 4295 კომლი. აქვე ჩაასახლეს ყუმუხების 337 კომლი, რამაც მთიელებს მიწათსარგებლობის საკითხებში დიდი სიძნელეები შეუქმნა; ნაზრანის ისედაც მცირე მიწები კიდევ უფრო შემცირდა.

უმაღლესი მთავარსარდლის განკარგულებით, 1863 წელს ნაზრანში დასახლებულ ინგუშთა თითოეულ კომლს გამოეყო 18 დესეტინა, მთის აულებს კი — 6 დესეტინა კომლზე, რაც საარსებოდ ძალზე მცირე იყო. ხელისუფლებამ მიწების უმეტესი ნაწილი სასოფლო-სათემო მფლობელობით გამოყო. ყუმუხებს კი დაურიგდათ 8450 დესეტინა. რაც შეეხება განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შედგებოდა ხელისუფალთა და კაზაკთა წარმომდგენლებისაგან, უნდა მოეგვარებინათ მთიელთა და კაზაკთა წინააღმდეგობანი მიწათსარგებლობის საკიხთებში, კერძოდ, უნდა დაედგინათ ნაზრანის მიწების საზღვრები და მოეგვარებინათ კაზაკთა და მთიელთა შორის არსებული სასაზღვრო კონფლიქტები (ყველასათვის ცხადია, თუ ვის დაუჭერდა მხარს აღნიშნული კომისია). მეტიც, ხელისუფლებამ უფრო შორს განჭვრიტა და აგრარული რეფორმების ნიღბით გადაწყვიტა მტრობა ჩამოეგდო ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის. თავდაპირველად ხელისუღფლებამ განახრციელა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1866 წელს, რითაც ინგუშეთი გამოყო ჩეჩნეთისაგან და ცალკე ნაზრანის ოკრუგად ჩამოაყალიბა. შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო მიწების ვითომდაც გადანაწილების მიზნით ჩეჩნებს ყოფილი ყარაბულახის ნაკვეთი ჩამოაჭრა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციულად მიაკუთვნა ინგუშებს.

როგორც ვხედავთ, რუსეთი დაპყრობილ რეგიონებში ერთი და იმავე რეცეპტით მოქმედებდა.

მიწების აგრარულ-ადმინისტრაციული ღონისძიებებით დარიგება-გადანაწილების შედეგად ჩეჩნეთს მიწათმფლობელობის საკითხებში დიდი სიძნელეები შეექმნა. ამ სიძნელეთა ვითომდაც აღმოსაფხვრელად პირველ რიგში ხელისუფლებას უნდა დაედგინა კონკრეტულად ჩეჩნეთის საზღვრები. ამისათვის მთავარსარდლის ბრძნებით ჩამოყალიბდა თერგის სამიწათმოქმედო კომისიის დროებითი განყოფილება, რომელმაც დაიწყო უკვე ტერიტორიულად შემცირებული ჩეჩნეთის საზღვრების დადგენა. განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა ჩეჩნეთის ოკრუგის ყაჩყალიყოვის სანაიბოს მიწები 13 400 დესეტინის ოდენობით, რომლებიც ეპყრათ ყუმუხ თავადებს. კომისიამ დაიწყო იმის გარკვევა, თუ რამდენად კანონიერი იყო ყუმუხთა მფლობელობა, რადგანაც ყუმიხეთის ოკრუგი ცალკე არსებობდა. აქაც ყველაფერი ისე გადაწყდა, როგორც რუსეთისათვის იყო ხელსაყრელი. მთავარსარდლის განცხადებით, ხელისუფლება იმ შემთხვევაში აღიარებდა ყუმუხ თავადთა მიწათა ფლობის კანონიერებას ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, თუ ნახევარ მიწებს — 6700 დესეტინას ისინი სახელმწიფო ხაზინას დაუთმობდნენ. ამაზე მათ დადებითი პასუხი მიიღეს. 1867 წლის ზაფხულში ხელისუფლებამ ყუმუხ მიწათმფლობელთაგან შეიძინა 67600 დესეტინა მიწა ძალიან იაფად — დესეტინა 3 მანეთად.

აგრარული რეფორმის განხორციელებისას ხელისუფლებას დიდი თავსატეხი ჰქონდა გაჩენილი მიწების გადანაწილების თაობაზე. მიწები მცირე იყო და სურდა გადანაწილება ისე განეხორციელებინა, როგორც სახელმწიფო ინტერესები ითვალისწინებდა. ასევე ჩაერთოთ თუ არა ამ გადანაწილებაში კაზაკების მიერ დაკავებული სუნჯის მარჯვენა მხარე და ჯარების მიერ დაკავებული მიწები სიმაგრე ვოზდვიჟენიასთან. ამ პრობლემის გადასაწყვეტად 1868 წლის მაისში თერგის ოლქის უფროსმა, გენერალ ადიუტანტმა ლორის მელიქოვმა მისივე თავმჯდომარეობით სიმაგრე გროზნოში შექმნა განსაკუთრებული კომიტეტი. კომიტეტმა გამოიტანა დასკვნა, რომლითაც მდ. სუნჯის მარჯვენა ნაპირზე და სიმაგრე ვოზდვიჟენიასთან არსებული მიწები, პოლიტიკური მოსაზრებებით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაქვემდებარებოდა გადანაწილებას. ხელისუფლებას აქ უნდა დაესახლებინა რუსული მოსახლეობის მნიშნელოვანი ნაწილი, რომელიც საჭიროებისამებრ მეხუთე კოლონის როლს

შეასრულებდა და აგრეთე ხელისუფლებისათვის ძლიერი დასაყრდენი იქნებოდა ამ რეგიონის მართვა-გამგეობის საქმეში.

რაც შეეხება მთიან რეგიონს, იქ რეფორმა ფორმალურად გატარდა და მიწები საზოგადოებრივ სათემო მფლობელობაში დატოვეს. ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა მთაში ჩეჩენთა მუდმივი დასახლება (ეს შეეხებოდა ინგუშებსაც). ამას თავისი მიზეზები ჰქონდა; კეროძდ, მთის ზოლის დაპყრობას რუსებმა დიდი რესურსები და ცოცხალი ძალა შეალიეს. ჩეჩნები მთაში უფრო მოქნილი და კარგი მებრძოლები იყვნენ, ვიდრე ბარად. მათ გააწამეს რუსები მოულოდნელი თავდასხმებით. ამიტომაც მთაში ჩეჩენთა კვლავ მუდმივად ფეხის მოკიდება ხელისუფლებას ისევ დიდ პრბლემას შეუქმნიდა და შეიძლებოდა დაეკარგა კიდეც რის ვაივაგლახით დაპყრობილი მთა.

როგორც ვხედავთ, ჩეჩნეთ-ინგუშეთშიც ისევე გატარდა აგრარულ-ტერიტორიული რეფორმა, როგორც სხვაგან და იგი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებოდა. ანალოგიური პოლიტიკით ხელმძღვანელობდნენ ყუმუხეთშიც; კერძოდ, ხელისუფლებამ 1864 წლის 13 ივლისს გამოაქვეყნა აქტი, რომლითაც მიწათმფლობელები „ნებაყოფლობით" უთმობდნენ მიწების 2/5-ს ხალხს. თერგის ოლქის უფროსის 1865 წლის 5 თებერვლის ახალი აქტით, ეს დათმობა 2/5 კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ უფრო უნდა შემცირებულიყო, ე. ი. 400 ათასი დესეტინიდან 200 ათასი დაბალი ფენის ხელში „გადადიოდა". ამასთან დაკავშირებით 1865 წლის 11 მარტს მთავარსარდალმა გამოსცა განკარგულება, რომლითაც ის ეთანხმებოდა 1865 წლის თებერვლის აქტს მიწების „ნებაყოფლობით" გადაცემის შესახებ. ხელისუფლებამ მისთვის საშიშ ფენას გამოუყო მიწები გარკვეული რაოდენობით და „დააკმაყოფილა". თუმცა ხელისუფლებას ამით არაფერი წაუგია, მიწების ფონდი საზოგადოებრივი სარგებლობით დარიგდა და ამიტომ ადმინისტრაციის კონტროლს ექვემდებარებოდა. ხელისუფლებამ აგრძნობინა დიდებულებს, რომ თუ არ იქნებოდნენ მისი პოლიტიკის გამტარებლები, იმ დარჩენილ მიწებსაც ჩამოაჭრიდა, რომელიც დაბალი ფენისათვის საზოგადოებრივ მფლობელობაში გადაცემის შემდეგ დარჩათ. ეს კი მათ განადგურებას ნიშნავდა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მიწები ერთმანეთისაგან სპეციალური სასაზღვრო ნიშნებით გამოეყო და აღენიშნა რუკაზე. ამ ნაბიჯით ის აკანონებდა და დე ფაქტოდ აქცევდა ტერიტორიულ ცვლილებებს. აღნიშნულ ტერიტორიულ და მიწათა გადანაწილების

ღონისძიებებს წარმატებით ახორციელებდა თერგის სამიწათმოქმედო კომისია იმპერატორის ნებართვით. აულთა საზოგადოებებს, ასევე ცალკეულ პირებსა და დიდებულებს საზღვრის შეცვლა არ შეეძლოთ. ამას ემსახურებოდა ჩვენს მიერ ნახსენები სასაზღვრო ნიშნები.

აგრარულ-ტერიტორიული რეფორმებით ყუმუხეთში საზოგადოებრივი მფლობელობით გამოყვეს 200,484 დესეტინა, კერძო მფლობელობაში — 200,876 დესეტინა და ისიც ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. 1859 წელზე გვიან გადმოსულებს მიწებს არ აძლევდნენ. ესენი იყვნენ ჩეჩნების (აუხოველების, თავლელების და სალათაელების) 289 ოჯახი, მთიელი ებრაელების 142 ოჯახი და სომხების 16 ოჯახი. ამ პოლიტიკით უფრო აძლიერებდნენ სიძულვილს სხვადასხვა ეროვნების ხალხებს შორის. არაფრისმქონე, ღატაკი, უმიწო მოსულები იძულებული ხდებოდნენ, ძარცვითა და გლეჯით ერჩინათ თავი; ეს ხელისუფლების პოლიტიკის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა. ნებისმიერი სახის არეულობა ხელს აძლევდა ცარიზმს — იგი ხომ გამშველებლად მოევლინებოდა ნებისმიერ აულსა თუ რეგიონს.

წინააღმდეგობანი მიწათმფლობელობაში აიძულებდა ხელისუფლებას, აგრარულ-ადმინისტრაციული რეფორმებით „წესრიგში" მოეყვანა ეს საკითხები. ამავე დროს, მიწათსარგებლობაში არსებული არასტაბილურობა მისაღები იყო ხელისუფლებისათვის. მიწის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი დადგენილებანი თუ ბძრანებულებანი ნადელების ჩამოჭრის თუ მიცემის, ასევე საზღვრების გადაწევის შესახებ ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. რაც მეტი წინაამდეგობა იქნებოდა მიწის საკითხებთან დაკავშირებით, მით უკეთ განახორციელებდა ხელისუფლება გასახლება-დასახლების პოლიტიკას. რეფორმების ძირითადი არსი იყო ჩრდილო კავკასიელი ხალხების ერთმანეთთან წაკიდება; დაპირისპირება თვით ერთი ეროვნების აულებს შორისაც ხდებოდა.

### ადმინისტრაციული რეფორმები და მიწების გამიჯვნა

რუსეთის იმპერია კავკასიაში დასამკვიდრებლად რეფორმებს წარმატებით ახორციელებდა. ხელისუფლებას სჭირდებოდა ერთგუ-

ლი „ადმინისტრატორები“, რომლებიც შეუწყობდნენ ხელს რეფორმების განვითარებას რუსეთისათვის ხელსაყრელი ფორმით. რეფორმების მიმდინარეობის პროცესში მთავრობის ერთგული ადმინისტრატორები გახდნენ კავკასიის მთავარსარდლის მიერ დანიშნული პრისტავები.

ადმინისტრაციული კიბის უმაღლეს საფეხურზე მეფისნაცვალი იდგა, რომელიც ამავე დროს იყო კავკასიის მთავარსარდალი, შემდეგ მოდიოდა ყუბანისა და თერგის ოლქების მთავარსარდლები. განსაკუთრებული როლი ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მმართველობაში ენიჭებოდა ოკრუგების უფროსებს და მათ დამხმარეებს. მათი დაკვირვებული და მახვილი თვალი ყოველივე წვრილმანს, ანტისახელმწიფოებრივ ელემენტს უფრო კარგად შეამჩნევდა.

საპრისტავო ინსტიტუტმა განსაკუთრებით კარგად მოიკიდა ფეხი იმ რეგიონში, სადაც ძლიერ დამკვიდრდა ცარიზმი. თითოეული საპრისტავო ეს იყო მინი ადმნისტრაციული ერთეული თავისი ტერიტორიითა და საკუთარი საქმეთა წარმოებით. საპრისტავოების ჩამოყალიბებით საფუძველი ჩაეყარა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გადანაწილების სისტემას, რომელიც აგრარულმა და საბატონო რეფორმამ გაამაგრა. ხელისუფლების მიერ დანერგილმა ახალმა დროებითმა სასამართლო სისტემამ კი მას კანონმდებლობითი სახე მისცა. მაგ., ოსთა ქონებრივი და სამართლებრივი ურთიერთობების დაკანონება ხდებოდა რუსული კანონებით, რასაც წარმატებით ახორციელებდნენ სტანიცა არდონში 1852 წელს დაარსებული დროებითი და ვლადიკავკაზში დაარსებული მუდმივი კომისიები.

სასამართლო სისტემაში მოკალათებული ჩრდილო კავკასიელი მაღალი ფენის ჩინოვნიკები არანაირად არ უშლიდნენ ხელს ხელისუფლებას ჩრდილო კავკასიელთა ისტორიულად მიკუთვნებული ტერიტორიების შეცვლაში. ეს თვალნათლივ შეგვიძლია დავინახოთ ყაბარდოს მაგალითზე, სადაც დროებითი სასამართლოს დანერგვით მიღებულ იქნა ახალი, რუსულის მსგავსი ადმინისტრაციული ერთეულები და წერტილი დაესვა ყაბარდოს სახელწმიფოებრივი ჩანასახის არსებობას.

ტერიტორიულ-ადმინისტრაიული რუსული მმართველობის შესანიღბავად ხელისუფლებამ შექმნა უფრო დახვეწილი მართვის ორგანო — სამხედრო სახალხო მმართველობის სისტემა. ე. ი. რუსული ადმინისტრაცია + ადგილობრივი ფეოდალური ფენის წარმო-

მადგენლები. წმინდა სამხედრო მმართველობა იცვლებოდა სამხედრო სახალხო მმართველობით. რუსულ სამხედროებსა და ძალისმიერ სტრუქტურებს, ძირითად ბირთვის მმართველობაში, გვერდს „უმშვენებდნენ" ვითომ ხალხის ინტერესების დამცველი ადგილობრივი წარმომადგენლები, დიდებულები; პრივილეგიებითა და საჩუქრებით მოსყიდული დიდებულები უფრო ადვილად გამოიყენებოდნენ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ღონისძიებების უკეთ განხორციელებაში.

პრისტავთა მმართველობის გარდაქმნა სამხედრო სახალხო ოკრუგებად დაიწყო 50-იანი წლებიდან, როდესაც ხელისუფლებას, მიუხედავად გააფთრებული ბრძოლებისა, უკვე კარგად ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში ფეხი მოკიდებული. ჩეჩნეთის მაგალითიც კი კარგად დაგვანახებს იმ საერთო სიტუაციას, რაც მოჰყვა მართვის ამ ორგანოს დანერგვას — ჩამოყალიბდა ოკრუგები თავისი ტერიტორიებითა და საზღვრებით; თუმცა მიწათსარგებლობაში ჯერ კიდევ დიდი არეულობა იყო, რომლის მოგვარებაც რუსეთის მიერ რეგიონის წარმატებით მართვისათვის აუცილებელი გახდა. და, რა თქმა უნდა, ეს ღონისძიება თავისი საბოლოო მიზნებიდან გამომდინარე, ადგილობრივთა ინტერესების სრული იგნორირებით იყო განხორციელებული. ეს მისია კი აუცილებლად აგრარულ ღონისძიებებს ეკისრებოდა. აგრარული და ადმინისტრაციული ღონისძიებანი კი „დაყავი და იბატონეს" — რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი იყო.

1852 წელს დაპყრობილი ჩეჩნეთის ერთ ნაწილზე შეიქმნა სამხედრო სახალხო ადმინისტრაციული მმართველობა, რომელმაც მოსპო ამ რეგიონში მთიელთა პოლიტიკური მმართველობის ყოველგვარი ფორმა. 1858 წლის პროექტით, ხელისუფლებას ჩეჩნეთის მაგალითი უნდა გაევრცელებინა კავკასიის მარცხენა ფრთაზე. აღნიშნული პროექტით მრავალრიცხოვანი საპრისტავოები უქმდებოდა და მათ მაგივრად იქმნებოდა ოთხი ოკრუგი: ყაბარდოს, ოსეთის, ჩეჩნეთისა და ყუმუხეთის. ყაბარდოს ოკრუგის შემადგენლობაში უნდა შესულიყო დიდი და მცირე ყაბარდო და ბალყარელთა საზოგადოებების საპრისტავოები. ეს პროექტი მოწონებული იქნა და განხორციელდა 1858 წელს. რაც შეეხება მცირე ყაბარდოს, იგი 1862 წლამდე იმყოფებოდა ჯერ კიდევ ოსეთის ოკრუგის შემადგენლობაში.

ამავე დროს, კაკასიის არმიის შტაბთან შეიქმნა მთიელი ხალხის მართვის განსაკუთრებული განყოფილება (მოგვიანებით უწოდეს კავკასიელ ხალხთა მართვის კანცელარია), რომელმაც თერგის ოლქის უფროსის, ლორის მელიქოვის რეკომენდაციით შექმნა ყუბანისა და თერგის ოლქის ახალი ადმინისტრაციული მოწყობის პროექტი. ეს პროექტი 1869 წელს დაამტკიცა სახელმწიფო საბჭომ და აგრარული ღონისძიებებით მიღებული ტერიტორიული ცვლილებებით განახორციელეს ჩრდილო კავკასიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა; კერძოდ, თერგის ოლქის ახალი ადმინისტრაციული დაყოფით შეიქმნა შვიდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოკრუგი: ვლადიკავკაზის, გეორგიევსკის, გროზნოს, არღუნის, ვედენოს, ყიზლარის, ხასავ-იურტის. ახლად შექმნილი ოკრუგებიც ტერიტორიულად არიეს ერთმანეთში და დაუკარგეს თავისი ეთნიკური საზღვრები; ასე მაგალითად, გეორგიევისკის ოკრუგში შევიდა ყოფილი ყაბარდოს ოკრუგი, ქ. გეორგიევსკი და სლობოდა კისლოვოდსკი.

ყურადღება არ ექცეოდა მხარის ეთნიკურ და სხვა თავისებურებებს. ხელისუფლებამ განგებ მოსპო ადრინდელი ადმინისტრაციული სახელები და შეცვალა ახლით. მაგ., გეორგიევსკი, კისლოვოდსკი, ვლადიკავკაზი, გროზნო და ა. შ. სახელები გროზნო, ვლადიკავკაზი, გეორგიევსკი რუსულიდან მომდინარეობს. როგორც ვხედავთ, ახალი რუსული ტოპონიმური სახელების შემოტანა ხდებოდა მიზანმიმართულად, რათა წაეშალათ ყოველივე ადგილობრივი, რომ მომავალში კოლონისტებს შეძლებოდათ, დაემტკიცებინათ დაპყრობილი ტერიტორიების რუსული წარმომავლობა და ვერავინ შედავებოდათ.

თერგის ოლქში ეს მეორე ადმინისტრაციული დაყოფა იყო. პირველი, როგორც უკვე ზემოთ აღნიშნეთ, 1860 წლისათვის განხორციელდა და ადმინისტრაციულად იგი შედგებოდა: ვლადიკავკაზის (ოსების), ნალჩიკის (ყაბარდოელები და ბალყარელები), გროზნოს, ვედენოსა და არღუნის (ჩეჩნები), ხასავ-იურტის (ყუმუხები და ჩეჩნები) და კაზაკთა: პიატიგორსკის, ყიზლარის და სუნჯის 3 განყოფილებისაგან (ოტდელისაგან). ინგუშეთი 1866 წელს გამოეყო ადმინისტრაციულად ჩეჩნეთს და ცალკე ნაზრანის ოკრუგად ჩამოყალიბდა. ასევე ყოველ ოკრუგს გააჩნდა თავისი უჩასტკები ანუ ნაკვეთები:

ოსებს — თაგაურ-ქურთაულის, ცენტრით ქ. ვლადიკავკაზში; ალაგირ-ნარო მამისონის, ცენტრით ალაგირში; დიგორიის, ცენტრით არდონში.

ინგუშებს ორი — ნაზრანის, ცენტრით სიმაგრე ნაზრანში; მთის, ცენტრით ვლადიკავკაზში.

ყაბარდოელებს ხუთი: ბაქსანის, ცენტრით თვით ბაქსანის პოსტში; მცირე ყაბარდოს, ცენტრით დროებით აულ ბეკოვიჩში; ჩერქეზეთის, ცენტრით ჩერკესკის პოსტში; მთის, ცენტრით დროებით ნალჩიკში; ფსედახის, ცხენტრით აულ ფსედახში.

ყუმუხებს სამი: აქსაევის, ცენტრით ტაშ-კიჩუში; ანდრეევსკის, ცენტრით სოფ. ანდრეევში; ნოღის, ცენტრით აულ ტოტ-იურტში.

იჩკერიის ანუ ვედენოს ოკრუგის ჩეჩნებს ჰქონდათ ორი სანაიბო: ვედენოს, ცენტრით სიმაგრე ვედენოში; დარღოს, ცენტრით აულ გორდალში.

გროზნოს ოკრუგის ჩეჩნებს ექვსი სანაიბო: აჩხოის, ცენტრით აულ აჩხოიში; ურუს მარტანის, ცენტრით ურუს მარტანში; ავტურინის, ცენტრით აულ ცაც-იურტში; ყაჩყალიყოვის, ცენტრით ოის უნგერში; ნადტერეჩნი, ცენტრით აულ სტარი-იურტში; არღუნის, ცენტრით გერმენჩუკში.

არღუნის ოკრუგის ჩეჩნეთს ოთხი სანაიბო: ჩანტიისკოე, ცენტრით აულ იტუმ კალეში; შატოის, ცენტრით სიმაგრე შატოიში, ჩებერლოვსკოეს, ცენტრით აულ ჩებერლაში; შაროევსკოეს, ცენტრით შაროაში.

არსებობდა აგრეთე მთის ოკრუგიც თავისი სამი სანაიბოთი: აუხოვსკოე, ცენტრით აულ იარაკ-სუაუხში; ზანდავსკოე, ცენტრით აულ სამხრეთ იურტში; სალათოვსკოე, ცენტრით სიმაგრე ბურთუნაიში.

ასე წვრილ-წვრილ ოლქებად და ნაკვეთებად დაყოფა ხელისუფლებამ განზრახ განახორციელა. ყველა ოლქს თუ უბანს განაგებდნენ იმპერიის ერთგული მოხელეები, რაც, თავის მხრივ, დამორჩილებულ რაიონებში მის ბატონობას განამტკიცებდა.

რაც შეეხება ყუბანის ოლქს, იგი 1868 წელს ფსეკუპის, ლაბის, ურუპის, ზელენჩუკისა და ელბრუსის სამხედრო განყოფილებებად დაყვეს.

ხელისუფლება მის სამსახურში მყოფ მთიელებსაც კი არ პატიობდა რუსეთის ადმინისტრაციის ინტერესებისადმი შეუსაბამო ქმედებებს. ყაბარდოში ჩატარებული აქციით შეიძლება წარმოდგენა

ვიქონიოთ ხელისუფლების მოქმედებაზე მთელს ჩრდილო კავკასიაში. კერძოდ, 1867 წლის თებერვალში თერგის ოლქის ყაბარდოს ოკრუგში მაღალი ჩინის მთიელები ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ ადგილობრივი რუსული ხელისუფლებისათვის ადმინისტრაციული გარდაქმნების გატარებაში, რომელსაც საზოგადოებრივი მოწყობის შეცვლა უნდა გამოეწვია.

შინაგან საქმეთა მინისტრმა წარმოადგინა იმ აქტიურ მთიელთა სია, რომლებიც ექვემდებარებოდნენ რუსეთის იმპერიაში გასახლებას:

ტვერის გუბერნიაში — 1 ხარისხის უზდენები: ასსაი ბაბუკოვი, ბერ ტამრევი.

რიაზანის გუბერნიაში — მე-2 ჯგუფის უზდენები: ცურა ტავკეშევი, ახმედ ალხასოვი, ხორენდი-ხაჯი ტამირ-კუტხოევი.

ტვერის გუბერნიაში — თავადი ასლანბეკ მისოსტოვიჩი, ბეგი მურზა ნაურუზოვი.

კალუგის გუბერნიაში — იუნკერი თავადი ბეგი მურზა კუდაბერდოკოვი და ა. შ.

გასახლებები ხდებოდა ორლოვის გუბერნიაშიც.

ეს არ იყო მხოლოდ გადასახლება, აქ ისინი პატიმრობასაც იხდიდნენ. ხელისუფლების ერთგულ „დამქაშებად“ გადაქცევის შემთხვევაში, შესაძლებელია, რამოდენიმე ხნის შემდგომ დაებრუნებინათ კიდეც სამშობლოში.

ჩრდილო კავკასიის ადმინისტრაცია ყველანაირად ახორციელებდა ამ რეგიონში ადგილობრივებზე რუსეთის პოზიციების განმტკიცებას: ცლილობდა, თავსი საქმიანობისათვის შესაბამისი ანაზღაურება ჰქონოდა. მართალია, იგი არ იყო უკმაყოფილო თავისი გასამრჯელოთი, მაგარმ წინასწარ თადარიგს იჭერდა, რომ 70-იან წლებში შესაძლო ადმინისტრაციულ ცვლილებებთან დაკავშირებით რაიმე „ზარალი“ არ მოსვლოდა; ეს კარგად ჩანს თერგის ოლქის უფროსის მიმართვაში, რომელიც გაუგზავნა მან 1870 წლის ნოემბერში კავკასიის სამხედრო ოკრუგის შტაბის უფროსს. მიმართვაში აღნიშნავდა, რომ თერგის ოლქის უფროსი იღებდა 6 ათას მანეთს, საშუალო სამხედრო განყოფილების უფროსი — 1500 მანეთს, ოკრუგთა უფროსები — 500 მანეთს. მთლიანობაში ხელისუფლება ხაზინიდან, სხვა წვრილი „ადმინისტრატორებისთვისაც“, გასცემდა 11500 მანეთს.

ახალი ადმინისტრაციული მოწყობის — სამხედრო სახალხო მმართველობის სამოქალაქო მმართველობაში გადასვლასთან დაკავშირებით ოლქის უფროსი ეჭვის თვლით უყურებდა ფინანსურ საკითხებს, ეწეოდა დემაგოგიას, აქებდა თავის მმართველობას და აღნიშნავდა, რომ მათი დიდი მონდომებითა და ქვეშევრდომთა მცდელობით დამყარდა ამ რეგიონში სიწყნარე და სამოქალაქო „კეთილდღეობა"; მოითხოვდნენ, მმართველობაში ცვლილებების მიუხედავად, მათი ჯამაგირი არ შემცირებულიყო, პირიქით, გაეზარდათ კიდეც.

1871 წელს ორივე ოლქში სამხედრო განყოფილებები გაუქმდა და სამოქალაქო მმართველობა შემოიღეს. ადიღური მოსახლეობა მაიკოპის, ბატალფაშინის და ეკატერინოდარის მარზებში გააერთიანეს. ყუბანისა და თერგის ქალაქებს: მაიკოპს, ბატალფაშინს და გროზნოს მისცეს ყველანაირი პრივილეგიები და დახმარებანი 15 წლის განმავლობაში, ისე, როგოც სარგებლობდნენ ქალაქები ნოვოროსიისკი და ანაპა.

ყუბანისა და თერგის ოლქის უფროსები ექვემდებარებოდნენ კავკასიის ნამესტნიკს — მეფისნაცვალს. ოლქის უფროსები მთიელი ხალხის ტერიტორიულ ადმინისტრაციულ მმართველობას ახორციელებდნენ დამხმარეების — სამხედრო სახალხო ოკრუგებისა და ნაკვეთების ანუ საბოქაულოების უფროსების მეშვეობით.

ოლქის მმართველობის სათავეში იდგნენ რუსი მხედართმთავრები, რომელთაც განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდათ მინიჭებული. მათ ეკისრებოდათ სამოქალაქო და სამხედრო მმართველობის ფუნქციები.

ოკრუგები ადმინისტრაციულ ნაკვეთებად ანუ ადმინისტრაციულ საბოქაულოებად იყოფოდა. მაგ, თერგის ოლქის გეორგიევსკის ოკრუგი შედგებოდა ოთხი ნაკვეთისაგან: ბაქსანის, ჩერეკის, მცირე ყაბარდოსა და გორიაჩევოდსკისაგან.

ყუბანის ოლქის ოკრუგების ნაკვეთებად, საბოქაულოებად დაყოფა მოგვიანებით განხორციელდა. ნაკვეთებს განაგებდნენ პრისტავები. ესენი იყვნენ რუსი ოფიცრები და ინიშნებოდნენ კავკასიის სამხედრო ადმინისტრაციისაგან და სამხედრო სამსახურს უთავსებდნენ სამოქალაქო სამსახურს და იღწვოდნენ იმპერიის ამ რეგიონში მტკიცედ დამკვიდრებისათვის. ნაკვეთების მართვაში მათ ჰყავდათ დამხმარე და მწერალი.

ოკრუგების, სოფლის სტარშინებისა და ნაკვეთების უფროსების ვალდებულებანი განსაზღვრული იყო 1860 წელს დამტკიცებუ-

ლი სპეციალური ინსტრუქციით, რომლის ძირითადი არსი კოლონიური რეჟიმისა და ცარიზმის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მმართველობის განმტიცებისაკენ იყო მიმართული.

1869 წლის 30 დეკემბერს იმპერატორის ხელმოწერით ყუბანისა და თერგის ოლქებში შემოღებული თანამდებობები და სხვადასხვა განყოფილებები შემდეგი თანამიმდევრობით იქნა განლაგებული:

ადმინისტრაციულ მმართველობას სათავეში ედგა ოლქის უფროსი. დაარსდა ოლქის უფროსის კანცელარია, რომელიც შედგებოდა კანცელარიის უფროსისა და მისი ორი, უფროსი და უმცროსი, მოადგილისაგან. ოლქის უფროსს ჰყავდა მთარგმნელი, აგრეთვე უფროსი და უმცროსი, განსაკთრებული დავალების ჩინოვნიკები. ხელისუფლება მათზე ხარჯავდა თითოეულ გუბერნიაში 4,522 მანეთს.

თერგისა და ყუბანის ოლქებს ჰქონდათ სამხედრო მმართველობანი თავისი განყოფილებებით, რომლის უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენდა ვიცე გუბერნატორი, მას ჰყავდა მრჩეველი და საქმეთა მწარმოებელი.

საამშენებლო განყოფილებას მხარის ინსპექტორი ედგა სათავეში, მას ექვემდებარებოდნენ დამხმარე და მხარის არქიტექტორი, სამუშაოთა მწარმოებელი და საქმეთა მწარმოებელი.

მხარეებს გააჩნდა საექიმო განყოფილება: მხარის ექიმი, მისი დამხმარე სამედიცინო პერსონალი, მხარის ვეტერინარი და საქმეთა მწარმოებელი.

სამხარეო მმართველობებს ჰყავდათ დაბალი რანგის მუშაკები: მდივანი, ბუღალტერი, ეგზეკუტორი, შემოსავალ-გასავლის მცოდნე, რეგისტრატორი, არქივარიუსი, მთარგმნელი და ა. შ.

სამხედრო პირებს შეეძლოთ სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობა, თვით ტექნიკური მუშაკების შეცვლად კი, რაც მიუთითებს იმაზე, თუ ხელისუფლების მხრიდან რაოდენ დიდი ნდობით სარგებლობდნენ სამხედროები. სამხარეო მმართველობისათვის იხარჯებოდა ყუბანში 52,815 მან., თერგში — 57,857 მან. ხელისუფლებისათვის დიდი ნდობის საუკეთესო გამოვლინება იყო, მაგალითად, ყუბანის ჯარების დაქვემდებარებაში მყოფი ფსეკუპის პოლკოვნიკისათვის სამართავად მინარალურ წყლებთან დასახლება „გორიაჩი კლუჩის“ გადაცემა. ხსენებული პოლკოვნიკი მიწებს ოლქის უფროსის ნებართვით ურიგებდა ძირითადად კაზაკებს. კაზაკებისათვის

მიწათა გამოყოფა ხდებოდა ჯერ დროებით, ხოლო მეურნეობის მოწყობის შემდეგ კი — მემკვიდრეობითი მფლობელობით. ნაკვეთების ზომა განსაზღვრული იყო 500-დან 800 კვადრატულ საჟენამდე.

განსაკუთრებით ფასობდა თანამდებობები, რომელიც იყო დაკავშირებული მიწასთან; ეს იყო მხაზველთა უფროსი, რომლესაც ჰქონდა 500 მანეთი, უფროსი მიწისმზომელი — 360 მან., უმცროსი მიწისმზომელი — 240 მან.; როგორც ვხედავთ, მათ დიდი ხელფასები ჰქონდათ, რადგანაც ისინი უშულაოდ დიდ როლს თამაშობდნენ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიების მიკუთვნების საკითხებში.

ამ თანამდებობებზე ძირითადად ინიშნებოდნენ რეგულარული და კაზაკთა ჯარების ოფიცრები, მხოლდ რუსი ეროვნების. აღნიშნული სამსახურისათვის დიდი ფული იხარჯებოდა, კერძოდ, ყუბანში — 60,0980, თერგში — 42,585 მანეთი.

მიწათა საკითხების განხილვა შედიოდა ასევე იმ კომისიაში, რომელიც უნდა შექმნილიყო 1 იანვარს, კერძოდ, 1869 წლის 30 დეკემბრის ბრძანებაში ყუაბნისა და თერგის ოლქების მოწყობის შესახებ ნათქვამი იყო: თერგის ოლქში არსებული კომისია, რომელიც განიხილავდა ადგილობრივი მოსახლეობის პირად და მიწათა ფლობის უფლებებს, გარდაიქმნას ყუბანისა და თერგის ოლქების წოდებრივი უფლებების განმხილველ კომისიად და დაუქვემდებარდეს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს.

ადმინისტრაციული მოწყობა რუსეთმა განახორციელა იმპერიაში მიღებული წესისა და რიგის მიხედვით. ოლქებისა და გუბერნიების შექმნით ჩრდილო კავკასიელთა ტერიტორიული მოწყობა დასრულდა, რომლის ადმინისტრაციული სისტემა რუსეთმა გაამაგრა რუსი მოხელეებით.

აღნიშნულმა ტერიტორიულმა ცვლილებებმა, რომელიც XIX საუკუნეში განხორციელდა, XX საუკუნის 90-იან წლებში დააპირისპირა ორი ერი — მოხდა სისხლიანი კონფლიქტი ინგუშებსა და ოსებს შორის. დღეს, როდესაც სისხლიანი დაპირისპირება აღარ არის ამ ეთნოსებს შორის, მაინც იგრძნობა გარკვეული დაძაბულობა.

## სამხრეთ კავკასია და მისი ტერიტორიული პრობლემები

კავკასიის გეოგრაფიულმა მდებარეობამ ღრმა კვალი დააჩნია მისი განვითარების ისტორიას.

გაძლიერებისა და იმპერიად გადაქცევის სურვილის გაჩენისთანავე, ვერცერთი სახელმწიფო გვერდს ვერ აუვლიდა კავკასიას.

კავკასიამ საუკუნეთა განმავლობაში განიცადა უცხო დამპყრობთა შემოსევები უძველესი პერიოდიდან მოყოლებული თანამედროვე დამპყრობლით დამთავრებული.

ასურეთი, ურარტუ, რომი, სპარსეთი, ხაზარები, არაბები, მონღოლები, ოსმალები — ყველანი მოისწრაფოდნენ კავკასიისაკენ — იპყრობდნენ, სახელმწიფოებრიობას უსპობდნენ, მათ საარსებო ტერიტორიებს საზღვრებს უცვლიდნენ და მიზანმიმართულად მოქმედებდნენ კავკასიელი ეთნოსების გასაქრობად საკუთარი ტერიტორიებიდან.

## საქართველო

საქართველოსთვის ისტორიულად პოლიტიკური დაძაბულობის ყველაზე მნიშვნელოვან უბნებს სამხრეთ-დასავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონები (სამცხე-საათაბაგო, ტაშირ-გარდაბანი და ჰერეთი) წარმოადგენდა.

საქართველოს ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთი, ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილები რამდენადმე დაცული იყო კავკასიონის ქედით და ეს ფაქტორი, ასე თუ ისე, ზღუდავდა მეზობელთა დამპყრობლურ მიზნებს.

საქართველოს ტერიტორიის საზღვრებისა და მოსახლეობის დამოგრაფიული ცვლილებები ძირითადად განპირობებული იყო თურქეთის, ირანის და რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკით.

უკანასკნელი დამპყრობელი, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად შემოვიდა კავკასიაში, რუსეთის იმპერია იყო.

1801 წლიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა ქვეყნის ტერიტორიის საზღვრების მოხაზულობაში და ადმინისტრაციულ მოწყობაში. რუსეთმა ერთმანეთის

მიყოლებით გააუქმა ქართული სამეფო, საერისთავო და სათავდო მმართველობა. შემოიღო მართვის რუსული სისტემა. შექმნა ქუთაისისა და თბილისის გუბერნიები, რომლებიც თავის მხრივ იყოფოდა მაზრებად, ოკრუგებად და საპოლიციო უბნებად.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთმა 1807 წლიდან დაიწყო კავკასიის რუკის შედგენა, რითაც ახალციხის, ახალქალაქის, აჭარის, არდაგანის და ართვინის ტერიტორიები საქართველოს საზღვრების მიღმაა დატოვებული და დაქვემდებარებულია თურქეთის საფაშოებისადმი, ხოლო განჯისა და შამშადილის ტერიტორიები — ირანისადმი. 1828 წლის რუკაზე თითქმის ზემოთ აღნიშნულის ანალოგიური სურათია ასახული, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ შამშადილისა და განჯის ტერიტორიები ნაჩვენებია საქართველოს შემადგენლობაში. საყურადღებოა, რომ ამ კარტოგრაფიულ წყაროებზე არსად არ არის ცალკე სახელდებული ჭარ-ბელაქნის ტერიტორია, მაგრამ 1801 წ. მონაცემებით ცალკე კონტურითაა მინიშნებული ჭარისა და კახის დასახლებული პუნქტები.

რუსეთის კოლონიების და, მათ შორის, ქართული მიწების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა ნაკლებად ითვალისწინებდა ისტორიულ-ეთნიკურ თავისებურებებს და ძირითადად ხელსაყრელი კოლონიალურ-პოლიტიკური მართვის პრინციპებს ემყარებოდა. ამასთან, რასაკვირველია, საერთოდ იგნორირებული იყო ანექსირებული მიწების — ყოფილი სახელმწიფოების — ტერიტორიული ნიშნები.

თუ ისტორიული წყაროების საფუძველზე შედგენილი რუკებით ვისარგებლებთ, შეიძლება დადგინდეს საქართველოს ტერიტორიის ფართობის ტრანსფორმაციის საინტერესო სურათი.

ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიის ფართობი შეადგენდა 140,4 ათას კმ², I-IV საუკუნეებში — 134,2 ათას კმ², IX-X საუკუნეებში — 131,0 ათას კმ², XIII ს. დასაწყისში — 205,3 ათას კმ², XVII ს. მეორე ნახევარში — 133,1 ათას კმ², XIX ს. ბოლოსათვის (1886 წ. მიხედვით) — 102,0 ათას კმ².

1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად საქართველოს ფარგლებში მოექცა ქობლიანი, ოძრახე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭარმაგი, ფოცხოვი, აბოცი (პალაკაციო) და ერუშეთი.

შემდეგში, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, პარიზის საზავო ხელშეკრულებით, შემოერთებულ იქნა აჭარა-

ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანის და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი — ოლთისი. საზღვრის მიღმა დარჩა ჭანეთი ანუ ლაზისტანი და ჭოროხის ზემო წელში მდებარე ნაწილი — ართვინი, არდაგანი, ოლთისი.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამან წარმოშვა საზღვრების საკითხიც, რამეთუ საქართველო ტერიტორიულად უნდა გამიჯნულიყო რუსეთის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან. 1918 წლის 11 ივნისს შეიქმნა საზღვრების დამდგენი კომისია. მის შემადგენლობაში იყვნენ კაკი წერეთელი, დავით ონიაშვილი, პავლე ინგოროყვა და გენერალი ოდიშელიძე. კომისიის დასკვნით, საქართველოს საზღვარი გადიოდა მცირე კავკასიონის ქედზე, მიუყვებოდა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ საზღვარს, გადადიოდა გოგჩას ტბის ჩრდილოეთ წყალგამყოფ ქედზე, უხვევდა ჩრდილო აღმოსავლეთით მდ. აღსტაფაზე, მიდიოდა სადგურ ძეგამდე, მოიცავდა საინგილოს.

ამ პრობლემამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ერობის შემოღების დროს. არაქართული პოლიტიკური პარტიები აცხადებდნენ, რომ საერობო ტერიტორიების შემოსაზღვრისას უნდა ეხელმძღვანელათ მოცემულ ტერიტორიაზე დამაგრებული მოსახლოების ეროვნული შემადგენლობით. მაგალითად, იქ, სადაც ქართულ ტერიტორიაზე სახლობდა სომხობა, იგი სომხურ ერობას უნდა მიკუთვნებოდა. ამ ნიშნის გარდა გამოყენებული იყო მოსახლოების სარწმუნოებაც.

1918 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს მთავრობისათვის შეუტყობინებლად, სომხეთმა დაიწყო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. სომხეთის შეიარაღებულმა რაზმებმა დაიკავეს სანაინის და ალავერდის ტერიტორია, დაიწყეს რკინიგზისა და სხვა ობიექტების ძარცვა. ამის შემდეგ სომხეთის მთავრობამ საქართველოს ხელისუფლებას წაუყენა ულტიმატუმი ახალქალაქისა და ბორჩალის მაზრების დაცლის შესახებ. საქართველოს მთავრობის ცდა მშვიდობიანი მოლაპარაკების შესახებ უშედეგო აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობამ მიიღო ზომები სომხური აგრესიის აღსაკვეთად — უბრძანა ჯარის ნაწილებსა და რესპუბლიკის გვარდიას გაეთავისუფლებინათ სომხეთის ჯარების მიერ თვითნებურად დაკავებული ტერიტორიები. 19 დეკემბერს დაიწყო მძაფრი შეტაკებები. სომხეთის ჯარი ყველგან დამარცხდა. განსაკუთრებით

მძიმე მარცხი სომხებმა განიცადეს შულავერთან ბრძოლაში. სომხეთის ჯარებმა დაიწყეს უკან დახევა, რაც გაქცევაში გადაიზარდა. სომხეთი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა; სომხეთის მთელი ძალები ჩაბმული იყო ომში მაშინ, როცა საქართველოს ჯარში სარეზერვო ნაწილების მნიშვნელოვანი რაოდენობა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოდან, მხოლოდ ახლა მიემართებოდნენ ფრონტისაკენ. სწორედ ამ დროს კონფლიქტში ჩაერია ამიერკავკასიაში მყოფი ინგლისის ჯარების სარდლობა, რომლის დახმარებამაც სომხეთი აშკარად იხსნა საბოლოო გამანადგურებელი მარცხისაგან. გარკვეული მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების შემდეგ, 31 დეკემბერს საომარი მოქმედება მთელ ფრონტზე შეწყდა და საქართველოს ჯარების წინსვლა შეჩერდა.

1919 წლის 1 იანვარს ინგლისის ჯარებმა დაიკავეს ლორესა და ბორჩალოს რაიონების ტერიტორია სადგურ აირუმიდან სადგურ შაგალამდე და ეს ტერიტორია გამოცხადდა „ნეიტრალურ ზონად“.

1919 წლის 9 იანვარს თბილისში გაიხსნა საქართველო-სომხეთის საზავო კონფერენცია, რომელზეც დაზუსტდა დროებითი დაზავების პირობები. ლორეს ნეიტრალური ზონის ადმინისტრაცია შერეული ქართულ-სომხური იყო. მასზე კონტროლს ახორციელებდა ინგლისის, შემდეგ კი აშშ-ს სამხედრო წარმომადგენელი. 1919 წლის 22 იანვარს ხელი მოეწერა დროებით საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც იურიდიულად გაფორმდა მიღწეული შეთანხმებები — ომის შეწყვეტა და ლორეს ნეიტრალური ზონის შექმნა. მიღებული დადგენილებით, ქართული ჯარი რჩებოდა იმ ხაზზე, რომელიც მას 31 დეკემბრის 12 საათამდე რჩებოდა. ამით იმ ტერიტორიას, რომელსაც სომხები ედავებოდნენ ქართველებს, ინგლისელები და ფრანგები საქართველოს ნაწილად განიხილავდნენ. სომხეთის დელეგაციის პრეტენზიები ახალქალაქის მაზრასთან დაკავშირებით ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა უარყვეს და ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, ახალქალაქის მაზრა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ რჩებოდა. შემდგომში სომხური მხარე დიპლომატიური გზით ცდილობდა მის გადასინჯვას და თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას. მოგებული ომის შედეგები არასახარბიელო გახდა საქართველოსათვის. ამიტომ საზავო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა სომხეთთან საქართველოსთვის იძულებით აქტს წარმოადგენდა. სადავოდ ცხადდებოდა საქართველოს ძირძველი ოლქი — ლორე. ამ ზავით

სომხებმა მიაღწიეს იმას, რომ წაგებული ომის შედეგები მოგებულად ექციათ. საქართველოსაგან მოწყვეტილი ტერიტორია, მართალია, სომხეთს არ უერთდებოდა, მაგრამ მისი „ნეიტრალურად" გამოცხადება სომხებს საშუალებას აძლევდათ მომავალში იგი მიეტაცებინათ, რაც განხორციელდა კიდეც.

განიცადა რა დამარცხება საქართველოსთან ომში და ვერც დიპლომატიური ცდებით შეძლო ქართული ტერიტორიების მიტაცება, სომხეთის მთავრობა იმედოვნებდა, რომ გამარჯვებული დიდი სახელმწიფოების დახმარებით მიაღწევდა ამას პარიზის საზავო კონფერენციაზე.

სომხეთისა და საქართველოს მთავრობებს სხვადასხვა მიდგომა გააჩნდათ პარიზის კონფერენციისადმი და იმედოვნებდნენ, რომ პარიზის კონფერენცია მიიღებდა მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას. პარიზის კონფერენციაზე იმედს ამყარებდა აზერბაიჯანიც, რომელსაც ასევე გარკვეული პრეტენზიები გააჩნდა საქართველოს სახელწმიფოს ტერიტორიის მიმართ.

საბოლოოდ მოხდა ის, რომ საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა ცალ-ცალკე, პარიზის კონფერენციისათვის, შექმნეს რუკები. 1919 წელს პარიზის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე გააგზავნეს დელეგაციები. საქართველოს მხრიდან დელეგაციის წევრები იყვნენ: კარლო ჩხეიძე (ხელმძღვანელი), კაკი წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი და სხვები.

სომხური რუკის ვარიანტზე, სომხეთის ტერიტორიასთან ერთად, დამატებით, საზღვარს შიგნით მოქცეული იყო თბილისი, ბორჩალოს მზარა, ახალციხის მაზრა, ახალქალაქის მაზრა, მცხეთა, გორი, ბათუმი და ბათუმის ოლქის ნაწილები. მათი „გამჭრიახი" აზრით, გამოდიოდა, რომ ეთნიკური ნიშნის მიხედვით სხვის ტერიტორიაზე შემქნილი თემები მიმდებარე ტერიტორიით, სომხეთის კუთვნილებად უნდა ყოფილიყო გამოცხადებული!

აზერბაიჯანელების მიერ შექმნილი რუკის ვარიანტის მიხედვით, მათ საზღვრებში უნდა მოქცეულიყო საინგილო, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა, ბათუმის ოლქი მესხეთითურთ. ამ მოთხოვნას საფუძვლად ედო მოსახლეობის სარწმუნოება.

1919 წ. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების რუკის მიხედვით საქართველოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო:

1. მიწები, რომლებიც 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს იყო დაფიქსირებული;

2. ის მიწები, რომლებიც ადრიანოპოლის ზავისა (1829 წ.) და ბერლინის ტრაქტატის (1878 წ.) საფუძველზეა დაკანონებული;

3. ოსმალეთის მფლობელობაში მყოფი ზოგიერთი ტერიტორია.

გაეცნენ რა ტერიტორიულ პრეტენზიებს, ანტანტის სახელმწიფოების უმაღლესმა საბჭომ 1920 წ. მოიწონა თავისი კომისიის გეგმა ბათუმისა და მისი ოლქის შესახებ. განზრახული იყო ბათუმი თავისუფალ ქალაქად გამოეცხადებინათ. ბათუმის ოლქის დანარჩენი ნაწილი უნდა გაეყოთ საქართველოსა და სომხეთს. საქართველოს შეუერთდებოდა ოლქის ჩრდილო და აღმოსავლეთი ნაწილი, სომხეთს კი მიეცემოდა ართვინის რაიონი. სომხეთ-საქართველოს დანარჩენი ტერიტორიების საზღვრების გამიჯვნა უნდა მომხადარიყო ამ რესპუბლიკებს შორის მოლაპარაკების გზით. ლაზეთი ცხადდებოდა ავტონომიურ ერთეულად სომხეთის სუვერენიტეტის ქვეშ. ამავე კომისიის რეკომენდაციით, უნდა დაწესებულიყო თავისუფალი ტრანზიტი ამიერკავკასიაზე.

საქართველოს დელეგაცია ამ გეგმის წინააღმდეგი წავიდა და მოითხოვა მოეწვიათ სამი მეზობელი რესპუბლიკის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) თათბირი ამ საკითხის მოსაგვარებლად. ინგლისი დათანხმდა.

1920 წლის 16 მარტს ანტანტის დადგენილების პასუხად, საქართველოს დელეგაციის წევრმა ზ. ავალიშვილმა მოამზადა ნოტა:

1. ბათუმის ოლქი, ბათუმისა და ართვინის „ოკრუგები“, ქართველ მუსულმან მცხოვრებთა უმრავლესობით დასახლებული, შეერთებული უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიასთან.

2. ბათუმის ოლქის დანაწილება და მისი რომელიმე ნაწილის მიკუთვნება სხვა სახელმწიფოზე გამოიწვევს სერიოზულ უსიამოვნებას მეზობელ ხალხებს შორის.

3. თუ დადგინდება, რომ სომხეთს შავ ზღვაზე მიეცეს გასასვლელი რკინიგზის მეშვეობით, მაშინ ამ გასასვლელზე უნდა დამტკიცდეს საქართველოს უზენაესობა.

4. ბათუმში ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა (რომელიც ბათუმის ოლქს უნდა მოიცავდეს) გამოიწვევს გართულებას. აქედან გამომდინარე, არც ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადება მოგვიტანს წარმატებას მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

5. საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს და იცავს თავის პრეტენზიებს ყარსის ოლქის ორ მაზრაზე: არდაგანისა და ოლთისის მხარეზე.

6. საერთო პოლიტიკიდან გამომდინარე და იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სასაზღვრო ხელშეკრულების დამტკიცება, მხარი შეიძლება დაეჭიროს ბათუმის პორტში სამხედრო საზღვაო ბაზის შექმნას და საქართველოსთან ხელშეკრულების დადებას.

ამ ნოტაში გატარებული იყო იდეა იმის შესახებ, რომ თუ არდაგანის და ართვინის ოლქები შევიდოდა საქართველოს შემადგენლობაში, მაშინ მეზობლებს მიეცემოდათ ვიწრო დერეფანი შავ ზღვაზე გასასვლელად. აქაც უნდა დაცულიყო პირობა, რომ ამ დერეფანზე გავრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია.

„დიდი დავის შემდეგ, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს დელეგაციების საერთო სხდომამ ბოლოს აღიარა საქართველოს უზენაესობა ბათუმის ოლქზე. ხოლო ბათუმში დაცული იქნებოდა როგოც აზერბაიჯანის, ისე სომხეთის ინტერესები. მაგრამ სომხეთმა შემდეგ მოითხოვა კიდევ ბათუმის პორტის ნაწილი და საკუთრებად რკინიგზის გასაყვანი მიწა ყარსიდან ბათუმამდე.

1920 წლის 16 აპრილის სხდომაზე სომხეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი ბათუმის ოლქად მიიჩნევს ტერიტორიას მდ. ჭოროხამდე. ე. ი. საზღვარიც აქ უნდა დადებულიყო. ბუნებრივია, ქართული დელეგაციისათვის ეს სავსებით მიუღებელი იყო და ამის გამო სომხების ცდა ჩაიშალა. ჩაიშალა ის პროექტიც, რომლის მიხედვითაც სარკინიგზო მაგისტრალის ტერიტორია ყარსიდან ბათუმამდე მათი კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ქართულმა დელეგაციამ არც ეს მოთხოვნა მიიღო და საბოლოოდ შეთანხმება ვერ მოხერხდა.

აზერბაიჯანელებისა და სომხების ცდა, მიეღოთ დიდ სახელმწიფოთა დახმარება, წარუმატებელი აღმოჩნდა. პარიზის საზავო კონფერენციამ ვერ გადაწყვიტა სადავო საკითხები. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები დარჩა იმ ფარგლებში, როგორშიც ადრე იყო — ქუთაისისა და თბილისის გუბერნიები.

1920 წლის ნოემბერში, სომხეთში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სომხეთის დაშნაკური მთავრობა იძულებული გახდა საქართველოსთან შეთანხმებისათვის მოეწერა ხელი, რომლითაც საქართველოს დროებით გადაეცა ლორეს ნეიტრალურ ზონაში მმართველობის უფლება. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 1920 წლის აგვისტოში სევრში ხელი მოეწერა ანტან-

ტა-თურქეთის ზავს, რომლის მიხედვითაც სომხეთს გადაეცემოდა ანატოლიის აღმოსავლეთი პროვინციების ნაწილი, შავ ზღვაზე გასასვლელით. სომხეთმა ომი დაიწყო ამ ტერიტორიების დაკავების მიზნით, მაგრამ დამარცხდა ქემალისტურ ჯარებთან და უკან დაიხია საქართველოს საზღვრებისკენ.

თურქეთთან დამარცხების შემდეგ, სომხეთმა 1920 წლის 26 ნოემბერს ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლითაც უარი თქმა სევრის ხელშეკრულებით გადაცემულ ტერიტორიაზე. 3 დღის შემდეგ, 1920 წლის 29 ნოემბერს, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მალე საბჭოთა სომხეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვა ქართული ჯარის გაყვანა ლორეს რაიონიდან. ამდენად, სომხეთის მთავრობა ბრძოლას აგრძელებდა საბჭოური იდეოლოგიის დროშის ქვეშ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის 7 ივლისს, კავბიუროს პლენუმმა მიიღო დადგენილება საბჭოთა სომხეთისათვის გადაეცათ ყოფილი ლორეს ნეიტრალური ზონა მხოლდ იმის გამო, რომ სომხური მოსახლეობით იყო დასახლებული. ასე მოწყვიტეს საქართველოს მისი ისტორიული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

წარმატებით გათამამებულმა სომხეთის ახალმა ხელმძღვანელებმა ძველი პოლიტიკის გაძლიერება სცადეს. 1922 წელს მათ წარმოადგინეს პროექტი ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების გაერთიანებისა და ერთიანი სომხური ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შესახებ, რომელიც შემდგომ პერსპექტივაში სომხეთს უნდა შეერთებოდა, მაგრამ ამ ცდამ 1923 წელს მარცხი განიცადა.

არსებული საარქივო დოკუმენტების ანალიზით ვრწმუნდებით, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის 1923 წლიდან 1929 წლის ჩათვლით საზღვრის ხაზის გადაწევის უმთავრეს მიზეზად ყოველთვის ფიგურირებდა ტყე და საზღვრისპირა სოფლების სომხური მოსახლეობა, რის გამოც იქნა მიღებული 1928 წ. 18 თებერვლის გადაწყვეტილება და 1929 წ. 2 სექტემბრის დადგენილება.

1923 წელს და 1929 წლის 2 სექტემბერს გატარებული საზღვრის ხაზების გადაწევის შედეგებში იკითხება სწრაფვა ჩრდილოეთისაკენ ანუ ქართული მიწის დაუფლებისაკენ, სომხეთზე იმ მიწების დაკანონებისაკენ, რომელმაც თურქეთიდან სხვადასხვა დროს დევნილი სომხობა შეიფარა. საარქივო დოკუმენტებით ირკვე-

ვა, რომ ჩრდილოეთისაკენ საზღვრის ხაზის გადაწევას შემდგომ თვით სომხურმა მოსახლეობამ შეუშალა ხელი, რამეთუ ასეთივე გადაწყვეტილებით სოფლების: ოფრეთის, ახკერპის და ჩანაჩხის მიდამოების მოსახლეობა ხელოვნურად იქცეოდა სოციალურ-ეკონომიკური და ადნიმინისტრაციული მომსახურების ვაკუუმში. აღნიშნულის დამადასტურებელ ფაქტს შეიცავს საარქივო დოკუმენტებში დაცული წერილი იმის შესახებ, რომ 1929 წ. ჩატარებულმა საზღვრის გადაწევამ ახკერპის, ჩანაჩხის და ბარდაძორის სომხურ მოსახლოებაში აღშფოთება გამოიწვია და ბორჩალოს რაიკომის მდივნის ბაღდასაროვისაგან მოითხოვეს, რომ ზომები მიეღოთ, რათა ეს სოფლები და სამეურნეო ტერიტორია არ მიკუთვნებოდა სომხეთის ტერიტორიას.

ბოლოს და ბოლოს, მოსახლეობის გაუთავებელი დავის გამო, როგორც იქნა 1934 წლის 18 თებერვლის და 2 მარტის დადგენილების და 90 ბრძანების თანახმად, აღნიშნული უბანი ნაწილობრივ დაუბრუნდა თავის ისტორიულ პატრონს, მაგრამ საზღვრის ხაზის დაკანონებას მხოლოდ ერთი არგუმენტი ედო საფუძვლად — ტყე, ე.ი. საზღვრის კონტურის ხასიათი განისაზღვრა ტყის კონტურით. ამ არგუმენტის წყალობით იქამდე მივიდა საქმე, რომ სოფლები ჩანახჩი, ხოჯორნი და ბარდაძორი მომიჯნავე ტყის მასივით ისე მტკიცედ არიან შემოზღუდული საზღვრის ხაზით, რომ სამეურნეო და სხვა ტერიტორიები დღესაც მრავალი გაუგებრობისა და კამათის საგნად არის ქცეული. ამ სავალალო ფაქტის შედეგად ტყეს დაესაკუთრა სომხეთი და ჰუჯაბის ეკლესიაც მათ მხარეზე მოექცა.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში სომხეთი განაგრძობდა თავისი ტერიტორიის გაფართოებას. 1929-1930 წწ. სომხეთს გადაეცა აზერბაიჯანის ტერიტორიის მოზრდილი ნაწილი. ამით გათამამებულმა სომეხმა ბოლშევიკებმა შემდეგი ნაბიჯის გადადგმა ჩრდილო-დასავლეთით, საქართველოს მიმართულებით სცადეს. სომხეთის კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა ა. ხანჯიანმა მოითხოვა სომხეთისათვის გადაეცათ ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები, რაზეც მტკიცე უარი მიიღეს.

ტერიტორიული პრობლემები არანაკლებ მწვავე იყო აზერბაიჯანთანაც, რომელსაც სურდა ტერიტორიის გაფართოება საქართველოს ხარჯზე. 1921 წლამდე აზერბაიჯანის მხარეს გადავიდა საქართველოს ალაზნისპირა სტეპები. ამას უნდა დაემატოს ის ტერიტორიებიც, რომელიც საქართველომ 1921 წელს დაუთმო აზერბაიჯანს.

ეს არის ტერიტორია მოქცეული ჯანდარის ტბასა, მდ. მტკვარსა და მ. უდაბნოს შორის. მისი ფართობი 575 კმ²-ს შეადგენს. მასზე განლაგეუბლი იყო სახანვ-სათესი და ზამთრის საძოვრები. საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგატების კონფერენციაზე 1921 წლის 5. ივლისს დაკანონდა მანამდე საინგილოს ფაქტობრივად მიტაცება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ. გადაწყვეტილებას ხელი მოაწერეს საქართველოს და აზერბაიჯანის რევკომების თავმჯდომარეებმა — ფილიპე მახარაძემ და ნარიმან ნარიმანოვმა. ამით იურიდიულად გაფორმადა ზაქათალის მხარის გადაცემა აზერბაიჯანისათვის. მაგრამ ტერიტორიული დავა გრძელდებოდა.

1923 წლის 30 აპრილის დადგენილებას წინ უძღოდა საზღვრის ხაზის გატარების თვალსაზრისთა მკვეთრი შეჯახება. აზერბაიჯანელთა წარმომადგენლების აზრით, ალაზანსა და იორს შორის მოქცეული საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი ტერიტორია უნდა გამიჯნულიყო.

საბოლოოდ, 1923 წლის 30 აპრილს, კომისიის სხდომამ განიხილა შეთანხმების შედეგები და საქართველომ მიიღო კაშის ქედსა და მდ. ალაზანს შორის მოქცეული ტერიტორია, ხოლო აზერბაიჯანს დაუთმეს მდ. იორსა და ჰალანტუკანის ქედს შორის მოქცეული ვრცელი ტერიტორია და მთლიანად ელდარის სტეპიც.

გარეჯის მონასტერთან გამავალმა საზღრის ხაზმა საკამათოდ აქცია ის ტერიტორიები, რომლებიც ისტორიულად უშუალოდ ებჯინებოდა მონასტერს და მის კუთვნილებას წარმოადგენდა. ამ მიწების ფართობები (340,300 დესეტინა) ძირითადად საზამთრო საძოვრებს და სახნავებს შეიცავდნენ. საკამათოდ გადაიქცა ასევე 2000 დესეტინა ზამთრის საძოვრების ის ტერიტორიაც, რომელიც მ. უდაბნოს დასავლეთ ნაწილში იყო მოქცეული.

1927 წელს კომისიამ ადგილზე შეისწავლა საკამათო ტერიტორიები, განსაკუთრებით კი ყარაიაზის, ჩათლინის, იორისპირა და შირაქის სტეპები. ამის საფუძველზე, 1929 წლის 18 თებერვალს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში მიღებულ იქნა ორი „მნიშვნელოვანი“ გადაწყვეტილება:

1. გარეჯის ზამთრის საძოვრების და
2. ელდარ-სამუხის ზამთრის საძოვრების შესახებ.

უნდა შევნიშნოთ, რომ 1923 წლის გადაწყვეტილების გამო საქართველოს მეცხოველეობამ საგროძნობი დეფიციტი განიცადა ელდარის სტეპის საძოვრების გასხვისების გამო. საყურადღებოა ის გა-

რემოებაც, რომ 1921 წლის გადაწყვეტილების შეცვლის შედეგად საქართველომ თავის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეში დათმო მდ. იორი 43 კმ-ის სიგრძით და იორის ამ მონაკვეთის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე ედლარ-სამუხის სტეპი და პალანტუკანის ქედის მთელი ჩრდილო ფერდობი მდ. იორამდე, რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 336 კმ²-ს ანუ 33 600 ჰექტარს.

1923 და 1927 წლებში საქართველომ დაიბრუნა ელდარის ველის და ყაზახის მაზრის ჩათმის ველის ტერიტორიები.

საბოლოოდ, 1929 წლის 18 თებერვლის დადგენილების 3 ოქმის საფუძველზე, ამიერკავკასიის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიჩნია, რომ „საქართველოს მეცხოველეობის განვითარებისთვის საჭიროა, გამოიყოს 15000 დესეტინა ზამთრის საძოვრები ელდარ-სამუხის სტეპის ტერიტორიიდან“, ე.ი. საქართველოს დაუბრუნდა მხოლოდ 16 388 ჰექტარი ზამთრის საძოვრები. ამ გადაწყვეტილებით კი საქართველომ დაკარგა 17 222 ჰექტარი.

მოკლედ სურათი ასე გამოიყურება: 1924-1925 წლებში გადაწყდა ზაქათალის (აზერბაიჯანის) და სიღნაღის მაზრების საზღვარი მდ. ალაზანზე: ალაზნისპირა ველი რჩებოდა საქართველოს საზღვრებში, თუმცა აზერბაიჯანის ამ მოსაზღვრე ტერიტორიაზე მცხოვრებთ ჰქონდათ მიწათსარგებლობის უფლება, რაც მას კვლავ სადავოს ხდიდა. სადავო იყო იორისპირა ჩათმისველის საძოვრების ტერიტორია. ეს დავა 1926 წ. გადაწყდა — ივრისპირა ველი გადაეცა საქართველოს, ხოლო ელდარის ველის ტერიტორია — აზერბაიჯანს.

1922 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის მაზრის გარეჯის აგარაკი გაიყო ორ ნაწილად: დასავლეთი მხარე მიეკუთვნა საქართველოს, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი — ისტორიული სამონასტრო კომპლექსის ნაწილი — აზერბაიჯანის საზღვრებში მოექცა. აღნიშნული ტერიტორიის დაბრუნების საკითხი არა ერთხელ დასვა საქართველოს ხელისუფლებამ. ამის შედეგი იყო ნაწილობრივ ის, რომ საქართველომ მიიღო სადავო ტერიოტორიის მხოლოდ ნაწილი. დავით გარეჯის აგარაკის, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიის, ნაწილი — ბერთუბანი და სხვა დღემდე აზერბაიჯანის შემადგენლობაშია. მოწესრიგდა დავა ბორჩალოს და ყარაიაზის მაზრებს შორის და მეორე სადავო მონაკვეთიც — დავით გარეჯიდან მდ. მტკვრამდე წითელი ხიდის მიდამოები გადაეცა საქართველოს.

ამიერკავკასიაში მიწების აღრიცხვის სამუშაოების დამთავრების შემდეგ, 1938 წლის 23 მარტს, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა თათბირზე საბოლოოდ დამტკიცდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრის ხაზი.

საქართველოსგან ტერიტორიებს მოითხოვდა თურქეთიც.

თურქეთმა ისარგებლა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციით და დაიკავა არდაგან-ართვინი. შეიქმნა საშიშროება ბათუმის ოლქის მიტაცებისა, მაგრამ საქმეში ჩაერია რუსეთი, რადგან ეს არ შედიოდა მის სტრატეგიულ ინტერესებში, რაც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებსაც ემთხვეოდა. 1921 წლის 16 მარტს დაიდო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით თურქეთი საქართველოს „უთმობდა“ ბათუმის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილს ბათუმითურთ, ოღონდ იმ პირობით, თუ იმ მხარის — სამუსლიმანო საქართველოს (აჭარის) — მოსახლეობა ავტონომიის უფლებით ისარგებლებდა. ამ ხელშეკრულებით, რომელიც გაიმეორა იმავე წლის 13 ოქტომბერს ყარსის ხელშეკრულებამ, ქართული ტერიტორიები არდაგან-ოლთისი-ართვინი თითქმის ბათუმამდე თურქეთის ტერიტორიულ საზღვრებში მოექცა. თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სოფელ სარფზე გავიდა.

ცვლილებები განიცადა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარმა. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ენგურამდე მოეწყვიტა აფხაზეთი საქართველოსაგან. ამ მიზნით დაიწყო კაზაკების ჩამოსახლება. აფხაზეთი ეთნიკურად ჭრელ რეგიონად რომ ექცია და ქართული ენის მაგივრად იქ რუსული გაბატონებულიყო, რუსების გარდა შეუდგა აფხაზეთში გერმანელების, ესტონელების და სომხების ჩამოსახლებას.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთმა თურქეთში ათასობით აფხაზი გაასახლა. აფხაზეთის სწრაფი რუსიფიკაციის მიზნით ცარიზმი ცდილობდა, საქართველოს აფხაზეთი ხან შავიზღვისპირეთის გუბერნიასთან მიეერთებინა, ხან ყუბანთან, რაც საბოლოოდ რუსეთთან მიერთებას ნიშნავდა.

ჩრდილო კავკასიელების წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ რუსეთმა ქართველების წინააღმდეგ დაიწყეს აფხაზების გამოყენება. 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ აფხაზებს რუსეთმა პრივილეგიები მიანიჭა (არ გაჰყავდათ ჯარში, ჩინ-მედლებით, თანამდებობებით და ფულით აჯილდოებდა). ასეთ ვითარებაში აფხაზების ნაწილი რუსების დასაყრდენად იქცნენ საქართველოს წინააღმდეგ

ბრძოლაში. მათი ანტიქართული საქციელი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა ცარიზმის დამხობისა და რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის შემდეგ, როცა შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჩვენი პატრიორტი აფხაზების შესახებაც. წარჩინებულ, დიდგვაროვან აფხაზთა დელეგაცია: გ. შერვაშიძე, მ. ემუხვარი, მ. ინალიფა, პ. ანჩაბაძე, ბ. ეზუხბაია და ა. ჩუკბარი 1916 წელს ეახლნენ თბილისში მეფისნაცვალს, საქართველოს რუს ეგზარქოსს, სხვა უმაღლესი თანამდებობის პირებს და მთელი ფხაზეთის სახელით წარუდგინეს თხოვნა, რომლის არსი იყო აფხაზეთისა და აფხაზების ქართულ სახელწმიფოებრივ-ენობრივ-რელიგიურ ფარგლებში დარჩენა. აფხაზთა დელეგაცია ითხოვდა სკოლებში სწავლებას მშობლიურ — ქართულ და აფხაზურ ენებზე და სოხუმის ეპარქიის, როგორც საქართველოს ეკლესიის სისხლხორცეული ნაწილის, დარჩენას საქართველოს საეგზარქოსოში. ამასთანავე, დელეგაციის წარმომადგენლები კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ, რომ სოხუმის ოლქი შავი ზღვის გუბერნიას შეერთებოდა, ისინი ქუთაისის გუბერნიასთან (ანუ დასავლეთ საქართველოსთან) ერთიანობას უჭერდნენ მხარს (შავი ზღვის გუბერნია მოიცავდა სოჭის, ტუაფსესა და ნოვოროსიისკის ოლქებს, ისტორიულად საქართველოსა და ჩერქეზულ-ადიღეური ტომების კუთვნილ მიწებს, საიდანაც, იმ დროისათვის, ფაქტობრივად, სრულიად იყო გასახლებული მკვიდრი კავკასიელი მოსახლეობა და უკვე რუსი კოლონისტები ცხოვრობდნენ). როგორც ვხედავთ, ამ დელეგაციას კარგად ესმოდა, რომ აფხაზური ეთნოსის ენის, კულტურის, აფხაზური იდენტობის შენარჩუნების გარანტი სწორედ ქართული სახელმწიფოებრივ-კულტურული სხეული იყო.

რუსეთის სამხედრო ძალები ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს შეეცადნენ აფხაზეთი დენიკინისა და ყუბანის რადის (მთავრობის) დასაყრდენად გამოეყენებინათ, ხოლო შემდეგ ჩრდილო კავკასიის „მთიელთა რესპუბლიკები“ გაეერთიანებინათ და დაუფლებოდნენ აფხაზეთს.

განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება. 1918 წლის ივნისში ბოლშევიკები შემოიჭრნენ გაგრის მხრიდან და ახალი ათონი დაიკავეს. საქართველოს მთავრობის მიერ გენერალ-გუბერნატორად დანიშნული გიორგი მაზნიაშვილი ქართული გვარდიით და 300-კაციანი აფხაზური კავალერიით გაგრაში შევიდა. 24 ივნისს აფხაზთა სახალხო საბჭომ მიი-

ღო სპეციალური დადგენილება სოჭისა და ტუაფეს ოლქების დაკავების შესახებ. 26 ივლისს გენერალ მაზნიაშვილის ჯარმა თავისი კონტროლი დაამყარა ტუაფსეზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება იყო მხოლოდ მოჩვენებითი, რაც კიდეც გამომჟღავნდა 1921 წლის თებერვალში. 15 თებერვალს ი. სტალინი დეპეშით ს. ორჯონიკიძეს ატყობინებს: „ახლა გადმოგცემ ცეკას დაშიფრულ პასუხს, აგრეთე წინადადებას გაძლევ ეხლავე შეუტიო, დასტურია, აიღე ქალაქი“.

ორკვირიან უთანასწორო ბრძოლაში საქართველო დამარცხდა. თბილისზე 1921 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი დროშა აფრიალდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 20-30-ია წლებში საბჭოთა კავშირის ცენტრალუმა კომიტეტმა და მთავრობამ აფხაზეთი საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკად დატოვა, არ მოახდინა აფხაზეთის მოგლეჯვა საქართველოდან, ახფაზეთის რუსიფიკაცია მასშტაბურად და სწრაფად მიმდინარეობდა, იქაურ ქართველებს შენიღბულად ავიწროებდნენ. 1921 წელს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მდივანი სერგეი კიროვი ამბობდა: „არ შეიძლება ვეცადოთ და ვიმედოვნოთ, რომ საქართვლოში თავისთავად მოხდება აფეთქება. ამისათვის საჭირო არაა გახსნილად დავესხათ თავს საქართველოს. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა დავიწყოთ მოძრაობა აფხაზთსა და აჭარაში, შევუქმნათ საქართველოს შიდა პრობლემები, რომლებიც წელში გაწყვეტს მას“.

სერგეი კიროვს ზურგს უმაგრებდა სტალინი, რომელიც 1922 წელს წერდა: „თუ სამეგრელოს, ისევე როგორც აფხაზეთს და აჭარას, მიეცემა ავტონომია, ეს მომავალში საქართველოს დაშლის დასაწყისი იქნება“.

მათ არაფრით ჩამოუვარდებოდა XX საუკუნის 80-იანი წლების სსრკ ცკ მდივანი იდეოლოგიის დარგში მიხეილ სუსლოვი. იგი ამბობდა: „...ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარას და სხვა კუთხეებს უნდა მიეცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს. ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებელი როლი უნდა შევასრულოთ“.

ფაქტიურად, დღევანდელი რელაობა ამის დასტურია.

საბჭოთა რუსეთი ათასგვარი ფანდითა და გზებით ცდილობდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამხობას, მისგან აფხაზეთის, აჭარის, სამეგრელოსა და სხვა მხარეების მოწყვეტას. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოში საბჭოთა რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშეს, გენერალ პ. სიტინის მიერ რუსეთის სამხედრო შტაბისათვის შედგენილი საგანგებო საიდუმლო გეგმა. ეს გეგმა ითვლისწინებდა საქართველოს დაყოფას არა მხოლოდ უძველესი ტომობრივ-კუთხური პრინციპის მიხედვით (მეგრელბის, სვანების, აფხაზების, აჭარლების, ქართლელების და ა. შ. ერთმანეთისგან გათიშვით), არამედ საქართველოში გვიან შემოსახლებული სხვადასხვა ხალხის წარმომდაგენლების (სომხების, ოსების, ბერძნების და სხვ.) ქართველი ხალხისათვის დაპირისპირებით. ამასთანავე პ. სიტინის, ანუ იმავე რუსეთის სამხედრო შტაბის, გეგმა ასევე ითვალისწინებდა ჩვენს ქვეყანაში დივერსიების მოწყობას.

1918 წლის ზაფხულში აფხაზი სეპარატისტები ალ. შერვაშიძე, ივ. მარღანია, რ. ჩხოტუა და მათი მხარდამჭერები, თვით თურქეთის 1000 კაციანი სამხედრო დესანტი, რომლებიც გადმოსხდნენ კოდორში, ცდილობდნენ აფხზეთის საქართველოსაგან მოწყვეტას. თუმცა საქართველოს მთავრობამ მოახერხა ამ პროვოკაციის აღკვეთა.

1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის ახალარჩეულმა სახალხო საბჭომ მიიღო აქტი „აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლის თანახმად აფხაზეთი შევიდა საქართველოს დამოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართვნლოს დამოუკიდებლობა. თავისთავად აფხაზეთი (სოხუმის ოკრუგი) რუსეთის მიერ მიჩნეულ იქნა საქართველოს შემადგენელ ნაწილად.

1930-1931 წლებში გამოცემულ რუკებზე მდ. ხოლოდნაია რეჩკასა და მდ. ენგურზე გამავალ საზღვრის ხაზს შორის მოქცეული იყო აფხაზეთის ტერიტორია. საქართვნლოს მთავრობის მოთხოვნით, რსფსრ-სა და საქართველოს შორის საზღვრის ხაზი გადაწეული იქნა მდ. ფსოუზე.

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას აფხაზეთთან დაკაშვირებით, ყველასათვის ცნობილია. რუსეთმა, უკანონოდ, ოკუპაცია მოახდინა მთელი აფხაზეთის, გამოაძევა ქართველებთან ერთად სხვა ერის წარმომადგენლები, მოწყვიტა საქართველოს და აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ძალიან მძიმე ვითარება არის შექმნილი ცხინვალის რეგიონში, რომელიც დროებით მოწყვეტილია საქართველოს იურისდიქციას. საქართველოს ეს ძირძველი ისტორიული ტერიტორია აღიარებულია რუსეთის მიერ, როგორც დამოუკიდებელი ოსური სახელწმიფო, რაც ასევე საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა.

ოსების სამშობლო კავკასიის ქედის გადაღმაა. ქართველებსა და ოსებს ძველთაგანვე მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობანი ჰქონდათ. ოსებს საქართველო თავისი მაღალი ეკონომიკური და კულტურული დონით იზიდავდა. ქართველები მათ დაქირავებულ რაზმებს ხშირად იყენებდნენ სამხედრო მიზნებისათვის და სანაცვლოდ ქირას, საჩუქრებს და ნადავლს აძლევდა. ქართველი და ოსი ხალხების ინტენსიურ ურთიერთობას ხელს უწყობდა დინასტიური ქორწინებებიც.

XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით, ძვ. წ. III ს-ში ქართლის მეფე ფარნავაზს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ოსებთან. მას ქართლის მაშინდელი მმართველის, აზოს განდევნაში ეხმარებიან ოსები და ლეკები. გაწეული სამსახურისათვის ფარნავაზმა თავისი და მიათხოვა ოსთა „მეფეს“. დინასტიური ქორწინებები განსაკუთრებით გახშირდა XI-XII საუკუნეებში.

სამეფო და ფეოდალური ოჯახების გარდა, ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ რიგითი ადამიანები. ბოლო ხანებამდე აღმოსავლეთ საქართველოში ქართველთა შერეულ ქორწინებათა მეტი წილი ოსებზე მოდიოდა. თვით XX ს-ის პირველ მეოთხედში თბილისის შეძლებულ მოქალაქეთა ოჯახებში ქართვლებთან ერთად ოსი ძიძებიც ჰყავდათ. ამრიგად, ქართველებსა და ოსებს შორის სისხლით ნათესავებს გარდა, ბევრი ძუძუმტეც იყო. VI-X საუკუნეებში ოსეთში ბიზანტიიდან და საქართველოდან ვრცელდებოდა ქრისტიანობა.

ლეონტი მროველის ცნობითვე, მეფე ფარნავაზის ვაჟი საურმაგი შინაურ მტრებთან ბრძოლაში იყენებს ოსებისა და დურძუკების რაზმებს.

I ს-ის 70-80-იან წლებში სომხების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართლის მეფეების — აზორკისა და არმაზელის — მხარეს დურძუკთა, დიდოთა, პაჭანიკთა და ჯიქთა გვერდით იბრძვიან დაქირავებული ოსი მოლაშქრენიც.

II ს-ის დამლევს, ქართლის მეფის — ამაზასპის დროს ოსების მეგობრული დამოკიდებულება მტრობით იცვლება. ისინი დვალეთის გზით მცხეთის შესამუსრავად გადმოდიან ქართლში და მდ.

ლიახვზე ბანაკდებიან. მაგრამ ამაზასპი ამარცხებს ოსებს, გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში, მათ სამშობლოში, და უსწორდება, სჯის.

IV ს-შიც გადმოდიან ოსები ჩრდილოეთიდან ქართლის ასაოხრებლად. მეფე მირიანი საპასუხოდ გადადის ოსეთში, აოხრებს მას და გამარჯვებული დვალეთის გზით ბრუნდება ქართლში.

V ს-ში ირანის მიერ წაქეზებული ოსი მოლაშქრენი დარუბანდის ანუ დერბენდის გზით ქართლში შემოდიან. ქალაქ კასპში ატყვევებენ ვახტანგ გორგასლის დას — მირანდუხტს და იგი არაგვი-დარიალის გზით ოსეთში გადაჰყავთ. ვახტანგი ლაშქრობს ოსეთში და სასტიკად სჯის მოძალადეებს. ვახტანგ გორგასლის მემატიანე ჯუანშერი მოგვითხრობს: „ხოლო დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიალისად უწოდეთ და აღაშენა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგინი მთიულნი. არა ხელეწიფების გამოვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაღთა თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“.

ამის შემდეგ ქართულ წყაროებში კარგა ხანს არ იხსენიებიან ოსები. გორგასალმა ისე დასაჯა ისინი და ისე ჩაუკეტა საქართველოში შემოსასვლელი კარი, მათ დიდხანს არ გასჩენიათ სურვილი კავკასიონის ქედის სამხრეთით გადმოსვლისა და საქართველოს დალაშქვრისა.

XI ს-ის ქრონიკა „მატიანე ქართლისა“ გვამცნობს, რომ არაბმა სარდალმა ბუღა თურქმა 853 წ. ოსეთში ილაშქრა და იქიდან დმანისში გადმოასახლა ასი სახლი ოსი. მოკლე ხანში ისინი ქართველებში გაითქვიფნენ.

XIII ს-ის II ნახევარში ორ მონღოლურ სახელმწიფოს („ოქროს ურდოსა“ და ილხანთა სახელმწიფოს) შორის ბრძოლის დროს ქართლის მიდამოებში იყვნენ დარუბანდის გზით აქ შემოსული ოსების სამხედრო რაზმები, რომლებიც ილხანთა ბრძანებით მოქმედებდნენ და ქართლის აზნაურ-დიდებულებს უპირისპირდებოდნენ.

ქართლის შინაპოლიტიკური რღვევის დროს, კერძოდ 1292 წ. უმეფობის ხანაში, „პირველად იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევა და ტყვევნად ქართლისა. და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა“, — წერს XIV ს-ის ანონიმი ქართველი ისტორიკოსი (ჟამთააღმწერელი).

ოს მოძალადეთა წინააღმდეგ გადამწვეტი შეტევა დაიწყო მეფე გიორგი V ბრწვინვალემ XIV ს-ის 20-იან წლებში. ჟამთააღმწერ-

ლის სიტყვით, მან „განასხა და აღფხურნა“ ოვსნი. წაართვა „ციხენი და დაბნები“, რომლებიც „დაეპყრათ ადგილ-ადგილ“. მეფემ ქართლში მოთარეშე ოსური რაზმები გაანადგურა და გააძევა საქართველოდან.

ოსური ახალშენების შექმნა ქართლში გვიან შუა საუკუნეებში დაიწყო. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებში მონღოლმა და თურქმანული მოდგმის დამპყრობლებმა დაარბიეს და გაანადგურეს ჩრდილო კავკასიის ველებზე მცხოვრები ოსები. გადარჩენილთა ერთი დიდი ნაწილი ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ მაღალმთიან რაიონს შეეხიზნა. იქ მათ არსებობის ხალსაყრელი პირობები არ ჰქნდათ. ამიტომ მოსახლეობამ დაიწყო ლტოლვა საქართველოსკენ, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მაღალ დონეზე იდგა. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა გვიან საუკუნეებში, მონღოლთაგან დასუსტებულ ოსებზე ყაბარდოს პოლიტიკური ექსპანსიის შედეგად.

სარჩო-საბადებლის მძებნელ ოსთა პატარ ჯგუფები ქართველ მთიელთა სოფლებში იკვლევდნენ გზას. ხშირად კი იქაურ ფეოდალთა კუთვნლ მიწებზე ხიზნებად სახლდებოდნენ. ამას, ერთი მხრივ, ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართველი მოსახლეობა გარე მტრების შემოსევათა შედეგად ძალზე შემცირებული იყო, ან კიდევ ბარის ეკონომიკური ზემოქმედების წყალობით დაბლობისკენ ინაცვლებდა. XVIII-ის პირველი ნახევრის დიდ ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს სწორად აქვს შემჩნეული ეს პროცესი და წერს: „ამ მთის ადგილებთა შინა რაოდენნი ოვსნი დავსწერეთ. პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათგან გარდმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან. ვინაითგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“.

მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნის თხზულება — ბესარიონ ქართლის კათალიკოსის „მარტვილობა ლუარსაბ მეფისა“. ავტორი მიმოიხილავს ლუარსაბ მეფის წამების პერიოდს (1622 წ.) და, ამასთანავე, გვამცნობს ქართლის ჩრდილოეთის საზღვართან შექმნილ ვითარებას: ლუარსაბ მეფე „ამისთვის მრავალთა ღუაწლთა შინა იყო, რამეთუ ბოროტნი აღდგომილ იყვნენ საქართველოსა ზედა. პირველად ოსმანთაგან, რომელთა დაეპყრა მეფობა ბერძენთა, მერმე სპარსთაგან და მერმე მახლობელთა ჩუენთა მთიულთა ოვსთაგან, რომელნი დამკვიდრებულ იყვნეს მახლობლად ჩუენსა, რამეთუ იგინიცა ფრიად აჭირვებდეს, რამეთუ

მოწევნასა ზაფხულისასა ვიდრე ჟამამდე ზამთრისა ხოცდეს და ტყუეყოფდეს ცხადად და იდუმალ და ესოდენთა ძვირთაგან მოცულ იყვნეს ქართველნი".

XVII ს-ის პირველი ნახევრის ერთი ნასყიდობის სიგელიდან ჩანს, რომ ოსები სოფელ ზემო ჯავაში ამ დროს ჯერ კიდევ არ მოსახლეობენ.

XVIII ს-ის 30-იან წლებში ქართლში ოსთა განსახლებას ასახავს ვახუშტი ბაგრატიონის რუკები და ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". ვახუშტის რუკაზე ოსური სოფლების ნიშნებითაა აღნიშნული დიდი და პატარა ლიახვების ზემო წელი, მეჯუდის, ლეხურის, ქსნის, თერგის სათავეები. არაგვის ხეობაში არაა არც ერთი ოსური სოფლის ნიშანი. ასევე არაა არც სამუხრანბატონოში და არც საამილახვროში. ეს იმას ნიშნავს, რომ ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში არ არსებობდა. ასეთი სოფლები მხოლოდ ხეობათა თავში იყო.

XVIII ს-ის 70-იან წლებში მდგომარეობა შეიცვალა. ქართლში მეტი ოსი ჩანს, ვიდრე ადრე. ამავე პერიოდის ვითარებას ასახავს გერმანელი აკადემიკოსის ი.გიულდენშტედტის მოგზაურობის დღიურები. მისი მონაცემებით, ლიახვის ზემო წელში XVIII ს-ის 70-იან წლებში ოსებთან ერთად ცხოვრობდნენ ქართველები. გუილდენშტედტის მოგზაურობის შემდეგ ქართლში მატულობს ოსური მოსახლეობა. მათი განსახლების არე სამხრეთით მოიწევს.

ერეკლე II-ის ბრძანებით ჩატარებული 1770 წლის დემოგრაფიული აღწერით, საქართველოში ცხოვრობს 4060 კომლი ოსი. აღწერის კრიტიკული შესწავლისა და სხვა საბუთების შეჯერების შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ XVIII ს-ის მიწურულს საქართველოში ცხოვრობდა 2130 კომლი.

1802 წლისათვის შიდა ქართლის იმ ნაწილში, სადაც 1922 წ. შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, მხოლოდ 10 სოფელსა და ჟამურის ხევში (მდ. ქსნის სათავე) ცხოვრობდნენ კომპაქტურად ოსები. ცხინვალში კი სახლობდნენ მხოლოდ ქართველები, სომხები და ქართველი ებრაელები. XIX ს-ის დასაწყისში ოსები მხოლოდ შიდა ქართლის მთაში იყვნენ. XIX ს-ის პირველ ნახევარში ისინი შიდა ქართლის მთისწინეთში დასახლდნენ და XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ინტენსიურად დაიწყეს ბარის სოფლებში ჩამოსახლება.

1842-1843 წლებში კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ მთიელთაგან, რომლებიც გორის, თბილისისა და თელავის მაზრებში სახლობდნენ, შეიქმნა თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ოსეთის ოკრუგები. ოსეთის ოკრუგი დანაწილდა ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის უბნებად. 1859 წელს მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ ნარის უბანი, ისტორიული დვალეთი, ჩამოაშორა თბილისის გუბერნიას და გადასცა „კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთის“ ოსეთის სამხედრო ოკრუგს, რომელიც შემდეგ თერგის ოლქში, 1924 წლიდან კი ჩრდილო ოსეთის ასსრ-ის შემადგენლობაში მოექცა. ასე ჩამოაშორეს საქართველოს მისი განუყოფელი ისტორიული ტერიტორია — დვალეთი, რომლის ტერიტორიაც მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრამდე ნაწილს დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის. ვახუშტი ბაგრატიონს (XVIII ს.) მოხსენიებული აქვს დვალეთის ხევები: კასრისხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგი, ხაზა, თრუსო, მაღრან-დვალეთი. ქართული ისტორიული ტრადიციით, ეს ტერიტორია იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის (ძვ. წ. IV-III სს.) დროიდან საქართველოს შემადგენლობაში იყო. დვალეთი ნიქოზის საეპისკოპოსო ეპარქიაში შედიოდა. დვალეთზე გადიოდა სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილო კავკასიაში მიმავალი გზები. შუა საუკუნეებში ცნობილი იყო „გზა დვალეთისა“. მონღოლთა შემოსევების (XIII ს.) შემდეგ დვალეთში სახლდებიან ჩრდილოეთიდან დევნილი ოსური მოსახლეობა. დვალეთის მკვიდრი მოსახლეობა (დვალები) კი თავის მხრივ მასობრივად გადმოდიოდა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის (XV ს.) შემდეგაც დვალეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იყო. XVII ს-ის დამდეგს მისი მოურავი იყო გიორგი საყაძე. დვალელ მოღვაწეთაგან ცნობილნი არიან XI ს-ის სასულიერო პირნი: მიქაელ დვალელი, იოანე დვალელი და სვიმონ დვალელი.

დვალეთის მატერიალური კულტურის ძეგლთაგან ჩვენამდე მოაღწია მდინარეების — არდონისა და ფიგდონის სათავეებში აგებულმა სიმაგრეებმა — კასრისკარმა და ხილკამ, ზროგისა და მამისონის ხეობებში ქრისტიანული ტაძრების ნანგრევებმა და ხსვ.

1918-1921 წლებში — საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდში — საბჭოთა რუსეთი მუდმივად ცდილობდა დაბაბულობის კერები შეექმნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ მიზნით ქმნიდნენ „რევოლუციურ კომიტეტებს“, შემოჰქონდათ იარაღი, აწყობდნენ „სახალხო აჯანყებებს“ და ლოკალურ ტერიტორი-

ებზე აცხადებდნენ „საბჭოთა ხელისუფლების“ დამყარებას. ეს იყო არა „ეთნოკონფლიქტები“ ან ამბოხებულთა მხრიდან „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა“, არამედ რუსეთის კომპარტიის ცკ-ის სტრუქტურის — კავკასიის ბიუროს (კავბიუროს) აქტივისტთა ერთი და იმავე ჯგუფის მიერ ორგანიზებული არეულობები, რომელშიც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის შეიარაღებული ბანდები მონაწილეობდნენ და რომელთა მიზანი იყო დამოუკიდებელ საქართველოში პოლიტიკური დესტაბილიზაციის პროვოცირება. ასეთი „სახალხო აჯანყებები“ მოხდა, მაგალითად, აფხაზეთში, შორაპნის მაზრაში, სამეგრელოში, დუშეთში და შიდა ქართლში. ყველა ამ ამბოხებაში ძირითადი ბირთვის ფუნქციას ქართველი პოლშევიკები ასრულებდნენ: ს. ორჯონიკიძე, შ. ელიავა, ფ. მახარაძე, ა. გეგეჭკორი (მსგავსი „სახალხო-რევოლუციური ამბოხება“ მოხდა 1921 წელსაც, როცა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ე. წ. „შულავერის კომიტეტის“ მეთაურობით დაწყებული „ამბოხება“ 25 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს დამხობით ანუ „გასაბჭოებით“ დასრულდა, რადგან „ამბოხება“, ამჯერად, საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის აშკარა ინტერვენციაში გადაიზარდა).

სწორედ ამ ზოგადი პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლი იყო ის „სახალხო ამბოხება“, რომელიც იმ წლებში ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში მოხდა და მოგვიანებით „კრემლის ისტორიკოსების“ მიერ „პირველ ქართულ-ოსურ ეთნოკონფლიქტად“ და „ოსების პირველ გენოციდად“ მოინათლა.

„სამხრეთ ოსეთის ამბოხების“ ქრონოლოგიაც ნათლად ადასტურებს, რომ ეს იყო კრემლის (კავბიუროს) მიერ ორგანიზებული კოფნლიქტი:

1919 წლის 12 ივნისს ჯავაში შეიკრიბა არალეგალური პარტიული კონფერენცია და დაფუძნდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) „სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი“. 1920 წლის 28 მარტს შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი“. მაისში რევკომის შეიარაღებულმა ჯგუფებმა დაიკავეს ჯავისა და მიმდებარე ტერიტორიები და აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადეს. იმავე წლის 8 ივნისს „რვოლუციურმა კომიტეტმა“ ასეთი ბრძანება გამოსცა: „ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება ტერიტორიაზე ონიდან დუშეთამდე — მთელი ძალაუფლება ეკუთვნის სამხრეთ ოსეთის რევკომს... ეცნობოს რსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სურვილია რუსეთთან შეერთება“. ამ

ბრძანების შინაარსი სრულიად ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ეს იყო კრემლის პროვოკაცია დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ და, ბუნებრივია, „სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სურვილები“ კრემლში ყველაზე ნაკლებად აღელვებდათ. ეს პროვოკაცია მიზნად ისახავდა, მაქსიმუმ, შიდა ქართლის ტერიტორიის „ჩამოჭრას“ საქართველოსთვის (ტერიტორიების მითვისების ასეთ „მეთოდს“ საბჭოთა რუსეთი მაშინ ფართოდ იყენებდა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ), ან მინიმუმ, — სერიოზულ დესტაბილიზაციას ჩვენს ქვეყანაში (თანაც, ეს კონფლიქტი ეთნიკური, ქართულ-ოსური „ომის“ იარლიყით „გაფორმდა“ საბჭოთა პროპაგანდის მიერ). ცხადია, კრემლის ასეთ აგრესიულ ქმედებებს საქართველოს მაშინდელი მთავრობა უპასუხოდ ვერ დატოვებდა, ამიტომ შიდა ქართლში სახალხო გვარდიის ქვედანაყოფები გაიგზავნა და წესრიგი მოკლე დროში აღდგა.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი საზღვრები, ანუ აღიარა აფაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორია დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენელ ნაწილად.

1921 წლის 31 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა იმავე წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია განახორციელა, კავბიურომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიული ოლქის უფლებათა“ მინიჭების შესახებ და საქართველოს რევკომისაგან ოლქის საზღვრების საკითხის განხილვა მოითხოვა.

1922 წლის 20 აპრილს, საქართველოს სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით, ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ და მის ცენტრად ქ. ცხინვალი გამოცხადდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შევიდა ქართლის მთიანეთის ჩრდილო მხარე და რაჭის ნაწილი. აგრეთვე საქართველოს ისტოიული პროვინციები — სამაჩაბლო, ქსნის საერისთავო, საფალავანდიშვილო, საამილახვროს ნაწილი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა იყო ქართველი ხალხის საწინააღმდეგო, ისტორიულად და იურიდიულად სრულიად გაუმართლებელი აქტი, რადგან საქართველოს ისტორიისა და სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე

ოსებს საქართველოში არ ჰქონდათ რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი.

1925 წელს რუსეთის საბჭოთა ფედერაციის შემადგენლობაში მყოფმა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან გაერთიანება მოითხოვა. ამ მოთხოვნას მხარი ადუჭირა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოებმაც და ხაზგასასმელია, რომ ამ უკანასკნელის გადაწყვეტილების თანახმად, გაერთიანება უნდა მომხდარიყო საქართველოს შემადგენლობაში. 1927 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოებმა კიდევ ერთხელ წამოჭრეს ეს საკიხთი, თუმცა უშუდეგოდ.

საქართველოსგან სამხრეთ ოსეთის მოწყვეტის მოთხოვნებს XX საუკუნის ბოლოსაც ჰქონდა ადგილი. რუსების მიერ წაქეზებულმა ოსებმა პერმანენტულად დაიწყეს შეტევები ქართული სოფლების წინააღმდეგ, რაც დასრულდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით და ქართული მიწის ოკუპაციით.

XX საკუნეში II მსოფლიო ომისა და ომის შემდეგ პერიოდში საქართველოს ტერიტორიები განიცდიან ცვლილებებს. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წ. 12 ოქტომბრის ბრძანებულებით, ყარაჩაელთა ავტონომიური ოლქის გაუქმებისა და მისი ტერიტორიის მეზობელ რესპუბლიკებს შორის გადანაწილების შედეგად საქართველოს გადაეცა უჩკულანსკისა და მიქოიანოვსკის რაიონების ტერიტორიის ნაწილი. ამ ტერიტორიაზე შექმნეს ქლუხორის რაიონი. მის ადმინისტრაციულ ცენტრად დამტკიცდა ქალაქი მიქოიანშახარე. იგივე ბრძანებულებით, ამ ქალაქს გადაერქვა სახელი და ეწოდა ქლუხორი. მთლიანად აღნიშნული ტერიტორიით საქართველოს შეემატა დამატებით 3592,8 კმ² ფართობი.

1944 წლის 7 მარტს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, იგივე მოტივით გააუქმეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ. მეზობელ რესპუბლიკებს შორის მისი ტერიტორიის გადანაწილების შემდეგ საქართველოს შემადგენლობაში შეიყვანეს იტუნკალინსკის რაიონი მთლიანად, შაროევსკის რაიონის დასავლეთი ნაწილი, გალანჩოვსკის და გალაშკინსკის საგარეუბნო რაიონების სამხრეთი ნაწილი და ჩრდილო ოსეთის ასსრ გიზელსკის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ამის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს სსრ-ს ახალხევის რაიონი, რომლის ფართობი დაახლოებით შეადგენდა 2 ათ. კმ².

იმავე წელს საქართველოსთვის გადაცემული ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი გიზელსკის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და გალაშინსკის საგარეუბნო რაიონი დაუქვემდებარეს ყაზბეგის რაიონს. მოხდა ის, რომ საქართველოს აქ დაუბრუნდა ისტორიულად კუთვნილი ტერიტორია 456,5 კმ² და აღსდგა საქართველოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო უფლებები.

1955 წლის 28 ივნისს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ქლუხორის რაიონი გამოეყო საქართველოს და გადაეცა რსფსრ-ს.

1957 წელს რუსეთმა გააუქმა ახალხევის ადმინისტრაციული რაიონი და საქართველოსთან შეთანხმების მიღწევის გარეშე კვლავ შეიერთა ყაზბეგის რაიონს დაქვემდებარებული დარიალის უბანი და სოფლები ზემო და ქვემო ლარსი, თერგის პირი, სანიბა, დარიალი, თამარიანი, განახლება, შრომა, თერგულა, მთისძირი.

1958 წლის 13 ივნისს იყო ცდა საქართველოსა და დაღესტანის ასსრ-ს საზღვარში შეეტანათ ცვლილებები. ამ ცვლილების უმთავრეს მოტივს, დაღესტნელების აზრით, წარმოდაგენდა ის, რომ თითქოს 1945 წელს მიღებული არასწორი გადაწყეტილების გამო მათ საზღვარს მიღმა დარჩა სოფ. ჩეროა და მიმდებარე ტერიტორია.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ „ვინაიდან დაღესტანის ასსრ-ს ცუმატინსკის რაიონის ხუშეთის სასოფლო საბჭო ტრადიციულად მომსახურაებას უწევს“ სოფ. ჩეროს და მის ირგვლივ მდებარე სოფლებს და ხუშეთის კოლმეურნეობების ბრიგადაც სოფ. ჩეროში მდებარეობს“, ამიტომ, მათი აზრით, „მთათუშეთში დაღესტნისათვის საქართველოს უნდა დაეთმო დაახლოებით 40 კმ² ტერიტორია. ამ მოთხოვნაზე მათ საქართველოს მთავრობისაგან უარი მიიღეს.

შეიძლება აღინიშნოს, რომ 1920 წ. 7 მაისიდან 2002 წ. ჩათვლით საქართველომ სულ გაასხვისა 18498 კმ² ტერიტორია.

როგორც ვხედავთ, მთელი ისტორიის მანძილზე დიდი იმპერიები და მეზობლები ანაწევრებდნენ და ითვისებდნენ საქართველოს ისტორიულ მიწებს. მიუხედავად დიდი კატაკლიზმებისა, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს, მისი სახელმწიფოებრიობა მაინც შედგა და წარმატებით განაგრძობს სვლას მომავლისაკენ.

## სომხურ-აზერბაიჯანული ტერიტორიული პრობლემები

მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი შეიქმნა 1923 წელს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სომხეთის საზღვართან. 1922 წლიდან აზერბაიჯანი, თავის მხრივ, სსრკ-ის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა იყო (1936 წლამდე, ამიერკავკასიის სსფრ-ის შემადგენლობაში). ეს ყველაფერი მოხდა მას შემდეგ, რაც 1920-1921 წწ. საბჭოთა რუსეთმა განახორციელა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია.

ამჟამად, აღნიშნული ოლქის ადგილას არსებობს თვითგამოცხადებული „მთიანი ყარაბაღის (არცახის) რესპუბლიკა“, რომლის ტერიტორია მოიცავს ასევე 1988-1994 წწ. კონფლიქტის შედეგად სომხური შენაერთების მიერ ოკუპირებულ, ოლქის მოსაზღვრე 7 რაიონს, სადაც ომამდე ძირითადად, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მისახლეობა ცხოვრობდა.

2010 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 95% სომეხია, დანარჩენ 5%-ს კი, ძირითადად, რუსები, ბერძნები და ქურთები შეადგენენ. 1989 წელს, კონფლიქტის საწყის ეტაპზე, ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 144 ათასი სომესი (75%) და 43 ათასი აზერბაიჯანელი (23%). იმ დროისთვის ავტონომიური ოლქის შემადგენელი 5 რაიონიდან აზერბაიჯანელები მხოლოდ შუშის რაიონში ქმნიდნენ უმრავლესობას (ტერიტორიით ამ ყველაზე მცირე რაიონის დაახლოებით 23-ათასკაციანი მოსახლეობიდან თითქმის 92%-ს). 1923 წელსაც ახალშექმნილი ოლქის მოსახლეობის უმრავლესობა სომეხი იყო (94,4%).

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოსახლეობის დაახლოებით 95% სომხურ-გრიგორიანული (მონოფიზიტური) ქრისტიანობის მიმდევარია. არიან აგრეთვე მართლმადიდებლური ქრისტიანობის წარმომადგენლებიც.

მთიანი ყარაბაღი არის გვიან შუა საუკუნეებში დაარსებული ყარაბაღის სახანოს მთაგორიანი ნაწილი (ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში მას სივნიეთს უწოდებენ). გეოგრაფიულად ეს მაღლობი მდებარეობს მდინარეებს — არაქსა და მტკვარს შორის, მცირე კავკასიონის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ყარაბაღს მოიცავს ტერიტორია, სადაც არსებობდა ერთ-ერთი უძველესი მტკვარ-

არაქსის ცივილიზაცია (ძვ. წ. IV-III ათასწლეულები; აღსანიშნავია, რომ აქვე, აზოხის (აზიხის) გამოქვაბულში აღმოჩენილია ქვის ხანის ადამიანის ნაშთები).

მტკვარ-არაქსის განვითარებული კულტურის შემქმნელი ხალხის წარმომავლობა დღემდე საკამათო თემად რჩება. საერთოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ავტოქთონური მოსახლეობა, 1956 წელს საბჭოთა კავშირში გამოცემული „მსოფლიო ისტორიის“ თანახმად, კავკასიური ტომების ერთ-ერთ განშტოებას უნდა მივაკუთვნოთ.

უფრო გვიანდელი პერიოდის ამერიკელი მეცნიერის რობერტ ჰიუსენის დასკვნითაც, აქაური მოსახლეობა „ნამდივლად არ იყო სომხური წარმომავლობის“, უფრო მეტიც, „მართალია, აქ ირანელები აუცილებლად იქნებოდნენ, სპარსეთისა და მიდიის ხანგრძლივი ბატონობიდან გამომდინარე, მაგრამ ადგილობრივთა უმრავლესობა ინდოევროპელიც კი არ იყო“.

ამ კონტექსტში უნდა ითქვას, რომ სომხები, ძირითადად, ინდოევროპელი არმენების შთამომავლები არიან და თავდაპირველად ისინი ურარტუს სამეფოს დაკნინების პერიოდში ამ უკანასკნელის დასავლეთ პერიფერიაზე, მდინარე ევფრატის სათავის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოჩნდნენ (ანუ თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში). შემდეგ მათ თანდათან ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაინაცვლეს, არარატის მთისა და მდინარე არაქსის მახლობლად და ამიერკავკასიის სამხრეთ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ურარტუელთა მიერ დაარსებული ქალაქების საფუძველზე თავიანთი სამეფო შექმნეს.

II ს. ძვ.წ. თანამედროვე მთიანი ყარაბაღის ტერიტორია „დიდი სომხეთის“ ერთ-ერთი პროვინციის — არცახის ანუ ძველ ბერძნულ ისტორიულ-გეოგრაფიულ წყაროებში ნახსენები „ორხისტენას“ ნაწილი გახდა. „დიდი სომხეთი“ ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულს დაფუძნებული არარატის სამეფოს გაფართოების შედეგად ჩამოყალიბდა და თანდათან, ტერიტორიული თვალსაზრისით, ურარტუს ჩაენაცვლა, თუმცა მანამდეც, ძვ. წ. VI საუკუნეში სპარსულ წყაროებში ურარტუს ნაცვლად უკვე გვხვდება ტერმინი „არმინია“.

მოგვიანებით, ძვ. წ. I საუკუნეში, ტიგრან II-მ „დიდი სომხეთი“ და მის დასავლეთით მდებარე „პატარა სომხეთი“ გააერთიანა, დაიპყრო ასევე მნიშვნელოვანი მოსაზღვრე ტერიტორიები და თავი-

სი სამეფო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უდიდეს იმპერიად აქცია, რომლის ახალი ცენტრი — ტიგრანაკერტი ვანის ტბის დასავლეთით გადაიტანა (მანამდე „დიდი სომხეთის“ დედაქალაქი თანამედროვე ერევანთან ახლოს, მდინარე არაქსის მარცხენა ნაპირზე მდებარე არტაშატი იყო — იგივე ყოფილი აირარატის სამეფოს დედაქალაქი).

ტიგრან II-ის იმპერიას გასასვლელი ჰქონდა როგორც კასპიის, ისე შავ და ხმელთაშუა ზღვაზე და მოიცავდა თანამედროვე ამიერკავკასიის, თურქეთის, ირანის, ერაყისა და სირიის იმ ტერიტორიებს, რომლებიც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით და კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, თუმცა, ამ იმპერიამ მხოლოდ 6-7 ათწლეული იარსება.

ახალი წელთაღრიცხვის I ს. დასაწყისში, რომთან დამარცხების შემდეგ, „დიდი სომხეთის“ დამაარსებელი არტაშესიდების დინასტია შეწყდა და მათი ადგილი რომიდან დანიშნულმა მმართველებმა დაიკავეს. ამასთანავე, დაიკარგა ტიგრან II-ის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დიდი ნაწილიც, თუმცა ყარაბაღი კიდევ თითქმის 4 საუკუნის მანძილზე ისევ სომხეთის შემადგენლობაში დარჩა (იმ დროიდან სომხეთი ხან რომს, ხან კი სპარსეთს ემორჩილებოდა).

66 წ. სომხეთის მეფე გახდა სპარსული სამეფო დინასტიის — არშაკიდების წარმომადგენელი თრდატ I.

314 წ. თრდატ III-მ ქრისტიანობა სომხეთის ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. IV საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტიანობა მიიღო ასევე კავკასიის ალბანეთის მეფე ურნაირმა, რომელიც სომხეთში მოინათლა.

აქ მოკლედ უნდა შევეხოთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ ალბანეთის სამეფოს, რადგან ამ ეთნოსის განსახლების საკითხი დღემდე ისტორიკოსთა პოლემიკის საგანია და ყარაბაღის ისტორიულ კუთვნილებაზე საუბრისას ხშირად ფიგურირებს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სადავო პრობლემა.

კავკასიელი ალბანელები პირველად ალექსანდრე მაკედონელსა და სპარსელებს შორის გამართული გავგამელის ბრძოლის (331 წ. ძვ. წ.) მონაწილეთა შორის მოიხსენიებიან, როგორც მიდიის სატრაპის მოლაშქრეები. ალბანურ ტომთა შორის ასახელებენ: უდინებს (უდები, უტები), ლეკებს, გარგარებს, გელებს, კასპებს და სხვა

კავკასიურ ხალხებს. ისინი იბერიულ-კავკასიური ოჯახის ნახურ-დაღესტნური შტოს სხვადასხვა ენა-დიალექტზე ლაპარაკობდნენ. მათი თავდაპირველი განსახლების სამხრეთი საზღვარი დღემდე საკამათოა, თუმცა, სავარაუდოდ, ისინი მტკვრის არა მხოლოდ მარცხენა (ჩრდილო), არამედ მარჯვენა (სამხრეთ) ნაპირზეც სახლობდნენ და მდინარე არაქსამდე აღწევდნენ.

აღსანიშნავია, რომ იბერიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არსებული ტერიტორია (რომლის სამხრეთი ნაწილი მე-20 საუკუნეში მთიანი ყარაბაღის ოლქს მიეკუთვნა) ბერძნულ-რომაულ ისტორიულ წყაროებში „ოტენად“, ხოლო სომხურში „უტიკად“ მოიხსენიება, რაც აშკარად ამ მიწის, სავარაუდოდ, ავტოქთონური მოსახლეობის — უტების, უდების, უდინების სახელიდან მომდინარეობს (აქვე იყო მათი ძველი დედაქალაქები კაბალა, კაბალაკი და პარტავი, იგივე თანამედროვე ბარდა). უნდა ითქვას, რომ სწორედ უდინები შეადგენდნენ ალბანური ერთობის ძირითად ბირთვს და მოგვიანებით საერთო ალბანურ ენასა და დამწერლობასაც საფუძვლად სწორედ მათი ენა დაედო (ესაა ნახურ-დაღესტნური ენების ჯგუფის ლეკური ქვეჯგუფის ენა). ალბანელებმა თავიანთი სამეფო — აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ავტოქთონური ტომების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაერთიანება — ძვ. წ. I საუკუნეში ჩამოაყალიბეს. იგი მოიცავდა იბერიის აღმოსავლეთით და მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას. იმ პერიოდში (ახ. წ. 387 წლამდე) იბერიის სამხრეთ-აღმოსავლეთით და მდინარე მტკვრის სამხრეთით მდებარე ტერიტორია „დიდი სომხეთის“ შემადგენლობაში იყო. თუმცა, ბუნებრივია, მხოლოდ ეს ფაქტი, გვიანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ყარაბაღის სახანოს დაბლობი და მთიანი (შესაბამისად, ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი) ნაწილების მოსახლეობის უძველეს ეთნიკურ შემადგენლობაზე ვერაფერს გვეტყვის.

387 წ. რომმა და სასანიდების ირანმა სომხეთის ტერიტორია გაიყვეს, რასაც მალე მოჰყვა ორივე ვასალურ, სომხურ სახელმწიფოში სამეფო ტახტის გაუქმება. ამ დროიდან, ირანის გადაწყვეტილებით, „დიდ სომხეთს“ ჩამოშორდა მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი (ყარაბაღის ჩათვლით, მდინარე არაქსამდე) და ალბანეთის სამეფოს შეუერთდა.

V ს.-ის 50-იანი წლების დასაწყისში ირანი შეეცადა აეძულებინა ალბანეთი, სომხეთი და აღმოსავლეთი საქართველო უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე და მიეღოთ მაზდეანობა (ზოროასტრიზმი). ამას მოჰყვა ძლიერი ანტიირანული აჯანყება ამიერკავკასიაში. საპასუხოდ, სასანიდებმა, სომხეთის მსგავსად, ალბანეთის სამეფოც გააუქმეს და მის ადგილას სამარზპანო შექმნეს, რომლის შემადგენლობაში აღმოჩნდა არა მხოლოდ ალბანეთის სამეფოს ტერიორია (ყარაბაღის ჩათვლით), არამედ თითქმის მთელი დასავლეთი კასპიისპირეთი ანუ თანამედროვე აზერბაიჯანისა და აგრეთე დაღესტნის დიდი ნაწილი (ქართულ ისტორიულ წყაროებში ამ რეგიონს „რანი“ ეწოდება, სპარსულში კი კავკასიის ალბანეთი „არანის“ სახელით არის ცნობილი).

VI ს.-ის ალბანეთის ეკლესიამ ავტოკეფალია გამოაცხადა. 506 წლის დვინის საეკლესიო კრების მასალების თანახმად, ალბანეთის ეკლესიის ოფიციალური ენა იმ დროს ალბანური იყო (სომხეთის პატრიარქი ბაბქენი თავის სპარსელ თანამორწმუნეებს სწერდა: „ჩვენ ასეთი რწმენა გვაქვს, როგორც ადრე გწერდით, ქართველებთან და ალბანელებთან შეთანხმებით, თითოეულს ჩვენ-ჩვენს ენაზე„). იმ დროისთვის და შემდგომშიც, დაახლოებით VIII-IX საუკუნეებამდე, ალბანური დამწერლობაც აქტიურად გამოიყენებოდა; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ალბანურმა ენამ და დამწერლობამ ვერ შეასრულა ერის გამაერთიანებელ-ჩამომყალიბებელი ფაქტორის როლი ალბანეთში, როგორც ეს მოხდა სომხეთსა და საქართველოში. სავარაუდოდ, ეს გამოწვეული იყო ყოფილი ალბანეთის სამეფოს მოსახლეობის მეტისმეტი არაერთგვაროვნებით (ეთნიკურ-ლინგვისტურ-რელიგიური თვალსაზრისით).

VII ს.-ის დასაწყისში, ირან-ბიზანტიას შორის ახალი ომის გაჩაღების პარალელურად გაძლიერდა დაპირისპირება ამიერკავკასიის ქრისტიანებს — დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის. რაკი დიოფიზიტობის ბურჯი ბიზანტია იყო, ირანი მონოფიზიტებს უჭერდა მხარს. სომხეთმა მონოფიზიტობა აღიარა, საქართველოს ეკლესიამ — დიოფიზიტობა, ხოლო ალბანეთის ეკლესიაში შიდა დაპირისპირება იყო. საბოლოოდ, VII საუკუნის დასასრულს, არაბების შემოსევის შემდეგ და მათი მხარდაჭერით, სომხეთის პატრიარქმა ელია I-მა მოახერხა ალბანეთის ეკლესიის დიოფიზიტი კათალიკოსის ნერსეს ბაკურის გადაყენება. ამ დროიდან ალბანეთის მონოფიზიტურ ეკლესიაზე სომხური ეკლესიის გავლენა კიდევ უფრო გა-

ძლიერდა, XI საუკუნიდან კი იგი, ფაქტობრივად, მთლიანად სომხურ ეკლესიას ემორჩილებოდა (თუმცა, ფორმალურად, ალბანეთის საპატრიარქო მხოლოდ 1815 წელს გააუქმა რუსეთის იმპერატორმა და არცახ-შუშისა და შემახა-შირვანის ეპარქიები უშუალოდ ეჩმიაძინის პატრიარქს დაუქვემდებარა; იმავე პერიოდში (1811-1814 წწ.) გააუქმა რუსეთმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიაც).

VI-VII სს.-ის განმავლობაში ალბანეთის სამეფო ხან სამარზპანო იყო, ხან რამდენიმე მცირე სამთავროდ იშლებოდა, ხან ისევ ერთიანდებოდა. VII საუკუნეში ხშირად ხდებოდა ხაზართა შემოსევებიც იმიერკავკასიიდან.

სომხური ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ ამ დროიდან არცახ-უტიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა სომხური სახელწმიფოებრივი წარმონაქმნის, ამჯერად ფეოდალური სამთავროს, ჩამოყალიბების (აღდგენის) პროცესი. ერთ-ერთ არგუმენტად სახელდება VII-VIII საუკუნეებში მნიშვნელოვანი ქრისტიანული ტაძრების აშენება ყარაბაღის ტერიტორიაზე.

აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა აზრით კი, მე-4 საუკუნიდან მე-8 საუკუნემდე, ანუ არაბების მიერ ალბანეთის სამეფოს საბოლოო ლიკვიდაციამდე, ყარაბაღის ტერიტორია იყო ალბანეთის (ირანის) ნაწილი და მას ალბანელი (და არა სომეხი) მმართველები ჰყავდა. ამასთანავე, ისინი შენიშნავენ, რომ სომეხთა მსგავსად, ალბანელებიც ქრისტიანები იყვნენ, შესაბამისად, იმ პერიოდში ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა (მხოლოდ ეს ფაქტი) სომხური მოსახლეობის დომინირებას და სომხური სამთავროს არსებობას არ ნიშნავს.

642 წ. ნეხავენდის ბრძოლაში სპარსეთის დამარცხების შემდეგ არაბებმა ამიერკავკასიაც დაიპყრეს და დერბენდამდე მიაღწიეს. არაბების შემოჭრას მოჰყვა ისლამის თანდათანობითი დამკვიდრება ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. XI საუკუნეში კასპიისპირა კავკასია უკვე ისლამიზებული იყო, თუმცა, ყოფილი ალბანეთის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის მთიანი რაიონების მოსახლეობა, ძირითადად, ქრისტიანობას ინარჩუნებდა.

705 წ. ამიერკავკასიაში ხალიფის წარმომდაგენლებმა სომეხი ნახარარები (ერისთავები), მათ ოჯახებთან ერთად, ნახჭევანისა და ხარმის ეკლესიებში შეიტყუა და ცოცხლად დაწვა. ალბანელი მთავარი კი დაატუსაღეს და საბოლოოდ მან დამასკოში დაასრულა სიცოცხლე. არაბები მსგავსად მოქმედებდნენ იბერიაშიც. ყოველივე ამან

თანდათანობით ძლიერი უკურეაქცია გამოიწვია მთლიანად ამიერკავკასიაში, რასაც აჯანყებები მოჰყვა.

816-838 წწ. ჩრდილო ირანსა და სამხრეთ ამიერკავკასიაში მიმდინარეობდა ანტიარაბული აჯანყება, რომელსაც წარმოშობით ირანელი ბაბექ (ბაბაქ) ხურამი მეთაურობდა და რომელსაც ირანის მაზდეანური წრეებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს. აჯანყების ცენტრი იყო თანამედროვე აზერბაიჯან-ირანის საზღვართან მდებარე მიუდგომელი ციხე-სიმაგრე ბაზი. თავდაპირველად ხალიფატმა, ბიზანტიასთან ომის გამო, ვერ შეძლო დიდი ძალების გაგზავნა აღმოსავლეთ პროვინციებში, რამაც ხელი შეუწყო აჯანყებულთა წარმატებულ წინსვლას ირანის ცენტრისკენ, მაგრამ 833 წელს ბიზანტიასთან ომი დასრულდა და ბაბექი იძულებული გახდა უკან დაეხია. ბოლოს მან ყარაბაღის მთებს შეაფარა თავი, თუმცა იქაურმა სომეხმა მთავარმა სახლ სმბატიანმა (რომელიც, სომხური ვერსიით, 820 წლიდან ხაჩენის სომხურ სამთავროს განაგებდა) გასცა ბაბექი და არაბებმა იგი სიკვდილით დასაჯეს. ამჟამად ბაბექი აზერბაიჯანის ეროვნულ გმირად არის აღიარებული.

IX-XI სს.-ში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არსებობდა რამდენიმე ფეოდალური სამთავრო, რომელთაგან ყველაზე ძლიერი არანი და შარვანი იყო. აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიის თანახმად, ყველა ამ სამთავროს მუსლიმანური დინასტიების წარმომადგენლები მართავდნენ. სომეხი ისტორიკოსები კი ამტკიცებენ, რომ მე-9 საუკუნის დასაწყისიდან უკვე არსებობდა ხაჩენის სომხური სამთავრო, რომელსაც სომეხი არანშაჰების შთამომავლები განაგებდნენ (არანშაჰი არანის ანუ ალბანეთის გამგებლის სპარსული ტიტულია). სომეხ არანშაჰებს (არანშაჰიკებს) შორის იყო ზემოხსენებული სახლ სმბატიანიც, რომელმაც 820 წელს მოკლა არანშაჰი ვარაზ-თრდატ II, მიჰრანიდების დინასტიის წარმომადგენელი და არანის ნაწილზე (ხაჩენში) სომხური დინასტიის მმართველობა აღადგინა. მიჰრანიდები მე-6 საუკუნიდან განაგებდნენ არანს. ამ დინასტიას სპარსული ფესვები აქვს, თუმცა აზერბაიჯანელები ალბანურად მიიჩნევენ და ყარაბაღის ყველაზე სახელოვან მმართველს, ჰასან ჯალალსაც (მე-13 ს.) სწორედ ამ საგვარეულოს მიაკუთვნებენ.

XI ს. შუა აზიიდან შემოჭრილმა თურქმანებმა ანუ ოღუზებმა (ოგუზებმა) — ოღუზის ჯგუფის ენაზე მოლაპარაკე თურქულმა მომთაბარე ტომებმა — 1038 წელს, სელჩუკების მეთაურობით, ირანი და ამიერკავკასიის დიდი ნაწილი დაიპყრეს (1071 წელს სელჩუკების

თურქულმა გაერთიანებამ მანაზკერტთან ბიზანტიის იმპერატორი რომან დიოგენე დაამარცხა, რითაც ბიზანტიამ საბოლოოდ დაკარგა ამიერკავკასია და აღმოსავლეთი ანატოლია).

ამ დროიდან დაიწყო თანამედროვე აზერბაიჯანის აღმოსავლეთი და ცენტრალური დაბლობი ადგილების ირანულენოვანი მოსახლეობის ასიმილაცია ოღუზების მიერ (თუმცა, აზერბაიჯანელი ისტორიკოსების თვალსაზრისით, თურქული ეთნიკური ელემენტი, ოღონდ არაოღუზური, აზერბაიჯანში ჯერ კიდევ VII საუკუნიდან ძლიერდებოდა და X-XI საუკუნეებში უკვე გაბატონებული პოზიცია ეკავა). რაც შეეხება ჩრდილო და დასავლეთ, მთიან პროვინციებს, ასიმილაციის აღნიშნული პროცესი აქ ბევრად უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

XIII ს.-ის 20-იანი წლებიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მონღოლები გამოჩნდნენ და 1239 წელს დერბენდის აღებით მათ დაასრულეს აზერბაიჯანის დაპყრობა. თუმცა, ხაჩენის მაშინდელმა მთავარმა (მელიქმა) ჰასან ჯალალმა (ჯალალიანმა) მოახერხა მონღოლების შემოსევისგან თავისი სამთავროს გადარჩენა და რეგიონის ყველაზე ცნობილი — განძასარის მონასტერიც დააფუძნა, რომელიც თანდათან სომხების ერთ-ერთ ძირითად რელიგიურ-კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბდა. 1261 წელს, ანტიმონღოლურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო, ჰასან ჯალალი სიკვდილით დასაჯეს. შემდგომ ეპოქაში მისმა შთამომავლებმა ხაჩენის უმაღლესი პოლიტიკური მმართველობიდან სასულიერო ელიტაში გადაინაცვლეს და ალბანეთის ეკლესიის პატრიარქები იყვნენ.

სომხური ისტორიოგრაფია ყარაბაღის ისტორიის ამ გამორჩეულ ფიგურას ერთმნიშვნელოვნად სომხურ ეთნოსს მიაკუთვნებს.

აზერბაიჯანელები კი ყურადღებას ამახვილებენ განძასარის ეკლესიის ფასადზე არსებულ სომხურ წარწერაზე: „მე, ჰასან ჯალალმა, ავაგე ეს ტაძარი აგვანკის ჩემი ხალხისთვის". აგვანკი ალბანეთის ერთ-ერთი ძველი სახელწოდებაა; აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები აცხადებენ, რომ მელიქი ჰასან ჯალალი, მართალია, სომხურად წერდა, მაგრამ ის ეთნიკურად ალბანელი იყო. სომხები წარწერის ასეთ ინტერპრეტაციას კატეგორიულად არ ეთანხმებიან და განმარტავენ, რომ აგვანკი, ალბანეთი IX-X საუკუნიდან მხოლოდ გეოგრაფიული მნიშვნელობით გამოიყენებოდა და XIII საუკუნეში მას უკვე არანაირი ეთნიკური დატვირთვა აღარ ჰქონდა.

ამერიკელი მეცნიერის რობერტ ჰიუსენის აზრით, საერთოდ, კავკასიელ ალბანელთა შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია არსებობს. ამიტომ რთულია გაარკვიო და მიჰყვე მათ ისტორიულ ნაკვალევს. „ალბანელთა გაერთიანება 26 ტომისგან შედგებოდა, მათი სახელწმიფოს დაშლა არაბების შემოსევის დროს დაიწყო და მე-10 საუკუნეში საბოლოოდ დასრულდა; ალბანური ეთნოსი კი, შესაძლოა, კვლავ აგრძელებდა არსებობას, მაგრამ ჩვენ ეს არ ვიცით“.

ჰასან ჯალალთან დაკავშირებით ჰიუსენი აღნიშნავს, რომ სომეხი მეცნიერების პოზიცია უფრო სარწმუნოა, რადგან ჯალალის გენეალოგია სომხურ სამეფო გვარებს უკავშირდება. ამასთანავე, XIII საუკუნეში მართლაც თუ იყო შემორჩენილი „ალბანეთი“, ეს მხოლოდ სომხური ეკლესიის განშტოება თუ იქნებოდა (ცენტრით განბასარში, ყარაბაღის ტერიტორიაზე). ჰიუსენის დასკვნით, მან ვერ აღმოაჩინა „მცირედი მტკიცებულებაც კი იმისა, რომ მელიქები თავიანთ თავს სხვაგვარად მოიხსენიებდნენ თუ არა სომხებად, მიუხედავად იმისა, რომ სომხური ეკლესიის ალბანურ შტოს წარმოადგენდნენ“.

XIV ს.-ის ისტორიულ ქრონიკებში პირველად ჩნდება გეოგრაფიული ტერმინი „ყარაბაღი“ (თურქულ-სპარსულად „შავი ბაღი“). 1387 წელს თემურ ლენგმა დაარბია ამიერკავკასია და ყარაბაღის დიდი ნაწილი. XV ს. ყარაბაღი არის ოღუზ-სელჩუკების მიერ აღმოსავლეთი ანატოლიისა და ირანის ტერიტორიაზე დაარსებული სახელმწიფოების — ყარა-ყოინლუსა და აყ-ყოინლუს ნაწილი. სომხური ისტორიული წყაროები მხოლოდ ამ დროიდან აღიარებენ ყარაბაღის დაბლობი რაიონების თურქმანიზაციასა და ისლამიზაციას. აქაური თურქული ტომებიდან ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს ჯევანშირები ქმნიდნენ.

XIV-XV სს.-ში დასრულდა აზერბაიჯანის მოსახლეობის „თურქმანიზაცია“ და ჩამოყალიბდა თანამედროვე აზერბაიჯანული ეთნოსი და მისი არაერთგვაროვანი კულტურა, რომელშიც ძირითადად გაერთიანდა კავკასიურ-ალბანური, ირანული და ოგუზურ-თურქული ეთნოკულტურული საწყისები. დომინანტური პოზიცია დაიმკვიდრა ოგუზურ-თურქულმა ენამ, თუმცა, როგორც აზერბაიჯანულ ენაზე, ასევე მთლიანად კულტურაზე, უდიდეს გავლენას ინარჩუნებდა ირანული სამყარო და შიიტური ისლამი. შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ჯგუფთა თვითიდენტიფიკაციისთვის ეთნიკურ ფაქტორზე უფრო მნიშვნელოვანი იყო რელიგიური ფაქ-

ტორი, რაც განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა მთიან რეგიონებში (უპირველესად, ყარაბაღში). მოსახლეობა იყოფოდა მუსლიმანად და ქრისტიანად, ხოლო რაკი იქ მხოლოდ მონოფიზიტური ქრისტიანობა არსებობდა (რომელიც იმ დროისთვის უკვე, ფაქტობრივად, „სომხურ ქრისტიანობას“ წარმოადგენდა), შესაბამისად, ის ალბანელებიც, რომლებმაც ქრისტიანობა შეინარჩუნეს, რელიგიურ-კულტურულ არმენიზაციას განიცდიდნენ; მით უფრო, რომ დაახლოებით მე-10 საუკუნიდან ალბანური ეკლესია, როგორც ენის, დამწერლობისა და სასულიერო ლიტერატურის, ასევე ადმინისტრირების მხრივაც, ფაქტობრივად, სომხური ეკლესიის ნაწილად იქცა.

XVI-XVII სს.-ში ოსმალეთის იმპერიასა და ირანს შორის მიმდინარეობდა აქტიური ბრძოლა ამიერკავკასიისა და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიისათვის.

მე-16 საუკუნიდან სეფევიდების ირანის შემადგენლობაში არსებულმა ხუთმა სომხურმა სამთავრომ (სამელიქომ), რომლებიც განჯის საბეგლარბეგოს (გუბერნიას) ეკუთვნოდნენ, მე-17 საუკუნის დასასრულს ერთგვარი კონფედერაციული გაერთიანება — ხამსი, ხამსა (არაბულად „ხუთეულს“ ნიშანვს) შექმნეს, რომელიც მთიანი ყარაბაღის ტერიტორიასაც მოიცავდა. ეს სამელიქოები იყო: გიულისტანი, თალიში, ჯრაბერდი, ხაჩენი, ვარანდა და დიზაკი. აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ყურადღებას ამახვილებენ ამ სამთავროების გამგებელთა ტიტულზე „მელიქ“, რომელსაც ალბანურს უკავშირებენ და მკვეთრად განასხვავებენ უდავოდ სომხური ტიტულებისაგან „იშხან“ და „ტერ“.

1722 წ. ისპაჰანი ავღანელებმა აიღეს და სეფევიდების დინასტია დაემხო, რასაც ირანში არეულობის პერიოდი მოჰყვა. ამით ისარგებლეს რუსეთმა და ოსმალეთმა. 1723 წელს რუსეთმა საზღვაო დესანტი გადასხა ბაქოში და ქალაქის მიმდებარე სანაპირო ზოლის რამდენიმე ქალაქი დაიპყრო. ოსმალები კი აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ აზერბაიჯანში შემოიჭრნენ (ყარაბაღის ჩათვლით), რომლებიც მანამდე ირანის გავლენის სფეროს მიეკუთვნებოდნენ.

1724 წ. ოსმალეთმა და რუსეთმა, სტამბოლის (კონსტანტინოპოლის) შეთანხმებით, გაიყვეს აზერბაიჯანი: რუსეთს ერგო ბაქო, დერბენდი და სანაპირო ზოლი ლენქორანის ჩათვლით, ხოლო ოსმალეთს — დანარჩენი მიწები.

1734 წ. ირანელებმა შეძლეს ოსმალების გამოდევნა განჯიდან.

1735 წ. ირანსა და რუსეთს შორის გაფორმდა განჯის შეთანხმება და, ოსმალეთთან ომის გამო, რუსეთმა მთლიანად დათმო აზერბაიჯანში მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები.

1747 წ. ირანში მოკლეს ნადირ-შაჰი, რასაც მოჰყვა ირანის ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სახანოების წარმოქმნა (შირვანის, შაქის, ბაქოს, განჯის, ყუბის, თალიშის ანუ გიულისტანის, ნახჭევანის, ერევნისა და ყარაბაღის).

ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ყარაბაღში დაბრუნდა მის მიერ დევნილი ფანაჰ ალი-ხანი, რომელიც ზემოხსენებული ჯევანშირების წინამძღოლი იყო და თავი ყარაბაღის ხანად გამოაცხადა. ფანაჰ ხანმა მელიქებიც დაიმორჩილა და მთიანი ყარაბადის რეალური მმართველი გახდა. 1751 წელს მან დაიწყო შუშის ციხე-სიმაგრის მშენებლობა, რომელიც ყარაბაღის სახანოს დედაქალაქად იქცა. ფანაჰ ხანმა ზანგეზურიც (იგივე სიუნიკი — ტერიტორია ყარაბაღსა და ნახჭევანს შორის) ყარაბაღს მიუერთა და შემდეგ შეძლო განჯის, ნახჭევანის, ერევნისა და არდებილის სახანოთა დაქვემდებარებაც. ამგვარად, ყარაბაღის ხანის ძალაუფლება ამ პერიოდში მთლიანად მოიცავდა მდინარეებს — მტკარსა და არაქსს შორის არსებული ტერიტორიის შუა და აღმოსავლეთ ნაწილს.

1779 და 1783 წწ. ფანაჰ ხანის ვაჟმა, ყარაბაღის ახალმა მმართველმა იბრაჰიმ ხალილ ხანმა, მეზობელ სახანოთა და ოსმალეთიდან მომდინარე საფრთხის გამო, რუსეთს სთხოვა მფარველობა.

1795 წ. 85-კაციანი ლაშქრით აღა-მაჰმად ხანმა ალყა შემოარტყა შუშას, მაგრამ კარგად გამაგრებული ქალაქის აღება ვერ შეძლო და ერთი თვის შემდეგ თბილისისკენ დაიძრა.

1797 წ. შავი ჭირის გავრცელებამ ყარაბაღის დაუძლურება გამოიწვია, რითაც ისარგებლა აღა-მაჰმად ხანმა და შუშა დაიპყრო, თუმცა მალე თავისივე მსახურებმა მოკლეს და დაღესტანში გაქცეული იბრაჰიმ ხანი შუშაში დაბრუნდა.

1803 წ. მას შემდეგ, რაც 1801 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო უკანონოდ, ძალადობრივად გააუქმა და მისი ანექსია განახორციელა, რუსეთის ჯარების გენერალმა ციციანოვმა, რომელიც წარმოშობით ქართველი თავადი ციციშვილი იყო, განჯა აიღო და ბაქოსკენ წინსვლა განაგრძო (1804-1813 წწ. — რუსეთ-ირანის ომის დროს რუსეთის ჯარები შევიდნენ ყუბის, ბაქოსა და თალიშის სახანოებში, ხოლო ყარაბაღის სახანო რუსეთმა მშვიდობიანად დაიკავა).

1805 წ. ქიურექჩაის შეთანხმებით, რომელსაც ხელი მოაწერეს იბრაჰიმ ხანმა და ციციანოვმა, რუსეთი თავის თავზე იღებდა ვალდებულებას, დაეცვა სახანოს ტერიტორია და იბრაჰიმ ხანის შთამომავლობის მმართველობა ყარაბაღში. თუმცა, 1806 წელს იბრაჰიმ ხანი რუსმა ოფიცერმა მოკლა. ამის შემდეგ, მართალია, იბრაჰიმ ხანის ადგილას რუსეთმა მისი ვაჟი მეჰთი ხანი დანიშნა, მაგრამ მხოლოდ დროებით.

1822 წ. მეჰთი ხანის ირანში გაქცევის შემდეგ, რუსეთმა ყარაბაღის სახანო გააუქმა და შირვანის, შექისა და თალიშის ყოფილ სახანოებთან ერთად, დიდ „მუსლიმანურ ოლქში“ გააერთიანა (ამ ოლქის ცენტრი შუშაში მდებარეობდა). აღსანიშნავია, რომ 1813 წლის რუსეთ-ირანის გიულისტანის ხელშეკრულება ადასტურებს ყარაბაღის სახანოს გადასვლას რუსეთის იურისდიქციის ქვეშ ანუ ამ დრომდე ყარაბღი ირანის გავლენის სფეროდ ითვლებოდა.

1826-1828 წწ. რუსეთ-სპარსეთის ომის დროს მეჰთი ხანი სპარსულ ლაშქართან ერთად დაბრუნდა ყარაბაღში, თუმცა შუშის რუსულ-სომხური გარნიზონის წინააღმდეგობა ვერ დაძლია და იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. საბოლოოდ, თურქმანჩაის სამშვიდობო შეთანხმებით, რუსეთს შეუერთდა ერევნისა და ნახჭევანის სახანოებიც და, იმპერატორის ბრძანებით, ისინი სამხრეთ ამიერკავკასიაში დაფუძნებულ „სომხურ რეგიონში“ გაერთიანდნენ (მოგვიანებით ამ რეგიონს „ერევნის გუბერნია“ ეწოდა). რუსეთ-ირანის ახალი საზღვარი მდინარე არაქსი გახდა. ამის შემდეგ, 30-იან წლებში, ოსმალეთიდან, ძირითადად ერევნისა და თბილისის გუბერნიებში, ასეულობით ათასი სომეხი გადმოასახლეს, და პირიქით, ოსმალეთში გადაასახლეს ამ ტერიტორიების მაჰმადიანი მოსახლეობა, მათ შორის, მაჰმადიანი ქართველები (მესხები).

აქ მოკლედ უნდა შევეხოთ ზემოხსენებულ ნახჭევანს და მის წინაისტორიას.

ქალაქი ნახჭევანი (ნაქსუანა), პტოლემეოსის გეოგრაფიის მიხედვით, ძვ. წ. მე-5 ათასწლეულში დაფუძნდა. უძველეს ეპოქაში იგი ურარტუსა და მიდიის შემადგენლობაში იყო. ძვ. წ. II ს-დან ახ. წ. V ს-მდე ნახჭევანი „დიდი სომხეთის“ ნაწილია და სომხური წყაროების მტკიცებით, აქ მოსახლეობაც სომხური იყო, აზერბაიჯანული წყაროების თანახმად კი, ამ ტერიტორიაზე კავკასიელი ალბანელები ცხოვრობდნენ. V-VI სს.-ში ნახჭევანი სპარსეთმა დაიპყრო. VII-VIII სს.-ში სპარსელები არაბებმა შეცვალეს. IX-X სს.-ის სომხური

ისტორიოგრაფიის მიხედვით, ნახჭევანი ანისისა და სიუნიკის სომხურ სამეფოსა და სამთავროს ეკუთვნის, ხოლო აზერბაიჯანელი ისტორიკოსები აფიქსირებენ, რომ ის სხვადასხვა ირანულ-მაჰმადიანურ გაერთიანებათა შემადგენლობაშია. XI ს. ნახჭევანი სელჩუკებმა დაიპყრეს. ამ დროიდან თურქულენოვანი მოსახლეობა სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება. XII ს.-ში ქალაქი ნახჭევანი აზერბაიჯანის საათაბაგოს დედაქალაქად ცხადდება და აქ შენდება ცნობილი მავზოლეუმები. XIII-XIV სს.-ში ნახჭევანი ჯერ მონღოლებმა, შემდეგ კი თემურ ლენგმა ააოხრა. XV ს.-ში მთელი რეგიონი აზრებაიჯანულ-თურქული სახელმწიფოების — ყარა-ოიუნლუსა და აყ-ოიუნლუს შემადგენლობაშია. XV-XVI სს. ოსმალეთ-ირანის ომების დროს ნახჭევანს ხან ერთი იპყრობდა, ხან მეორე; იმ პერიოდში ქრისტიანი სომხები შედარებით უკეთეს დღეში იყვნენ, რადგან სუნიტი ოსმალები ნახჭევანის შიიტ მოსახლეობას ჟლეტდნენ, ირანელები კი — სუნიტებს. XVII ს.-ში შაჰ-აბას I-მა ოსმალეთთან ომში „გადამწვარი მიწის“ ტაქტიკას მიმართა და ნახჭევანის რეგიონიდან, სომხური წყაროების თანახმად, 400 ათასი სომეხი ირანში გადაასახლა. იგივე ბედი ეწია აქ მცხოვრებ თურქულენოვან მოსახლეობასაც, რომელსაც, მოგვიანებით, შაჰ-აბას II-მ უფლება მისცა მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნებულიყო. სწორედ ამ მოსახლეობის (ქენგერლის გვარის) წარმომადგენლებმა ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ — 1747 წ. ნახჭევანის სახანო შექმნეს და 1828 წლამდე მართავდნენ მას, ანუ ირანსა და რუსეთს შორის თურქმენჩაის ხელშეკრულების დადებამდე, როცა ნახჭევანისა და ერევნის სახანოები რუსეთის იმპერიამ დაისაკუთრა. იმ დროისათვის ნახჭევანის სომხური მოსახლეობა 20%-ს არ აღემატებოდა, დანარჩენები კი მუსლიმები, ძირითადად აზერბაიჯანელები, იყვნენ. ამ რეგიონში სომხური მოსახლეობის რაოდენობა მას შემდეგ გაიზარდა, რაც რუსეთმა დაიწყო ირანში მცხოვრები სომხების აქტიური გადმოსახლება.

1846 წ. შუშის მაზრად გარდაქმნილი შუშის ოლქი შემახას გუბერნიის ნაწილი გახდა (1859 წლიდან ამ გუბერნიას ბაქოს, ხოლო 1867 წლიდან — ელისავეტოპოლის ანუ განჯის გუბერნია ეწოდებოდა). ამრიგად, მთიანი ყარაბაღი ელისავეტოპოლის გუბერნიის შემადგენლობაში იყო, ისევე როგორც ზანგეზური (იგივე სიუნიკი), რომელიც ყარაბაღსა და ნახჭევანს შორის მდებარეობს. 1897 წლის აღწერის მონაცემებით, ელისავეტოპოლის გუბერნიის ტერიტორიაზე სომხები მხოლოდ შუშის მაზრაში (ანუ მთიანი ყარაბაღის ძირი-

თად ტერიტორიაზე) იყვნენ უმრავლესობაში: 53,3% — სომეხი, 45,3% — აზერბაიჯანელი. ზანგეზურის მაზრაში აზერბაიჯანელები ჭარბობდნენ: 46,1% — სომეხი, 51,6% — აზერბაიჯანელი. აღსანიშნავია, რომ ერევნის გუბერნიის სამ მაზრაში აზერბაიჯანელები უმრავლესობას ქმნიდნენ, კერძოდ, ერევნის მაზრაში: 38,5% — სომეხი, 51,4% — აზერბაიჯანელი; ნახჭევანის მაზრაში: 34,4% — სომეხი, 63,7% — აზერბაიჯანელი და შარურო-დარალაგეზის მაზრაში: 38,5% — სომეხი, 51,4% — აზერბაიჯანელი. ნახჭევანის, ზანგეზურისა და მთიანი ყარაბაღის რეგიონები ერთმანეთის მიყოლებით მდებარეობს დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. სომხებს სამივეზე ჰქონდათ პრეტენზია, თუმცა, რაოდენობრივად მხოლოდ ყარაბაღში ჭარბობდნენ აზერბაიჯანელებს. რუსეთის იმპერიის ფარგლებში ერევნის გუბერნიას (პირობითად, სომხეთს) ეკუთვნოდა ნახჭევანი, სადაც 65%-მდე აზერბაიჯანელი ცხოვრობდა, ელისავეტოპოლის გუბერნიას კი (პირობითად, დასავლეთ აზერბაიჯანს) — ზანგეზური და ყარაბაღი. ამ უკანასკნელში 8%-ით მეტი სომეხი ცხოვრობდა.

1848–1849 წწ. მსოფლიოში პირველი ნავთობჭაბურღილი ამუშავდა ბაქოს სამხრეთით.

1915 წ. აპრილში, 1-ლი მსოფლიო ომის მსვლელობისას, თურქეთის სომხური თემების ასეულობით ხელმღვანელი დააპატიმრეს და შემდეგ მოკლეს. სომხური მოსახლოების მნიშვნელოვანი ნაწილი მესოპოტამიის უდაბნოში „გადაასახლეს“, რაც, რეალურად, უმრავლესობისთვის შიმშილითა და გამოფიტვით სიკვდილის ტოლფასი აღმოჩნდა. სომხური ისტორიული წყაროების მიხედვით, მსხვრპლის რაოდენობა 1,5 მილიონს აღწევდა (იმ დროს ოსმალეთში 2,5 მილიონი სომეხი ცხოვრობდა) და ამ ტრაგედიას გენოციდს უწოდებენ. თურქული მხარე კი ამ რიცხვს გაზვიადებულად მიიჩნევს და განმარტავს, რომ ეს იყო მსოფლიო და სამოქალაქო ომის უმძიმესი წლები, როცა 3 მილიონამდე თურქი დაიღუპა.

1917 წ. 31 ოქტომბერს (13 ნოემბერს), რუსეთის ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შემდეგ, ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭომ, რომელიც ბოლშევიკებისა და ესერებისგან შედგებოდა, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადა (საბჭოს ეთნიკურად სომეხი სტეფანე შაუმიანი მეთაურობდა, რომელიც მალე მოსკოვის საბჭოთა მთავრობამ კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშნა).

15 ნოემბერს თბილისში დაფუძნდა ამიერკავკასიის კომისარიატი — ამიერკავკასიის მთავრობა, რომელშიც ამიერკავკასიის ძირითადი პარტიების წარმომდაგენლები გაერთიანდნენ (აზერბაიჯანელი მუსავატები, სომეხი დაშნაკები და ქართველი მენშევიკები). ამ ანტიბოლშევიკური გაერთიანების იურისდიქცია ბაქოზე ვერ ვრცელდებოდა.

1918 წ. თებერვალში ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი (პარლამენტი), რომელმაც აპრილში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

მარტში ბაქოს ბოლშევიკ-ესერთა საბჭოს ჯარებსა და ბაქოში დაკრძალვაზე ჩამოსულ „მუსლიმანთა ეროვნული კომიტეტის“ ლენქორანის დივიზიონის ოფიცრებს შორის დაწყებული შეტაკება დიდ სისხლისღვრაში გადაიზარდა. დაიღუპა 3-დან 12 ათასამდე ადამიანი, ძირითადად მაჰმადიანები, დაიწვა და გაიძარცვა მთელი კვარტლები. აზერბაიჯანელი ისტორიკოსების შეფასებით, „მარტის დღეები“ იყო ბაქოს აზერბაიჯანელი მოსახლოების დარბევა-გაჟლეტა საბჭოს ჯარების მიერ, რომელთა შემადგენლობაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ეთნიკური სომხები (რაც, სავარაუდოდ, 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში სომხების მასობრივი ხოცვის გამოძახილიც იყო).

25 აპრილს ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭომ ჩამოაყალიბა სახალხო კომისართა საბჭო (ე. წ. ბაქოს კომუნა) 26 კომისრის შემადგენლობითა და შაუმიანის მეთაურობით. კომუნის ჯარებმა დაიწყეს საბჭოთა ხელისუფლების გაფართოება ბაქოს გარშემო და ერთ თვეში დაიკავეს ლენქორანის, ყუბისა და ჯავადის მაზრები (იმ პერიოდში ბაქოში აქტიურად მოქმედებდა სომხური პარტია „დაშნაკცუთუნი“, რომელსაც ალიანსი ჰქონდა „ესერებთან“).

25 მაისს ოსმალეთის არმიის მე-5 კავკასიის დივიზიის ქვედანაყოფები განჯაში შევიდნენ (28 მაისს სწორედ განჯა გამოცხადდა აზერბაიჯანის დედაქალაქად).

26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

28 მაისს (1918) გამოცხადდა აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკების დაფუძნება. სომხეთის ტერიტორიად, ძირითადად, ყოფილი ერევნის გუბერნია მოი-

აზრებოდა, აზერბაიჯანის ტერიტორიად კი — ყოფილი ბაქოსა და ელისავეტოპოლის (განჯის) გუბერნიები.

ივნისში ოსმალეთის არმიამ ნახჭევანი დაიკავა, ხოლო ბაქოს კომუნის ჯარებმა განჯაზე შეტევა წამოიწყეს. ივლისის ბოლოს, კონტრშეტევის შედეგად, თურქულ-აზერბაიჯანული ჯარები ბაქოს მიუხალოვდნენ და 15 სექტემბერს აიღეს კიდეც ქალაქი, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა ადგილობრივ სომხურ მოსახლეობაში (აზერბაიჯანელები ამას „მარტის დღეების“ გამო შურისძიებით ხსნიან).

31 ოქტომბერს თურქეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა პირველ მსოფლიო ომში და შეწყვიტა საომარი მოქმედებები. მალე ირანიდან ბაქოში ბრიტანეთის ჯარები შევიდნენ.

ნოემბერს ნახჭევანშიც ბრიტანეთის ჯარები შევიდნენ. იმავე თვეში ნახჭევანის ტერიტორიაზე „არაზის (არაქსის) რესპუბლიკა“ შეიქმნა, რომელიც ბრიტანელებმა არ ცნეს, რადგან რუსეთის იმპერიის დროინდელი შიდა საზღვრების შეცვლას ერიდებოდნენ (ნახჭევანი ერევნის გუბერნიას ეკუთვნოდა).

7 დეკემბერს ბაქოში გაიხსნა აზერბაიჯანის პარლამენტის სხდომა.

1919 წ. 15 იანვარს ბრიტანეთის მთავრობამ, საკამათო საკითხთა საბოლოო გადაწყვეტამდე, ყარაბაღის (ზანგეზურის ჩათვლით, ელისავეტოპოლის გუბერნიის საზღვრების შესაბამისად) გენერალ-გუბერნატორად დაამტკიცა აზერბაიჯანის მიერ ამ პოსტზე დანიშნული ხოსროვ-ბეგ სულთანოვი.

10 თებერვალს სულთანოვი შუშაში ჩავიდა და ქალაქის თავთან, ჩინოვნიკებსა და ეპისკოპოსთან შეხვედრა მოითხოვა, თუმცა იმავე დღეს გამართულ ყარაბაღელ სომეხთა მეოთხე ყრილობამ ყველას აუკრძალა სულთანოვთან შეხვედრა და მისი ძალაუფლების აღიარება.

მაისში სომხეთის ჯარებმა დაიწყეს შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და ივნისში, ბრიტანელთა დახმარებით, ნახჭევანი აიღეს („არაზის რესპუბლიკა“ გაუქმდა). თუმცა, ერთთვიანი ბრძოლების შემდეგ ნახჭევანი ისევ აზერბაიჯანელთა ხელში გადავიდა და 10 აგვიტროს სამშვიდობო შეთანხმება გაფორმადა. 15 მაისს საბერძნეთის ჯარები, ანტანტის ესკადრის დახმარებით, ოსმალეთის საზღვაო ქალაქ იზმირის (ისტორიული სმირნის) ტერიტორიაზე გადავიდნენ, რითაც დაიწყო თურქეთ-საბერძნეთის მეორე

ომი (1919-1922), რომლის მსვლელობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებზეც.

12 აგვისტოს ყარაბაღელ სომეხთა მეშვიდე ყრილობა ისევ უარს აცხადებდა ეცნო სულთანოვის და, შესაბამისად, აზერბაიჯანის იურისდიქცია. ამ უკანასკნელმა ისარგებლა ქალაქ შუშიდან ბრიტანული ჯარების გასვლით და 48-საათიანი ულტიმატუმი წაუყენა ყრილობას. სომხები იძულებული გახდნენ დაეთმოთ და 22 აგვისტოს მთიანი ყარაბაღის სომეხთა ყრილობამ „დროებით აღიარა“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის იურისდიქცია (პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე). შეთანხმების თანახმად, გუბერნატორს დაენიშნა სომეხი თანაშემწე და 6 მრჩეველი: 3 სომეხი და 3 მუსლიმანი. სომხები ინარჩუნებდნენ თვითმმართველობას, აზერბაიჯანს კი უფლება ჰქონდა შუშასა და ხანკენდიში (სტეფანაკერტში) თავისი გარნიზონი განელაგებინა, ოღონდ შეზღუდული, მშვიდობიანი დროის რიცხოვნობით და დამატებითი ძალების შეყვანისთვის აუცილებელი იყო სომხური საბჭოს თანხმობა. ამასთანავე, პარიზის სამშვიდობო კონფერენციის საბოლოო გადაწყვეტილებამდე, შეჩერდა მოსახლეობის განიარაღების პროცესი.

28 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის მიერ შექმნილმა სპეციალურმა სამთავრობო კომისიამ წარმოადგინა მოხსენება, რომელშიც პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებული იყო სომხური სახელმწიფოს აღდგენის მართებულობა. ასეთი ნაბიჯის გადადგმა, უპირველესად, სომხების უსაფრთხოების უზრუნველყოფას უკავშირდებოდა, რადგან თურქულ სახელმწიფოს არ გამოუმჟღავნებია სინანული 1915 წლის მოვლენების გამო; პირიქით, ის ცდილობდა გაემართლებინა თავისი ქმედებები და არაფერს აკეთებდა სომხების რეპატრიაციისა და მათთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. კინგ-კრეინის კომისიის მოხსენების თანახმად, „აშკარაა, რომ თურქების მხრიდან გრძლედება უკიდურესი მტრობა სომხების მიმართ და ხოცვა-ჟლეტის მუდმივი მუქარა; საკმარისი მტკიცებულებები არსებობს იმის დასადატსურებლად, რომ ამ ორ რასას არ შეუძლია ერთად, მშვიდობიანად და კარგად ცხოვრება. ამიტომ ორივესთვის უმჯობესია ცალკე თავისი სახელმწიფო ჰქონდეს; არ შესრულდა 1878 წლის ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც სომხების დაცვას ეხებოდა; ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს, რომ თურქეთისგან გამოიყოს სა-

ხელმწიფო, სადაც სომხები შეძლებენ იცხოვრონ თურქული ძალაუფლებისგან თავისუფლად, სხვა ვერაფერი მისცემს სომხებს უსაფრთხოების მეტ-ნაკლებად საკმარის გარანტიას. სხვა ვერაფერი დააკმაყოფილებს მსოფლიოს სინდისს ამ საკითხთან დაკავშირებით... სომხებისა და თურქების სასიკეთოდ და ასევე მსოფლიოში მშვიდობის დამყარების მისწრაფებიდან გამომდინარე, აუცილებელია დაჟინებით მოვითხოვოთ ცალკე სომხური სახელმწიფოს შექმნა“ (აღსანიშნავია, რომ მსგავსი არგუმენტაცია დაედო საფუძვლად ასევე ისრაელის სახელმწიფოს აღდგენას 1947 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის 181-ე რეზოლუციის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც მილიონობით ებრაელი შეიწირა ფაშიზმის აღზევებამ ევროპაში).

1920 წ. ნახჭევანსა და ყარაბაღში ისევ დაიწყო შეტაკებები სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის.

23 აპრილს (1920) მუსტაფა ქემალ ათათურქმა ქალაქ ანკარაში (იმ დროს ოსმალეთის იმპერიის ოფიციალურ დედაქალაქად სტამბული რჩებოდა) თურქეთის დიდი ეროვნული კრება მოიწვია, რომელმაც ახალ, ევროპული ტიპის სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი და მუსტაფა ქემალი პარლამენტისა და მთავრობის თავმჯდომარედ აირჩია. იმ პერიოდში ოსმალეთის სულთნის ხელისუფლება, მართალია, ჯერ კიდევ არსებობდა სტამბულში, მაგრამ მისი ჯარები, ძირითადად, უკვე ბრძოლისუუნარონი იყვნენ და ბერძნებს რეალურ წინააღმდეგობას სწორედ ათათურქის მომხრე ძალები უწევდნენ (1922 წლის 1 ნოემბერს, ომში გამარჯვების შემდეგ, ქემალმა ჯერ სულთანატი — სულთნის საერთო ხელისუფლება — საერთოდ გააუქმა თურქეთში და ორ კვირაში ხალიფის ანუ სულიერი წინამძღოლის წოდებაც ჩამოართვა მეჰმეტ VII-ს).

საბერძნეთს ანტანტა უჭერდა მხარს, ოსმელეთი კი, გერმანიისა და ავსტრიის დამარცხების შემდეგ, მოკავშირის გარეშე დარჩა, ამიტომ ქემალის მთავრობამ საბჭოთა რუსეთთან დაიწყო აქტიური კავშირების გაბმა და ანკარა-მოსკოვმა, ფაქტობრივად, ანტანტის საპირისპირო ალიანსი შექმნეს. 1920 წლის დასაწყისში ამ ალიანსის სიძლიერე ჯერ კიდევ სათუო იყო (თურქებს ბერძნებთან გამკლავება უჭირდათ, ბოლშევიკებს კი — პოლონელებთან), მაგრამ, საბოლოოდ, სწორედ ამ ალიანსის არსებობამ განაპირობა ანტანტისა და ასევე ვილსონის გეგმების შეცვლა ანატოლიასა და ამიერკავკასიასთან დაკავშირებით, სადაც, თავდაპირველი სქემის თანახმად, ძირი-

თადად, საყრდენ სახელმწიფოდ „დიდი სომხეთის“ საზღვრებში აღორძინებული სომხეთის რესპუბლიკა უნდა გამხდარიყო.

1 ივნისს დემოკრატი ვილსონის ნების საპირისპიროდ, აშშ-ის სენატის რესპუბლიკურმა უმრავლესობამ უარყო სომხეთზე ამერიკის მანდატი. იმ მომენტისთვის წითელმა არმიამ უკვე ვარშავას მიაღწია და ცხადი იყო, რომ კრემლი მალე ამიერკავკასიისთვისაც მოიცლიდა (თუმცა, აგვისტოში პოლონელთა მოულოდნელმა, ძლიერმა კონტრშეტევამ სომხეთ-საქართველოს გასაბჭოება კიდევ რამდენიმე თვით გადაავადა). გარდა ამისა, აშშ-ს რესპუბლიკურ პარტიაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ დიდ ნავთობკომპანიებს, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ბრიტანეთ-საფრანგეთის პოზიციით; ლონდონმა და პარიზმა ამერიკელებს, ფაქტობრივად, გზა ჩაუკეტეს არაბული ქვეყნების ნავთობსაბადოებისკენ, სამაგიეროდ, „დიდსულოვნად“ დაუთმო სომხეთის მანდატი, რესპუბლიკელებმა კი უარი თქვეს ასეთ „კომპენსაციაზე“. ერთი მხრივ, ეს მანდატი „დიდი სომხეთის“ მართლაც ვრცელ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებისა და მნიშვნელოვან რეგიონში დამკვიდრების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, სომხეთის მანდატის აღებისა და „დიდი სომხეთის“ აღორძინების შემთხვევაში, აშშ-ს ქემალისტურ თურქეთსა და საბჭოთა რუსეთთან მოუწევდა დაპირისპირება (ამ საფრთხის მიუხედავად, ვაშინგტონს, შესაძლოა, მაინც აეღო სომხეთის მანდატი, ამერიკულ კომპანიებს ახლო აღმოსავლეთის ნავთობსაბადოების ნაწილი რომ რგებოდათ).

ივნისში რუსეთის მე-11 არმიამ, აზერბაიჯანის ჯარებთან ერთად, ჩაახშო სომხური აჯანყების მთავარი კერა ყარაბაღში, ქალაქ შუშაში. ივლისში იგივე მოხდა ნახჭევანში და იქ ნახჭევანის საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდა. ამრიგად, სამი რეგიონიდან (ყარაბაღი, ზანგეზური და ნახჭევარი), რომლებზეც სომხეთს პრეტენზია ჰქონდა, 1920 წლის დასასრულამდე ანუ გასაბჭოებამდე ერევანმა კონტროლი მხოლოდ მაღალმთიან ზანგეზურზე შეინარჩუნა.

აგვისტოში სომხეთმა სცადა კონტროლის აღდგენა ნახჭევანში, თუმცა უშედეგოდ და 8 აგვიტოს ერევნის მთავრობასა და საბჭოთა რუსეთს შორის დაიდო სამშვიდობო შეთანხმება.

10 აგვსიტოს (1920) პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთის იმპერიამ (სულთნის მთავრობამ) ანტანტის მიერ ოკუპირებულ სტამბოლში ხელი მოაწერა სევრის შეთანხმებას, რომელსაც, ანტანტისა და მის მოკავშირე ქვეყნებთან ერთად, ხელი მოაწერა

სომხეთმაც. შეთანხმება ითვალისწინებდა წარსულში ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიათა გადანაწილებას მეზობელ სახელმწიფოთათვის: აღმოსავლეთ თრაკიასა და იონიას (დასავლეთ ანატოლიის ნაწილს) საბერძნეთი შეიერთებდა, სტამბოლი და ბოსფორ-დარდანელის ორივე სანაპირო ზოლი საერთაშორისო ძალების დაქვემდებარებაში გადადიოდა, ანტალიასა და მის მიმდებარე რაიონებზე იტალიის პროტექტორატი დამყარდებოდა, კილიკიასა და კაპადოკიის ნაწილზე — საფრანგეთის პროტექტორატი, ხოლო აღმოსავლეთი ანატოლია, ფაქტობრივად, ორად გაიყოფოდა: ჩრდილო ნაწილი — ტრაპიზონი-არზრუმი-ვანის ხაზის გარშემო მდებარე ვრცელი ტერიტორია სომხეთს გადაეცემოდა, ხოლო სამხრეთში ქურთისტანის შექმნას ვარაუდობდნენ, რომლის ცენტრი ქალაქ დიარბაქირში იქნებოდა.

სევრის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ დროს თურქეთ-საბერძნეთის ომში ბერძნების მნიშვნელოვან უპირატესობას, მუსტაფა ქემალი თითქოს განწირული იყო, მაგრამ, სულთნის მთავრობისგან განსხვავებით, მან უარი თქვა სევრის შეთანხმების ხელმოწერაზე. ქემალის მთავრობამ შეძლო ხანმოკლე პერიოდში თურქეთის რეგულარული არმიის გამთლიანება-მობილიზება და ომის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა. ამას ხელი შეუწყო შინაბერძნულმა დაპირისპირებამ და 25 ოქტომბერს საბერძნეთის მეფე ალექსანდრეს გარდაცვალებამ, რასაც მოჰყვა დეკემბერში გამართული რეფერენდუმით სამეფო ტახტზე კონსტანტინეს დამტკიცება. პირველ მსოფლიო ომის დროს პროგერმანული პოზიციის გამო, ანტანტა არ ენდობოდა კონსტანტინეს და მისი გამეფების შემდეგ დახმარება შეუწყვიტა საბერძნეთს. ეს ყველაფერი მალე აისახა თურქეთთან ომის მიმდინარეობაზე.

სექტემბერში ერევანში ჩავიდა საბჭოთა რუსეთის დელეგაცია და სომხეთის მთავრობას მოსთხოვა: სევრის შეთანხმებაზე უარის თქმა, საბჭოთა ჯარებისთვის, სომხეთის გავლით, თურქეთისკენ გადაადგილების საშუალების მიცემა და მეზობელ ქვეყნებთან ტერიტორიული დავების გადაწყვეტა საბჭოთა რუსეთის მონაწილეობით. ამ მოთხოვნებიდან პირველი პუნქტი ერევნისთვის მიუღებელი იყო. თუმცა, საბოლოოდ, შეთანხმებას მიაღწიეს — ყარსი სომხეთს რჩებოდა. ცხადია, კრემლს ეს თანხმობა სომხეთის „ბურჟუაზიულ" მთავრობასთან, რომლის დღეები უკვე დათვლილი იყო, არაფრად უღირდა (თუმცა, არც ნოემბერ-დეკემბერში შექმნილი სა-

ბჭოთა სომხეთისთვის ან აზერბაიჯანისა და საქართველოს კომუნისტური მთავრობისთვის უკითხავთ რამე, როცა, 1921 წელს, ამიერკავკაიის რესპუბლიკათა საზღვრები, ფაქტობრივად, მოსკოვში, საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოლაპარაკებისას, გადაწყდა).

ოქტომბერში (1920) ქემალის მთავრობის ჯარებმა აიღეს არდაგანი, ყარსი და ალექსანდროპოლი (დღევანდელი გიუმრი). 18 ნოემბერს სომხეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ცეცხლის შეწყვეტის მძიმე პირობებზე (2 დეკემბერს სომხეთის დემოკრატიული რესპულიკის მთავრობამ ხელი მოაწერა ალექსანდროპოლის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა სევრის ხელშეკრულების უარყოფას და სომხეთის ტერიტორიის განახევრებას, თუმცა, საბჭოთა სომხეთმა, ბუნებრივია, კრემლის მხარდაჭერით, ეს ხელშეკრულება არ ცნო).

29 ნოემბერს სომეხი ბოლშევიკი-კომუნისტების რევოლუციური კომიტეტი, რუსეთის მე-11 არმიასთან ერთად, ქალაქ იჯევანში დაბანაკდა და რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადა. 4 დეკემბერს მე-11 არმია ერევანში შევიდა.

30 ნოემბერს აზერბაიჯანის რევოლუციურმა კომიტეტმა შეიმუშავა დეკლარაცია, რომლის თანახმად, საბჭოთა აზერბაიჯანსა და საბჭოთა სომხეთს შორის შეუძლებელია არსებობდეს ტერიტორიული დავა, აქედან გამომდინარე, ზანგეზურისა და ნახჭევანის რეგიონები საბჭოთა სომხეთს გადაეცემა, ხოლო მთიანი ყარაბაღის მშრომელებს ეძლევათ სრული თვითგამორკვევის უფლება (4 დეკემბერს ამ დეკლარაციაში აღნიშნული ტერიტორიული ცვლილებები გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე დაადასტურა სტალინმაც (სომხური წყაროები იმოწმებენ საბჭოთა გამოცემებს, სადაც დაფიქსირებულია ეს ინფორმაცია). აქვე უნდა ითვქას, რომ დეკემბერშივე საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა სომხეთს შორის დადებული ხელშეკრულება აღიარებს სომხეთის პრეტენზიას მხოლოდ ზანგეზურზე (ეს რეგიონი, საბოლოოდ, მართლაც სომხეთს დარჩა) და არა ყარაბაღსა და ნახჭევანზე.

ზემოხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ კრემლი მანიპულირებდა სომხების (და ასევე აზერბაიჯანელების) მისწრაფებებით. 1920 წლის შემოდგომაზე სომხეთისათვის ყარსის „დატოვება“ ან საბჭოთა აზერბაიჯანის მიერ ნახჭევანისა და ყარაბაღის „ნებაყოფლობითი დათმობა“ მხოლოდ კრემლის ხრიკები იყო. ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში, როცა

მე-11 არმია ერევნისკენ მიიწევდა, ყარაბაღის და ნახჭევანის „ქაღალდზე“ გადაცემის ფარსი, ცხადია, საბჭოთა რუსეთისდამი სომხეთის მოსახლეობის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად გათამაშდა.

1921 წ. თებერვალ-მარტში მოსკოვში გაიმართა კონფერენცია და 16 მარტს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც დადგინდა თურქეთ-სომხეთს შორის საზღვარი. ამავე შეთანხმებით, ნახჭევანი მიეკუთვნა აზერბაიჯანს, ხოლო ზანგეზურის რაიონი — სომხეთს. საბოლოოდ, თურქეთსა და ამიერკავკასიის სამივე, უკვე საბჭოთა რესპუბლიკას შორის სადავო საკითხები გადაწყდა 13 ოქტომბერს დადებული ყარსის ხელშეკრულებით.

2 მაისს საბჭოთა რუსეთის კომპარტიის (იგივე რსდპ(ბ)) ცკ-ის კავკასიის ბიუროს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება კიროვის ხელმძღვანელობით სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც უნდა დაედგინა საზღვრები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის.

4 ივლისს კომისიამ განიხილა მთიანი ყარაბაღის საკითხი და უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამ რეგიონის სომხეთისთვის მიკუთვნებას, მაგრამ აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ნარიმანოვის პროტესტის გამო საკითხის განხილვა გადაიტანეს რკპ(ბ) ცკ-ში.

5 ივნისს (1921) კავკასიის ბიურომ გააუქმა წინა დღეს მიღებული გადაწყვეტილება (ცხადია, კრემლთან წინასწარი შეთანხმებით) და საკითხის მოსკოვში გადაგზავნის გარეშე დაადგინა: „მუსლიმანებსა და სომხებს შორის ეროვნული მშვიდობის აუცილებლობიდან და ასევე ზემო ყარაბაღის მჭიდრო ეკონომიკური კავშირიდან გამომდინარე ქვემო ყარაბაღსა და აზერბაიჯანთან, მთიანი ყარაბაღი დარჩეს აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში და მას მიენიჭოს ფართო საოლქო ავტონომია, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ შუშაში“.

16 ივლისს სომხეთის კპ ცენტრალუმა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა ყარაბაღის საკითხზე კავბიუროს გადაწყვეტილებას. სომხეთის საბჭოთა რესპულიკის ლიდერები შემდგომშიც ცდილობდნენ მთიანი ყარაბაღის კუთვნილების საკითხის წამოჭრას კრემლის წინაშე და, მართალია, ამას უშუალოდ ყარაბაღის სტატუსთან დაკავშირებით რაიმე ცვლილება არ მოჰყოლია, მაგრამ აზერბაიჯანელთა აზრით, სწორედ ასეთი პოლიტიკის არაპირდაპირი შედეგი იყო 1947 წელს, კრემლის ბრძანებით, დაახლოებით 100 ათასი აზერბაი-

ჯანელის გამოდევნა სომხეთიდან და მათი მტკვარ-არაქსის დაბლობზე დასახლება.

1923 წ. 7 ივლისს მთიანი ყარაბაღის სომხებით დასახლებული ნაწილის ტერიტორიაზე შეიქმნა ავტონომიური ოლქი, რომლის ცენტრი იყო ხანკენდი (მოგვიანებით დაერქვა სტეფანაკერტი). იმ დროისათვის რეგიონში მცხოვრები დაახლოებით 131 500 ადამიანიდან 94,4% სომეხი იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ 1926 წლის დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის რუკის მიხედვით, ყარაბაღის ოლქი ლაჭინის დერეფნით უშუალოდ ესაზღვრება სომხეთს. 1930 წლის იმავე გამოცემის რუკაზე კი სომხეთთან დამაკავშირებელი ეს ტერიტორია ოლქს აღარ ეკუთვნის; ანუ ის საკითხები, რაც ასწლეულების მანძილზე ომებისა და სისხლისღვრის შედეგად წყდებოდა, მოგვიანებით კი, საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამისად (მათ შორის, ლეგიტიმური რეფერენდუმების გზით წყდება), საბჭოთა იმპერიის დროს „მარტივად“, კრემლში, სხვადასხვა ფარსის გათამაშებითა თუ რუკების გადაკეთება-გადმოკეთებით „გვარდებოდა“.

1924 წ. 9 თებერვალს შეიქმნა „ნახჭევანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, აზერბაიჯანის სსრ-ის ექსკლავი, რომელიც ესაზღვრებოდა სომხეთს, ირანსა და თურქეთს (ნახჭევანის ასსრ-ის კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1926 წელს). თავდაპირველად ამ ავტონომიის ტერიტორია 5 988 კმ² იყო, მაგრამ შემდგომ წლებში, კრემლის მიერ საზღვრების მორიგი „შესწორების“ შედეგად, მისი ფართობი 5 300 კმ²-მდე შემცირდა. ამრიგად, თუ მეფის რუსეთმა მის მიერ პრივილეგირებულ სომხებს (ერევნის გუბერნიას) ყარაბაღის, ზანგეზურისა და ნახჭევანის რეგიონებიდან ყველაზე ნაყოფიერი — ნახჭევანი მიაკუთვნა (მიუხედავად იმისა, რომ აქ მოსახლეობის უმრავლესობა აზერბაიჯანელი იყო), კომუნისტებმა, ქემალისტურ თურქეთთან „მმობისა და მეგობრობის“ გათვალისწინებით, სომხეთს ნახჭევანი „ჩამოაჭრეს“ და სამაგიეროდ ზანგეზური „დაუთმეს“. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ, თუ არა გარკვეული გამიზნული ჩანაფიქრი სამომავლო „ეთნოკონფლიქტებისათვის“ „ნაღმების ჩადებისა“, შეუძლებელია აიხსნას, მაგალითად, რატომ მიენიჭა მთიან ყარაბაღს მხოლოდ ავტონომიური ოლქის სტატუსი, ნახჭევანს კი — ავტონომიური რესპუბლიკის.

თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის საბჭოურ-კომუნისტური იდეალებიდან გამომდინარეც, ასეთი დიფერენცირება აშკარად არაბუნებრივად ჩანს. ამ კონტექსტში საყურადღებოა კიდევ

ერთი საკითხი: სსრკ-ის ტერიტორიაზე იმ ხალხებს, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი“ (ტერიტორია, რომელსაც ამ ეთნოსის მიხედვით ერქვა სახელი, მაგ. სომხეთის სსრ, უკრაინის სსრ, ბაშკირთის ასსრ და ა. შ.), ჩვეულებრივ, სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში სახელმწიფოებრივ ავტონომიურ წარმონაქმნს არ ანიჭებდნენ. მაგალითად, ავტონომია არ ჰქონდათ აღმოსავლეთ უკრაინაში მცხოვრებ რუსებს, ან უზბეკეთში მცხოვრებ ტაჯიკებს და ტაჯიკეთში მცხოვრებ უზბეკებს, ან მოლდოვაში (დნესტრისპირეთში) მცხოვრებ უკრაინელებსა და რუსებს და სხვა. ამ წესიდან გამონაკლისი იყო ყარაბაღი, ნახჭევანი და ე. წ. „სამხრეთი ოსეთი“.

1936 წ. ახალი სამოკავშირეო კონსტიტუციის მიღების შემდეგ საბოლოო საზღვრებითა და სახელით ჩამოყალიბდა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი.

1988 წ. 20 თებერვალს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის (მყაო-ს) უმაღლესმა საბჭომ სსრკ-ის, სომხეთისა და აზერბაიჯანის უმაღლეს საბჭოებს მიმართა თხოვნით, რათა მთიანი ყარაბაღი გამოეყოთ აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობიდან და სომხეთის სსრ-ისათვის მიეერთებინათ. საპასუხოდ, სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს მიერ 1988 წლის 21 თებერვალს მიღებულ დადგენილებაში მთიანი ყარაბაღის სომხეთთან მიერთების მოთხოვნა ექსტრემისტებისა და ნაციონალისტების მიერ პროვოცირებულ ქმედებად შეფასდა. ამას მოჰყვა მასშტაბური დემონსტრაციები ერევანში და არაფორმალური პოლიტიკური გაერთიანება „ყარაბაღის კომიტეტის“ დაფუძნება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ლევონ ტერ-პეტროსიანი და ვაზგენ მანუკიანი.

24 თებერვალს მყაო-ის ტერიტორიაზე, ასკერანთან ახლოს, აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის შეტაკება მოხდა. 50 სომეხი დაშავდა და 2 აზარბაიჯანელი ახალგაზრდა (16 და 23 წლის) მოკლულ იქნა ადგილობრივი, ეთნიკურად სომეხი მილიციელის მიერ.

27 თებერვალს ცენტრალური ტელევიზიით გამოსვლისას, სსრკ-ის გენერალური პროკურორის მოადგილემ მოკლულთა ეთნიკური კუთვნილება ახსენა. რამდენიმე საათის შემდეგ ბაქოსგან 25 კმ-ით დაშორებულ ქალაქ სუმგაითში დაიწყო სომეხი მცხოვრებლების დარბევა, რომელიც კიდევ ორი დღე გრძელდებოდა. ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 26 სომეხი და 6 აზერბაიჯანელი. კრემლმა სუმგაითის მოვლენები „ხულიგნობად“ შეაფასა. მაისში კი

გადადგნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიის პირველი მდივნები: ბაგიროვი და დემირჭიანი (ცხადია, კრემლის ბრძანებით).

15 ივნისს სომხეთის სსრ-ის უმაღლესმა საბჭომ დააკმაყოფილა მყაო-ის თხოვნა და თავის მხრივ ასევე მიმართა სსრკ-ის უმაღლეს საბჭოს, რათა ამ უკანასკნელსაც დაეკმაყოფილებინა ავტონომიური ოლქის თხოვნა.

4 ივლისს ერევანში დემონსტრანტებმა სცადეს ზვარტნოცის აეროპორტის პიკეტირება, რასაც მოჰყვა მანიფესტაციის სასტიკი დარბევა საბჭოთა გენერალ ალბერტ მაკაშოვის მეთაურობით. ამ დროს დაიღუპა სტუდენტი, რომელიც ცდილობდა ვიდეოფირზე დაეფიქსირებინა დარბევის ფაქტები.

22 ნოემბერს ერევანში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

24-25 ნოემბერს ბაქოში საბჭოთა ჯარები შევიდნენ და აქაც დროებით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

5 დეკემბერს ბაქოში ძალის გამოყენებით დაშალეს მიტინგი, რასაც მომდევნო დღეებში მასობრივი გაფიცვები მოჰყვა.

დეკემბერი — „ყარაბაღის კომიტეტის" წევრები დააპატიმრეს და ნახევარი წელიწადი ისინი მოსკოვის ციხეში იმყოფებოდნენ.

1989 წ. 12 იანვარს, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა „მთიანი ყარაბაღის მართვის განსაკუთრებული კომიტეტი" და „ძალადობის ესკალაციის შესაჩერებლად" ოლქის ტერიტორიაზე ცენტრის პირდაპირი მმართველობა შემოიღო (რაც ნოემბერში გაუქმდა).

ივნის-ივლისში ბაქოში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით; ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი, რომლის ლიდერი აბულფაზ ელჩიბეი გახდა.

აგვისტოში აზერბაიჯანმა სარკინიგზო ბლოკადა დააწესა სომხეთსა და მყაო-ის მიმართ.

28 ნოემბერს სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ყარაბაღის საკითხზე და რეგიონი დარჩა აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ამის შემდეგ ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ შეიარაღებული კონფრონტაციის ზღვარს მიაღწია.

1 დეკემბერს (1989) სომხეთის სსრ-ის უმაღლესმა საბჭომ და მთიანი ყარაბაღის ეროვნულმა საბჭომ მიიღო ერთობლივი რეზოლუცია „მთიანი ყარაბაღის სომხეთთან ხელახალი გაერთიანების შესახებ". საპასუხოდ, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990

წლის 10 იანვარს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, სომხეთის სსრ-ის უმაღლეს საბჭოს მიეცა წინადადება შეეცვალა რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები სსრკ-ის კონსტიტუციის შესაბამისად, ანუ გაეუქმებინა მთიანი ყარაბაღის მიერთების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას სომხურმა მხარემ დეკლარაციული და გამაღიზიანებელი უწოდა.

1990 წ. 15 იანვარს კრემლმა, აზერბაიჯანის უმაღლეს საბჭოსთან შეუთანხმებლად, რასაც შესაბამისი კანონი მოითხოვდა, საგანგებო მდგომარეობა შემოიღო მყაო-ში. იანვარშივე ბაქოში გახშირდა სომეხი მოსახლეობის დარბევის ფაქტები (ძირითადდა, სომხეთიდან დევნილი აზერბაიჯანელების მიერ). კრელმის ბრძანებით, ადგილობრივ მილიციას იარაღი ჩამოართვეს, რაც კიდევ უფრო ართულებდა წესრიგის შენარჩუნებას (მოგვიანებით გაირკვა ამ განიარაღების რეალური მიზეზი).

19-20 იანვრის ღამეს, ისევ აზერბაიჯანის ხელისუფლების თანხმობის გარეშე, ბაქოსა და აზერბაიჯანის კიდევ რამდენიმე ქალაქსა და რაიონში საბჭოთა არმიის ქვედანაყოფები შევიდნენ და საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ბაქოში საბჭოთა ჯარების შეჭრის შედეგად დაიღუპა 168 და დაიჭრა 715 მშვიდობიანი მოქალაქე (მათ შორის, ქალები და ბავშვებიც კი). აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს საგამოძიებო კომისიის 11 თებერვლის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბაქოს „აღების" ოპერაციაში მონაწილეობდნენ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო-სადესანტო ჯარების მსხვილი შენაერთები, ასევე უშიშროების სამსახურის (КГБ-ს) სპეცნაწილები. ამ ჯარების მიერ გახსნილი ცეცხლი მიმართული იყო საცხოვრებელი სახლებისკენ, ტანკებით ისრისებოდა მსუბუქი მანქანები. 19-20 იანვრის მოვლენები აზერბაიჯანის უახლეს ისტორიაში „შავი იანვრის" სახელწოდებით შევიდა.

კომისიის ზემოხსენებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ სსრკ-ის ცენტრალური ხელისუფლების ქმედებები არაადეკვატური იყო იმ პროცესის მიმართ, რომელიც მთიანი ყარაბაღის გარშემო ვითარდებოდა. მხოლოდ 1989 წლის აგვისტო-დეკემბერში სომხეთის ტერიტორიიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შემოჭრილი შეიარაღებული ჯგუფების მიერ მოკლულ იქნა 52 და დაიჭრა 166 ადამიანი. ამავე დროს, ხელოვნურად ხდებოდა მთიანი ყარაბაღის საკითხის გაჭიანურება. სომხეთიდან ძალით გამოდევნილი 215 ათასი დევნი-

ლიდან (იმ მომენტისთვის), ბაქოში იმყოფებოდა 80 ათასი, რომლებიც საცხოვრებლისა და სამუშაოს გარეშე იყვნენ დარჩენილები.

საბჭოთა ჯარების მიერ 19-20 იანვარს დახოცილ აზერბაიჯანელთა დაკრძალვას ასეულობით ათასი ადამიანი დაესწრო. იმ დღეს ათეულობით ათასმა აზერბაიჯანელმა კომუნისტმა დაწვა თავისი პარტბილეთი.

1991 წ. 17 მარტს აზერბაიჯანმა საკავშირო რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა სსრკ-ის შენარჩუნებას, სომხეთმა კი, საქართველოს მსგავსად, ბოიკოტი გამოუცხადა ამ რეფერენდუმს (აქვე უნდა ითქვას, რომ 17 მარტის საბჭოთა რეფერენდუმი არ ჩატარებულა ნახჭევანის ტერიტორიაზე).

მაის-ივნისში საბჭოთა არმიისა და აზერბაიჯანის სამხედრო შენაერთებმა მყარო-ის ჩრდილოეთის 26 სოფლიდან 10 ათასზე მეტ ეთნიკურ სომეხს დაატოვებინეს სახლ-კარი და აიძულეს სომხეთში გადასულიყვნენ (სომხური წყაროების ცნობით, ამ ოპერაციამ 150 მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა).

19-21 აგვისტოს მოსკოვში წარუმატებლად დასრულდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომელიც კრემლის მაღალჩინოსანთაგან შემდგარი თვითგამოცხადებული ორგანოს — „საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის“ (ე. წ. „გეკაჩეპეს“) მიერ იყო ორგანიზებული და მიზნად ისახავდა პრეზიდენტ გორბაჩოვის გადაყენებას, ასევე 20 აგვისტოს დაგეგმილი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერის ჩაშლას. ამის შემდეგ აშკარა გახდა, რომ სსრკ განწირული იყო.

1991 წ. 30 აგვისტოს აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია „აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ“.

2 სექტემბერს (1991) მთიანი ყარაბაღის უმაღლესმა საბჭომ ავტონომიური ოლქის ნაცვლად „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა“ დაარსა.

3 სექტემბერს ჰეიდარ ალიევი ნახჭევანის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს (მისი ინიციატივით, ნოემბერში ავტონომიის სახელწოდებიდან ამოიღეს სიტყვები „საბჭოთა“ და „სოციალისტური“).

23 ნოემბერს (1991) აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ გააუქმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი. სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ უკანონოდ ცნო ბაქოს ეს გადაწყვეტილება. 10 დეკემბერს მყარო-ის

ტერიტორიაზე გაიმართა „დამოუკიდებლობის რეფერენდუმი“, რომლის საფუძველზე 1992 წლის 6 იანვარს „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პარლამენტმა“ დამოუკიდებლობა გამოაცხადა (არც ამ რეფერენდუმს და არც დამოუკიდებლობას საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღიარებს).

25 დეკემბერს სსრკ-ის დამფუძნებლებს: რუსეთს, უკრაინასა და ბელორუსს შორის ახალი — ბელოვეჟსკის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (8 დეკემბერი), პრეზიდენტი გორბაჩოვი გადადგა და საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა. ამ დროიდან კრემლის ქმედებები ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ბევრად უფრო „უცერემონიო“ გახდა, რადგან ყოველგვარი ფორმალური შეზღუდვებისგან თავისუფალი იყო. ამიერკავკასიაში მისი ყველა სამხედრო ბაზა ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა და სწორედ მათი აქტიური გამოყენებით კრემლმა დაიწყო იმ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი მიზნის — სამივე რესპუბლიკის დსთ-ში (ანუ თავისი გავლენის სფეროში) შეყვანისთვის გადამწყვეტი ბრძოლა. ჯერ კიდევ 21 დეკემბერს საქართველოში დაიწყო მის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობითა და საქართველოს ხელისუფლებაში კრიმინალების: კიტოვანი-იოსელიანის „სამხედრო საბჭოს“ მოსვლით დასრულდა. პარალელურად, 1992 წლიდან სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირება უკიდურესად გამწვავდა და მასშტაბური ომის სახე მიიღო, რაც, უპირველესად, სწორედ კრემლისა და მისი სამხედრო ბაზების „დამსახურება“ იყო.

1992 წ. 27 თებერვალს სომხური შენაერთები და რუსეთის ჯარები (ყოფილი საბჭოთა 366-ე მოტომსროლელი დივიზიის ნაწილები) აზერბაიჯანულ ქალაქ ხოჯალიში შეიჭრნენ და შემდეგ აქ ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. სამხედრო თვალსაზრისით, ეს იყო პირველი საკვანძო გამარჯვება სომხური ძალებისათვის; მართალია, ხოჯალი პატარა ქალაქი იყო, სულ 7 ათასი მცხოვრებით, მაგრამ სტრატეგიული მნიშვნელობის, აგდამ-სტეფანაკერტი-ხანკენდის მაგისტრალზე მდებარეობის, გამო მისი დაკარგვა აზერბაიჯანელთათვის დიდი წარუმატებლობა იყო. სხვადასხვა წყაროს ცნობით, სულ მცირე 600-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა ხოჯალის აღების შემდეგ, როცა აზერბაიჯანელი სამხედროები უკვე გასული იყვნენ ქალაქიდან.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მათთვის გასაკვირი არ იყო რუსეთის ტანკებისა და არტილერიის მონაწილეობა სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტში, მაგრამ მოულოდნელი იყო რუსეთის ჯარისკაცების მონაწილეობა მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაში. უცხოელთა დაკვირვებით, ეს შემთხვევითი არ იყო და ამ ქმედების მიზანს სწორედ ის წარმოადგენდა, რაც ხოჯალის სასაკლაოს მოჰყვა, ანუ ეთნიკური სომხების მიმართ აზერბაიჯანელი მოსახლეობის სიძულვილის მაქსიმალური გამძაფრება. ხოჯალიდან დევნილები ბაქოს მიაწყდნენ, სადაც ვითარება უკიდურესად დაიძაბა, დაიწყო ქაოსური პროცესები. მოსახლეობის ფართო ფენები ჩაებნენ კონფლიქტში, ეთნიკურ დაპირისპირებაში. ანალიტიკოსები შენიშნავენ, რომ ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად 366-ე დივიზიამ „ხელსაყრელი შანსი" მართლაც „დროულად" გამოიყენა; ასეთი შესაძლებლობა მას შემდეგ აღარ მიეცემოდა, რადგან, წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, კრემლმა ქვედანაყოფი მარტში გაიყვანა აზერბაიჯანიდან.

6 მარტს პრეზიდენტი მუტალიბოვი გადადგა და დაინიშნა საპრეზიდენტო არჩევნები, თუმცა, მოგვიანებით, მუტალიბოვმა სცადა პეზიდენტის პოსტზე დაბრუნება.

24 მარტს ეუთომ 11 ქვეყნის მონაწილეობით შექმნა მინსკის საკონტაქტო ჯგუფი ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

14 მაისს აზერბაიჯანის უმღლესმა საბჭომ დააკმაყოფილა მუტალიბოვის თხოვნა მისი თანამდებობაზე აღდგენისა და დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების გაუქმების შესახებ. საპასუხოდ, 15 მაისს, დილით, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა დაიწყო მიტინგი და ულტიმატუმი წაუყენა მუტალიბოვს — დღის 3 საათამდე გადამდგარიყო. ვადის გასვლის შემდეგ მომიტინგეებმა, მსუბუქი წინააღმდეგობის გადალახვით, დაიკავეს უმაღლესი საბჭოსა და პრეზიდენტის სასახლე, მუტალიბოვი კი რუსეთში გაიქცა.

16 მაისს (1992) სომხეთი დსთ-ის წევრი გახდა. აზერბაიჯანი და საქართველო, მოგვიანებით, კრემლის მიერ უკვე „სამაგალითოდ დასჯილები" გახდნენ დთს-ის წევრები (შესაბამისად, 1993 წლის 24 სექტემბერსა და 8 ოქტომბერს).

18 მაისს ანალიტიკოსები სწორედ დსთ-ში გაწევრიანებას უკავშირებენ მაისის შუა რიცხვებში სომხური ძალების მთავარ წარმატებას, რომელიც დაიწყო ყარაბაღელ აზერბაიჯანელთა მთავარი ქალაქის — შუშის აღებით და 18 მაისს სომხეთ-ყარაბაღის დამაკავ-

შირებელი ლაჭინის რაიონის (ცნობილი „ლაჭინის დერეფნის“) დაკავებით დასრულდა.

21 მაისს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება რუსეთის სამხედრო ბაზების სომხეთის ტერიტორიაზე დარჩენის შესახებ, რის შემდეგაც სომხურმა ჯარებმა კიდევ ერთ საკვანძო წარმატებას მიაღწიეს (1997 წელს გამოქვეყნდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის, გენერალ ლევ როხლინის მოხსენება, რომლეშიც დადასტურებულია რუსეთის სამხედრო ბაზებიდან სომხური მხარისთვის იარაღის არალეგალური მიწოდების ფაქტები).

მაისში ვითარება დაიძაბა ასევე ნახჭევანში. თურქეთი დაემუქრა სომხეთს, რომ ამ რეგიონში შესვლა თურქეთთან ომის დაწყებას ნიშნავდა. საპასუხოდ, ერევანში ჩაფრინდნენ რუსეთის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი გენადი ბურბულისი და თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი. თურქეთის „დამშვიდებაში“ თავისი წვლილი შეიტანა თეთრმა სახლმაც და კონფლიქტის კიდევ უფრო დიდი ესკალაცია თავიდან იქნა აცილებული.

7 ივნისს (1992) აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში სახალხო ფრონტის ლიდერმა აბულფაზ ელჩიბეიმ (ალიევმა) გაიმარჯვა. ელჩიბეის ნამდვილი გვარი იყო ალიევი და ჰეიდარ ალიევის მსგავსად ისიც ნახჭევანში დაიბადა. ელჩიბეის გვარით ის 1980-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა („ელჩიბეი“ აზერბაიჯანულად „ხალხის წარმომადგენელს“ ნიშნავს).

4 ივლისს აზერბაიჯანელმა პოლკოვნიკმა სურეთ ჰუსეინოვმა ლამის ეროვნული გმირის მანტია მოისხა, როცა აზერბაიჯანელთა წარმატებული ზაფხულის შეტევის შედეგად ჯერ მთიანი ყარაბაღის ჩრდილო ნაწილის მთავარი ქალაქი — მარდაკერტი აიღო, შემდეგ კი, 26 აგვიტოს, სტრატეგიული მარდაკერტ-ქელბაჯარის მაგისტრალიც დაიკავა. ობიექტურ უცხოურ წყაროებში დაფიქსირებულია, რომ ჰუსეინოვს არც სამხედრო განათლება ჰქონდა, არც გამოცდილება და მისი „გმირობის“ რეალური მიზეზი განჯაში განლაგებული რუსეთის (ყოფილი საბჭოთა 104-ე საჰაერო-სადესანტო) დივიზიის აქტიური მხარდაჭერა იყო.

ამ შემთხვევაში კრემლი აზერბაიჯანს დაეხმარა იმ იმედით, რომ ელჩიბეი დათანხმდებოდა დთს-ში შესვლაზე, მაგრამ აზერბაიჯანის პრეზიდენტისგან, საბოლოოდ, მაინც უარი მიიღო. ამას მოჰყვა ეთნიკური დაძაბულობის კიდევ ორი ახალი კერის გაჩენა

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე — ჩრდილოეთით გააქტიურდა ლეზგების ორგანიზაცია „სადვალი“, სამხრეთით კი, ლენქორანის რაიონში — თალიშთა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები (თალიშები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ერთ-ერთი უძველესი მოსახლეობის — კასპების შთამომავლებად ითვლებიან, თუმცა დღევანდელი თალიშური ენა ირანულ ჯგუფს მიეკუთვნება და თურქულენოვანი ოღუზ-სელჩუკების გამოჩენამდე ფართოდ იყო გავრცელებული აზერბაიჯანის ტერიტორიის ძირითად ნაწილზე).

ნოემბერში ჰეიდარ ალიევმა ნახჭევანში დააარსა პოლიტიკური გაერთიანება „იენი აზერბაიჯან“ (ახალი აზერბაიჯანი), რომელიც მოგვიანებით ამ ქვეყნის მმართველი პარტია გახდა.

1993 წლის თებერვალში ჰუსეინოვმა თავისი ჯარები გამოიყვანა მარდაკერტიდან. სომხებმა მაშინვე დაიკავეს ქალაქი და მათ გზა გაეხსნათ ქელბაჯარისკენ. ელჩიბეიმ აზერბაიჯანის არმიიდან დაითხოვა ჰუსეინოვი და მოგვიანებით მის დაპატიმრებასაც აპირებდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. აზერბაიჯანის არმიიდან გაძევებული ჰუსეინოვი, რომელიც, რეალურად, არც მანამდე ექვემდებარებოდა ერთიან სარდლობას, თავისი ჯარით განჯაში დაბანაკდა.

28 მაისს წინასწარ შეთანხმებულ ვადაზე ადრე განჯიდან გავიდნენ ყოფილი საბჭოთა 104-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის უკანასკნელი ქვედანაყოფები და შეიარაღების მნიშვნელოვანი ნაწილი ჰუსეინოვს დაუტოვეს. ელჩიბეის სამთავრობო ძალებმა სცადეს განჯაში შესვლა და ჰუსეინოვის დაპატიმრება, მაგრამ უშედეგოდ. ჰუსეინოვის დასაპატიმრებლად განჯაში ჩასულმა გენერალურმა პროკურორმა იხთიარ შირინოვმა, პირიქით, ელჩიბეის დაპატიმრების ორდერი გასცა. ჰუსეინოვის ჯარები ბაქოსკენ დაიძრნენ.

9 ივნისს ელბიჩეის მიწვევით ბაქოში ჩავიდა ჰეიდარ ალიევი, რომელიც 15 ივნისს აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 18 ივნისს ელჩიბეი ნახჭევანში, მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და, ფაქტობრივად, ძალაუფლება ალიევს გადასცა, რომელმაც მოლაპარაკებები გამართა ამბოხებულ ჰუსეინოვთან (ამერიკელი რეპორტიორი თომა გოლტეი შენიშნავს, რომ ელჩიბეის იოლი დათანხმება გადადგომაზე საქართველოს პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობის პრეცედენტითაც იყო განპირობებული). სურეთ ჰუსეი-

ნოვი კი აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრობას დასჯერდა (მას პრეზიდენტობა სურდა ან ამ პოსტზე მუტალიბოვის დაბრუნება).

21 ივნისს აზერბაიჯანის არმიის პოლკოვნიკმა, ეთნიკურად თალიშმა, ალიკრამ გუმატოვმა „თალიშ-მუღანის ავტონომიური რესპუბლიკის“ შექმნა გამოაცხადა. მანვე, 2-3 აგვისტოს აზერბაიჯანის პრემიერ ჰუსეინოვთან შეხვედრის შემდეგ, იმ მომენტისთვის აზერბაიჯანის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ჰეიდარ ალიევის გადადგომა და აიაზ მუტალიბოვის დაბრუნება მოითხოვა. ლენქორანში გამართული მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შედეგად, დაარსებიდან ორ თვეში, 23 აგვიტოს, „თალიშ-მუღანის ავტონომიურმა რესპუბლიკამ“ არსებობა შეწყვიტა; გაქცეული გუმატოვი მოგვიანებით დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს, თუმცა, ევროსაბჭოს აქტიური ჩარევის შედეგად, 2004 წელს პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა იგი შეიწყალა და ამჟამად ჰოლანდიაში ცხოვრობს.

ივლის-აგვისტოში სომხურმა ძალებმა დაიკავეს აგდამის, ქუბათლისა და ფიზულის რაიონები. ალიევმა შეაჩერა ხელშეკრულების გაფორმება დასავლურ ნავთობკომპანიებთან აზერბაიჯანის ნავთობსაბადოების განვითარებასთან დაკავშირებით (ამ ხელშეკრულებას სრული მხარდაჭერა ჰქონდა ელჩიბეის მხრიდან და მის ხელმოწერას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა კრემლი).

სექტემბერში ბრძოლები დროებით შეწყდა. ალევისა და ელჩინის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ აზერბაიჯანის საზღვარზე ირან-თურქეთთან რუსეთის ჯარები ჩადგებოდნენ, თუცა, მოგვაინებით, ალიევმა შეცვალა პოზიცია და კრემლს აზერბაიჯანში ჯარების შეყვანაზე უარი უთხრა.

3 ოქტომბერს (1993) ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანის პრეზიდენტად აირჩიეს. იმავე პერიოდში ბრძოლები განახლდა და სომხებმა აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ზანგელანის რაიონი დაიკავეს.

12 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო კიდევ ერთი რეზოლუცია, რომელშიც კიდევ ერთხელ დაადასტურა „აზერბაიჯანისა და რეგიონის სხვა სახელწმიფოების სუვერენიტეტისადმი პატივისცემა და მათი ტერიტორიული მთლიანობა“, ასევე „საერთაშორისო საზღვრების ურღვეობა და ძალის გამოყენებით ტერიტორიათა მითვისების დაუშვებლობა“ და კიდევ ერთხელ მოითხოვა „საბრძოლო მოქმედებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტა“, ასევე „საოკუპაციო ძალების გაყვანა აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიე-

ბიდან“. ეს რეზოლუცია იყო რიგით მეოთხე, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭომ 1993 წელს მიიღო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. თუმცა, ამ რეზოლუციის მოთხოვნებიც, მისი წინამორბედების მსგავსად, შეუსრულებელი დარჩა.

1993-1994 წწ. დეკემბერ-იანვარში აზერბაიჯანის ჯარებმა ახალი შეტევა წამოიწყეს, მაგრამ მხოლოდ დროებით წარმატებებს აღწევდნენ და მოკლე დროში ისევ კარგავდნენ ცოტა ხნის წინ მოპოვებულ ტერიტორიებს.

აპრილში სომხებმა კონტრშეტევა წამოიწყეს მდინარე მტკვრის მიმართულებით და სცადეს ჩრდილო-დასავლეთი აზერბაიჯანის მოწყვეტა დანარჩენი აზერბაიჯანისგან, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

მაისში აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის წარმომადგენელთა მონაწილეობითა და დსთ-ის (ანუ, რეალურად, კრელმის) შუამავლობით, ყირგიზეთში გაფორმდა ე. წ. ბიშკეკის პროტოკოლი და 12 მაისს ცეცხლი შეწყდა. იმ დროიდან დღემდე მთიან ყარაბაღს თითქმის მთლიანად სეპარატისტები აკონტროლებენ, ხოლო რეგიონის გარშემო მდებარე აზერბაიჯანის 7 რაიონი ოკუპირებულია სომხური ძალების მიერ. ეს რაიონებია: აგდამი, ზანგულანი, ლაჭინი, ქელბაჯარი, ქუბათლი, ფიზული და ჯაბრაილი.

სამხედრო აგრესიითა და ძალადობის გზით კრემლმა „ახალი პოლიტიკური რეალობა შექმნა“.

ჩვენთვის ცნობილია, ახალი რეალობის შექმნაში გერმანიასთან თანამშრომლობაც XX საუკუნის 30-იან წლებში. ამ მხრივ აღსანიშნავია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაყოფა-გადანაწილება 1939 წელს კომუნისტურ და ფაშისტურ იმპერიათა მიერ რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის შედეგად. ამ მოქმედებით ბევრმა ქვეყანამ — ზოგმა სამუდამოდ და ზოგმა დროებით — დაკარგა თავისი ისტორიული ტერიტორიები. დარწმუნებულები ვართ, რომ თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო ინსტიტუტები არ დაუშვებენ დე ფაქტოდ შეცვლილი ტერიტორიების იურიდიულად დაკანონებას, სამართლებრივი პრინციპების უგულებელყოფას, საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის მოშლას და სახელმწიფოთა შორის ისევ „ჯუნგლის კანონებზე“ დაფუძნებულ ურთიერთობათა აღორძინებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ანთელავა ე., კავკასია და რუსეთი, ტ. I, ნაწ, I, თბილისი, 2007.
2. ზედელაშვილი ს., საზოგადოებრივი მართვის ინსტიტუტები და რუსეთის მიერ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მმართველობის დამყარება ჩრდილო კავკასიაში XIX ს. 60-70-იან წლებში, თბილისი, 2005.
3. თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007.
4. თოფჩიშვილი რ., ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბილისი, 2008.
5. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, IX, თბილისი, 2007.
6. კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XI, თბილისი, 2009.
7. კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვეთი I, თბილისი, 1968.
8. კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვეთი II, თბილისი, 1978.
9. კეკელია ჯ., საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, II გამოცემა, თბილისი, 2006.
10. ლორთქიფანიძე მ., აფხაზები და აფხაზეთი, თბილისი, 2012.
11. მალაშხია შ., კონფლიქტების ანატომია, თბილისი, 2011.
12. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1977.
13. საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისი, 2006.
14. საქართველოს ისტორია, ტ. II, თბილისი, 2012.
15. საქართველო არის ესე, თბილისი, 2003.
16. საქართველოს ეროვნული აკადემია, სრულიად საქართველოს სომხურენოვანი მოსახლეობა და საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის აღორძინების შუქჩრდილები და პრობლემები, თბილისი, 2006.
17. ხუციშვილი ნ., დაღესტანი, თბილისი, 2002.
18. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბილისი, 1998.
19. Анчабадзе Г., Ваинахи (чеченцы и ингуши), Тбилиси, 2002.

20. Амирханов Х., Исследование памятников олдована на северо-восточном Кавказе, Москва, ТАУС, 2007.
21. Бгажников, Адыги, Тбилиси, 2010.
22. Бегулов Р., Центральный Кавказ в XVII в.-первой четверти XIX века: Очерки этнологической истории, Карачаевск, 2009.
23. История Азербайджана, Баку, 1995.
24. История Армянского народа, Ереван, 1951.
25. История народов Северного Кавказа с древнейших времён до конца XVIII в., Москва, 1988.
26. История народов Северного Кавказа (конец XVIII в.-1917 г.), Москва, 1988.
27. Халав З., Этнополитическая и культурно-религилзная история дагестаноязычных народов Алазансой долины в XVI-XVIII вв., Махачкала, 2011.



გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge